# თბილისელები®

საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

www.tbiliselebi.ge

6–12 მაისი 1,50 ლარი №19



გვ. 15

სოსო პავლიაშვილის ბავშვობის მეგობრის მკვლელობაში მისი დის ქმარს ედება ბრალი

გვ. 22

რატომ აღარ უშვებენ ნინას თაყვანისმცემლები ქმრებს სტომატოლოგთან და როგორ აფასებს ის დათოს საქციელს



გვ. 50

როგორ იხსენებს ძველი თაობის კომენტატორებს გიორგი ზურაბიშვილი და მისი რომელი გადაცემა გახდა მეგაპოპულარული „ფეისბუქში“

როგორ უმკლავდება ალინა არველაძე ცხოვრებაში არცთუ ისე მხიარულ პერიოდს და ვინ მოელოდა მისგან სარგებელს



გვ. 70

რაში იღებენ უკრაინულ „ვოისში“ „ზაკაზებს“ მიხეილ კილაძე და ოთო ნემსაძე და ვის უნდოდა რინგზე მათი ერთად დაყენება



გვ. 75

# ქრისტე აღსდგა!

# რაში ვერ ჩაანაცვლა ბოლომდე აჩიკო სოლოღაშვილმა ნუცა ქავთარაძის დედა და როგორ შეხვდა მსახიობ სიძეს გოგი ქავთარაძე

**აჩიკო სოლოღაშვილი და ნუცა ქავთარაძე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წყვილია. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ჩვენი ჟურნალის „ფეისბუქის“ გვერდზე მათი ქორწილის ფოტოებს ყველაზე მეტი მნახველი და მომწონებელი ჰყავდა.**

**ნუცა ქავთარაძე**: ხუთი წელი ვიმუშავე „რუსთავი 2-ში“ და, მგონია, იმ ასაკში არ ვარ, სულ ერთ ადგილას ვიყო სტაბილურად. ამიტომ, გადავწყვიტე, შემეცვალა გარემო და სხვაგან მეცადა ბედი. მგონი, წარუმატებელი გადაწყვეტილება არ მიმიღია. როცა გადაწყვეტილებას ვიღებ, ძალიან ჩქარა უნდა მივიღო, თორემ, მერე ველარ ვწყვეტ. ასე მომივიდა „იმედის“ შემთხვევაში. მივხვდი: თუ კიდევ ვიფიქრებდი, მერე ამ ნაბიჯს ველარ გადავდგამდი.

**– როდესაც გადაწყვეტილებას იღებ, ალბათ, აჩიკოა ის ადამიანი, რომელსაც რჩევას ეკითხები.**

– ალბათ, ერთ-ერთი კი არა, ერთადერთი ადამიანია. ზოგადად, ასეთი დამოკიდებულება დედაჩემის მიმართ მქონდა – ყველაფერი მისთვის უნდა მეკითხა.

**– აჩიკომ ჩაანაცვლა?**

– ვერ ჩაანაცვლა. ახლა მინდა, რომ ორივეს ვუთხრა: დედაც და აჩიკოც მეუბნებიან, როგორც შენ გირჩევნიაო. ამიტომ, ვერ ვიტყვი, რომ ისინი დიდ როლს თამაშობენ ჩემი გადაწყვეტილებების მიღებაში.

**– შენ და აჩიკო სხვადასხვა ტელევიზიაში მუშაობთ. შესაბამისად, ახლა ისე ხშირად ველარ ხვდებით ერთმანეთს, როგორც ადრე, თუ, მაშინაც ვერ ახერხებდით მთელი დღის განმავლობაში ხშირად შეხვედრას?**

– რომ გითხრა, ახლა ამ მხრივ რამე განსხვავებას ვამჩნევ-მეთქი, მოგატყუებ, რადგან, ვერც იქ ვნახულობდი. იშვიათად ხდებოდა, რომ, 3 საათზე, როდესაც აჩიკო მუშაობას ამთავრებდა, მე შენობაში ვყოფილიყავი და ერთად დაგველია კაფეში ყავა. „ნიუსებზე“ ვმუშაობდი და სულ გადარბენაზე ვიყავი. ახლაც, ერთმანეთს ძირითადად საღამოს, შუაღამეს ან გამთენიისას ვხვდებით. ორივე მუდმივად საქმეში ვართ, დღის ნებისმიერ მონაკვეთში და კვირის ნებისმიერ დღეს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, იშვიათად ხდება, რომ ჩვენი დროები ერთმანეთს დაემთხვას: მე თუ მცალია – მას არ სცალია, მას თუ სცალია – მე არ მცალია. ორივეს ისეთი პროფესია გვაქვს, რომელმაც არ იცის ზუსტი გრაფიკი, შაბათ-კვირა, დასვენება. ადრე სულ ვამბობდი: რა კარგია, ბევრი დადებითი მხარე აქვს-მეთქი, მაგრამ, იმდენად მენატრება, რომ ცოტა ვბრაზდები ხოლმე; თუმცა, მერე ვხვდები, რომ ასე ჯობია, ვიდრე რომელიმე ვიყოთ უსაქმური, ან ორივე უსაქმური. ორივემ ვიციით მუშაობის ფასი და, შესაბამისად, ერთმანეთის მიმართ ნაკლებად გვიჩნდება პრეტენზია – რატომ მოხვედი ღამის 12 საათზე სახლში?



**– როგორი მეუღლეა აჩიკო?**

– სულ ვამბობ, რომ აჩიკო ჩემი შეყვარებულია. მეუღლე? ვერ ვხვდები, ეს რას ნიშნავს. თუ ამას მეუღლე ჰქვია, მაშინ, კარგი მეუღლეა, თუმცა, ზოგადად, ძალიან კარგი შეყვარებულია. ვერ ვგრძნობ, რომ მყავს მეუღლე, ანუ, ქართველი კაცი სახლში – არ გვაქვს ერთმანეთთან ასეთი ურთიერთობა. ჩვეულებრივ, შეყვარებულებივით ვართ. დიდი ხნის განმავლობაში ვეგუებოდი ფრაზას: „ჩემი ცოლია,“ „ჩემი მეუღლეა“, „ჩემი ქმარია.“ ალბათ, ეს ყველაფერი იმითაც არის განპირობებული, რომ იშვიათად გვიწევს ერთმანეთთან კონტაქტი – იმდენად იშვიათად ვნახულობთ ერთმანეთს, რომ მერე ვთქვათ: „სახლში დამხვდი, პური ამომიტანე.“ აჩიკო სახლშიც და გარეთაც ისეთია, როგორიც არის.

**– ერთმანეთს, ალბათ, სულ უზიარებთ მთელი დღის შთაბეჭდილებებს.**

– კი, სულ ვუყვები. ბევრჯერ მითქვამს, რომ სიუჟეტი ისეთი არ გამომივიდა, როგორიც მინდოდა; ან – ეთერი მქონდა ცუდი და, რომ შევდივარ სახლში, ვეუბნები: აჩო, იცი, რა ცუდი იყო?.. თვითონაც იცის თქმა: „დღეს რაღაც ისე ვერ ვქენი, როგორც მინდოდა და არ გამომივიდა“. რასაც ვაკეთებ მეგობრებთან, იმავეს ვაკეთებ აჩიკოსთანაც, რადგან, უპირველეს ყოვლისა, მისი სტატუსი ჩემთვის არის „მეგობარი“. ჩემთვის ყველაზე კრიტიკული მაყურებელი აჩიკოა, ყველაზე მეტად მაკრიტიკებს, მაგრამ, მისი ყველაზე მეტად მჯერა. რეალურად, ზუსტად იმას მეუბნება, რაც მე ისედაც ვიცი და, მსიამოვნებს, როდესაც ამას მისგან ვისმენ. შესაბმისად, ეს ჩემთვის ორმაგი სტიმულია: საკუთარ თავსაც უნდა ვასიამოვნო და ჩემს საყვარელ ადამიანსაც. ვფიქრობ, რომ ორივე ნაკლებად ვიმსახურებთ კრიტიკას.

**– ოჯახიდან გამომდინარე, არასდროს გიფიქრია მსახიობობაზე?**

– ახლაც მინდა. სულ ვამბობ, რომ ძალიან მინდა, მაგრამ, სერიოზულად როცა ვფიქრობ, მერე ვხვდები: რომ არ ვყოფილიყავი ჟურნალისტი, აუცილებლად ვიქნებოდი ექიმი; რომ არ მეცხოვრა საქართველოში და არ ვყოფილიყავი ჟურნალისტი, აუცილებლად ვიქნებოდი დეტექტივი. სამივე შემთხვევაში გიწევს რაღაცის გამოძიება, გარკვევა, ანალიზი, ხალხთან ურთიერთობა და ეს მომწონს. ვერასდროს ვერანაირი ხელფასისა და ვერაფრის გამო ვერ დევჯდები ოფისში, ისეთ გარემოში, სადაც სიმშვიდე და სიჩუმეა. ის, რაც მთელი დღის განმავლობაში ძალიან მღლის, რეალურად, დადებითი ემოციებით მავსებს. რუსთაველის თეატრის კულისებში გავიზარდე და დღემდე მახსოვს ის სუნი. ახლა, როგორც მაყურებელი ან ჟურნალისტი რომ მივდივარ, სულ მინდა კულისებში შესვლა, რადგან, ის მახსოვს კარგად. კიდევ, მახსოვს ის მსახიობები, რომლებიც ახლა უფრო დიდები არიან, ვიდრე მაშინ. ძალიან მომწონდა, სპექტაკლის შემდეგ კულისებში მსახიობებთან რიგი რომ იდგა და ელოდებოდნენ, მე კი თავისუფლად შევდიოდი. მსახიობები მკოცნიდნენ და სხვები ხედავდნენ, რომ ყველა მიცნობდა. როცა სპექტაკლიდან სახლში მოვდიოდი, ვამბობდი: „მე უნდა ვიყო მსახიობი“ და ვცდილობდი, ტექსტი დამეზეპირებინა, მერე კი სახლში მეც გამეკეთებინა. ასე მომწონს, მაგრამ, რეალურად, მგონია, რომ არ ან ვერ ვიქნებოდი მსახიობი; ნიჭი მაქვს თუ არა, ესეც არ ვიცოდი.

**– ბავშვობაში არ აფასებდნენ შენს სამსახიობო მონაცემებს?**

– ბაბუას არ უნდოდა, რომ მსახიობი ვყოფილიყავი. კოლეჯში იმიტომ ჩავაბარე, რომ, მინდოდა, ჟურნალისტი გამოვსულიყავი, მაგრამ, თან



**ის, რაც მთელი დღის განმავლობაში ძალიან მღლის, რეალურად დადებითი ემოციებით მავსებს**

ვფიქრობდი: „იქნებ, რეჟისორი ვიყო?“ დრო რამდენჯერაც არ უნდა გადავახვიო, რამდენჯერაც არ უნდა დავიბადო, მაინც ჟურნალისტი ვიქნები.

**– როგორი ბაბუაა გოგი ქავთარაძე?**

– მსახიობი გოგი როგორია, არ ვიცი, მაგრამ, როგორც ბაბუა ისეთია, როგორც ვიზუალურად გამოიყურება: ბუთქუჩა, თეთრი, ცოტათი თოვლის ბაბუაც. ჩვენ ერთად არ მოგვიწია ცხოვრება, მაგრამ, რაც დრო გადის, ვხვდები, რომ უფრო მეტად მიყვარს. ადრე მქონდა ის განცდა: „უი, რა კარგია, გოგის შვილიშვილი ხარ“... მაგრამ, ეს არასდროს გამომიყენებია. ახლა მის მიმართ სხვა დამოკიდებულება მაქვს, სხვანაირად ვაფასებ, ჩემთვის ძალიან ძვირფასია და ძალიან მიყვარს. არ მახსოვს, საიდან გაიგეს, რომ გოგის შვილიშვილი ვიყავი, რადგან, არასდროს ამაზე არ მისაუბრია, არავინ იცოდა. სკოლაში ერთ მშვენიერ დღეს, ბუფეტში შევედი და მესმის, როგორ ჭორაობენ მასწავლებლები: რა ცუდი გოგოა ნუცა, როგორ იტყუება. გავიხედე და ვკითხე, რატომ ვიტყუები-მეთქი. მიპასუხეს – ჩვენ გვყავს აქ გოგის შვილიშვილიო.

**– როგორ მიიღო ბატონმა გოგიმ მსახიობი სიძე?**

– მგონი, გაანალიზება ვერ მოასწრო, რადგან, ავედი, ვუთხარი – ვთხოვდები-მეთქი და მეორე დღეს ავუყვანე აჩიკო. გოგისთან ასვლა ყველაზე მეტად მეშინოდა, რატომ – არავინ იცის. მახსოვს, მე, დედა და აჩიკო რომ გამოვედით გოგისგან, ისეთი მოჭიმულები ვიყავით, ყველაფერი გვტკიოდა. დედაჩემმა გვითხრა, ახლა მოდუნდითო. აჩიკოც ძალიან ნერვიულობდა – ალბათ, მისთვის უფრო მეტად რთული იყო: ჩვენ – ოჯახის ბევრი წევრი და აჩიკო – მარტო. ცუდს არავინ ველოდით. ძალიან ძნელია, აჩიკო არ მოგეწონოს და არ შეგიყვარდეს. მეც ვნერვიულობდი. უფროსი და მყავს, არ არის გათხოვილი, პირველად მე გავთხოვდი და არ ვიცოდი ისეთი რაღაცეები, როგორიც არის: მამასთან აგიყვან, ბაბუაჩემი გაიცანი, დედაჩემს ხელი ჩამოართვი... ვინერვიულეთ, მაგრამ, ახლა რომ მახსენდება ის ნერვიულობა, ძალიან მეცინება.

**ნათია უტიაშვილი**

# ს ა რ ჩ ე ვ ი




რამ შეუზღუდა გია ხუხაშვილს თავისუფლება და რატომ ელოდება ის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას ..... 6

როგორ იქცა საქართველო დასავლეთის



საჩვენებლად რუსეთის ბირთვული მოდელირებული შეტევის მსხვერპლად..........8

რა დააფიქსირა უნივერსიტეტის კამერებმა გოგონას კიბიდან გადმოვარდნის დროს და ვისი ეშინოდა მას ............................................... 9



რა აკარგვინებს ქართველ ქალებს ქალურობას, რატომ მიიჩნევა კომპლიმენტად „მამალი ქალები“ და რატომ არ აღიარებს ქალი კაცად სუსტ კაცს ................................ 10

მსოფლიოს მონარქიული ოჯახები და ტახტის მემკვიდრეები ......................... 12

ვინ არის ყველაზე მდიდარი ევროპაში და რამდენი მილიარდი დოლარი იზარალა ფრანგმა ბერნარ არნომ ..... 13

რომელი სეზონური დაავადებაა სიცოცხლისთვის სახიფათო და რა უნდა მოიმოქმედოს ალერგიულმა ადამიანმა გაზაფხულზე ...................... 14

ადვოკატი გირჩევთ ................................ 16

როდის არის ქალისა და მამაკაცის სასიყვარულო ურთიერთობა ჩავარდნისთვის განწირული ................ 20

როგორ იპოვა ერთმანეთი მამა-შვილმა და რა მოულოდნელი სიხარული ეწვია ქალაქ სარაბულში მცხოვრებ 25 წლის ბიჭს.................................21

რომელ წელს გაუქმდა სასაფლაო ვერის ბაღის ტერიტორიაზე და რომელი წლიდან აღარ დადის ტრამვაი მელიქიშვილის ქუჩაზე...........................23

ვისთვის არის გახსნილი მუდმივად სამოთხის კარი და როდის ირჩევს ადამიანი საკუთარი ნებით ჯოჯოხეთს ........................................... 24



მადრიდის „რეალის“ რომელი ლეგენდარული ფეხბურთელები დარჩნენ „ოქროს ბურთის“ გარეშე ....... 26

ექიმის რჩევები ......... 29

რატომ იწყევლიდა თავებდს ბათუ კრავეიშვილი სტალინთან შეხვედრისას ............................................ 30

როგორ გავიგოთ წინასწარ რას გვპირდება კონკრეტული დღე და შესაძლებელია თუ არა პრობლემებსა და გაუგებრობებს ადვილად დავაღწიოთ თავი ..................................................... 32

რომელი მარკის სექსუალური მოდელები დაჩრდილა რიანამ და რომელი ჟანრის მუსიკას არ უსმენდა ის ბარბადოსზე ... 34

სტალინი და „კანონიერი ქურდები“ ....... 35

შეკითხვა ასტროლოგს ............................. 36

რატომ არის სექსუალური ენერგიის არასწორად გამოყენება სახიფათო და ბლოკავს თუ არა ეს საჭირო კოსმიური ენერგიების შემოდინებას ჩვენს ორგანიზმში.............................................. 36

კოსმეტოლოგის რჩევები .......................... 47

როგორ იძია შური ჯალათ მილიციელზე ცნობილმა ქართველმა მძარცველმა, მეტსახელად „ბეღურამ“ ......................... 48

როგორ იხსენებს ძველი თაობის კომენტატორებს გიორგი ზურაბიშვილი და მისი რომელი გადაცემა გახდა მეგაპოპულარული „ფეისბუქში“ .......... 50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ... 51



ვეტერინარის რჩევები..............56

ფლორის სამყაროში..........56

როგორ გახდა დედა შვილის მიერ მამის სასტიკი მკვლელობის თანამონაწილე და რა დაუმალა მან გამომძიებას ........................................... 57

მე – დაქირავებული მკვლელი ............. 58

მკვდარი ვერსია .................................... 66

როგორ აღნიშნავდნენ მეფე და დიდებულები აღდგომის დღესასწაულს ........................... 73

მხოლოდ ფაქტები .................................. 76

რით გააკვირვა ოტია იოსელიანი რუსმა ქალბატონმა .......................................... 78

რატომ შეაშინა ქართველმა სასიმამრომ ჩინელი სასიძო ........................................ 78



**ყურადღება!**

**„აკადემია ლიბერთი-პროფი“ სასწავლებელი, რომელიც გჭირდებათ თქვენ!**

**ჩვენი დევიზია: თუ იცი – საქმე თვითონ გეძებს!**

**ჩვენ გაძლევთ უნიკალურ შანსს, ერთდროულად მიიღოთ, როგორც საშუალო განათლების ატესტატი, ისე პრესტიჟული და შემოსავლიანი პროფესიის, სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი. ვიღებთ 9, 10, 11 და 12-კლასდამთავრებულებსაც (კოლეჯის პროგრამებზე). გარდა ამისა, შესაძლებელია სწავლა ექსტერნად და შესაბამისი ატესტატის მიღება. მიიღებიან რუსულენოვანი მოქალაქეებიც.**

მისამართი: ზაზიაშვილის ქუჩა №1 (სავ. ცენტრ. „ქარვასლასთან“) მე-4 სართული. ტელეფონის ნომრები: 295-20-16; 599 55-02-95; 790 50-60-98; 574 05-06-12.



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

**განყოფილებები**

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ქლენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52

სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53

დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# თავშენახულები

# რაციოთი

## ანუ, ტყავიც ტკბილია

გასული კვირის **ბოლო სესია ამ ჩვენს მოშუშულ პარლამენტში ხმაურიანი გამოდგა.** ხმაურის **მიზეზად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონპროექტი იქცა**, **რომლის განხილვასაც,** ბუნებრივია, **საპარლამენტო უმცირესობა ეწინააღმდეგება.**

**ქართული პარლამენტის უმცირესობა-უმრავლესობა ერთმანეთს მხოლოდ სიტყვიერად დაუპირისპირდა**, მაშინ, როდესაც, მაგალითად, **ვენესუელის პარლამენტში** ცოტა ხნის წინათ ჩატარებული საპრეზიდენტო **არჩევნების შედეგების განხილვას დეპუტატებს შორის ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა.**

ამ ჩვენი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგი-



ონის **ამღიარებელი და სულ ახლახან უგო ჩავესის დამკარგავი ვენესუელის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა**: პარლამენტის სპიკერმა **უარი განაცხადა ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის სიტყვის მიცემაზე**, **ვიდრე** ოპოზიცია **ნიკოლას მადუროს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას არ აღიარებდა** (უგო ჩავესის მემკვიდრემ, ბ-ნმა მადურომ, ოპოზიციონერ კონკურენტს 1,5 პროცენტით აჯობა, რასაც არ ეთანხმება ვენესუელის ოპოზიცია და ხმების ხელახლა გადათვლას ითხოვს).

ჩვენებურებისგან განსხვავებით (მანდატურებმა ვნებები ჩააცხრეს), **ვენესუელელი რჩეულები ერთმანეთს დაერივნენ** და, საბოლოოდ, **შვიდი დეპუტატი დაზიანდა**. თუმცა, ამის მიუხედავადაც, **ვენესეუელელი ოპოზიციონერები დანებებას არ აპირებენ.**

თუ გავიხსენებთ, რომ **ჩვენებური ოპოზიციონერები ოკუპაციის შესახებ კანონში ცვლილებებს მთელი სულითა და გულით ეწინააღმდეგებიან**, ოღონდ, ამ პროტესტს მხოლოდ სიტყვიერად გამოხატავენ (მაშინ, როდესაც უმრავლესობაში ყოფნისას მუშტებსაც აქტიურად იყენებდნენ) და **ამ კონსტრუქციულ პროტესტს მათი ვენესუელელი კოლეგების თავგანწირვას შევადარებთ** (იდეისთვის ბრძოლაში 7 დეპუტატი დაზიანდა!), როგორც ჩანს, **ჩვენებურები უფრო რაციოთი მოქმედებენ** – სკამიც, მაგრამ, **ტყავიც ტკბილია.**

# ხელაქავებულები

## ახალი „ღვინო“ ძველ „ტიკებში“

მიუხედავად იმისა, რომ **მშრომელთა სიმრავლეს არ ვუჩივით**, სამაგიეროდ, **პირველი მაისი მაინც აღვნიშნეთ**, უფრო ზუსტად, **სტუდენტებმა აღნიშნეს** და, ისე მოხდა, რომ, **მშრომელთა უფლებების დაცვის ხარისხის გარდა, ჩვენი ახალი და ძველი პოლიციის განსხვავების ხარისხიც შემოწმდა**.

როგორც აღმოჩნდა, **პოლიციას ხელები მაინც ეფხანება** (ისიცაა, **9 წელი ფხანა-რტყმას მიჩვეულების ჯეროვან აღზრდას კიდევ დიდი ხანი დასჭირდება**), მათ შორის, **არა მხოლოდ აქციის მონაწილეთა, ჟურნალისტების მისამართითაც.**




**საზოგადოებრივი აზრი**, ჩვეულებისამებრ, **კვლავაც ორად გაიყო**: ნაწილს მიაჩნია, რომ **აქციის მონაწილეებმა თავიანთ უფლებებს გადაამეტეს**, მეორე ნაწილის რწმენით, **პოლიციამ საკმარისი მოთმინება ვერ გამოიჩინა**, მაგრამ **შს მინისტრი დარწმუნებულია, რომ მისმა ქვეშევრდომებმა საკმარისზე მეტი მოითმინეს.**

მაგალითად, ბ-ნი **ზურაბიშვილის** (თუმცა, თავად განათლების მინისტრის მოადგილეა) **ლოგიკა შემდეგნაირია**: „პოლიციელთა თვალთახედვით, **კარგი მინისტრი ისაა, ვინც მუნდირის ღირსებას მაქსიმალურად იცავს და თანამშრომლებს არ აჩაგვრინებს** ჟურნალისტებს, უფლებადამცველებს, პარლამენტარებს და ასე შემდეგ **არაპოლიციელებს**.“

აქედან გამომდინარე კი, ასკვნის, რომ ბ-ნ **ღარიბაშვილი თავისი სამწყსოს გულების მოსანადირებლად ცდილობს, „მაქსიმალურად დაიცვას პოლიციელები და წარმოჩნდეს მათ ფარად** – სხვანაირად მას ვერ ექნება სისტემის შიგნით ავტორიტეტი.“

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ **შსს-ს საკმაოდ მსუყე დაფინანსება აქვს**, იქნებ ტრენინგებისთვის ცოტა მეტი თანხა გაემეტებინათ და **ამ ჩვენი მინისტრის სიყვარულის მომლოდინე პოლიციელებისთვის ესწავლებინათ,** რომ **მათი ვალდებულება უსაზღვრო მოთმინებაა** და **ფარად მოქალაქეებსა და კანონს უნდა აეფარონ და არა – ერთმანეთს!**

# ყოფილთა საბჭო

## ანუ, ჩუკენობიდან – სპლიყვებამდე

„სინათლის ქალაქი“ აწ უკვე მეორედ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ან კი როგორ არ მოექცეოდა, როდესაც იქ საგამოძიებო სამსახური შევიდა. თუმცა, მანამდე **მერიას დაქვემდებარებული ამ შპს-ის საქმიანობა იმით გახდა თვალსაჩინო**, რომ **მის სამეთვალყურეო საბჭოში**, ბედის ავბედითობითა თუ ირონიით, **ამჟამად თანამდებობრივად ჩამოლაბორანტებულნი, ერთ დროს კი ხელისუფლებაში მყოფნი დასაქმდნენ.**



კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციით, **„სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოში საქმიანობენ**: ვლადიმერ **ვარძელაშვილი (**ყოფილი მინისტრი), კობა ხაბაზი (ყოფილი დეპუტატი), პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, **დავით ბაქრაძის მეუღლე** მაკა მეტრეველი, **კოტე გაბაშვილი** (იტალიაში საქართველოს ყოფილი ელჩი), **დავით ჯანიაშვილი** (პარლამენტის აპარატის ყოფილი უფროსი) და **სხვები, ოღონდ ჩამოთვლილთაგან შედარებით წვრილფეხობა.** ზედაც, ერთი შეხედვით, **ამ თავიანთი განვლილი გზისთვის შეუფერებელ საქმიანობაში საკმაოდ წონიან გასამრჯელოსაც იღებენ,** რასაკვირველია, **ბიუჯეტიდან.**

ჯერჯერობით უცნობია, **რას მოჰფენს ნათელს საგამოძიებო სამსახური** (ეჭვი მაქვს, ფრიად სახალისო ცნობებსაც მივიღებთ), თუმცა, ამ ფაქტმა **დედაქალაქის მერი კვლავაც შედარებების იშტაზე მოიყვანა** („ახლა, ალბათ, **ზოოპარკში შევლენ და სპლიყვების მოშენების თუ გამრავლების კოეფიციენტს დაითვლიან“).**

თუმცა არ დაგვიმალა, შეჩვეულია, **„რომ საგამოძიებო სამსახურები და ყველა, ვისაც არ ეზარება, შესამოწმებლად შემოდის** და, **გამიკვირდა კიდეც,** „სინათლის ქალაქში“ აქამდე არ უნდა შესულიყვნენ (**ვითომ საგამოძიებო სამსახურმა ანგარიში გაუწია მერს და გაკვირვება დიდხანს არ გაუწელა)?!“**



როგორც უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ, რომ **აქამომდე** ბ-ნი **უგულავა შედარებებისას არცთუ კორექტულ სიტყვებს ირჩევდა**, ამ **ბოლო შედარებამ ცხადყო** (ყოველ შემთხვევაში, პირადად ჩემთვის), **რომ პროგრესი (ჩუკენობიდან – სპლიყვებამდე) აშკარაა.**

# თვალთვალი

რაკი **ფარული მოსმენები, ზედაც, თვალთვალი, ჩვენი პოსტრევოლუციური ცხოვრების თითქმის „უკვდავი, თანამდევი სული“ გახლდათ**, ცხადია, სულაც **არ გაგვკვირვებია, როდესაც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გვაუწყა,** რომ **შსს-ს არქივში**, მათ შორის, **ცოლ-ქმრის სექსუალური ურთიერთობის ამსახველი ვიდეომასალაც დახვდათ.**



იქვე ბ-ნმა ხმალაძემ განგვიმარტა, რომ **„ეგრეთ წოდებული მოსმენები კანონიერიცაა და უკანონოც“,** ხოლო, **თუ თვით კანონიერი მოსმენის შემთხვევაშიც კი, პირადი ცხოვრების შესახებ მოპოვებული მასალა კომპრომატია, ის აუცილებლად უნდა განადგურდეს.**

მეორე მხრივ, **არც ის დაუმალავს, რომ ინფორმაციებს ჩვენებური მობილური კომპანიებიც ინახავენ** (რადგან, კანონით არ არის დარეგულირებული, რა პერიოდით აქვთ ინფორმაციის შენახვის ვალდებულება).

## „დემშუქურის“ შეუფერებელი პოზიცია

ერთი სიტყვით, როგორც ადრე, **ეს ჩვენი პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრება, დაინტერესებული უწყებებისა თუ პირებისთვის გადაშლილი**, თანაც, **დასურათხატებული წიგნივითაა** და ჯერჯერობით მხოლოდ **იმის იმედად ვართ, რომ ახლები ძველებივით ბოროტად არ ისარგებლებენ კანონით მინიჭებული** (ან, სულაც, უკანონო) **თვალთვალის უფლებებით.**

მაგრამ, როგორც უნდა იყოს, თუ ბ-ნი ხმალაძის მიერ ზემომოხმობილ მაგალითს გაიხსენებთ (ცოლ-ქმრის პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეომასალას ვგულისხმობ), ვფიქრობ, **წინა ხელისუფლებასაც უნდა გავუგოთ**: მის **მახვილ თვალს ყველგან უნდა შეეღწია**, თორემ, **ხომ შეიძლება, თვით ოჯახურ წყვილსაც კი, შეუფერებელი პირადი პოზიციით უტიფრად შეებლალა „შუქურის“ ზნეობრივ-დემოკრატიული იმიჯი?!**

# კომბოსტო და ნასპიკერალი

მართალია, „ენ დი აის“ კვლევით, პარლამენტის **ყოფილი თავმჯდომარის რეიტინგი** ნოემბრიდან დღემდე, სულ რაღაც 5 პროცენტით, **მაგრამ, მაინც გაზრდილა** (გამოკითხულთა **48 პროცენტს მოსწონს**, **29-ს – არა**, 15-მა არც კი იცის, ვინ არის, 1 პროცენტს მასზე არაფერი სმენია, 7-მა პროცენტმა კი პასუხს საერთოდაც თავი აარიდა), თუმცა, მოარული ხმებით, **მას პოლიტიკიდან წასვლა დაუპირებია.**

გავრცელებული ინფორმაციით, **ამ გადაწყვეტილებას ნასპიკერალი ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ**, ანუ, ბ-ნი **სააკაშვილისა და საპრეზიდენტო პოსტის გამომშვიდობებისთანავე მიიღებს,** თუმცა, თავად ამ კონკრეტულ **კითხვას ფილოსოფიურად პასუხობს**: **„ადრე თუ გვიან, პოლიტიკიდან**

## „წასვლა სჯობს წარმავალისა“

**ყველანი წავალთ.“**

ბუნებრივია, **ყველანი წავალთ** (მეტიც, **არათუ პოლიტიკიდან, თვით ამ სოფლიდანაც**), თუმცა, **რთულად ასახსნელია, რატომ უნდა მოესურვილებინა** (თუ რეიტინგებს დავუჯერებთ) **რებრენდინგის წარმატებულობაში დარწმუნებული პოლიტიკური ძალის ყველაზე რეიტინგულ სახეს პოლიტიკური სცენის დატოვება.**

მაგრამ, **თუ ყოფილი კეისრისა და კომბოსტოს ამბავს გავიხსენებთ**, იქნებ, ამ **რებრენდინგის პროცესში** ბ-ნმა **ბაქრაძემ ისეთი კომბოსტო მოიყვანა**, **რომ** მის წარმოსახვაში **პოლიტიკას გემო დაეკარგა**?!

# ნამერალ-ნამინისტრალ-ნაელჩარი ანუ, ვაცივით

იმ მარტივი მიზეზით, რომ **სხვადასხვა სახელისუფლო შტოში პოლიტიკურ ძალთა ბალანსი განსხვავებულია**, სავსებით **ბუნებრივია, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში დაპირისპირება გრძელდება**. გასულ კვირას **კახეთის გუბერნატორმა თავისი გულისტკივილი ჟურნალისტებს გაუმხილა.**

კერძოდ, **ნამერალ-ნამინისტრალ-ნაელჩარმა**, აწ კი **გუბერნატორმა ბ-ნმა ჭიაბერაშვილმა მთავრობა განტევების ვაცების ძებნაში დაადანაშაულა**. თუმცა, იქვე შენიშნა, რომ, ამის მიუხედავადაც, **მთავრობასთან თანამშრომლობის სურვილით იწვოდა** (ახლაც იწვის), **მაგრამ**, როგორც თავად ამბობს, **ვაი რომ, უშედეგოდ**.

სახელდობრ, **გუბერნატორს შესაბამისი სამინისტროსთვის სტიქიით დაზარალებულთათვის კომპენსაციის გაცემის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია მოუთხოვია** (რომ გაგვეგო, რა და როგორ განაწილდაო), რადგან, **გუბერნატორი იმითაა შეფიქრიანებული, ზუსტად აღიწერა თუ არა ზარალი,** მაგრამ, პასუხი არ მიუღია.

შესაბამისად, ბ-ნი **ჭიაბერაშვილი ჩივის, რომ მთავრობა არ ეთანამშრომლება, მთავრობა** კი, თავის მხრივ, **ირწმუნება, რომ გუბერნატორები თანამშრომლობის უარზე თავად ბრძანდებიან.**

**ვინ ვის სძლევს ამ დავაში**, ამას **მხოლოდ დრო თუ გამოაჩენს**, მანამდე კი კონკრეტულად **კახეთის გუბერნატორმა თადარიგი უკვე დაიჭირა** და **საზოგადოებას აუწყა**, რომ (მომყავს ციტატა): „იმ პირობებში, როდესაც საფრთხე ექმნება ბიუჯეტის შესრულებასაც კი, ბუნებრივია, **მთავრობა იწყებს განტევების ვაცის ძებნას, რომ ვიღაცას ეს დაბრალდეს**. **ამ შემთხვევაში განტევების ვაცად გუბერნატორები შეარჩიეს.“**

თუ გავიხსენებთ, რომ **არა ერთი და ორი გუბერნატორია ჩვენს სამშობლოში**, როგორც ჩანს, მხოლოდ **ვაცების რიგითობა დაგვრჩა გასარკვევი?!**

# ტკბილად შესარგები

## ოსტაპ ბენდერის მოტივებზე

შესაძლოა, **იმიტომ, რომ ლიბერალია,** ან, სულაც, **სხვა მიზეზთა გამო, ხალხის რჩეულმა („ნაციონალური“ ფრთიდან**) ბ-ნმა **ჯაფარიძემ საკანონმდებლო ორგანოში ინიციატივა წარადგინა** და **2013 წლის პირველ იანვრამდე ჩადენილი ეკონომიკური დანაშაულის ამნისტირება მოითხოვა.**

კერძოდ, დეპუტატი ითხოვს **ამოუღებელი საგადასახადო ვალდებულებისგან ბიზნესის გათავისუფლებას, ჯარიმა-საურავების ამნისტირებასა და ფინანსურ-ეკონომიკური დანაშაულების დეკრიმინალიზაციას.**

ისიც სათქმელია, რომ ბ-ნი **ჯაფარიძე პირველი მერცხალი არ არის**, რადგან, **ეს იდეა კარგა ხანია, ჩვენს პრეზიდენტსაც აწვალებს** (მანაც მიმართა ორიოდე თვის წინათ პარლამენტს მსგავსი კანონპროექტით). თუ გავიხსენებთ, რომ **ნამდვილი „პირველი მერცხლის“,** ანუ პრეზიდენტის **ინიციატივა არც უმრავლესობას ეპიტნავა** და **არც საზოგადოების დიდ ნაწილს,** სავარაუდოა, რომ პარლამენტი, ყოველ შემთხვევაში, სრულად არც ბ-ნი **ჯაფარიძის ეგზომ გამოჰუმანურებულ-გამოლიბერალებულ ინიციატივას გაიზიარებს**.



მეორე მხრივ, თუ გავითვალისწინებთ, რომ **აწ უკვე დოკუმენტურადაა დადასტურებული** (ეჭვი მაქვს, დაუდასტურებელი უფრო მეტი იქნება), **რომ სახელმწიფოს ბოლო 9 წელიწადში გვარიანი თანხა მიუთვისებია ბიზნესმენებისგან**, **პრეზიდენტის მოტივებიც გასაგებია** და ხალხის **რჩეულ** ბ-ნი **ჯაფარიძის ვნებანიც**.

შესაბამისად, **იქნებ, ამნისტირებული მეწარმეებისთვის** (თუ ამნისტიაა, ამნისტია იყოს), როგორც ოსტაპ ბენდერი იტყოდა, **იმ ბინის გასაღებიც მიგვეცა, სადაც ფული ინახება?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**მართალია, დათა ახალაიას გამოჩენას ველოდით, თუმცა მოლოდინი გაგვიცუდდა და კვლავაც მხოლოდ მის მიერ მოწერილი წერილით გვიწევს ცნობისმოყვარეობის დაოკება. 19 აპრილის აქციაც შედგა (ისე, რომ ბუზიც არავის აუფრენია ერთადერთ საპარლამენტო ოპოზიციად წოდებული ძალისა და მისი მხარდამჭერებისთვის) და ჩვენმა პრეზიდენტმა ოკეანის გაღმიდან კომპლიმენტიც მიიღო (ბ-ნმა ბაიდენმა საქართველოს ჯორჯ ვაშინგტონად „მონათლა“). რა პროცესები მიდის ორ მთავარ პოლიტიკურ ძალას შორის: ვის გამოჩენას უნდა ველოდოთ, როდის აჩქარდება სამართლიანობის აღდგენის პროცესი და რამდენად შესწვდება თემიდას მსახვრალი ხელი მაღალ ეშელონებს? – ამ თემებზე მოსაზრებებს ამჯერად გია ხუხაშვილი გაგვიზიარებს.**

# რამ შეუზღუდა გია ხუხაშვილს თავისუფლება და რატომ ელოდება ის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას



**ვანო მერაბიშვილი ჩემთვის ძალიან მარტივი ადამიანია, მაშინ, როდესაც ადეიშვილი საინტერესოა, ახალაიაც, როგორც შემსრულებელი**

**– როგორ მოგიხსენიოთ?**

– ეს უკვე ძალიან ძნელია, მე გავხდი პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საზოგადოებრივ საწყისებზე. სტატუსი შეიცვალა, მაგრამ ჩემი საქმიანობის წესი არ შეცვლილა, თუმცა ჩემი თავისუფლება, რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია, შესაძლოა, ცოტათი შეიზღუდოს, მაგრამ სრულად არა. ამ გადაწყვეტილებას აქვს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები: ობიექტური მიზეზი გახლავთ აბსოლუტურად აღვირახსნილი კამპანია ჩემ წინააღმდეგ.

**– თქვენი აზრით, საიდან იმართება ეს კამპანია, თქვენი თუ ოპონენტების მხრიდან?**

– ძირითადად, ვფიქრობ, წყარო არის „ოცნების“ პოლიტიკური ოპონენტები, რატომღაც, ასეთი სქემა აირჩიეს და მე მიჭირს მათ ლოგიკაში გარკვევა. სამიზნედ ამირჩიეს და, როგორც ვიცი, „ფეისბუქზე“ გვერდებიც გახსნეს ჩემს შესახებ, რაც ჩემთვის ვერ ვიტყვი, რომ ძალიან უსიამოვნოა, იმიტომ რომ ამაში გარკვეულწილად პოზიტივიც არის. ძალიან არ მინდა, დავიჯერო, მაგრამ შესაძლოა, ამ ყველაფერში სხვებიც იყვნენ ჩართულნი. საერთოდ, ადამიანისადმი სიძულვილის ხარისხი ხელისუფალთან სიახლოვის პირდაპირპროპორციულია. მე ამას ძალიან ფილოსოფიურად ვუყურებ და თუ ატყობთ, სერიოზულად არ შევდივარც პოლემიკაში და არც ვაპროტესტებ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მინდა, რომ პასუხი გავცე, განსაკუთრებით, ეს ეხება აღდგომის წინ კვერცხების თემით ცინიკურ სპეკულირებას. წარმოდგენა არ მაქვს, რა ხდება კვერცხის ბიზნესში და ამ დროს დაიწყო კამპანია, რომ მე თითქოს ვაკონტროლებ კვერცხის ბიზნესს. ამ კამპანიის ცინიზმს აძლიერებს ისიც, რომ მავანი კონტექსტში აპელირებს იმაზე, რომ მე ნახევრად ებრაელი ვარ წარმოშობით. როგორც ჩანს, ამას ვიღაც ძალიან ბნელი აკეთებს, რომელსაც არანაირი წარმოდგენა არ აქვს თამაშის წესებზე, აღარაფერს ვიტყვი მორალურ მხარეზე. ასე რომ, კვერცხის თემა ის შემთხვევაა, რომ ამაში უფრო ღრმად ჩახედვა მომიწევს, რასაც აღდგომის შემდეგ გავაკეთებ.

**– ჩვენ ძალიან მწირი ინფორმაცია გვაქვს, რა ხდება „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით...**

– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ძალიან საინტერესოა?!

**– ვფიქრობ, დასავლეთი ამ ძალასთან ითხოვს კოჰაბიტაციას და ეს საკითხია, რაშიც დასავლეთისა და ჩვენი საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილის აზრი ერთმანეთს არ ემთხვევა.**

– მგონია, ჩვენ ცოტა უკანა რიცხვით ვლაპარაკობთ, რადგან არ მგონია, დასავლეთში ეს მოთხოვნა ისეთი ინტენსივობით იდგეს დღეს, როგორც ერთი და ორი თვის წინათ.

**– სულ ახლახან განაცხადა ბაიდენმა, სააკაშვილი საქართველოს ჯორჯ ვაშინგტონიაო?**

– ეს ყველაფერი ხომ სიტყვებია? რეალურად, დასავლეთში დაიღალნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ისტერიკით. თუ ვინმე უშლის ხელს კოჰაბიტაციას, ეს ისევ „ნაციონალური მოძრაობაა“. შერიგება უნდა მოხდეს არა „ნაციონალურ მოძრაობასა“ და ხელისუფლებას შორის, არამედ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და საზოგადოებას შორის, ხელისუფლება კი ასრულებს ხალხის დაკვეთას. „ნაციონალურ მოძრაობას“ პრობლემა აქვს საზოგადოებასთან და როდესაც ამ საზოგადოებას ყოველდღიურად ჭრილობაზე მარილს აყრი, ბუნებრივია, შენ თვითონ არ გინდა ეს მორიგება, არ გინდა, რომ შენი დანაშაული ადამიანებმა დაივიწყონ. ისინი აპელირებენ ადამიანის უფლებებზე, პოლიტიკურ დევნაზე, რაც განსაკუთრებული უტიფრობაა მათი მხრიდან და, ფაქტობრივად, თვითონვე ხდიან შეუძლებელს კოჰაბიტაციას და, ჩემი აზრით, დასავლეთში ეს უკვე ძალიან კარგად ესმით.

**ამნისტია უნდა იყოს არა ტოტალური, არამედ – ინდივიდუალური, მხოლოდ ნებაყოფლობითი აღიარების საფუძველზე და ეს უნდა შეეხოს მხოლოდ მსუბუქ და საშუალო სიმძიმის დანაშაულს და იყოს დროში შეზღუდული**

**– ხშირად ვისმენ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, რომ ეს ხელისუფლება არ დაუშვებს, გვამები შემოყარონ სახლის სახურავებზე, რომ ადამიანებს წაართვან ბიზნესი და უწამონ ოჯახის წევრები. მაგრამ, როდესაც ამას ამბობს ხელისუფლების წარმომადგენელი, ხომ ავტომატურად ჩნდება კითხვა: რატომ დადიან მაშინ ასე თავისუფლად გვამების შემომყრელები, მწამებლები, წამრთმევები?**

– სამართლიანობის აღდგენის პროცესის დინამიკა არასდროს შეესაბამება საზოგადოების დაკვეთას. საზოგადოების დაკვეთაა, რომ, თუ არის ბრალდება, ის უნდა იყოს კონვერტირებული სასჯელში. ბევრმა პრობლემამ შეაფერხა სამართლიანობის აღდგენის პროცესი. ერთია კოჰაბიტაციის მოთხოვნა, ასევე, 19 აპრილის აქცია და იგივე შუალედური არჩევნები. შუალედურ არჩევნებამდე რამე ტიპის სამართლებრივი ქმედება რომ განხორციელებულიყო, „ნაციონალების“ მხრიდან ეს კვლავ პოლიტიკურ დევნად გასაღდებოდა. ახლა ვფიქრობ, დადგა დრო, რომ ხელისუფლებამ იმოქმედოს სამართლის ჩარჩოებში. მე შორს ვარ აზრისგან, რომ ტოტალური დასჯა დაიწყოს და კოჰაბიტაცია, ალბათ, სწორედ ამას გულისხმობს – საზოგადოების გამთლიანებას. ჩემი აზრით, აუცილებელია რაღაც ტიპის ამნისტია იმისთვის, რომ ჩვენ შევძლოთ საზოგადოების გამთლიანება.

**– იმისთვის რომ ამნისტირებული იყოს ადამიანი, სულ მცირე, ის ხომ უნდა გრძნობდეს, რომ საამნისტირებელია, ანუ აღიარებდეს, რომ დააშავა?**

– აი, ზუსტად აქ მივდივარ. ამნისტია უნდა იყოს არა ტოტალური, არამედ – ინდივიდუალური, მხოლოდ ნებაყოფლობითი აღიარების საფუძველზე და ეს უნდა შეეხოს მხოლოდ მსუბუქ და საშუალო სიმძიმის დანაშაულს. არ ვარ იურისტი, რომ მუხლობრივად ვილაპარაკო, მაგრამ ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ნებაყოფლობითი აღიარება, თუ ადამიანი თვითონ მივა და იტყვის, რომ დანაშაული აქვს ჩადენილი, თან ამან უნდა იმოქმედოს შეზღუდული ვადით: ვთქვათ, 6 თვის განმავლობაში. აბსოლუტურად ვიზიარებ თქვენს მოსაზრებას, რომ, თუ არსებობს დაზარალებული, დაზარალებულმა უნდა მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია და მისი თანხმობის გარეშე არავის ამნისტირება არ შეიძლება. მხოლოდ ასეთ ამნისტიას მიიღებს ჩვენი საზოგადოება. გენერალური ამნისტია, რაზეც ვაჭრობდა „ნაციონალური მოძრაობა“, მათთვისაც არ იქნება სასარგებლო.

**– რატომ?**

– იმიტომ რომ ხელისუფლების მხრიდან გენერალური ამნისტია ნიშნავს, რომ იმ დაზარალებულ ადამიანებთან, რომლებიც დღეს სამართლიანობას ითხოვენ და იმედი აქვთ, რომ ხელისუფლება ამ ფუნქციას შეასრულებს, ფაქტობრივად, დამზარალებლები პირისპირ დარჩებიან და შეიძლება, ლინჩი მივიღოთ საქართველოში.

**– თქვენ თქვით, რომ ახალაიები არიან სისტემის მსხვერპლნი და ამან საკმაოდ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.**

– მე ის კი არ მითქვამს, რომ ახალაია დამნაშავე არ არის და არ უნდა დაისაჯოს-მეთქი, მე ვთქვი, რომ ის, ფართო გაგებით, მსხვერპლია, რადგან იყო ინსტრუმენტი სისტემის ხელში. ამის შედეგია ახალაიას აღიარება და მისი წერილი. ეს ადამიანი მუდმივად მოქმედებაში იყო და, ალბათ, ძალიან ხშირად ჩადიოდა ძალისმიერ დანაშაულს, იმიტომ რომ სისტემა უკვეთავდა, მას არასდროს ჰქონდა ადამიანური ფიქრის დრო და საშუალება. ახლა მოხდა ის, რომ 7 თვის განმავლობაში საქმე არაფერი აქვს, იძულებულია, იფიქროს და ფიქრობს განვლილ გზაზე.

**– თუ როგორ გადარჩეს იმაზე?**

– და ხედავს ასეთ პერსპექტივას: მისი ძმა ციხეშია, თვითონაც ციხისთვისაა გამზადებული, მე წარმოვიდგენ ხოლმე მის დედასაც, რომლის ქმარი და ორი შვილი რეჟიმის სიმბოლოებად იქცნენ. ფიქრი არის განწმენდის ყველაზე კარგი საშუალება. ვფიქრობ, ახალაიაში ახლა მიძინებულმა ადამიანმა გაიღვიძა. ჩემი აზრით, აქამდე ის, ძირითადად, ცხოველური ინსტინქტებით მოქმედებდა. იდეალიზაცია არ მინდა და არც ის ვიცი, რამდენად გაიღვიძა მასში ადამიანმა...

**– ან როდის დაიძინებს ისევ.**

– არც იმას ვამბობ, რომ ხვალ შესაძლოა, ისევ დამნაშავედ არ იქცეს, მაგრამ მან გადადგა ლოგიკური ნაბიჯი. რაც უნდა საშინელი იყოს ადამიანი, როგორც კი ქმედებიდან ფიქრზე გადადის, იწყებს რაღაცეების გადაფასებას.

**– ადეიშვილი არაფერს გვწერს, არაფერი გადაუფასებია, ესე იგი?**

– ადეიშვილი, ვფიქრობ, ცოტა სხვა ფენომენია. ის მართლაც, ყველაზე ჭკვიანი იყო იმ სისტემაში. ჭკვიანი იმ გაგებით, რომ რეჟიმის კონსტრუქციისა და ტოტალური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაში მას ლომის წილი მიუძღოდა. თუმცა სქემის შეცდომა ის იყო, რომ ფუნდამენტი არ ჰქონდა და ამიტომ, როგორც კი ერთი აგური გამოაცალეს, ხუხულასავით დაინგრა. როგორც მე მეჩვენება, ადეიშვილი პირველი მიხვდა რეჟიმის დასასრულს და დატოვა ქვეყანა. მიჭირს იმის თქმა, რამდენად შეუძლია მას მონანიება, მასში შესაძლოა, ადამიანი დიდი ხნის ჩაკლული იყოს. არ მინდა, ძალიან კატეგორიული ვიყო, თუმცა ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახით გამოჩნდება.

**– ყოფილი მაღალჩინოსნების ნაწილი წავიდა, მათგან ნაწილი შემდეგ დაბრუნდა, ზოგი რაღაცეებს გვწერს. მაგალითად, ვანო მერაბიშვილი არსად წასულა. მან იცოდა, რომ ხელისუფლების ცვლილების შემთხვევაშიც კი ვერავინ შეეხებოდა თუ რამ მისცა ასეთი თვითდაჯერებულობის საფუძველი?**

– ვანო მერაბიშვილი ჩემთვის ძალიან მარტივი ადამიანია, ადეიშვილი საინტერესოა, ახალაიაც, როგორც შემსრულებელი. მას აქვს კარგი მენეჯერის თვისებები, მაგრამ ლეგენდა ვანო მერაბიშვილზე დაიმსხვრა პრემიერ-მინისტრად მისი დანიშვნის მეორე დღესვე.

**– აბა, ვინ შექმნა მაშინ ის სისტემა, რომელსაც ტოტალურ შიშში ჰყავდა საზოგადოება და ადამიანებს ჩურჩულით ალაპარაკებდა?**

– ის იყო კარგი მენეჯერი და კარგად ასრულებდა იმას, რასაც სხვები ეუბნებოდნენ. გარკვეული პროვინციულ ვირეშმაკობა ჰქონდა და დღესაც აქვს. ამით გადიოდა ფონს, იცოდა მარტივი წესები, როგორ უნდა დაიჭირო სისტემა. ის მარტივი ადამიანია. საბოლოოდ, ქარიზმატული და ნიჭიერი იყო მხოლოდ სააკაშვილი და ეს გამოჩნდა თუნდაც 19 აპრილის მიტინგზე. სანამ ის მივიდოდა, მანამდე ყველა ცდილობდა, ლიდერად წარმოეჩინა თავი, მაგრამ მიშას მისვლის შემდეგ აღარავინ ჩანდა, მის გარდა. გამოჩნდა, რომ იმ ადამიანების ლიდერი ისევ მიშაა. მისი თანამებრძოლების უინტელექტობაზე მეტყველებს ისიც, რომ ზოგიერთს მიშა ბალასტი ჰგონია. მიშა შესაძლოა, ქვეყნისთვისაა ბალასტი, მაგრამ მათთვის – არა. მათ აქვთ ილუზია, რომ მიშას გარეშე პოლიტიკაში დარჩებიან და ეს ძალიან სასაცილოა.

**– სოციალურ ქსელშიც დაისვა ეს საკითხი: საბოლოოდ, ხომ არ გამოდის, რომ ყველა მსხვერპლია, მათ შორის, მიხეილ სააკაშვილიც?**

– მიშამ წარმოშვა ურჩხული, რომელმაც აიყვანა მძევლად და ისიც ამ თავის მიერ შექმნილი რეჟიმის მსხვერპლია, ოღონდ ფილოსოფიური გაგებით და არა ბუკვალურად. მიშას ჰქონდა მანევრის საშუალება 2010 წლამდეც კი, რომ არ გადაჰყოლოდა თავის მიერ შექმნილ რეჟიმს, რომელიც სისტემურად იყო განწირული. ბიძინას გამოჩენამ ეს დააჩქარა, თორემ მიშა კიდევ დიდხანს იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ რეჟიმი განწირული იყო.

**– თუ სწორად გავიგე, უფრო დინამიკურად სამართლიანობის აღდგენის პროცესი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიწყება?**

– ვფიქრობ, უკვე დროა, სასამართლო რეფორმაა ბოლო რგოლი.

**– მაგრამ არის ერთი პრობლემა: ხეთქავს ძველ ტიკებს ახალი ღვინო.**

– გეთანხმებით, მაგრამ ეს არის ჩვენი სავალალო მოცემულობა. რეჟიმი დანაშაულზე იყო აგებული ვერტიკალის ყველა ჯგუფში, მაგრამ ჩვენ სხვა ხალხი არ გვყავს. უნდა გვესმოდეს, რომ პოლიციაში მუშაობს 42 000 ადამიანი და გასაგებია, რომ ტოტალურ როტაციას ვერ ჩაატარებ და სისტემა ისევ დაუშვებს შეცდომებს, იმიტომ რომ იგივე ადამიანები არიან. ჩვენს საზოგადოებას არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ სისტემა ერთ დღეში შეიცვლება. სისტემის დამარცხება ბევრად უფრო მწვავე და ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე რეჟიმის შეცვლა. თუ ჩვენ გამოვიჩენთ აგრესიას სისტემის მიმართ, სისტემა გადავა თავდაცვაში და გახდება ძალიან სახიფათო. ჩვენ უნდა შევაღწიოთ სისტემაში და შიგნიდან ნელ-ნელა გავწმინდოთ და არა ისე, რომ ხვალიდანვე მოვთხოვოთ, ყველაფერი იყოს იდეალურად.

**– ვერტიკალში რამდენად ზემოთ შეიძლება ავიდეს სამართალი? პირობითად ვიტყვი: კალმახელიძე იტყვის ახალაიაზე, ახალაია – ადეიშვილზე, ადეიშვილი – მერაბიშვილზე, მერაბიშვილი – სააკაშვილზე, სააკაშვილი ვისზე – ბუშზე?**

– ბუშზე თქვა უკვე, როკის გვირაბის აფეთქებას აპირებდაო. არ არის საინტერესო, ვინ ვისზე რას იტყვის. რეჟიმი არ არის აბსტრაქცია, მას ჰყავს თავისი მთავარი ფიგურანტები, რომლებიც, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა დაისაჯონ, ოღონდ ეს უნდა დამტკიცდეს გამოძიების და დადასტურდეს სასამართლოს მიერ.

**– ჩვენ სამი ხელისუფლება მოვიცვალეთ, პირველი ცოტა ხანს იყო, მაგრამ მეორე და მესამე წარმომადგენლები თვალსა და ხელს შუა განიცდიდნენ დეგრადაციას. აი, ეს როგორ ავიცილოთ თავიდან? როგორ შევუშალოთ ხელი მათ ძალაუფლების მიერ გახრწნას?**

– რეჟიმის დამარცხება არ ნიშნავს სისტემის დამარცხებას, სისტემა იბრძვის თვითგადარჩენისთვის, დღესაც. სანამ გვაქვს დრო და არის ამის პოლიტიკური ნება, უნდა მოვახერხოთ სისტემის კონტროლი, რომ ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ გააცნობიეროს, რომ ხალხის მსახურია და არა ბატონი. ადამიანები უმეტესად მიდრეკილნი არიან ცდუნებისკენ, ამიტომ უნდა ჩამოყალიბდეს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, ძლიერი და რეალური ოპოზიცია, თავისუფალი მედია, – ასეთ ბალანსზე დგას დემოკრატიული საზოგადოება. ბიძინა ხშირად ამბობს, ხელისუფლებიდან უნდა წავიდეო და მხოლოდ იმის გამო არა, რომ პოლიტიკით დაიღალა. ის ხედავს არანაკლებ მნიშვნელოვან ამოცანას: ძლიერი საზოგადოების აშენების გარეშე შეუძლებელია ხელისუფლების გრძელვადიანი კონტროლი. როგორც ვიცი, ბიძინა ივანიშვილი არსად აპირებს წასვლას, ის აპირებს მეორე ფლანგზე გადანაცვლებას, სადაც უნდა აშენდეს არანაკლებ მნიშვნელოვანი სეგმენტი – სამოქალაქო საზოგადოების სახით. პირადად მე, ამას ველოდები. თუ მოვახერხეთ მეტ-ნაკლებად ფუნქციონირებადი სამოქალაქო საზოგადოების აშენება, ვერც ერთი ხელისუფლება ველარ გაბედავს იმ სტანდარტების დარღვევას, რაც ცივილიზებულ სამყაროს უნდა ახასიათებდეს.

**ნინო ხაჩიძე**


# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**დოდო მებუკე** *(54 წლის. თბილისი).*

**დიაგნოზი**: ორმხრივი გონართროზი II-III ხარისხის. 7-8 წლის წინ დამეწყო ტკივილები მუხლების სახსრებში. ხელჯოხის გარეშე ვერ დავდიოდი. განსაკუთრებით მიჭირდა კიბეებზე ასვლა-ჩასვლა. ბევრი ვიმკურნალე აბებით, მალამოებით... მაგრამ, შედეგი ვერ მივიღე. ისევ მიჭირდა მოძრაობა. მანანა ექიმთან ახლობელმა მიმიყვანა. პროცედურა ჩავიტარე და მეორე დღესვე თავი სიზმარში მეგონა – კიბეზე თავისუფლად ჩავედი. მერე და მერე მსუბუქად ავმოძრავდი, ხუთ დღეში კი აღარც ტკივილი და აღარც შეზღუდულობა აღარ მაწუხებდა. აღდგომის მადლი შეგეწიოთ, მანანა ექიმო!

**ირაკლი მანჯავიძე** *(41 წლის დიზაინერი. თბილისი).*

**დიაგნოზი**: დისკოგენური ლუმბო-იშიალგია. ახლა რომ მახსენდება, რა ტკივილებით მომიყვანეს, ცუდად ვხდები. ყველაფერი სიმძიმის აწევით დამეწყო, მაშინვე ვიგრძენი, თითქოს ხერხემალში რაღაც გაწყდა. მერე ტკივილმა თეძოსა და ფეხში გადაინაცვლა. კომპიუტერზე დისკის 8-მილიმეტრიანი თიაქარი აჩვენა და ქირურგიული ჩარევის საკითხი დადგა.

ალექსიშვილის კლინიკაში პირველივე დღეს გასაოცარი შედეგი მივიღე. ღამითაც მშვიდად მეძინა, ერთ კვირაში კი სამსახურში გავედი. ძალიან კმაყოფილი ვარ. სიტყვები არ მყოფნის.



**კოტე ტვილდიანი** *(60 წლის. ლენტეხი).*

**დიაგნოზი**: პოდაგრული ართრიტი.

– აქ მოვედი ძლიერი ტკივილით, დასიებული მქონდა კოჭი, ტერფი. ტკივილი თითქოს მოულოდნელად დამეწყო, ვერაფერს ვუკავშირებ. ასეთი რამ შარშანაც მქონდა. მაშინ ჩვენი პოლიკლინიკის ექიმის დანიშნულება მომიხდა, ახლა კი იმავე მკურნალობამ შედეგი არ მომცა.

ქალბატონმა მანანამ პირველი სრული პროცედურა რომ ჩამიმთავრა, ტკივილმა მაშინვე მიკლო. მეორე დილით კი ფეხი დამცხრალი იყო და აღარც მტკიოდა.

სასიამოვნოდ გაოცებული ვარ ასეთი სწრაფი შედეგით.

გმადლობთ!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

**სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, პოლიტპატიმრად აღიარეს, თუმცა, იმ მარტივი მიზეზით, რომ მის საქმეს პოსტრევოლუციური საქართველოს საყვარელი ტერმინი – გრიფი „საიდუმლოდ“ ადევს, ამ თემაზე ვერ ვისაუბრებთ, სამაგიეროდ, 2008 წლის აგვისტოს ომის სამხედრო და პოლიტიკურ ასპექტებს ამჟერად მასთან ერთად განვიხილავთ.**

# როგორ იქცა საქართველო დასავლეთის საჩვენებლად რუსეთის ბირთვული მოდელირებული შეტევის მსხვერპლად

– ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ ეს ომი დაიწყო კოკოითმა, მას აჰყვა მიხეილ სააკაშვილი და მოხდა ის, რაც მოხდა. ჩაერია რუსული ფაქტორი და რუსეთმა ჩვენ წინააღმდეგ არაადეკვატური სამხედრო ძალა გამოიყენა. მათ შორის, უნდა აღვნიშნო, რომ მათ ქართული მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ გამოიყენეს არაჰუმანური და საერთაშორისო სამართლით დაგმობილი ბირთვული-ტაქტიკური იარაღი. ამას, რატომღაც, არავინ აქცევს ყურადღებას.

**– რას გულისხმობთ?**

– „ისკანდერებსა“ და „ტოჩკა უ-ს“. „ისკანდერებს“ შეუძლია ტაქტიკური ბირთვული ქობინების გადატანა და მისი მოქმედების რადიუსი მერყეობს 130-დან 300 კილომეტრამდე. „ისკანდერი“ ითვლება ბირთვული ქობინების მატარებელ სტრატეგიულ-დამრტყმელ შეიარაღებად, ოღონდ ტაქტიკურ დონეზე. გემახსოვრებათ, როდესაც ამერიკელებმა თავიანთი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების განლაგება გადაწყვიტეს პოლონეთსა და ჩეხეთში, რუსეთმა ადეკვატური ზომის სახით „ისკანდერები“ განალაგეს.

**– ახლაც დგას „ისკანდერები“ ცხინვალის რეგიონშიო.**

– ახლა არ მგონია, მაგრამ ომის პერიოდში იდგა. „ისკანდერი“ არის ფრთოსანი ტიპის რაკეტა და მას შეუძლია გადაადგილება რუსეთის ტერიტორიიდანაც. ფოთი „ისკანდერებით“ დაიბომბა, გორი – „ტოჩკა უ-თი“. პლუს გამოიყენეს „ლუნას“ ტიპის რამდენიმე სარაკეტო სისტემა, თუმცა ეს მეორე თაობის ბირთვული ქობინებს მატარებელი ტაქტიკური შეიარაღებაა.

**– ცოტა უხერხული კითხვა უნდა დავსვა: რატომ, მაინცდამაინც, „ისკანდერი“ და „ტოჩკა უ“, სხვა, საერთაშორისო სამართლით აღიარებული რაკეტებით რომ დავებომბეთ, რამე შეღავათი იქნებოდა ჩვენთვის ან ისინი ვერ მიაღწევდნენ სასურველ მიზანს?**



**ოსებს თავიანთი პრეტენზიები აქვთ კოკოითთანაც და მიხეილ სააკაშვილთანაც. კოკოითს სჭირდებოდა ეს პროვოკაცია. მას ჰქონდა პოლიტიკური და ფინანსური პრობლემები, რაც, გარკვეულწილად, ჩამოიწერა ომით**

– „ისკანდერისა“ და „ტოჩკა უ-ს“ გამოყენებას დაშინების მიზანი ჰქონდა, ოღონდ ეს მიმართული იყო არა მოსახლეობის და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის დასაშინებლად, არამედ, საგარეო გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მეორე ვერსიასაც გეტყვით: მარნეულისა და ბოლნისის სამხედრო აეროდრომების დაბომბვა დაკავშირებული იყო ირანის მიმართულებით პრევენციასთან, რათა შემდგომში ამერიკელებს ეს სამხედრო ობიექტები არ გამოეყენებინათ ირანზე სავარაუდო დარტყმისთვის. ამ კონტექსტში გამოიყენა რუსეთმა ბირთვულქობინიანი სარაკეტო სისტემები საქართველოს წინააღმდეგ.

**– მარტივად რომ ვთქვათ, აჩვენა, თუ დამჭირდა, ბირთვულსაც დაგარტყამთო?**

– რუსეთის სამხედრო დოქტრინის რევიზია 2006 წელს მოხდა, 2012-ში კი საბოლოო სახით ჩამოყალიბდა და მასში პირდაპირ წერია, რომ რუსეთს აქვს უფლება, გამოიყენოს ბირთვულ-ტაქტიკური იარაღი, მათ შორის, სახმელეთო-საბრძოლო ოპერაციების წარმოების დროს. ამდენად, რუსეთის მიერ ამ შეიარაღების გამოყენებას გამართლება ჰქონდა კონცეპტუალურ დონეზე, მაგრამ არ იყო გამართლებული საერთაშორისო სამართლით და ეს იყო დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. ეს დოქტრინა გვაჩვენებს, თუ რაზეა წამსვლელი რუსეთი. ამდენად, სააკაშვილის ხელისუფლებას, რომელიც უამრავ ფულს ხარჯავდა ეროვნული უშიშროების საბჭოში, ეს უნდა სცოდნოდა. მიხეილ სააკაშვილის შეცდომაა, რომ მან ვერ გათვალა, რა მოხდებოდა, იმ ხანად იმასაც ამბობდნენ, რუსეთს ჟანგიანი ტანკები ჰყავსო. თუმცა ჩემს პოზიციას ვაფიქსირებდი. მაშინაც, როდესაც მათი მრჩეველი ვიყავი „ნატოში“ და არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ამ დაპირისპირების გამოც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ჩემ წინააღმდეგ. ეს არ მაპატიეს.

მიხეილ სააკაშვილი იყო ფიარმენი, ამ ფიარს შესწირა საქართველოს ინტერესები და, ფაქტობრივად, გავხდით რუსეთის ბირთვული მოდელირებული შეტევის მსხვერპლი. ამას, რატომღაც, არავინ აქცევს ყურადღებას. თუ ჰააგის სასამართლოში დადგება მიხეილ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი და მე ეჭვი არ მეპარება, რომ უნდა დადგეს, რადგან მიხეილ სააკაშვილმა ისეთივე ზიანი მიაყენა თავისი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, როგორც მილოშევიჩმა – სერბეთის ეროვნულ ინტერესებს და, ჩემი აზრით, დიმიტრი მედვედევის წინააღმდეგაც ანალოგიური ბრალდება უნდა დადგეს.

**– მილოშევიჩის დანაშაულობების გამო გაფორმდა კოსოვო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. თუ მიხეილ სააკაშვილი გამოცხადდება სამხედრო დამნაშავედ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ, ამით ხომ არ შეექმნება სამართლებრივი საფუძველი ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის აღიარებას? შეიძლება, სამართლებრივად, მორალურად სწორია სააკაშვილის სამხედრო დამნაშავეობის დამტკიცება, მაგრამ, თუ ეს ჩვენი ქვეყნის ერთიანობას სამართლებრივად დაარღვევს, გვიღირს?**

– დავიწყოთ იმით, რომ სააკაშვილის სიბეცის შედეგად დაიბომბა ქართული ქალაქი ცხინვალი და, როდესაც ამ ტიპის შეიარაღებას იყენებ ერთი ქართული ქალაქის წინააღმდეგ, მგონია, რომ მას შეეძლო იგივე იარაღი გამოეყენებინა თბილისის წინააღმდეგაც.

**– მე მესმის ეს...**

– იმდენად შორს წავიდა მიხეილ სააკაშვილის ქმედებები, რომ, თუ ჩვენ არ გამოვიძიებთ ამას, გამოიძიებს საერთაშორისო ტრიბუნალი, იმიტომ რომ ტალიავინის დასკვნა დადებულია, ანუ პოლიტიკური შეფასება არსებობს. ამდენად, საქმე მაინც მივა ჰააგის ტრიბუნალამდე და, თუ ამას ჩვენ არ გავაკეთებთ, ამას გააკეთებს საერთაშორისო საზოგადოება და ეს უფრო უარესი იქნება, შედეგის თვალსაზრისით. მეორე მომენტი: არ მგონია, რომ სააკაშვილის გასამართლებას კავშირი ჰქონდეს აღიარების პროცესთან. რამდენიმე ქვეყანამ სააკაშვილის სწორედ იმ ქმედების გამო აღიარა ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი და ესეც გასათვალისწინებელია. რაც მთავარია: საქართველოში არ დაფიქსირებულა გენოციდის ფაქტი, რაც დაფიქსირდა კოსოვოში. მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი მოსახლეობის წინაშე ჩაიდინა სამხედრო დანაშაული და ესეც ისჯება ჰააგის საერთაშორისო სამართლის პრინციპების მიხედვით.

**– რუსეთმა რომ გამოიყენოს თავისი აღიარების გასამყარებლად სააკაშვილის სამხედრო დამნაშავედ აღიარება? ჩემთან ინტერვიუშიც უთქვამთ რუს რესპონდენტებს, რომ მათ 2008 წელს საქართველო აიძულეს მშვიდობისთვის და მაშინ გამოდის, რომ იძულება აუცილებელი იყო. ეს პრობლემას არ შეგვიქმნის?**

– რუსეთმა დაიცვა თავისი მოქალაქეები და თავისი სამშვიდობო კონტინგენტი, რომელსაც ჰქონდა დანაკარგები და ამას იგნორირებას ვერ გავუკეთებთ.

**– ცნობილია, რომ აგვისტოს დასაწყისში დაიღუპნენ ჩვენი სამშვიდობოებიც, მაგრამ ეს ფაქტი ვერ მოხვდა ტალიავინის დასკვნაში, მხოლოდ რუსი სამშვიდობოების დაღუპვაზე გაკეთდა აქცენტი, რითაც ამართლებს რუსეთი თავის ჩარევას ამ ომში.**

– რუსი სამშვიდობოების დაღუპვას მოჰყვა არაადეკვატური სამხედრო აგრესია რუსეთის მხრიდან და ჩვენი სახელმწიფოებრიობა დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ. ჩვენს სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებს შეექმნა რეალური საფრთხე. ჩვენი სამშვიდობოები დაიღუპნენ, მაგრამ ისინი დაიღუპნენ ბანდფორმირებებთან შეტაკებისას და, ბუნებრივია, ეს იყო ლოკალური ტიპის შეტაკებები.

**– ამის თქმა მინდა სწორედ, თუკი ჩვენი სამშვიდობოები დაიღუპნენ ბანდფორმირებებთან შეტაკებისას, საქართველოს ჰქონდა უფლება, გამოეყენებინა ძალა, თუმცა შემდეგ რუსეთმა გამოიყენა ძალა, დაგვარტყა და მოგვერია.**

– როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთმა გამოიყენა არაადეკვატური სამხედრო ძალა საქართველოს წინააღმდეგ, თავის მხრივ, საქართველომ არაადეკვატური ძალა ოსური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ გამოიყენა. ფაქტია, რომ იმდროინდელი პოლიტიკური რეჟიმის წარმომადგენლებმა არაადეკვატური ძალა გამოიყენეს. უკაცრავად, მაგრამ 26 მაისს მიხეილ სააკაშვილს რომ საბრძოლო ავიაცია გამოეყენებინა მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეების წინააღმდეგ, მაშინ რას გავაკეთებდით?!

**– თბილისი დამოუკიდებლობას არ გამოაცხადებდა.**

– აგაშენათ ღმერთმა! აღიარების პროცესს ამასთან კავშირი არ აქვს, პირიქით, ეს პროცესი გაგვიხსნის გზას ოსებისა და აფხაზებისკენ, სახალხო დიპლომატიის, თუნდაც, ადამიანური კუთხით. ნახეთ რამდენი ოსი ეროვნების მოქალაქე ზის ქართულ ციხეებში?! როგორი ტირანიც იყო მიხეილ სააკაშვილი ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ, ისეთივე ტირანი იყო სხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფების მიმართ. ტირანი ტირანია. კოკოითიც ტირანი იყო. ეს ორი ტირანი დაეჯახა ერთმანეთს, რაც მესამე ტირანმა საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენა.

**– თქვენც ამბობთ, რომ საქართველოს ცემა იყო საჩვენებელი გაკვეთილი დასავლეთისთვის, შესაბამისად, თუ ამ კონტექსტში განვიხილავთ 2008 წლის ომს, ჩვენს შეიარაღებულ ძალებს არაფრის გაკეთება არ შეეძლო? მხოლოდ სხვების გეოპოლიტიკური თამაშის პაიკები ვიყავით?**

– უნდა ამოხვიდე იმ რეალობიდან, რის წინაშეც დგახარ. კონსტიტუციური წესრიგის დამყარება ყოველთვის შეიძლებოდა, მაგრამ შენი გეოპოლიტიკური ვითარება უნდა გაგეთვალისწინებინა. როდესაც იძაბება სიტუაცია პუტინის რუსეთსა და ბუშის ამერიკას შორის და ორივე მხარეს იყვნენ პოლიტიკური ქორები, არ უნდა დაიწყო ასეთი უგუნური და არასტრატეგიულად დაგეგმილი აქცია. 1995 წელს ხორვატებმა იდეალური სამხედრო ოპერაცია განახორციელეს, სერბეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორია დაიბრუნეს და აღადგინეს თავიანთი ტერიტორიული მთლიანობა ყოველგვარი

**(გაგრძელება მე-11 გვერდზე)**

1 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში საშინელი შემთხვევა მოხდა, რომელიც, ალბათ, უნივერსიტეტის ისტორიას ლაქად დარჩება: იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი გვანცა ადამია თანაკურსელმა, ვანო ღ-მ (გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გვარს არ ვასახელებთ) მეორე სართულის კიბიდან გადმოაგდო. ნულოვან სართულზე დავარდნილი გვანცა (ვინც უნივერსიტეტის ამ კორპუსში ნამყოფია, იოლად წარმოიდგენს, რა სიმაღლეზეა საუბარი), მეტყველებდა და ადგომას ცდილობდა. სასწრაფო დახმარების მისვლის დროს მას წნევა ნულამდე ჰქონდა დასული. გარშემო მყოფები იხსენებენ, რომ გვანცა დედას ითხოვდა. ღვთის წყალობით, ამჟამად გვანცა თავს უკეთ გრძნობს – მას ოპერაციები გაუკეთდა, გონზე მოვიდა და მშობლებსაც ესაუბრა.

# რა დააფიქსირა უნივერსიტეტის კამერებმა გოგონას კიბიდან გადმოვარდნის დროს და ვისი ეშინოდა მას

**შორენა თვალთვაძე** *(გვანცა ადამიას დედა):* სკოლის დამთავრების შემდეგ გვანცა სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაირიცხა, გინეკოლოგობა სურდა. მაგრამ, იმის გამო, რომ ძალიან ბევრი წელი მოუწევდა სწავლა, აზრი შეიცვალა და მობილობით უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე გადმოვიდა.

– **კარგად სწავლობდა?**

– დიახ. სკოლა მედალზე დაამთავრა, სამუსიკო სკოლა – ფრიადებზე; უკრავდა, მღეროდა. ჰქონდა სოლო კონცერტები. სულ პატარა ასაკში საუკეთესო სოლისტის წოდება ჰქონდა მიღებული. ცოტა ხნის წინ „საქართველოს ვარსკვლავის“ ქასთინგში მიიღო მონაწილეობა, ორი სიმღერა იმღერა: ქართული „ქარი კვლავ არხევს“ და ბითლზების „ლეთ ით ბი,“ მაგრამ, უთხრეს რომ დახვეწა სჭირდება. „პრიკოლებში“ რომ არ მოხვდებოდა გვანცა, ეს ცხადია.

– **თბილისში ცხოვრობთ?**

– ამჟამად, გვანცას სწავლის გამო თბილისში გადმოვედით. ისე სენაკში ვცხოვრობთ, გვანცა იქ დაიბადა და გაიზარდა.



– **როგორი გოგოა – დინჯი თუ მხიარული?**

– ძალიან სერიოზული გოგოა, ყველამ იცის ეს.

– **რა მოხდა პირველ მაისს, ვინ იყო ის ბიჭი?**

– თანაკურსელები იყვნენ, მაგრამ, იცით, როგორ?! ყველა საგანი ერთად არ უტარდებოდათ – ალბათ, იცით, როგორც ხდება ჯავახიშვილში...

– **ხდებოდა მათ შორის რამე, იყო მოწონება გვანცას მხრიდან?**

– არა, შვილო, არ დაიჯეროთ. ამ ბიჭს, თურმე, მესამე წელია, გვანცა უყვარს – მას შემდეგ, რაც ჩემი შვილი უნივერსიტეტში გადმოვიდა. ის ბიჭიც იმ წელს ჩარიცხულა და იმ დროიდან უყვარს. ამის შესახებ თავად ყვება. თვითონვე ყვება იმას, რომ გვანცას სულ უკან დაჰყვებოდა. ნუცუბიძეზე ვცხოვრობთ და გვანცასთვის უთქვამს: ვიცი, რომ უნივერსიტეტამდე ოცდაერთი ნომრით დადიხარ. მოდიხარ უნივერსიტეტში, ლექციებზე ზიხარ, ყველაფერს იწერ – მე ასეთი გოგო ამ საუკუნეში არ მინახავსო. როგორც ვიცი, თვითონ ეს ბიჭიც ფრიადოსანი ყოფილა, სკოლა ოქროს მედალზე დაუმთავრებია და ახლაც ძალიან კარგად სწავლობს, მაგრამ, რა გადახრა აქვს ასეთი ფსიქიკური, არ ვიცი. უცებ შეეძლო, რომ არაადეკვატურად მოქცეულიყო. ჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდათ – ხან წიგნი დასჭირდებოდა, ხან რაღაც. გვანცას რომ უთხრა, მიყვარხარო, ამან უთხრა: ვანო, არ მინდა, ტყუილად იმედი მოგცე, არ ვაპირებ ჯერ გათხოვებას, კარიერა უნდა ავიწყო და მერე ვნახოთო. კატეგორიული უარი არ უთქვამს – ამასთან დაკავშირებით მე გავაფრთხილე, რადგან, სულ მეუბნებოდა: დედა, რაღაც არ მომწონს ამ ბიჭის თვალები, თან, სადაც არ უნდა მივიდე, ყველგან მხვდება. უნივერსიტეტში რომ მივდივარ, თუ არ აქვს ლექცია ჩემთან ერთად, მაინც შემოდის. გოგოებს აქეთ-იქიდან ვისვამ, რომ გვერდით არ მომიჯდეს. სახლშიც, მირანდასთან ერთად მოვდივარო.

– **ანუ, თქვენ გააფრთხილეთ რომ კატეგორიული უარი არ ეთქვა მისთვის?**

– დიახ. დაახლოებით ერთი კვირის წინ გვანცას გამოცდა ჰქონდა მაღლივ კორპუსში. როგორც ჩემმა შვილმა მითხრა, ცოტა ხნის წინ კიდევ დალაპარაკებია ვანო და გვანცას უთქვამს, შენთან არანაირი ურთიერთობა არ მქონდა და არც მექნებაო. მერე ჩემმა შვილმა მთხოვა, ისე გაბრაზდა, ისეთი სახე მიიღო, რომ მეშინია და გამოცდაზე გამყევიო. გავყევი. გვანცა გამოცდაზე შევიდა, ვანოს იმ დღეს გამოცდა არ ჰქონია. გამოცდის დამთავრებამდე ნახევარი საათი იყო დარჩენილი, რომ მოვიდა. მივხვდი, ის იყო, „ფეისბუქის“ ფოტოებიდან სახეზე ყველას ვიცნობ. ვაკვირდები, ვფიქრობ ეს ვანოა თუ არა. ნერვიულად, სიგარეტით ხელში, წინ და უკან დადიოდა. გამოვედი გარეთ და კიბეზე ამოვიდა. უცებ მეუბნება, მგონი, ჩვენ ერთსა და იგივე ადამიანს ველოდებითო. მითხრა, ვინც იყო და მეც ვუთხარი, გვანცას დედა ვარ-მეთქი. თქვენ გვანცამ იმიტომ წამოგიყვანათ, რომ ჩემი ეშინიაო.

– **ასეთი პირდაპირი ბიჭია?**

– ტყუილი არ შეეძლო, – ასე ამბობს ყველა, მათ შორის დედამისიც. თვითონ გვანცასაც უთქვამს ჩემთვის, რასაც ამბობს, ყოველთვის ასრულებსო. მაგრამ, რა სჭირდა ასეთი, ვერ გეტყვით.

– **დედამისი იყო?**

– დიახ, საცოდავი ქალი ისე ტიროდა, ვუთხარი, არ იტიროთ, ქალბატონო, რა თქვენი ბრალია, თქვენ რა, გინდოდათ ასეთი ამბავი მომხდარიყო-მეთქი?! მაგრამ, თუ იცოდა, რომ რაღაც პრობლემები ჰქონდა, ამას მკურნალობა სჭირდება, მით უმეტეს, ისეთ ასაკში არიან...

– **მანამდე იყო რამე ისეთი შემთხვევა, რასაც შეიძლებოდა შეეშინებინა გვანცა?**

– არ ვიცი, გვანცას კი ეშინოდა. ისეთი თვალებით მიყურებს ხოლმე, მეშინიაო. გავგიჟდი – რისი გეშინია, გოგო ხარ, ბიჭი დაგელაპარაკება, აბა რა იქნება-მეთქი, ეტყვი, რომ არ გინდა და თავს დაგანებებს-მეთქი. ერთი სიტყვით, ამ ვანოს ვეუბნები: ხომ ხედავ, არ უყვარხარ, გოგოების მეტი რა არის, სხვას გაიცნობ, სხვა შეგიყვარდება-მეთქი. საერთოდ, ყურადღება არ უნდა მიაქციო და უფრო მოეწონები-მეთქი, – ესეც კი ვუთხარი. მაგრამ, არა, ამის შემდეგ უფრო დაიწყო აქტიურობა.

– **გუშინ რა მოხდა? (ინტერვიუ ჩაწერილია 2 მაისს, – ავტორი).**

– იმას რა ჰქონდა არ ვიცი და გვანცას ორი ლექცია ჰქონდა. ეს საშინელება შუალედის დროს მოხდა – კიბიდან გადმოაგდო, დეკანატისკენ რომ კიბეა და ნულ სართულზე ჩავარდა. ეს ოთხ სართულს უდრის. ბაზრიდან მოვდიოდი, უცხო ნომრიდან რომ დამირეკეს და მითხრეს – თქვენი შვილი უნივერსიტეტში წაიქცა, გონება დაკარგა და საავადმყოფოშიაო. მშვიდად ავედი სახლში, სანოვაგე დავტოვე, მერე დავჯექი ტაქსიში და წამოვედი. ვფიქრობდი, ვინ არ დავარდნილა-მეთქი, რას წარმოვიდგენდი, რა ამბავი იყო ჩემს თავს. თურმე რა დღეში მყავს შვილი – ღვიძლი გახეთქილი, ორი ნეკნი და მენჯი გატეხილი, ფილტვი დაჟეჟილი, ორი ლიტრი სისხლი მუცელში ჩაღვრილი. ნული ჰქონია წნევა, რომ მოუყვანიათ და მანამდე უთქვამს, დედა მინდაო. ტაქსიში გავიგე, რაც მოხდა. მე რომ ტაქსიში ვკიოდი, მე რომ დღე გამოვიარე...

– **თვითმხილველები არიან?**

– კამერებზეა ყველაფერი დაფიქსირებული. კარგა ხანს ლაპარაკობდნენ, თურმე, არ უშვებდა. ლექტორი ამბობს, გვანცა ისეთი თვალებით მიყურებდა, როგორ არ გავჩერდი, როგორ ვერ მივხვდი, რომ იქ რაღაც ხდებოდაო. რამ შეაშინა ასე, არ ვიცი. გვანცა არც ისეთი მშიშარა გოგოა. როგორც ჩანს, გვანცამაც რაღაც უხეშად უპასუხა და ის წავიდა. წავიდა და გვანცა მოაჯირს იდაყვებით დაეყრდნო. არ ელოდა, რომ ის უკნიდან მიეპარებოდა. ამ დროს ვანო მიეპარა, ფეხებში მოჰკიდა ხელი, გადააგდო და ჩანთაც მიაყოლა. ეს რომ დაინახა ბურდულმა (დეკანმა),



გაგიჟებული იყო, ჭკუა არ ეკითხებოდა.

– **თქვენ ნახეთ გვანცა, ელაპარაკეთ?**

– დიახ, მამიკოს ნახვა მინდაო და ვიყავით მე და მამამისი შესულები. ვერ ლაპარაკობს, აპარატზეა შეერთებული. ოპერაცია გაუკეთდა, შედარებით უკეთაა, მაგრამ, საშიშროება ისევ არის. ამ დროს პნევმონიის განვითარების დიდი საფრთხეა. ხელებით დაცემულა. ამ სიმაღლიდან ჩამოვარდნის შემთხვევაში გადარჩენის ერთი პროცენტია და ეს გვანცაა, თუ გადარჩა...

– **ეს ერთი შვილი გყავთ?**

– დიახ, ერთი მყავს, შვილო, ერთი. ერთი ზედმეტი სიტყვა არ მითქვამს, ისეა გაზრდილი. სად გამოვუშვებდით მარტოს სხვის სახლში? აქ ვართ მეც, ბებიამისიც. ბინა ვიქირავეთ და ყველა გვანცას ვუვლით.

**სალომე გველესიანი**

**რადგან გეოპოლიტიკურად ყოველთვის მომხიბვლელ ადგილას ვიმყოფებოდით, ვერც ერთმა იმპერიამ გულგრილად ვერ ჩაგვიარა, ამიტომაც ისტორიულად დაგვებედა, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია, საუკეთესო შემთხვევაში, ერთი იმპერიის გავლენის ქვეშ მოიაზრებოდა, უარესში კი, 2-3-ს შორის იყო გადანაწილებული. თუკი ასპარეზზე რუსეთის იმპერიის გამოჩენამდე ქართველ ქალებს, სავალდებულო წესით, ჰარამხანებში ამწესებდნენ, ქართველ კაცებს იმპერიების არმიის გაძლიერების ფუნქცია ჰქონდათ (ეს ხარკის ერთ-ერთი სავალდებულო ნაწილი იყო), რუსეთის იმპერიაში როლები თითქოს შეიცვალა: ქართველ კაცებს მოქეიფეებისა და რუსი ქალების გართობის ფუნქცია მიანიჭეს. ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძესთან ერთად განვიხილავთ იმპერია-კოლონიების წარმომადგენლებს შორის სასიყვარულო ოთხკუთხედის თავისებურებებს.**

# რა აკარგვინებს ქართველ ქალებს ქალურობას, რატომ მიიჩნევა კომპლიმენტად „მამალი ქალები“ და რატომ არ აღიარებს ქალი კაცად სუსტ კაცს



**გინება სწორედ მონღოლებისგან მოდის, რადგან მათთვის სექსუალური აქტი შურისძიების აქტია**

**– როგორი ურთიერთობები ყალიბდება ხოლმე ყოფილი იმპერიებისა და კოლონიების წარმომადგენლების ურთიერთობაში, ვგულისხმობ, პირად ურთიერთობებს?**

– ეს, უდავოდ, გემრიელი საკვლევი საკითხია, მაგრამ არც ვიცი, არის თუ არა გამოკვლეული, იმდენად იშვიათი თემაა, მხოლოდ მწირ გამოცდილებასა და მცირე ანალოგიებს თუ გადავხედავთ. ამდენ ბოდიშს იმიტომ ვიხდი, რომ ჩვენი მსჯელობა, ალბათ, სრულფასოვანი ვერ იქნება, ამდენად, იმ ვერსიებზე ვიმსჯელებ, რაც კითხვის დასმის მომენტში გამიჩნდა. რაღაც თავისებურება ყალიბდება იმპერიისა და კოლონიის წარმომადგენლების ურთიერთობაში. ახსენეთ რუსი ქალები და თვითონ ამ რუსი კაცებისთვის ეს ქალები არ იყვნენ, მაინცდამაინც, იმ მომხიბვლელობის, რაც ქართველებისთვის. გარეგნობის გარდა, შემოდის ის ნიუანსი, რომელიც იპყრობს ყურადღებას.

**– ადვილად ხელმისაწვდომობა?**

– არა. ანალოგიური რამ ხშირად ჩანს ფერადკანიანის თეთრკანიანთან მიმართებაშიც: ანუ ზანგი კაცისა და თეთრკანიანი ქალის ურთიერთობაში.

**– დაჩაგრული მხარის კაცი ცდილობს კომპენსაციის მიღებას მჩაგვრელის წარმომადგენელი ქალის მეშვეობით?**

– დიახ. გარდა გარეგნობისა, ეს ასპექტიც იგულისხმება ამგვარ ურთიერთობაში, ანუ არა მხოლოდ ის, პირადად რა ურთიერთობა აქვთ ამ კონკრეტულ ქალსა და კაცს, არამედ ისიც, თუ რა ურთიერთობა აქვთ იმ ერებს, რომლებსაც ეს ქალი და კაცი წარმოადგენენ: ქალისა და კაცის ურთიერთობა თითქოს ერებს შორის ურთიერთობის გარკვეული კომპენსაციაა. ამას, მგონი, გარკვეული მნიშვნელობა აქვს. თანაც, გავიხსენოთ, რომ კომპენსაციური განწყობა ძალიან მკაფიოდ სპორტში იკითხებოდა.

**– ახლაც იკითხება: სულ ახლახან ჩვენმა ძიუდოისტებმა რუსეთის ნაკრები დაამარცხეს, რაგბიში კი მუდმივად ვამარცხებთ რუსეთის ნაკრებს.**

– ქალისა და კაცის ურთიერთობაშიც ამ ტიპის მოვლენაა, მგონი, ჩარეული. არ ვამბობ, რომ გადამწყვეტია, მაგრამ ჩარეულია. მეორე მხრივ, თვითონ იმპერიების წარმომადგენლების მხრიდანაც არის დამოკიდებულება, როგორც რაღაც ეგზოტიკურისადმი.

**– ანუ, თუ ქართველი კაცისთვის რუს ქალთან ურთიერთობა ჩაგრულობის კომპენსაციის საშუალებაა, რუსის ქალისთვის ქართველი პარტნიორი ეგზოტიკაა?**

– თავისებური ეგზოტიკაა, თუმცა ეს ყოველთვის ეგზოტიკურობით არ იხსნება. საერთოდ, კავკასიელი და, ზოგადად, აღმოსავლელი უფრო მამაკაცურია, ისევე, როგორც ქალურობა დიდი დოზით აქვთ რუს ქალებს. უფრო ფემინურები არიან. მაგალითად, ასაკოვანი რუსი ქალი ცდილობს, თავი მოაწონოს კაცს, მაშინ, როდესაც იმავე ასაკის ქართველმა ქალმა შეიძლება, მხოლოდ ხაჭაპური გამოაცხოს.

**– იმ ასაკის ქართველი ქალების დასაცავად ვიტყვი, რომ, თუ ხაჭაპურის გამოცხობას კაცებთან კეკლუცს ამჯობინებს, საზოგადოება მასზე იტყვის, ფეხსუსტიაო.**

– მე არ ვამბობ, რომ ქალია დამნაშავე, საზოგადოება ქმნის ასეთ სტერეოტიპებს. ამ შემთხვევაში, ის კონკრეტული ქალი მსხვერპლია, თორემ, თუ ქართველი ქალი ქალად აღზარდე, ის ძალიან მომხიბვლელი ქალია.

**– გულს გვიკეთებთ?**

– არა, ბევრ კულტურასთან შერევის ზღვარზე მყოფი ერი ვართ და ამიტომ ჩვენში ბევრი მომხიბვლელობა უნდა იყოს. ვამბობთ, რომ ოსი ქალები ძალიან მომხიბვლელები და ლამაზები არიან, ჩვენთან კი ჩრდილო კავკასიური სისხლიც არის შერეული, სპარსულიც, დასავლურიც, რუსულიც, თუმცა ნაკლებად. ასე რომ, გენებში ძალიან საინტერესო ეთნიკური კოქტეილია და, ამდენად, ქალებშიც, წესით, უნდა იყოს ძალიან ქალურობა და კაცებშიც – ძალიან მამაკაცურობა. მეტისები, როგორც წესი, თავიანთი გენდერული როლების ძალიან მკვეთრი წარმომადგენლები არიან. მაგრამ შემდეგ ამაზე გავლენას ახდენს კულტურა: როგორც ბევრ სხვა მცირე ზომის კულტურაში, ჩვენთანაც მასქულანიზაცია ხდება, ანუ მამალი ქალი კომპლიმენტია, დედალი კაცი – გინება.

**– დედალი კაცი არ არის გინება?!**

– რა თქმა უნდა, პატრიარქალური კულტურიდან გამომდინარე, გვხვდება სიმკვეთრე შეფასებებისას. მეორე მხრივ, ვიცით, რომ ქართველი ქალი ძალიან ძლიერი ფიგურა იყო აღმოსავლურ მმართველობაში.

**– თვისებების გამო თუ იქაც, როგორც რუსეთის შემთხვევაში, აღმოსავლური იმპერიის წარმომადგენელი კაცისთვის ქართველი ქალი ეგზოტიკა იყო?**

– ქართველი ქალები აი, ამ თავიანთი მასქულანურობის გამო ადვილად გადადიან მმართველის პოზიციაში. დღეს ბიზნესში ბევრი ქალია, ავტომანქანის საჭესთანაც.

**– თუ მიუშვი, აიშვებენ?**

– მართვა მოსწონთ, განსაკუთრებით, „ჯიპების“ მართვა. არადა, სადაც „ჯიპის“ მართვა მოსწონს, ქმრის მართვა არ მოეწონება?! რაც შეეხება მათ პოზიციას, ვინც ზემოდან გვიყურებდა: მონღოლები, ირანელები და თურქები გვეპყრობოდნენ, როგორც კარგ მეომრებს, რუსები, როგორც კარგ მოქეიფეებს, თუ ქართველი იჯდა სუფრასთან, აუცილებლად ის უნდა ყოფილიყო თამადა, მას ეუბნებოდნენ, გვაქეიფეო.

**– გართობის ფუნქცია გვქონდა?**

– როდესაც რაღაც როლს განიჭებენ, მიმნიჭებელს იმ როლში უყვარდები, როგორც ქალს უყვარს კაბა, კაცს – მანქანა.

**– მე ჩემი კაბაც მიყვარს და ჩემი მანქანაც.**

– იმ როლში უყვართ, რასაც ეს საკუთრება უსრულებს, რუსი ქალისთვის ეს როლი სხვანაირი იყო, რუსი კაცისთვის – სხვანაირი, ორივეს უყვარდა თავის როლში, მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს გართობასა და სიამოვნებას უკავშირდებოდა.

**– სქესთა შეხამება განსხვავებულია, რუსი ქალი – ქართველი კაცი, ქართველი ქალი – აღმოსავლელი კაცი, რუსი კაცი და ქართველი ქალის ტანდემი რატომ ვერ შედგა?**

– მე საერთოდ არ მახსენდება რუსი კაცი და რომელიღაც ქალი.

**– რატომ განაპოლსკი? გრიბოედოვი?**

– ცალკეული შემთხვევები ყველგანაა, ტენდენცია არ მახსენდება. მაშინ, როდესაც ქართველებს ხშირად ჰყოლიათ და ჰყავთ რუსი ცოლი და ბევრ კულტურაშია ხშირი რუსი ცოლი. ახლა ევროპელებთანაა ძალიან მოდაში რუსი ცოლები. გავიხსენოთ სალვადორ დალი. მაგრამ დიდად არ გვახსენდება, რომ რუს კაცებს უცხოელი ცოლები ჰყავდეთ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ რუსებს ბევრის გაკეთება შეუძლიათ: რაკეტა გააკეთეს, იმპერია გააკეთეს, ანუ რაღაცის გამკვეთებლები არიან. ჩვენ, ამ მხრივ, დიდად მომხიბვლელად არ გამოვიყურებით იმ ეტაპებზე, რასაც ჩვენი თვალთახედვა სწვდება. თუმცა ადრეულ ეტაპებზე, უდავოდ, ვიყავით დიდი კულტურის კერა, მაგრამ დღეს – ნაკლებად.

**– როგორც იმპერიის წარმომადგენლებმა რუსმა კაცმა რატომ ვერ შეძლო ქართველი ქალის სიმპათიის მოპოვება?**

– სტატუსი, ბუნებიდან გამომდინარე, ქალზე უფრო ახდენს ზეგავლენას. ქალს ხშირად მოსწონს მაღალი სოციალური სტატუსის ადამიანი მხოლოდ იმიტომ, რომ მას მაღალი სოციალური სტატუსი აქვს. ქალი პატივს სცემს ძალას, კაცი – ნაკლებად. ამ ფაქტორების გამო შესაძლოა, გადანაწილება სხვანაირი იყოს. მონღოლების გინების არ იყოს, გინება სწორედ მონღოლებისგან მოდის, რადგან მათთვის სექსუალური აქტი შურისძიების აქტია. თუმცა შემოსევების დროს გაუპატიურება შემოდის, როგორც ძალადობისა და სხვისი დამარცხების ერთ-ერთი კომპონენტი. იგივე მოტივები გადატანილი სექსუალურ ურთიერთობაზე, შესაძლოა, აჩენდეს სხვადასხვა სახის დამოკიდებულებას. ქალებში ეს შეიძლება, ჩამოყალიბდეს იმ სიმპტომად, რასაც მოძალადისადმი ლტოლვა ჰქვია, კაცებში კი ინსტრუმენტი, ან კომპენსაცია იმის, რომ ვიღაცამ თავის დროზე დაგიმორჩილა.

**– ამით შეიძლება ავხსნათ, რომ ქართველ ქალებს მოსწონდეთ სპარსი და თურქი კაცები?**

– სპარსი და თურქი უკვე ამოღებულია იმ სტერეოტიპიდან, რაც ისტორიულად მოგვდევდა.

**– ვერ ვიტყოდი, მაგალითად, თურქეთის სასტუმროებში ეგრეთ წოდებული თურქული ღამე იმართება ხოლმე, როდესაც სულთნების ტანსაცმელში გამოწყობილი თურქები დადიან, ცეკვავენ, და, თუმცა ეს გასართობი ღონისძიებაა, პირადად მე, მზაფრავს ეს სანახაობა.**

– განათლება გაწუხებს ადამიანს ამ დროს. ალბათ, ანალოგიურად დაიზაფრებით სპარსულ ღამეზეც. რუსებთან არ გაქვთ დაზაფრულობის შეგრძნება?

**– მთლად დაზაფვრის არა, მაგრამ...**

– ჩვენ რუსებთან ძალიან სპეციფიკური დამოკიდებულება გვქონდა და მათაც ანალოგიურად –

(მე-8 გვერდიდან)

აჟიოტაჟის გარეშე. გამოიყენეს გეოპოლიტიკური მომენტი, იმ დროს რუსეთსა და ამერიკას შორის იდეალური ურთიერთობა იყო, ელცინს წინასაარჩევნო კამპანია ჰქონდა და არ ეცალა საგარეო პოლიტიკისთვის. ეს სათავისოდ გამოიყენა ხორვატიის ხელისუფლებამ, დაგეგმა ოპერაცია და მიიღო შედეგი. შენ კი მაშინ, როდესაც ეს ორი სუპერსახელმწიფო ერთმანეთსაა დაპირისპირებული, ყოველდღიურად აკეთებენ ძალიან საშიშ პოლიტიკურ განცხადებებს ერთმანეთის მიმართ, იწყებ ომს. ამიტომაც იყო, რომ რუსებმა „ისკანდერები“ შემოატრიალეს და, როგორც მანამდე ამბობდნენ, დნესტრისპირეთში კი არ განალაგეს, არამედ ცხინვალის მიმართულებით წამოიღეს და დაგვიბომბეს ფოთი და გორი. აი, სად ჩანს გეოპოლიტიკური სიბეცის ნიშანი. ჩვენ ჩვენს თავზე ავიღეთ დარტყმა, რასაც აზრი არ ჰქონდა. ეს მახსენებს გამონათქვამს, „ჩემთვის უცხოა იმ მამლის გმირობა, რომელიც საკუთარი ნებით მიდის დანისკენ“.

**– ახლა უკვე პირდაპირ თქვა მიხეილ სააკაშვილმა, რომ საქართველო დაკარგავს ფუნქციას, თუ არ იქნება დაპირისპირების ობიექტი რუსეთსა და დასავლეთს შორისო. ანუ მას ასე ესმის, როგორც პირველ პირს, მის მიერ სამართავად გადაცემული ქვეყნის ფუნქცია.**

– რა თქმა უნდა, მას ასე სჯეროდა.

**– ეს მისი პოლიტიკის ნაწილი იყო. ეს ხომ ნიშნავს, რომ ისინი, ვინც მას უჭერენ მხარს, მხარს უჭერენ ამ პოლიტიკასაც?**

– დღეს მას 10 პროცენტზე ნაკლები მხარდაჭერა აქვს და ესე იგი, მის მმართველობას ამდენი ადამიანი უჭერს მხარს. მიხეილ სააკაშვილის აი, ამ შვიდწლიანი, მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს 2005 წლიდან დაიწყო, ავტოკრატიული მმართველობიდან გამომდინარე, ამ პოლიტიკამ სრული ფიასკო განიცადა. მაგალითს მოგიყვანთ: სერბეთში მოსახლეობის 70 პროცენტი უჭერდა მხარს კოსოვოს ძალით დაბრუნების პოლიტიკას, მაშინ, როდესაც საქართველოში რომ ჰკითხოთ საზოგადოებას, თანახმა თუ ხართ თუ არა ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის

# როგორ იქცა საქართველო დასავლეთის საჩვენებლად რუსეთის ბირთვული მოდელირებული შეტევის მსხვერპლად

შეიარაღებული ძალით დაბრუნებისო, ალბათ, მაქსიმუმ, 10 პროცენტი თუ გასცემს დადებით პასუხს.

**– იქნებ მივხვდით, რომ თავი არ გვაქვს ჯერჯერობით.**

– ეს სხვა საკითხია, მაგრამ 2008 წლის ომის შედეგის პირველი მიზეზი იყო ის, რომ არასწორად შეფასდა გეოპოლიტიკური გარემო.

**– ფიქრობთ, რომ შეიძლებოდა, სწორად შერჩეულ მომენტში წარმატების მიღწევა?**

**მიხეილ სააკაშვილის საქმე მაინც მივა ჰააგის ტრიბუნალამდე და, თუ ამას ჩვენ არ გავაკეთებთ, ამას გააკეთებს საერთაშორისო საზოგადოება და ეს უფრო უარესი იქნება, შედეგის თვალსაზრისით**

– ხორვატებმა დაგეგმეს სპეცოპერაცია, მათ გააკეთეს სწრაფი ბლიც-კრიგი და მიიღეს ეფექტი.

**– და, როგორც ვიცით, მათ თავიანთი სტრატეგია ააგეს, მათ შორის, იმაზეც, რომ სერბეთის არმია მოქმედებდა რუსული არმიის მსგავსად და ამიტომ სწრაფი რეაქცია ვერ ექნებოდა მოულოდნელ დარტყმაზე.**

– დიახ. რაც მთავარია, ხორვატების ქმედება აგებული იყო ამერიკულ წესებზე, ანუ, თუ ბალკანეთში, კერძოდ, ხორვატიაში ამერიკული და რუსული სამხედრო მანქანის შეჯახებისას აჯობა ამერიკულმა, კავკასიაში, საქართველოში, ამერიკული და რუსული სამხედრო მანქანების შეჯახებისას აჯობა რუსულმა სამხედრო მანქანამ.

მეორე მიზეზი: სტრატეგიული ოპერაცია უთავბოლოდ იყო დაგეგმილი. პოლიტიკურ მიზნებს დაუქვემდებარეს სამხედრო ამოცანები, მაშინ, როდესაც პირიქით უნდა ყოფილიყო. მესამე მიზეზი ფსიქოლოგიურია – ფსიქოლოგიურ დონეზე მოწინააღმდეგე არასწორად იქნა წარმოსახული.

**– საკმაოდ უცნაური, მე ვიტყოდი, ფსიქოლოგიურად დამანგრეველი განცხადება გააკეთა პრეზიდენტმა „პოზიციაში“: ჩვენ შეგვეძლო, დაგვეცვა კოდორის ხეობა მაშინ, როდესაც 50 აფხაზი გვყავდა მოწინააღმდეგედ, მაგრამ რუსეთის ჯარისგან ვერ დავიცავდითო.**

– კოდორის დაცვა შეიძლებოდა და, ბოლოს და ბოლოს, გენერალმა კობა კობალაძემ კოდორში განაიარაღა რუსული სამხედრო დესანტი და ჩვენ გვქონდა მშვენიერი პრეცედენტი. მეტიც, კოდორის ხეობის ბოლომდე დაცვით გაცილებით მეტს მოვიგებდით, ვიდრე მთელი სამხედრო კამპანიის მოგებით.

**– ისიც უნდა ითქვას, რომ, თუმცა რუსებმა კოდორის ხეობაში შეუშვეს აფხაზური შენაერთები, მათ ეყოთ გონიერება და მოსახლეობას აცალეს ხეობიდან გასვლა, ანუ დამატებითი სისხლი არ დაღვარეს.**

– ამიტომაც ვამბობ, ჩვენი და აფხაზების მიერ ერთობლივი სახელმწიფოს შექმნა სავსებით რეალური ამოცანაა. ეს მიზანიც მალე მიიღწევა, უბრალოდ საჭიროა ფორმულების შეცვლა. ჩვენ გვაქვს აფხაზებთან და ოსებთან მისასვლელი გზები, თუნდაც, იმით, რომ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი დავამარცხეთ, რადგან ოსებს თავიანთი პრეტენზიები აქვთ კოკოითთანაც და მიხეილ სააკაშვილთანაც. კოკოთს სჭირდებოდა ეს პროვოკაცია. მას ჰქონდა პოლიტიკური და ფინანსური პრობლემები, რაც, გარკვეულწილად, ჩამოიწერა ომით. მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მცდარი და არასწორი შეფასებები კი გახდა საფუძველი იმისა, რომ საქართველომ წააგო ომი.

**ნინო ხაჩიძე**

---

ჩვენდამი. რბილი იმპერია იყო. მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთშიც აღწევდნენ ქართველები წარმატებას, ისლამი უნდა მიგეღო, ჩალმა დაგეხურა, შენი ქართველობა ჩრდილში გადაგეტანა, რუსული იმპერიის კარზე კი, მათ შორის, საბჭოთა კავშირშიც, გვარის შეცვლა აუცილებელი არ იყო. თუმცა ბევრმა ქართველმა შეიცვალა საკუთარი სურვილით, მაგრამ, რაც მთავარია, ეს მწვავე აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ასე რომ, ფსიქოლოგიურ წნეხს ნაკლებად გრძნობდი იმის გამო, რომ ის იყო იმპერია, ანუ მის იმპერიალისტობას ნაკლებად განიცდიდი. თან საბჭოთა დროს უკვე იცოდი, რომ ეს რუსეთის იმპერია აღარ იყო, რომელმაც ტაძრები შეგითეთრა. იმპერიული ჩექმის დარბილებამ გარკვეული სიმწვავე მოაშორა განცდაში რუსულ იმპერიას და ამიტომ არის, რომ ახლა ნაკლებად მწვავედ განვიცდით. მათგან ნაკლებად გვახსოვს ბავშვებისა და ქალების კალოს გალეწვა.

**– ცნობილია, რომ საქართველოდან ბევრი ახალგაზრდა ქალი მიჰყავდათ ჰარამხანებში. კარგად ექცეოდნენ, ამითაც ხომ არ იყო განპირობებული მათი გავლენიანობა?**

– ცალკე მსჯელობის საგანია, თუ რას ნიშნავს, კარგად მოქცევა. ჩვენ ხომ წესიერად არც ვიცით, რა ხდებოდა ჰარამხანებში?! ვისაც უნახავს, აღფრთოვანებული დარჩენილა, ისეთი აპარტამენტი ჰქონია თითოეულ ცოლს, თან ისიც გასათვალისწინებელია, რა მოთხოვნილებები აქვს ქალს ასეთი ურთიერთობისას. ნუ დაგვავიწყდება ის კომპონენტი, რომ უძლური კაცი ქალის მიერ კაცად არ აღიქმება. ქალს ძალის განცდა სჭირდება და ის, რაც დღეს ცუდ მოქცევად შეიძლება, ჩავთვალოთ, იმ დროისთვის შესაძლოა, ნორმალური ყოფილიყო.

**– არ არის ცნობილი შემთხვევები, რომ აღმოსავლელ ქალს ქართველი კაცი შეყვარებოდეს. ისიც სათქმელია, სად ნახავდა ჩადრის ქვეშ, მაგრამ, როგორც ამბობენ, თუ გული გულობსო.**

– გააჩნია, ვის რა იერარქიული ადგილი უჭირავს, მაშინაც კი, როდესაც ერთი ეთნოსის წარმომადგენლებთან გვაქვს საქმე, თუ ქალი მაღალ სოციალურ საფეხურზეა, კაცი კი – დაბალზე, ქალის მხრიდან სიმპათია შეიძლება იყოს, მაგრამ ეს სერიოზულ ემოციაში ნაკლებად გადავა. შესაძლოა, არადომინანტი ეთნოსის წარმომადგენელმა გააჩაღოს რომანი დომინანტი ეთნოსის წარმომადგენელ ქალთან, მაგრამ ქალი არ წამოგყვება ამ ურთიერთობაზე.

**როდესაც რაღაც როლს განიჭებენ, მიმნიჭებელს უყვარდები იმ როლში, როგორც ქალს უყვარს კაბა, კაცს – მანქანა**

**– თუმცა რუსეთის შემთხვევაში წამოვიდა ქალი.**

– იქ სოციალური მხარე აღარ იყო წამყვანი და, ჩემი აზრით, სხვა ასპექტები იკავებდა წამყვან ადგილს. მარტივად რომ ვთქვა, რუსი ქალი ადვილად იღებდა ბატონად ქართველ კაცს.

**– რაღაც კვალი დღესაც ამჩნევია დამოკიდებულებებს იმ ყოფილი იმპერიების წარმომადგენლებთან, რომლებიც დომინანტობდნენ ჩვენზე. შესაძლებელია ამისგან გათავისუფლება, ჯანმრთელი პარტნიორული, ურთიერთობის დამყარება საქმიანი პარტნიორობა მაქვს მხედველობაში?**

– პარტნიორული ურთიერთობა კარგი სიტყვებია, ოღონდ ასეთი რეალური ურთიერთობის მაგალითი ძალიან ცოტა მინახავს. ევროპელთან ურთიერთობაში არანაირი წინაპირობა და ტრადიცია არ გვაქვს, მაგრამ, ამის მიუხედავად, გვაქვს მათთან პარტნიორული ურთიერთობა?! რუსეთთან ურთიერთობისას ვამბობთ, რომ ინერცია მოგვყვება, არანაირი იმპერია ევროპა და დასავლეთი არ ყოფილა ჩვენთვის, მაგრამ მათთან დამოკიდებულებაშიც ინერცია მოქმედებს?! ასე რომ, ეს პრობლემა უფრო აწმყოდანაა, ვიდრე წარსულიდან.

**– კომპლექსის მაგვარს ამჩნევთ ყოფილ იმპერიებთან ურთიერთობაში: რუსეთი იქნება ეს, თურქეთი თუ ირანი? არადა, მათ დღემდე ვერ გაუყვიათ, ბოლოს და ბოლოს, რომელი მათგანი ფლობდა ამ ჩვენს ტერიტორიებს.**

– ქართველი ისე უდიერად ეპყრობა ამ თემას, განაცხადს მათი მხრიდან, რომ მათი კოლონია ვიყავით, იმდენადაა გათავისუფლებული, პირიქით, ცოტა დაკომპლექსება შეიძლება, არც გვაწყენდა.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

# მსოფლიოს მონარქიული ოჯახები და ტახტის მემკვიდრეები

*2013 წლის აპრილში ჰოლანდიის სამეფო ტახტზე დედოფალი ბეატრიქსი პრინცმა ვილემ-ალექსანდერმა ჩაანაცვლა და „ტიტების სამშობლოდ" წოდებული ნიდერლანდების ახალ მეფედ ეკურთხა. მსგავსი პრეცედენტი ახლო მომავალში სხვა მონარქიულ სახელმწიფოებსაც ელის. ამ ნომერში გაგაცნობთ მსოფლიოს სამეფო ტახტების ნომერ პირველ მემკვიდრეებს.*

### ალოიზი – ლიხტენშტეინის სამთავროს მემკვიდრე

ლიხტენშტეინის მთავრის ჰანს-ადამ მეორის ვაჟი და ტახტის მემკვიდრე, რეგენტი, პრინცი ალოიზი, დაიბადა 1968 წელს, ციურიხში და განათლება დიდ ბრიტანეთში, სანდჰერსტის სამხედრო აკადემიაში მიიღო. სამხედრო წოდებით



უმცროსი ლეიტენანტი ალოიზი ჰონკონგსა და ლონდონში მსახურობდა; გარდა ამისა, ის ზალცბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. 2004 წლიდან ლიხტენშტეინის სამთავროს მთავარმა ჰანს-ადამმა, ქვეყნის მართვის სადავეები თავის შვილს – პრინც ალოიზს გადასცა, თუმცა, ფაქტობრივად, ჰანს-ადამი ჯერჯერობით ინარჩუნებს ჯუჯა სახელმწიფოს მთავარი პირის სტატუსს, ხოლო ალოიზი მხოლოდ შიდა საქმეების მოგვარებით არის დაკავებული. ალოიზი დაქორწინებულია ბავარიის პრინცესა სოფიაზე და მასთან ოთხი შვილი ჰყავს.

### ვიქტორია – შვედეთის კრონპრინცესა

ბერნადოტების სამეფო გვარის შთამომავალი და შვედეთის მეფის, კარლ გუსტავის ქალიშვილი – ვიქტორია შვედეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეა. პრინცესა ვიქტორია 1977 წელს დაიბადა სტოკჰოლმის შემოგარენში, სოლნაში. 2008 წელს ის შვედეთის სამეფოს წარმომადგენელი გახლდათ ევროპის საკონსულტაციო საბჭოზე, რომელიც რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მოვლენებს განიხილავდა. ვიქტორიას პირადი ცხოვრება არაერთხელ გამხდარა განსჯის საგანი. მას მიაწერდნენ არაერთ რომანს, მათ შორის – პირად მწვრთნელთან, დენიელ ვესტლინგთან, რომელიც მოგვიანებით ვიქტორიას მეუღლე გახდა. ვიქტორია დიდი პოპულარობით სარგებლობს შვედეთში.

### გიიომი – ლუქსემბურგის საჰერცოგოს მემკვიდრე

ლუქსემბურგის საჰერცოგოს მემკვიდრე, პრინცი გიიომი, დაიბადა 1981 წელს, ლუქსემბურგის ჰერცოგის ანრისა და მარია-ტერეზა მასტერის ოჯახში. პრინც ალოიზის მსგავსად, პრინც გიიომსაც, განათლება სანდჰერსტის სამხედრო აკადემიაში აქვს მიღებული და სამხედრო ჩინით პოლკოვნიკია. სპეციალობით გიიომი პოლიტოლოგია და რამდენიმე ენას ფლობს: ფრანგულს, გერმანულს, ინგლისურს, ესპანურსა და მშობლიურ ლუქსემბურგულ ენას. 2012 წლიდან პრინცი გიიომი გრაფინია სტეფანი დე ლანუაზეა დაქორწინებული.

### ჯიგიელ უგიენ ვანგჩუკი – ბუტანის სამეფო ტახტის მემკვიდრე

ჯიგიელ უგიენ ვანგჩუკი მეფე ჯიგმე სინგიე ვანგჩუკის მეორე ვაჟი და ბუტანის ამჟამინდელი მეფის – ჯიგმე კხესარ ნამგიალ ვანგჩუკის ნახევარძმაა. მას შემდეგ, რაც მამამისმა უარი განაცხადა ტახტზე და მეფედ ჯიგმე კხესარი ეკურთხა, ჯიგიელ უგიენ ვანგჩუკი ბუტანის ტახტის მემკვიდრე გახდა. ბუტანის პრინცს განათლება ამერიკაში აქვს მიღებული. ის 1984 წელს დაიბადა და ჯერჯერობით დაქორწინებული არ გახლავთ.

### მაჰა ვაჩირალონგკორნი – ტაილანდის ტახტის მემკვიდრე

ტაილანდის მეფის, ფუმიპონ ადულიადეტის ერთადერთი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე, პრინცი მაჰა ვაჩირალონგკორნი 1960 წელს დაიბადა ბანგკოკში. მას სამხედრო მფრინავის განათლება აქვს მიღებული ინგლისისა და ავსტრალიის სამხედრო კოლეჯებში. ტაილანდის პრინცი სამჯერ იყო დაქორწინებული და მას ექვსი შვილი ჰყავს. იმ შემთხვევაში, თუ ის ტაილანდის მეფის ტახტს დაიკავებს, გახდება ტაილანდის ტერიტორიაზე დაბადებული პირველი მონარქი, რადგან, მამამისი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიბადა, ხოლო მამის წინამორბედი მონარქები გერმანიაში.



### მულაი ჰასანი – მაროკოს ტახტის მემკვიდრე

პრინცი მულაი ჰასანი მაროკოს მეფის, მუჰამედ მეექვსისა და დედოფალ ლალი სალმის პირველი ვაჟია. პრინცი მულაი 2003 წელს დაიბადა რაბატში. ჯერჯერობით ის მხოლოდ სწავლით არის დაკავებული დერვიშების სასწავლებელში, რაბათის სამეფო სასახლეში. მისი უდიდებულესობა პრინცი მულაი ჰასანი მაროკოს ტახტის ნომერ პირველი მემკვიდრეა და ტახტზე ასვლისას მისი სახელი იქნება მეფე ჰასან მესამე.

### ნარუჰიტო – იაპონიის სამეფო ტახტის მემკვიდრე

1960 წელს დაბადებული პრინცი ნარუჰიტო იაპონიის იმპერატორის – აკიჰიტოს პირველის ვაჟი და ტახტის მემკვიდრეა. ბავშვობაში ნარუჰიტო პრინც ჰიროს სახელით იყო ცნობილი. იგი ქველმოქმედებით არის დაკავებული, თავისუფალ დროს კი, უყვარს ალტზე დაკვრა, ალპინიზმი და სირბილი. 1993 წელს ნარუჰიტო ოვადა მასაკოზე დაქორწინდა და მათ ერთი შვილი ჰყავთ – პრინცესა აიკო. პრინცი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია; გარდა ამისა, ის არის იაპონელი ბოისკაუტების მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი.

### ფელიპე ასტურიელი – ესპანეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე

ასტურიის პრინცი ფელიპე ესპანეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე და ესპანეთის მეფის, ხუან კარლოს პირველის უფროსი ვაჟია. ფელიპე 1968 წელს დაიბადა. მას ჰყავს უფროსი დები: ინფანტა ელენა და ინფანტა კრისტინა. პრინცი ფელიპე 1992 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე გახლავთ აფროსნობაში; იგი, ასევე იყო ესპანეთის ნაკრების მედროშე გახსნის ცერემონიალზე. პრინცი ფელიპეს მეუღლე, ყოფილი ჟურნალისტი ლეტიცია ორტის როკოსოლანაა. წყვილს ორი შვილი ჰყავს: ინფანტები – ლეონორი და სოფია.

### ფილიპი – ბელგიის სამეფო ტახტის მემკვიდრე

ბელგიის მეფის, ალბერტ მეორისა და დედოფალ პაოლას უფროსი ვაჟი, ბელგიის სამეფო ტახტის მემკვიდრე, პრინცი ფილიპი, 1960 წელს დაიბადა. ის პირველი ბელგიელი პრინცია, რომელმაც დაწყებითი განათლება ჩვეულებრივ ბელგიურ სკოლაში მიიღო. შემდგომში მან სწავლა ოქსფორდისა და სტენფორდის უნივერსიტეტებში განაგრძო. პრინცი ფილიპი ავიაკონსტრუქტორობით არის გატაცებული, კარგად მართავს ვერტმფრენს, რამდენიმე ათეული ფრენა აქვს შესრულებული. 1999 წლიდან პრინცი ფილიპი პრინცესა მატილდაზეა დაქორწინებული და წყვილს ოთხი შვილი ჰყავს.

### ფრედერიკი – დანიის სამეფო ტახტის მემკვიდრე

მისი უდიდებულესობა, დანიის სამეფო ტახტის მემკვიდრე, კრონპრინცი ფრედერიკი დედოფალ მარგრეტეს უფროსი ვაჟიშვილია. პრინცს განათლება ჰარვარდის უნივერსიტეტში აქვს მიღებული და 1990-იან წლებში სტაჟირებას გადიოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბბინაში, ნიუ-იორკში. სავალდებულო სამხედრო სამსახური კრონპრინცს დანიის სამეფოს საზღვაო ძალების ელიტურ ქვედანაყოფში აქვს გავლილი. ჯარში მსახურობის პერიოდში პრინცის მეტსახელი იყო „პინგვინი". 2004 წელს კრონპრინცი მერი ელიზაბეთ დონალდსონზე დაქორწინდა. მათ ოთხი შვილი ჰყავთ.

### ჰოკონი – ნორვეგიის სამეფო ტახტის მემკვიდრე

ნორვეგიის მეფის, ჰერალდ მეხუთის ვაჟი, ნორვეგიის კრონპრინცი ჰოკონი 1973 წელს დაიბადა და, ბელგიის პრინცის მსგავსად, ჩვეულებრივ საბავშვო ბაღში და სკოლაში დადიოდა. ამჟამად ნორვეგიის პრინცი ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს. 2001 წლიდან იგი მეტე-მარიტ ტიესემ ჰეიბიზეა დაქორწინებული. მათ ორი შვილი ჰყავთ: ინგრიდ ალექსანდერი და სვერე მაგნუსია.

### ჩარლზი – დიდი ბრიტანეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე

დედოფალ ელიზაბეთ მეორისა და პრინც ფილიპის უფროსი ვაჟი, პრინცი ჩარლზი, 1948 წელს დაიბადა და წელს საიუბილეო დაბადების დღის აღნიშვნას გეგმავს – ნოემბერში მსოფლიოში ყველაზე ცნობილი პრინცი 65 წლის გახდება. პრინც ჩარლზს ლედი დიანასგან ორი ვაჟი ჰყავს – პრინცები უილიამი და ჰარი, რომლებიც მისი სავარაუდო შემცვლელები გახდებიან სამეფო ტახტის მემკვიდრის რანგში.

**უშანგი რუხაძე**


**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
**შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს**
**ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში**
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# ვინ არის ყველაზე მდიდარი ევროპაში და რამდენი მილიარდი დოლარი იზარალა ფრანგმა ბერნარ არნომ

*ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა" გლობალური მილიარდერების 2013 წლის ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. რეიტინგის თანახმად, მილიარდერთა რაოდენობამ პლანეტაზე სარეკორდო ციფრს მიაღწია – 1 426 მილიარდერი, რაც 16 პროცენტით მეტია გასული წლის რეიტინგთან შედარებით. მილიარდერთა საერთო კაპიტალი 5,4 ტრილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გასულ წელს – შარშან თანხა 4,6 ტრილიონ დოლარს შეადგენდა. ყველაზე მეტი მილიარდერი კვლავ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰყავს; მეორე ადგილზეა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, ხოლო მესამე ადგილზე ევროპელი მილიარდერები არიან. რეიტინგის კიდევ ერთი მოულოდნელობაა პირველ სამეულში უორენ ბაფეტის არმოხვედრა – ცნობილი ფინანსისტი მეოთხე პოზიციამდე დაქვეითდა, რაც ბოლო ათწლეულში პირველად დაფიქსირდა.*

**№1 – კარლოს სლიმ ელუ (მექსიკა); კაპიტალი: 73 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: ტელეკომუნიკაცია**

მექსიკელმა კარლოს სლიმმა ზედიზედ მეოთხედ შეინარჩუნა პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანის ტიტული. მისი კაპიტალი წინა წელთან შედარებით 4 მილიარდი დოლარით გაიზარდა.



სატელეკომუნიკაციო სფეროს გარდა, 73 წლის მილიარდერი ჩართულია ნახშირმომპოვებელ ბიზნესში, საბანკო სექტორში, უძრავ ქონებასა და თამბაქოს ბიზნესში; იგი, ასევე, ფლობს გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის" აქციების გარკვეულ ნაწილს. გასულ წელს სლიმ ელუმ საფეხბურთო კლუბები შეიძინა: მექსიკური „ლეონი" და „პაჩუკა" და ესპანური „რეალ ოვიედო". ტრადიციულად მექსიკელი მაგნატი დიდ დროს უთმობს ქველმოქმედებასა და თავის ფონდებს: „კარლოს სლიმსა" და „ტელმექსს". მისი მიზანია ქველმოქმედება ადამიანური შესაძლებლობების განვითარებისთვის და არა მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად.

**№2 – ბილ გეითსი (ამერიკის შეერთებული შტატები); კაპიტალი: 67 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: „მაიკროსოფტი"**

ბილ გეითსი განაგრძობს 200 მილიონი დოლარის დახარჯვას პოლიომიელიტის დაავადების საბოლოოდ დასამარცხებლად. მისი გათვლით, 2020



წლისთვის პლანეტაზე 8 მილიონი ადამიანის გადარჩენა მოხერხდება. გარდა ამისა, გეითსს ახალი მიზანი აქვს – სოფლის მეურნეობის განვითარება და, ამ მიზნით, წვრილი ფერმერების დახმარებაზე დახარჯულია 2 მილიარდი დოლარი. „მაიკროსოფტის" აქციების ფასის ზრდამ გამოიწვია მისი ქონების გაზრდა 6 მილიარდით. დანარჩენი აქტივები გადანაწილებულია სხვადასხვა კერძო კომპანიაზე, მაგალითად, „ეკოლაბზე" და მექსიკურ ტელე-რადიოკომპანია „ტელევისაზე". წელს გეითსმა კიდევ ერთ პროექტს მოჰკიდა ხელი – ის დაიწყებს უფასო მედიკამენტების დარიგებას ღარიბ სახელმწიფოებში.

**№3 – ამანსიო ორტეგა (ესპანეთი); კაპიტალი: 57 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: „ზარა"**

„ფორბსის" ახალი რეიტინგი ყველაზე წარმატებული ესპანელი ამანსიო ორტეგასთვის გამოდგა, რადგან, მან დაიკავა მესამე ადგილი რეიტინგში, ჩამოაგდო უორენ ბაფეტი და, ასევე, ფრანგ ბერნარ არნოს ჩამოართვა ყველაზე მდიდარი ევროპელის სტატუსი. ორტეგა ფლობს კომპანია „ინდიტექსის" აქციათა 59 პროცენტს და, ასევე, უძრავ ქონებას მაიამიში, მადრიდსა და სხვაგან. „ზარასა" და „ბერშკას" ბრენდების ფუძემდებლის ბიზნესმა საქართველომდეც ჩამოაღწია, სადაც უკვე გაიხსნა ტანსაცმლის მაღაზიათა ქსელი.

**№4 – უორენ ბაფეტი (ამერიკის შეერთებული შტატები); კაპიტალი: 53,5**



**მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: „ბერკშირ ჰეთუეი"**

მიუხედავად იმისა, რომ ბაფეტის ქონება წინა წელთან შედარებით გაიზარდა, მან მაინც „მოახერხა" მილიარდერების სამეულში ადგილის დაკარგვა. 2000 წლიდან ბაფეტი პირველად დაქვეითდა მეოთხე პოზიციამდე. „ომაჰელ ორაკულს" არც წელს დაუსახელებია თავისი სავარაუდო შემცვლელის ვინაობა კომპანიის მეთაურის თანამდებობაზე. შარშან ბაფეტი ბარაკ ობამას საარჩევნო კამპანიაში იყო ჩართული, ხოლო ქველმოქმედებაზე დახარჯულმა თანხამ უკვე გადააბიჯა 20-მილიარდიან ნიშნულს.

**№5 – ლარი ელისონი (ამერიკის შეერთებული შტატები); კაპიტალი: 43 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: „ორაკლი"**

შარშანდელთან შედარებით, ლარი ელისონის კაპიტალი 7 მილიარდი დოლარით გაიზარდა, რაც „ორაკლის" აქციების ფასის ზრდამ განაპირობა. გასულ წელს ელისონმა 500 მილიონ დოლარად ჰავაის კუნძულებიდან ერთ-ერთი შეიძინა, სადაც ფეშენებელური სასტუმროები და პერსონალური აგარაკები აქვს.

**№6 – ჩარლზ კოხი (ამერიკის შეერთებული შტატები); კაპიტალი: 34 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: ინვესტიციები**

**№7 – დევიდ კოხი (ამერიკის შეერთებული შტატები); კაპიტალი: 34 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: ინვესტიციები**

მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ძმები, ჩარლზ და დევიდ კოხები, ამერიკაში სიდიდით მეორე კერძო კომპანიის – „კოხ ინდასტრისის" მფლობელები არიან. გასულ წელთან შედარებით მათმა მოგებამ 9 მილიარდი დოლარით მეტი შეადგინა, ხოლო სულ ბიზნესიმპერიის შემოსავალმა 115 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. „კოხ ინდასტრისი" მრავალფეროვანი კომპანიაა, რომელიც ჩართულია, როგორც ნავთობსადენების მშენებელ და ნავთობგადამამუშავებელ ბიზნესებში, ასევე, პირსახოცების, ჭიქებისა და სამშენებლო მასალების წარმოებაში.

**№8 – ლი კა-შინი (ჰონკონგი); კაპიტალი: 31 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: ინვესტიციები**

აზიის უმდიდრესმა ადამიანმა გაიმყარა პოზიციები მილიარდერთა რეიტინგში და მისმა კაპიტალმა, გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვანი მატება განიცადა, – 5,5 მილიარდი დოლარით გაიზარდა. ჰონკონგელი მაგნატის სტრუქტურაში მსოფლიოს 53 ქვეყანაში დასაქმებულია 270 ათასი ადამიანი. მისი აშენებულია ყოველი მეშვიდე ბინა ჰონკონგში, ხოლო მის საკუთრებაში არსებული კომპანია „ჰატჩინსონ პორტ ჰოლდინ-



გსი" ახორციელებს მსოფლიოში სატვირთო გადაზიდვების 13 პროცენტს. ლის, ასევე, აქვს პირადი ინტერესები „ფეისბუქში", რომლის მეწილეც რამდენიმე ხნის წინ გახდა.

**№9 – ლილიან ბეტანკური და ოჯახი (საფრანგეთი); კაპიტალი: 30 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: „ლორეალი"**

კოსმეტიკური პროდუქციის მწარმოებელი გიგანტი-კომპანია „ლორეალის" 90 წლის მემკვიდრემ, ლილიან ბეტანკურმა, ყველა არსებული თანამდებობა დათმო კომპანიაში და ამჟამად შვილის, ფრანსუაზას მზრუნველობის ქვეშაა. ამის მიუხედავად, კომპანიის აქტივებმა წინა წლებთან შედარებით იმატება და კაპიტალი 6 მილიარდი დოლარით გაიზარდა. იურიდიულად, ლილიან ბეტანკური კომპანია „ლორეალის" ჯერაც ერთადერთი მემკვიდრეა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა მამამისი, კომპანიის დამაარსებელი.

**№10 – ბერნარ არნო (საფრანგეთი); კაპიტალი: 29 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: LVHM**

ფრანგი მილიარდერი ბერნარ არნო ერთადერთია მსოფლიო მილიარდერთა რეიტინგში, რომელმაც წინა წელთან შედარებით ყველაზე დიდი ზარალი განიცადა – არნოს კაპიტალი 12 მილიარდი დოლარით შემცირდა და მან დაკარგა ყველაზე მდიდარი ევროპელის სტატუსი. მისი კაპიტალის დაკარგვა საფრანგეთის ახალი ხელისუფლების მოსვლას დაუკავშირდა, რომელმაც 75-პროცენტიანი ბეგარა დაადო გადამხდელებს. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ, არნომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ უარი ეთქვა საფრანგეთის მოქალაქეობაზე და ბელგიის მოქალაქე გამხდარიყო.

**უშანგი რუხაძე**

**ალერგია, მომატებულ მგრძნობელობას ნიშნავს, ალერგიული ადამიანი კი უფრო მეტად რეაგირებს სხვადასხვა გარემო ფაქტორზე. ის, ადამიანის ჯანმრთელობისთვის ერთ-ერთი ყველაზე საშიში დაავადებაა, რადგან, სამწუხაროდ, ნებისმიერმა ალერგიულმა რეაქციამ, თუ არ მოხდა ექიმთან დროული ვიზიტი, შეიძლება, ადამიანის სიკვდილიც კი გამოიწვიოს. თუ როგორ დავიცვათ თავი ამ საშიში დაავადებისგან და რა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქროს, ამ თემებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ბატონ დავით თელიას.**

# რომელი სეზონური დაავადებაა სიცოცხლისთვის სახიფათო და რა უნდა მოიმოქმედოს ალერგიულმა ადამიანმა გაზაფხულზე



**ალერგია მომატებულ მგრძნობელობას ნიშნავს და ის ადამიანისთვის ძალიან საშიში დაავადებაა**

**დავით თელია**: ალერგია მომატებულ მგრძნობელობას ნიშნავს და ის ადამიანისთვის ძალიან საშიში დაავადებაა. ალერგიული ადამიანი სხვადასხვა გარემო ფაქტორზე იმაზე მეტად ძლიერად და აგრესიულად რეაგირებს, ვიდრე ნორმალური ადამიანი. ყველაზე ხშირად კი ასეთი ალერგიული გამოვლინებები სასუნთქ გზებში იჩენს თავს. სასუნთქი გზების ალერგიული დაავადებები თავის მხრივ იყოფა ორ ჯგუფად, კერძოდ: ქვემო სასუნთქი გზების, რომელშიც შედის ბრონქული ასთმა და ზემო სასუნთქი გზების, რომელშიც შედის მაგალითად, ალერგიული სურდო, ალერგიული კონიუნქტივიტი და ასე შემდეგ. აქვე გეტყვით, რომ, როგორც ზედა, ისე ქვედა სასუნთქი გზების ალერგიული დაავადებები, არის როგორც სეზონური, ასევე არასეზონური. ეს ორივე დაავადება ძალიან მძიმედ და აგრესიულად მიმდინარეობს როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. მას განსაკუთრებული, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობა ესაჭიროება. მთავარია, ჩატარდეს სინჯები ზუსტი სადიაგნოსტიკო საშუალებებით. მაგალითად, შეიძლება, ადამიანს ახველებდეს დიდი ხნის განმავლობაში და არ იცოდეს, რომ ასთმური პრობლემაა.

– **სიმპტომატურად, რა გამოვლინებები აქვს სეზონურ ალერგიას?**

– სეზონური ალერგიის დროს, იწყება სასუნთქი გზების პრობლემები: ცხვირში გაჭედვა, ცხვირის ქავილი, სურდო, ცემინება, თვალების ქავილი, ცრემლდენა, ყურების დაგუბება, ყნოსვის დაკარგვა, გემოვნების რეცეპტორების დაქვეითება. ამ დროს იშვიათად ვითარდება ბრონქოსპაზმი, ანუ ასთმური შეტევები. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ, შესაძლოა, ადამიანს ამ დროს ასევე დაეწყოს კანის პრობლემები, გაუჩნდეს ჭინჭრისმაგვარი დაავადებისთვის დამახასიათებელი წვრილი გამონაყარი კანზე, შეუშუპდეს კანის გარკვეული ადგილები. ასე რომ, კლინიკური ნიშნები საგრძნობლად თვალშისაცემია. თუ ადამიანი დაკვირვებულია, მაშინ ადვილად გაარჩევს სურდოს ალერგიისგან. თუ დარწმუნებული ხართ, რომ სურდო ალერგიული გენეზისაა, შეგიძლიათ, ანტიალერგიული პრეპარატები ექიმის დანიშნულების გარეშეც დალიოთ. თუმცა, გაფრთხილებთ: ამ დროს მკაცრად უნდა დაიცვათ მედიკამენტის მიღებისა და დანიშვნის პრინციპი, რადგან მათი დიდი ხნის განმავლობაში მიღება შეჩვევას იწვევს.

– **რეალურად, არის იმის საშიშროება, რომ უყურადღებოდ დატოვებულმა ალერგიამ, შესაძლოა ადამიანის სიკვდილი გამოიწვიოს?**

– ალერგია – ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პათოლოგიაა, რომელმაც, შესაძლოა, უეცარი სიკვდილი გამოიწვიოს. შორს წასული ალერგია, შესაძლოა, სიკვდილის მიზეზიც გახდეს. თუმცა, იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომელ ალერგიაზე ვსაუბრობთ. როცა საქმე ეხება ზედა სასუნთქი გზების ალერგიას, ის ძალიან ტანჯავს ადამიანს და, არ არის გამორიცხული, გადაედოს ქვედა სასუნთქ გზებსაც. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ასთმა, რინიტი, კონიუნქტივიტი და ასეთი სეზონური ალერგია ბრონქულ ასთმაში გადადის. ეს დაავადება კი საკმაოდ არასასურველი და სერიოზულია. ასეთი ადამიანები გამუდმებით საჭიროებენ ექიმის კონტროლს, მედიკამენტების მიღებას. ამ შემთხვევაში, არასწორმა მკურნალობამ შესაძლოა, სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს.

– **ბოლო დროს, საკმაოდ გახშირდა ასთმით დაავადების შემთხვევები. ეს რას უკავშირდება და, რა წესები უნდა დაიცვას ადამიანმა თუ ეს დაავადება აწუხებს?**

– დაგეთანხმებით, სამწუხაროდ, ბოლო დროს, ბრონქული ასთმის შემთხვევები საკმაოდ გახშირდა. აქვე გეტყვით, რომ ალერგიისგან განკურნებაზე დღესდღეობით ლაპარაკი რთულია. თუმცა, მისი მართვა შესაძლებელია. მთავარი და აუცილებელია, ალერგიულმა ადამიანებმა და არა მარტო მათ, სახლი ხშირად დაალაგონ სველი წესით, ქარიან ამინდში ქუჩაში სიარულისგან შეიკავონ თავი, დაიცვან ჰიგიენა და მოერიდონ ალერგიული საკვების მიღებას. დაავადების გართულების შემთხვევაში კი, დროულად მიმართონ ექიმს და ჩაიტარონ სწორი მკურნალობის კურსი. კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, რომ ალერგია ჯანმრთელობისთვის საშიში და სახიფათო დაავადებაა. მას სეზონურობა ახასიათებს და ამიტომ, სპეციალისტები სეზონურ დაავადებადაც მიიჩნევენ. ალერგია განსაკუთრებით საშიშია შემოდგომისა და გაზაფხულის პერიოდებში. ამიტომ, განსაკუთრებით ამ დროსაა საჭირო სიფხიზლე. ალერგიის თვითმკურნალობა ყოვლად დაუშვებელია და თუ არ მოხდა მისი სწორი დიაგნოსტირება და მკურნალობის დანიშვნა სპეციალისტის მიერ, შესაძლოა, ადამიანის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე დაემუქროს. ზოგადად, ალერგოლოგია, როგორც მეცნიერება, იმუნოლოგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ალერგიული დაავადება, ეს არის იმუნოპათოლოგიური მდგომარეობა. ალერგიის შემთხვევაში, იმუნური სისტემა მოქმედებს გამძაფრებულად; იმუნოდეფიციტების დროს, ის საერთოდ არ რეაგირებს; ხოლო ავტოიმუნური დაავადებებისას, რეაგირებს გაუკუღმართებულად, ანუ, იმუნური სისტემა საკუთარ უჯრედებსა და ორგანოებს ებრძვის. ალერგია, ეს არის ზემგრძნობელობა, როცა იმუნური სისტემა ზედმეტად რეაგირებს ყველაფერ იმაზე, რაზეც სხვა ნორმალური ადამიანები არ რეაგირებენ. ალერგიის საფუძველია, ის რომ ორგანიზმის იმუნურ სისტემაში ხდება გარკვეული ძვრები, გადაწყობა და საბოლოო ჯამში, ასეთი არანორმალური ფუნქციონირება ვლინდება იმით, რომ ადამიანი ავადდება სხვადასხვა ალერგიული გამოვლინებით. ყველა ალერგიულ დაავადებას საერთო აქვს ერთი რამ, – ადამიანი ამა თუ იმ შიდა თუ გარე ფაქტორების მიმართ, ზედმეტად მგრძნობიარეა. მაგალითად, თუ არაალერგიული ადამიანი არ რეაგირებს ოთახის ან მცენარის მტვერზე, ალერგიულს ამაზე მწვავე რეაგირება აქვს. ეს იმიტომ ხდება, რომ იმუნური სისტემა წარმოშობს დიდი რაოდენობით ანტისხეულებსა და უჯრედისებს, რაც ადამიანის ორგანიზმის ასეთ რეაქციას იწვევს. ალერგიული დაავადებები, სხვადასხვაგვარად ვლინდება. ალერგიას სეზონურ ავადმყოფობასაც უწოდებენ. ალერგია განსაკუთრებით საშიში შემოდგომით და გაზაფხულზე ხდება. ამიტომ, ყოველთვის ვამბობ, თუ არ მოხდა დიაგნოზის სწორად დასმა და შესაბამისად, სწორი მკურნალობის კურსის დროულად დაწყება, სპეციალისტის რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება და ზედმიწევნით შესრულება, შესაძლოა, ამ ერთი შეხედვით დროებითმა, სეზონურმა დაავადებამ ადამიანის უეცარი სიკვდილიც კი გამოიწვიოს. სეზონური რინიტი ყვავილის მტვრისგან ვითარდება. ანუ, სეზონური ალერგია სეზონური ხასიათისაა. ვითარდება წლის კონკრეტულ პერიოდში და ეს როგორც წესი, იწყება გაზაფხულზე და გასტანს შემოდგომის ბოლომდე. ამ დროს, ალერგიულ ადამიანს ემართება როგორც ზედა სასუნთქი რინოკონიუნქტივიტი, ასევე, ქვედა სასუნთქი გზების, ანუ ბრონქული ასთმა და საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს როგორც მოზრდილებში, ასევე ბავშვებსა და ხანში შესულებში.

**შეიძლება, ადამიანს ახველებდეს დიდი ხნის განმავლობაში და არ იცოდეს, რომ მს, შეიძლება, ასთმური პრობლემა იყოს**

– **როგორ დავიცვათ თავი შესაძლო გართულებებისგან ამ სეზონზე?**

– ამ სეზონზე, განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ ალერგიული ადამიანები, რადგან მათი რეაქტიულობა საგრძნობლად მომატებულია. თავის დაცვა ალერგენებისგან, რასაკვირველია, რთულია, მაგრამ, მაინც უნდა ეცადოთ – არ გახვიდეთ სახლიდან ქარიან ამინდში, სველი წესით ხშირად დაასუფთავეთ საცხოვრებელი, ქუჩიდან შემოსვლისთანავე მიიღეთ შხაპი, რომ ალერგენები, რომელიც თმასა და სხეულზეა, ჩამოირეცხოთ. სხვათა შორის, რაც უფრო ჩაკეტილ გარემოსა და ჰიგიენის დაცვით გაზრდით შვილს, მით მეტია ალბათობა, ის ალერგიული გახდეს. ამ დროს იმუნური სისტემის გადართვა ხდება ალერგიის მიმართ. ასევე, უამრავი ალერგენი იყიდება აფთიაქებში და თუ არ იცით ზუსტად დაავადების დიაგნოზი, თქვენს ჯანმრთელობაზე ექსპერიმენტების ჩატარებას არ გირჩევთ.

**ნონა დათეშიძე**

# სოსო პავლიაშვილის ბავშვობის მეგობრის მკვლელობაში მისი დის ქმარს ედება ბრალი

*ხუთი თვის წინ, 23 ნოემბერს თბილისში მკვლელობა მოხდა. ზაზიაშვილის ქუჩაზე „ML-ის ჯიპის“ მარკის ავტომობილის უკანა სავარძელზე გარდაცვლილი იპოვეს. მოკლული 45 წლის ბიზნესმენი, ავთანდილ ადუაშვილია. როგორც თვითმხილველებმა აღნიშნეს, ის სავარაუდოდ, უკვე გარდაცვლილი მიიყვანეს ზაზიაშვილის ქუჩაზე და დატოვეს, რადგან სროლის ხმა იქ არავის გაუგონია. ყველა საინფორმაციო საშუალებით (სოციალური ქსელის, ტელევიზიებისა და პრესის) გავრცელდა სკანდალური ინფორმაცია, რომ მკვლელობის უკან, რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი, სოსო პავლიაშვილი დგას. ავთანდილ ადუაშვილი პავლიაშვილის ძალიან ახლო, ბავშვობის მეგობარი, მეჯვარე და შვილის ნათლია იყო. აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულნი არიან: ვახტანგ ჩხაპელია მომღერლის დის, მაკა პავლიაშვილის ქმარი, გელა უბილავა, კობა ყურუა, ვლადიმერ ქარჩავა. მათ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის საფუძველზე აქვთ წაყენებული (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) ასევე, ბრალდებულნი არიან: რამაზ ქარჩავა, მურთაზ გერგაია, თეიმურაზ ქობალია. მათ ბრალი სსკ 376-ე მუხლის საფუძველზე ედებათ (დანაშაულის შეუტყობინებლობა). ჩვენ, არ დავიწყებთ იმის გადაჭრით მტკიცებას, რომ მკვლელობა სწორედ სოსო პავლიაშვილის დაკვეთით მოხდა, მით უმეტეს, რომ გამოძიება ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს მოკლულის, ასევე ახლო მეგობრებთან. (სასამართლო პროცესის დასრულებამდე, პიროვნებებმა, რომლებმაც მოგვცეს ინტერვიუ, გვთხოვეს, ინკოგნიტოდ დარჩენა გარკვეული მიზეზების გამო. სრულ ინფორმაციას უახლოეს ნომერში მოგაწვდით). გთავაზობთ ამონარიდს ვახტანგ ჩხაპელიას აღიარებითი ჩვენების ოქმიდან და სოსო პავლიაშვილის ერთი წლის წინ რუსეთის არხზე გადაცემა* **Ла Минор***-ისთვის მიცემული ინტერვიუდან (იმას, რასაც ინტერვიუში მოკლულის მეგობრები ამბობენ, სასამართლოზეც აპირებენ გაიმეორონ, როდესაც მოწმის სტატუსით იქნებიან დაბარებულები). ჩვენ შევეცადეთ, დავკავშირებოდით სოსო პავლიაშვილს და მისი ოჯახის წევრებს. თუმცა, ისინი აღარც სატელეფონო ზარს და არც მეილს და „ფეისბუქზე“ გაგზავნილ კითხვებს პასუხობენ. საზოგადოებისთვის კი სოსო პავლიაშვილის პოზიცია უკვე ცნობილია, ისევ და ისევ საინფორმაციო საშუალებებით.*

**– უპირველესად, გმადლობთ, რომ ინტერვიუზე დაგვთანხმდით. მოდი, სოსოს და ავთოს ბავშვობიდან, მათი დამეგობრებიდან დავიწყოთ.**

– ავთო და სოსო ხუდადოვზე, იტალიურ ეზოში ცხოვრობდნენ, ერთი კედელი ყოფდათ, იქ დაიბადნენ და გაიზარდნენ (სოსო ავთოზე ორი წლით უფროსია – ავტორი) ავთოს ოჯახი ფინანსურად ყოველთვის ძლიერი იყო – ძალიან თბილი მოსიყვარულე ოჯახია. ავთო თუ შეამჩნევდა, რომელიმე ჩვენგანს პრობლემა ჰქონდა, არ ჭირდებოდა თქმა, ეგრევე გეხმარებოდა. ყოველთვის ეხმარებოდა სოსოს და სოსოს ოჯახს. პავლიაშვილების და ადუაშვილების ოჯახების ერთად ყოფნა, ჩვეულებრივი ამბავი იყო, იმიტომ რომ, მშობლებიც მეგობრობდნენ. წარმოიდგინეთ ახლა, ნახალოვკაში იზრდება ბიჭი, რომელიც ვიოლინოზე დადის... ხშირი იყო შემთხვევა, როცა სოსოს აჩერებდნენ და აკვრევინებდნენ არადა, პატარა ბიჭი კი არ იყო, ეს ის პერიოდია, კონსერვატორიაში რომ სწავლობდა. იქ ავთო რომ არ ყოფილიყო და კიდევ ერთი-ორი კაცი – ავთოს მეგობრები, სოსო სულ ამ მდგომარეობაში იქნებოდა. არ იფიქროთ, რომ ავთო იყო კრიმინალური ავტორიტეტი. ავთო იყო უნიკალური ბიჭი, კომაროვი ჰქონდა დამთავრებული, მაგარი თავის პატრონი იყო, გახსნილი გონების. მე რომ რაღაცაზე სამი დღე დამჭირდებოდა ფიქრი, ის სამ წამში დადებდა სწორ პასუხს იმ თემაზე. უნიჭიერესი იყო და ძალიან სწორად ცხოვრობდა. ავთოს ვერაფერს გაუბედავდი, მასთან ვერც იკამათებდი, შანსი გქონდა ნული. ის თავის სიმართლეს არავის დაუთმობდა, უსამართლოდ არ მოექცეოდა არავის.

**– ამბობენ, სოსო პავლიაშვილი ავთო ადუაშვილის წყალობით გახდა ის, რაც დღეს არის, რომ თუკი რამე გააჩნია მეგობრის დამსახურებააო.**

– ყოველ შემთხვევაში დიდი ნაწილი. ავთოს ამოცანა ყოველთვის იყო სოსო კარგი მუსიკოსი გამხდარიყო, რადგან მასში ხედავდა ნიჭს. სოსო ჯარში რომ წავიდა, თვითონ 17 წლის ბიჭმა ბალტიისპირეთში ჩააკითხა და სთხოვა ბატალიონის მეთაურს, თქვენ არ იცით, ეს როგორი მუსიკოსია, მის თითებს მოფრთხილება სჭირდებაო და სხვაგან გადააყვანინა. მოუგვარა საქმე, მისთვის მუსიკალური ჯგუფი ჩაებარებინათ. აი, ამ დონეზე უყვარდა და ზრუნავდა. მერე კიდევ რამდენჯერმე ჩააკითხა, იქ უკვე მღეროდა სოსო – თავისი ანსამბლი ჰყავდა. იურმალაში რომ წავიდა, მაშინაც ფინანსური პრობლემების მოგვარებაში დაეხმარა. არა მარტო სოსო, სოსოს მხარდამჭერი ჯგუფებიც, პირადად ავთოს მამის ნაყიდი ბილეთებით წავიდნენ. ავთო სოსოსთვის ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მფარველი ანგელოზი იყო. რუსეთში ასეთი ადვილი არ არის ფეხი მოიკიდო, ათი პანაროვსკაიაც რომ ჰყოლოდა. იმ მომენტში აუცილებელი იყო კონტაქტების დამყარება, რაც სოსოს არ ჰქონდა და ამაშიც ავთოს წვლილი დიდია.



**– ესე იგი, ავთო არა მხოლოდ ფინანსურად, ყოველმხრივ გვერდში ედგა მეგობარს?**

– მოსკოვში სოსოს შეექმნა პრობლემები. გამოსაქცევად ჰქონდა საქმე, როცა ავთოს სთხოვა დახმარება. მისმა ბიზნეს-პარტნიორებმა დიდი თანხა გაფლანგეს და პრეტენზიორებს სოსო შეატოვეს. მაშინ სოსოს საკმაოდ სერიოზული ხალხი სთხოვდა პასუხს, მათ შორის კრიმინალებიც. ავთომ ეს თემაც დაულაგა, ბინის საკითხიც გადაუწყვიტა – ფაქტობრივად „აჩუქა” მოსკოვის ცენტრში სამოთახიანი ბინა. ყველა თავის ნაცნობს მოსკოვში ტვინს უჭამდა – ნიჭიერი ქართველია, ჩემი ძმაა და დაეხმარეთო. მისი ხათრით ცნობილმა ავტორიტეტმა მირონ მამედოვმა, სოსოს იმ დროისთვის საბჭოთა კავშირში საუკეთესო ხმის ჩამწერი სტუდია აჩუქა. თბილისშიც, კონცერტების ორგანიზაციულ მხარეს ავთო უგვარებდა.

**– მართალია, რომ ავთო ძმაკაცის, სიყვარულით, სოსოს დის ოჯახსაც ეხმარებოდა – სიძეს, ვახო ჩხაპელიას, რომელიც დღეს ბრალდებულის სკამზე ზის, როგორც ავთოს მკვლელების დამქირავებელი?**

– ვახო დაიბადა „შნირად”. მის დასახასიათებლად სხვა სიტყვას ვერ გამოვიყენებ. რუსეთში რომ ჰყავდა სოსოს, იქაც „შნირი” იყო – ეს მოიტანე, ის მოიტანე, იქ წაიღე... ავთო სოსოს და მაკას სიყვარულით სცემდა პატივს ვახოს. წლების განმავლობაში საჭმლის ფულს ავთო აძლევდა. ვახო ლტოლვილი იყო აფხაზეთიდან, ბინა არ ჰქონდა. ერთ დღესაც ავთოსთან წაიწუწუნა: სოსო ხომ კაცი არაა, ეს რა მიქნა, შვიდი ათასი მაკლდებოდა ბინის საყიდლად და არ გამომიგზავნაო. ავთომ რა გატირებს, არა აქვს ეტყობა ბიჭს და ვერ გამოგიგზავნა, მე მოგცემო და მისცა ის შვიდი ათასი. მოკლედ, დაასახლა – ერთი მოსკოვში, მეორე თბილისში. საერთოდ, ავთოს ბავშვობაშიც, ფული სულ ჰქონდა იმაზე მეტი, რაც ჩვეულებრივ, ჩვენ ყველას. გვეტყოდა: ჰა, გიდევს ფული? თუ ეჭვი შეეპარებოდა, ძალით ჩაგიტენიდა ჯიბეში. ავთო იყო ფიზიკურად ძალიან ძლიერი, ომგამოვლილი ბიჭი, რომელიც ყოველთვის უანგაროდ ედგა გვერდში, თუ ვინმეს გაუჭირდებოდა. ავთომ, ვახოს ცოლ-შვილი უსაფრთხოდ რომ გამოეშვა დაცემული სოხუმიდან, ასაფრენად გამზადებული თვითმფრინავი ერთი საათით გააჩერა. დასვა და გამოაფრინა.

**– იმ მომენტში, როგორც კი ეს ამბავი გაიგეთ, რა იფიქრეთ, ვის შეეძლო ეს გაეკეთებინა?**

– ავთო მორგში ვნახე, იმდენჯერ აქვს დანა დარტყმული და იმდენი ტყვია მოხვედრილი, ლოგიკურია, იფიქრო, რომ ეს უეჭველად შეკვეთილი მკვლელობაა. შეკვეთა კი, ხდება რა მოტივით? ან ქალი უნდა იყოს მიზეზი, ან პოლიტიკა, ან ფული. ქალის ამბავი გამორიცხულია. იმდენად ლამაზი და სუფთა ურთიერთობა ჰქონდა ყველასთან. მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, მტერი ჰყოლოდა გამორიცხულია – გვეცოდინებოდა. პოლიტიკაში არ იყო, დარჩა ერთადერთი – ფული. ბიზნესურთიერთობა კი ვისთანაც ჰქონდა ავთოს, ეს იყო სოსო, რომელიც პერიოდულად აძლევდა მას თავის კუთვნილ, საკმაოდ, სოლიდურ თანხებს, რისთვისაც ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ ერევანსა და კიევში.

ვერაფერს ვამტკიცებ, მაგრამ ეჭვი უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც „საუკეთესო მეგობრის“ დასაფლავებაზე არ ჩამოვიდა ერევნიდან, სადაც იმ დღეებში იმყოფებოდა.

**– სოსომ რუსულ მედიას მისცა ინტერვიუ, სადაც ამბობს, რომ ავთოს ჰყავდა მტრები და ცხოვრობდა შიშით.**

– მტკნარი სიცრუეა. ავთოს ჰყავდა უამრავი მეგობარი და ცხოვრობდა სიყვარულით. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში იყო ძალიან მხიარული და სიცოცხლით სავსე.

**– ჩხაპელიას ჩვენება: „მე სოსოს ვუთხარი, მაგას დაუსჯელობის სინდრომი აქვს, მეც არაერთხელ მაჩვენა თავისი იარაღი. ამიტომ, ეგ უნდა დავსაჯოთ და ბოლოს და ბოლოს ჭკუაზე მოვიდეს-მეთქი. მე ეს სოსოს ვუთხარი 2012 წლის ივნისში თურქეთში დასასვენებლად ყოფნისას. სოსო ამაზე დამთანხმდა, ყოველ შემთხვევაში, წინააღმდეგობა არ გაუწევია. ეს საუბარი შედგა უშუალოდ ჩემსა და სოსოს შორის. სოსომ მაშინ მითხრა, თუ ავთო ცოტა ჭკუაზე არ მოვიდა, მართლაც რაღაც უნდა მოვიფიქროთო. მე ვუთხარი, რომ ავთოს დასჯას და ჭკუაზე მოყვანას მე მივხედავდი. ანტონ (იგივე ავთო) ადუაშვილის დასჯასთან დაკავშირებული საუბრები ჩემსა და სოსოს შორის სხვადასხვა შეხვედრის დროს ისევე გრძელდებოდა. მე ანტონის დასჯაში ვგულისხმობდი ფიზიკურ გასწორებას, მის ცემას. დიდი ფიქრის შემდეგ, გადავწყვიტე, მენახა ისეთი პიროვნება, ვინც შეძლებდა ანტონ ადუაშვილის ფიზიკურად ცემას, ასე ვთქვათ, დაინვალიდებას, გონების დაკარგვამდე ცემას. აღნიშნულის განსახორციელებლად, მე გადავწყვიტე, მენახა სანდო პიროვნება” („გურია ნიუსი” 2013. 6. 04)**

**– ამ ჩვენებას სოსო ეჭვის ქვეშ აყენებს, როგორც სოციალური ქსელებიდან გავიგე. თქვენ რას იტყვით?**

**(გაგრძელება 73-ე გვერდზე)**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორ დაისჯება ის ადამიანი, რომელმაც ფსიქიკურად შეშლილ მდგომარეობაში ჩაიდინა მკვლელობა ან ამგვარი ავადმყოფობით დაავადდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო, არ შეეძლო, გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ანდა, ეხელმძღვანელა მისთვის, თუნდაც ჩადენილი იყოს მკვლელობა. თუ დანაშაული შერაცხადმა პირმა ჩაიდინა, მაგრამ, ის ფსიქიკურად დაავადდა განაჩენის გამოტანამდე, რის გამოც არ შეუძლია, ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას, პირი სასამართლოს მიერ შეფარდებულ სასჯელს გამოჯანმრთელებამდე მოიხდის შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში.

**კითხვა: იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა არ იცის, რომ მის მიერ ჩადენილი მოქმედება წარმოადგენს დანაშაულს და ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე სჩადის ამას, მაგრამ, შემდეგ აღმოჩნდება, რომ დანაშაული აქვს ჩადენილი, გთხოვთ, განმიმარტოთ, ითვალისწინებს თუ არა კანონი ამ პირობებში სასჯელს?**



პასუხი: განგიმარტავთ, რომ ის, ვინც არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც სჩადის, აკრძალულია, არ დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა მისატევებელია. შეცდომა კი მისატევებელია მაშინ, თუ შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას. როცა შეცდომა მისატევებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისთვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება სისხლისამართლებრივი წესით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ზოგადად რა მიზნით ენიშნება დამნაშავეს სასჯელი და, არის თუ არა ის სასჯელი შურისძიება ჩადენილი ქმედებისთვის?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ სამართლიანობის აღდგენა ერთგვარი შურისძიების მომენტებსაც შეიცავს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რას ნიშნავს მსჯავრდებულთან სამოქალაქო შეთანხმების გაფორმება და ვინ აფორმებს სამოქალაქო შეთანხმებას?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ პროკურორს შეუძლია, პირობით მსჯავრდებულის ყოფაქცევის გათვალისწინებით, მასთან გააფორმოს სამოქალაქო შეთანხმება, თუ მას აქვს სურვილი და შესაძლებლობა, გარკვეულ სფეროში საკუთარი ცოდნა და გამოცდილება სხვებს გაუზიაროს. სამოქალაქო შეთანხმებით განისაზღვრება პირობით მსჯავრდებულის მოვალეობები, ასევე, დრო, რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულდეს აღნიშნული მოვალეობები და რომლის გასვლის შემდეგაც პირობით მსჯავრდებულს შეიძლება გაუუქმდეს პირობითი მსჯავრი და მოეხსნას ნასამართლობა. სამოქალაქო შეთანხმებით, პირობით მსჯავრდებულის მიერ ნაკისრი მოვალეობების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს პრობაციის ბიურო, რომელიც პროკურორს პერიოდულად წარუდგენს ინფორმაციას ამ შეთანხმების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რას ნიშნავს არასრულწლოვნის საზედამხედველოდ გადაცემა და ვის უნდა გადაეცეს არასრულწლოვანი პირი საზედამხედველოდ?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ საზედამხედველოდ გადაცემა ნიშნავს მშობლისთვის ან მისი შემცვლელი პირისთვის, ანდა, სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოსთვის იმ მოვალეობის დაკისრებას, რომ მან აღმზრდელობითი ზეგავლენა მოახდინოს არასრულწლოვანზე და კონტროლი გაუწიოს მის ყოფაქცევას.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ და რა გარემოებების მიხედვით ხდება არასრულწლოვანზე ზიანის ანაზღაურების დაკისრება?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ არასრულწლოვნისთვის ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებისას, სასამართლო ითვალისწინებს მის ქონებრივ მდგომარეობას და შრომით ჩვევებს ზოგადად.



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი**
**ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული პირისთვის იმ შემთხვევაში, როდესაც, ვალების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, მან მთელი თავისი ქონება სხვაზე გადააფორმა და ისევ თვითონ იყენებს?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ ქონების გადამალვა ხდება მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით. კერძოდ, საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ქონების გადამალვა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით, ჩადენილი მოსალოდნელი ან/და უკვე არსებული ქონებრივი ვალდებულებისთვის თავის არიდების მიზნით, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ვადით 170-დან 200 საათამდე, ან, გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით 2 წლამდე, ან, თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2-დან 4 წლამდე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ იცავს საქართველოს კანონმდებლობა უკანონო გარიგებების არსებობას სახელმწიფო შესყიდვებისას და არსებობს თუ არა საერთოდ რაიმე პასუხისმგებლობა ტენდერში მონაწილე სუბიექტების მიმართ?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პროცედურებში მონაწილეობისას შესყიდვებში მონაწილე სუბიექტების მიერ წინასწარი შეთანხმება ან სხვა გარიგება თავისთვის ან სხვისთვის მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2 წლამდე. ამგვარი ქმედებისთვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

# ინტიმური საუბრები

## დედამთილმა ოჯახი დამინგრია

გამარჯობა! ხშირად ვკითხულობ თქვენს ჟურნალს. არ მეგონა, ოდესმე თქვენ თუ მოგწერდით პირადი ცხოვრების შესახებ, მაგრამ, მკითხველების გულახდილმა წერილებმა მეც გადამაწყვეტინა, მომეწერა.

ორი წელია, გათხოვილი ვარ. ოჯახი სიყვარულით შევქმენი, თუმცა, მხოლოდ სიყვარული არ ყოფილა საკმარისი ოჯახის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად. სამწუხაროდ, ჩემი ოჯახი დაინგრა. არ მინდა, ვინმემ ცუდად გაიგოს, მაგრამ, ეს ჩემი დედამთილის გამო მოხდა. ის ძალიან მძიმე ხასიათის ქალია. ჩემი ქმარი დილიდან საღამომდე მუშაობდა და სახლში მხოლოდ მე და დედამისი ვიყავით ხოლმე. თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი მის პრეტენზიებსა და ჭირვეულ ხასიათს და არაფერზე ვეკამათებოდი – ჯერ ერთი, უფროსი იყო, თან, ჩემი ქმრის ხათრით არ ვიმჩნევდი. არ მინდოდა, საღამოს დაღლილი რომ დაბრუნდებოდა სახლში, ენერვიულა და ამიტომ არაფერს ვეუბნებოდი, მაგრამ, თურმე, უნდა მეთქვა. რა დღეშიც მაყენებდა დედამისი და დღეს ოჯახი მექნებოდა.

ჩემი დედამთილი ყველაფერში ერეოდა, ჩემს პირადულშიც კი. შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ, მაიძულებდა, მისი გემოვნებით ჩამეცვა, ფრჩხილის ლაკის ფერსაც კი თვითონ მირჩევდა; ის საჭმელი უნდა მეჭამა, რაც მას უყვარდა და ასე შემდეგ, თუ არადა, მთელი დღე საყვედურებით მავსებდა. გარდა ამ ყველაფრისა, ჩემს კარადებსა და უჯრებში იქექებოდა, ჩემს ესემესებს კითხულობდა. რას ეძებდა, ახლაც ვერ ვხვდები.

ჩემი მშობლების ოჯახში სულ სტუმარი იყო, ამათთან კი მეზობელიც არ შემოდიოდა, რაც ძალიან მიკვირდა. მერე გავიგე, რომ ყველასთან ნაჩხუბარი ყოფილა. საერთოდ, საკუთარი თავის გარდა არავინ მოსწონდა, სულ თავის ქებაში იყო. ამას გარდა, მე და ჩემს ქმარს ყველაფერს გვაყვედრიდა და უსაქმურებსა და უმაქნისებს გვეძახდა; ჩემ გარეშე საცოდავები იქნებითო.

ორსულად რომ დავრჩი, გამიხარდა, მეგონა, ეს მაინც შეცვლიდა ჩემს დედამთილს, მაგრამ, პირიქით მოხდა – უარესად დაიწყო ჩემი გაკონტროლება და ძალიან უკმაყოფილო იყო, რადგან ექიმმა წოლითი რეჟიმი დამინიშნა და სახლის საქმეებს ძველებურად ველარ ვაკეთებდი.

ერთხელ ჩემმა ქმარმა ჩვენს ცალკე გადასვლაზე ჩამოაგდო ლაპარაკი (მის ძმას დაკეტილი ბინა ჰქონდა და იქ უნდოდა გადავსულიყავით), მერე კი, ბავშვი 2-3 წლის რომ გახდება, ეგებ მეც შევძლო ბინის ყიდვაო. ამაზე დედამისი გადაირია: რას მიქვია ცალკე გასვლა; გადით ერთი, ვნახავ, რას იზამთ, არაფრის მაქნისები თავს როგორ შეინახავთო. მერე კი მე მომიბრუნდა და გამლანძღა – ყველაფერი შენი ბრალია. რაც შენ შემოხვედი ამ ოჯახში, ჩემი შვილი მე აღარ მეკუთვნის. მე ვერც ბინას გაგიყოფ და ვერც შვილს და, რაც გინდა, ის ქენიო. ჩემი ქმარი რომ მოდიოდა სახლში, ყველა წვრილმანს უყვებოდა, ოღონდ, ისე, როგორც თვითონ აწყობდა. ამდენი ნერვიულობის გამო ცუდად გავხდი და 5 თვის მუცელი მომეშალა. ისე მძიმედ ვიყავი, 10 დღე საავადმყოფოში ვიწექი და არ მახსოვს, იქ როგორ წამიყვანეს. ექიმმა მკურნალობა დამინიშნა და მირჩია, ჩემებთან გადავსულიყავი, მაგრამ, ჩემი დედამთილი არ დათანხმდა – მე მივხედავო. ცოტა ხანს მართლაც კარგად მექცეოდა, მაგრამ, როგორც კი ფეხზე დავდექი, მაშინვე მომახალა: შენი ბრალია, მუცელი რომ მოგეშალა. ისტერიკები დაიმართე, ყურადღება რომ მიგექცია და ხომ მიაღწიე, რაც გინდოდაო. ამ ყველაფრის მერე მე პირველად ვუამბე ჩემს ქმარს, რა დღეშიც ვყავდი დედამისს. თავიდან დამამშვიდა – ცალკე გავალთ, ცოტა კიდევ მოითმინეო. არ მინდოდა ოჯახის დანგრევა და დავთანხმდი. დედამთილის გამოხდომებს კი ყურადღებას აღარ ვაქცევდი (უფრო სწორად, ვცდილობდი, აღარ მიმექცია). ამასობაში კიდევ დავფეხმძიმდი, მაგრამ, ორ თვეში ისევ მომეშალა. ექიმებმა ვირუსს დააბრალეს და ანალიზის გაკეთება მომთხოვეს, მაგრამ, აღარ გავიკეთე, რადგან ჩემმა დედამთილმა ახალი ბრალდება წამომიყენა, რომ ავადმყოფი ვიყავი და შვილი არასდროს მეყოლებოდა. თანაც, ამას ყველგან ამბობდა. მერე დედაჩემმა თავისთან წამიყვანა და, ყველაფერი რომ ვუამბე, აღარ გამიშვა ქმრის ოჯახში და მითხრა, ჩვენ გიყიდით ბინასო, მაგრამ, ჩემს ქმარს დედამისმა ისევ არ მისცა უფლება, ცალკე გვეცხოვრა; გარდა ამისა, არ ვიცი, რა უთხრა თავის შვილს, მაგრამ, ქმარს ჩემთვის აღარც კი დაურეკავს. მხოლოდ ერთხელ დარეკა და მითხრა: დედაჩემი თუ არ გინდა, შენ შენთვის იყავი და მე ჩემთვისო. ამის მერე რაღა უნდა მეთქვა. მალე ჩემებმა სამსახური მიშოვეს. ახლა ვმუშაობ და ისე ცუდად აღარ ვარ. ადრე, ამდენი ნერვიულობის გამო, ხშირად ვითიშებოდი ხოლმე, ახლა კი სამუშაოზე ვარ გადართული. იმედია, დავივიწყებ ცუდს, ჩემი ქმარიც მოვა ჭკუაზე და ისევ შევრიგდებით. ძალიან მინდა, რომ ნორმალური ოჯახი მქონდეს.

ყოველი შემთხვევისთვის, ჩემს სახელს ვცვლი.

**ესმა, 24 წლის.**

## ქალმა თუ მოინდომა...

ერთი ქალი ცხოვრობს ჩვენს მეზობლად. ისეთი ავი და აშარია, ყველასთან ნაჩხუბარია და თითქმის არავინ ელაპარაკება. ქალ-ვაჟი ჰყავს და ორივე თავისნაირი გაზარდა, განსაკუთრებით – გოგო. ქმარი ხომ, საერთოდ დააზომბა. მეზობლები ამბობენ, ალბათ, რამე ჯადო გაუკეთა, თორემ, კაცის ასე შეცვლა როგორ შეიძლებოდაო. ყველაფერზე ეჩხუბება, სულ პრეტენზიები აქვს ქმართან და სულ თავს აყვედრის – ჩემისთანა ცოლს ეღირსე და ვერ შეიფერეო. არადა, ყველამ ძალიან კარგად იცის, როგორ გახდა მისი ცოლი.

ქმარი (პირობითად ჯემალი დავარქვათ) იმ უბანში დაიბადა და გაიზარდა და ამიტომ კარგად ახსოვთ მეზობლებს, როგორი ბიჭი იყო. მართალია, ქალები უყვარდა და ხან ვისთან დადიოდა და ხან – ვისთან, მაგრამ ყველას უყვარდა, რადგან, მშრომელი და უბოროტო იყო; თუ ვინმეს რამე დასჭირდებოდა ან გაუჭირდებოდა, დაუზარებლად ეხმარებოდა. ერთ დღეს კი ლამაზი გოგო მოიყვანა სახლში და გამოაცხადა, ცოლი შევირთეო. ძალიან გაგვიხარდა, რადგან გვინდოდა, ცოტა დადინჯებულიყო და პირადი ცხოვრება აეწყო, მით უფრო, რომ მოხუცი მშობლები ჰყავდა, რომლებიც რაიონში გადავიდნენ საცხოვრებლად და, პრაქტიკულად, არავინ ჰყავდა მიმხედავი. თავიდან ძალიან შეხმატკბილებულად ცხოვრობდა ცოლთან, რამდენიმე თვის შემდეგ კი მათი სახლიდან სულ ჩხუბის, ყვირილისა და ტირილის ხმა ისმოდა. თავიდან ვერავინ ხვდებოდა, რაში იყო საქმე, მერე კი ყველაფერი გაირკვა (ხომ იცით, არაფერი იმალება): თურმე, ჯემალის ცოლს, მარინას, ერთი დაქალი ჰყავდა, რომელსაც ჯემალი მოსწონებია და მარინას ჩუმად დაუწყია მასთან სახლში სიარული. ცხადია, სპეციალურად ისეთ დროს დადიოდა, როცა ჯემალი მარტო იყო. როგორც ჩანს, თავიდან ვერაფერი გააწყო და რამდენჯერმე გამოაგდო კიდეც ჯემალმა სახლიდან, მაგრამ, ხომ იცით, ქალმა თუ მოინდომა, წინ ვერაფერი დაუდგება. ჰოდა, ამ დაქალმა, ნინომ, იმდენი იჩალიჩა, რომ ჯემალის საყვარელი გახდა. ეს რომ გაინაღდა, უფრო შორს მიმავალი გეგმები დაისახა: გადაწყვიტა, ჯემალი და მარინა ერთმანეთისთვის დაეშორებინა და თვითონ გაჰყოლოდა ცოლად. ამ მიზნით, ყოველთვის, როცა ჯემალისგან ბრუნდებოდა, სახლში თავის რამე ნივთს ტოვებდა, რომ შინ დაბრუნებულ მარინას ეპოვა და ცოლ-ქმარს შორის უთანხმოება მომხდარიყო. გამიგია, როცა სხვა ქალები ცოლიან მამაკაცთან აბამენ რომანს, ისეთ ადგილას ხვდებიან, რომ ვერავინ დაინახოს, ვერავინ ვერაფერი გაიგოს, ნინო კი მიზანდასახულად იქცეოდა – მხოლოდ ჯემალის სახლში მიდიოდა პაემანზე და თან, როგორც უკვე გითხარით, თავის ნივთებს ტოვებდა. ამ ვერაგი ქალის მიზანმა და მცდელობამ გაამართლა: მარინა სახლიდან წავიდა. ნინოსაც ეს უნდოდა – მეორე დღესვე მიაკითხა ჯემალს და იქიდან აღარც წასულა. არ ვიცი, რა გაუკეთა ამისთანა, მაგრამ ეს თავმომწონე ბიჭი, რომ იტყვიან, თითზე დაიხვია – რასაც უნდოდა, იმას აკეთებინებდა, სულ თავის ჭკუაზე ატარებდა. მეზობლები ვერ იტანდნენ ნინოს და ზოგიერთი ჯემალს პირდაპირ ეუბნებოდნენ კიდეც, ოჯახი როგორ დაანგრიე, ისეთი კარგი გოგო როგორ გაუშვი სახლიდანო, ეს კი პასუხსაც არ სცემდა. ნინომ იფიქრა, ამ მეზობლებმა ჩემზე გული არ აიცრუებინონო და იმდენი მოახერხა, ქმარი ყველა მეზობელთან წააჩხუბა და დაამდურა. მერე მიყოლებით გაუჩინა ორი შვილი, ამით განიმტკიცა პოზიციები და მთლად გაბატონდა ოჯახში. მაგრამ, მეზობლებთან დამდურება არ იკმარა და ისეთები ჩაიდინა, ჯემალის უახლოესი ნათესავებიც კი აღარ მიდიან მათთან და არც თავისთან ეძახიან. ეს საწყალი ქმარი ხომ ბოლომდე გამოათაყვანა, მაგრამ, შვილები გაზარდა იმისთანა, მტრისას, ვის ოჯახშიც ისინი შევლენ. ისეთი საძაგლები და გველაძუები არიან, ნინო იმათთან რას მოვა.

ამ ყველაფერს იმიტომ გწერთ, რომ ჯემალიც მეცოდება და მისი შვილებიც. ასეთი ცოლი და დედა რომ ჰყავთ. მინდა, ეს წერილი ნინომ წაიკითხოს და მიხვდეს, მისი ცუდქალობის შესახებ მთელმა უბანმა იცის და ანგელოზად ნუ გვაჩვენებს თავს. ღმერთო, მაპატიე და, არც ფარისევლური „ღვთისმოსაობა“ უშველის.

**თამილა, 56 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**კარგა ხანია, ქართველი მაყურებელი ყოველკვირეულად ადევნებს თვალს ახალგაზრდა წყვილის – ქეთისა (შორენა ბეგაშვილი) და კოტეს (კახა ჯოხაძე) ცხოვრებას. ჩვენს იტერვიუში მათი სცენური და რეალური ყოფის დეტალებზე ვისაუბრებთ.**

# რის გამო ჩაშალა გადაღება შორენა ბეგაშვილმა და რა პრობლემებმა იჩინა თავი ქეთისა და კოტეს ოჯახში



**კახა: „მე ყოველთვის ვხალისობ საძინებლის სცენებზე“**

**– ქეთი და კოტე, როგორ დაიწყო თქვენი ერთობლივი ცხოვრება?**

**შორენა**: ტკბილად, ბედნიერად, ჩხუბისა და სკანდალების გარეშე, როგორც ყველა ოჯახში. ასევე, რომანტიკული ჟესტებით, თუმცა, შემდეგ, როგორც ყველა ოჯახში, ჩვენთანაც დაიწყო წუწუნი ფულზე, სამსახურზე, დედაზე, მამაზე...

**– და ქმარი დროს რომ ვერ გითმობს, კიდევ იმაზე...**

– მაგაზეც.

**კახა**: ტიპური ქართული ოჯახია – ახალგაზრდა ოჯახი, სადაც პრობლემებსაც ხშირად ვაწყდებით. ეს კონკრეტული ოჯახი კი არაა, არამედ, ახალგაზრდა ოჯახების ზოგადი მოდელია. რაც საშუალო ფენის ყველა ოჯახში ხდება, უფრო სწორად, უმრავლესობაში, იგივე ხდება ჩვენთანაც. პრობლემებიც ისეთივე გვაქვს, რასაც დღევანდელ ქართულ ოჯახებში ვაწყდებით: უსახსრობა, არა ისეთი შემოსავალი, როგორიც ერთეულებს აქვთ, არამედ სტანდარტული, ჩვეულებრივი, საშუალო ფენისთვის დამახასიათებელი.

**შორენა**: თუმცა, ეს არ აკმაყოფილებს ჩემს მოთხოვნებს.

**კახა**: რა თქმა უნდა, ყოველთვის ასეა. გარდა ამისა, სერიალში იკვეთება სიდედრის ხაზი, სიმამრისაც, მამამთილისაც, დედამთილისაც; ერთადერთი, ჯერ შვილი არ არის, თორემ, დანარჩენი ყველაფერია.

**– ელოდებით?**

– არა.

**– განიცდით?**

**შორენა**: ასეთი ტემპებით თუ ვიმუშავეთ, შვილი არც გვეყოლება არასდროს. ოჯახში სულ ამაზეა არის ჩხუბი. რა დღეში ვარ, ხვდებით, ალბათ.

**– კოტე ხომ არ გღალატობს?**

– არა, ვუყვარვარ.

**კახა**: არა, არ ვღალატობ.

**– არც თვალები გაგირბის?**

– თვალი ყველას გაურბის. მაგას ვერავინ დამაჯერებს, – არაო, მაგრამ...

**შორენა**: მოხვალ შენ სტუდიაში *(იცინის)!*

**– კახა, კულინარიულ შედევრებზე მიამბე, მეუღლე საღამოობით რომ გახვედრებს ხოლმე.**

– ქეთი რამდენადაც კარგია ვიზუალურად, იმდენად ცუდად იცის საოჯახო საქმეები – ეს დღესავით ნათელია.

**შორენა**: მაკრიტიკე ახლა!

**– ქეთი და კოტე რატომ დაირქვით?**

**კახა**: სახელებს ხომ ძირითადად მშობლები არქმევენ.

**– თქვენს წინაპარ ქეთოსა და კოტეს იცნობდით?**

– სამწუხაროდ, ვერ მოვესწარით. გაგვიგია, რომ კარგი ადამიანები იყვნენ.

**– ისინი უფრო სრულყოფილები იქნებოდნენ?**

**შორენა**: არ ვიცი...

**კახა**: ხალხის დასანახავად, თორემ, პრობლემები იყო, არის და იქნება. ალბათ, იმათაც ექნებოდათ პრობლემები.

**– „ქეთი და კოტემდე“ თუ გქონდათ ერთად მუშაობის გამოცდილება?**

**შორენა**: ვაკის თეატრალურ სარდაფში ვმუშაობდით ერთად, ერთ სპექტაკლში გვიმუშავია, მაგრამ, ერთ სცენაში ერთად არ ვყოფილვართ დაკავებული. არ გაგვჭირვებია ერთად მუშაობა. მსახიობები ვართ და გვესმის, რაც არ უნდა გავაკეთოთ, თუნდაც ზედმეტი მოგვივიდეს გადაღების დროს, ვიცით, რომ ეს არის მხოლოდ როლი. ტვინი იმდენად გახსნილი გვაქვს, რომ ვიცით: რაც ხდება გადასაღებ მოედანზე, რჩება გადასაღებ მოედანზევე. ძალიან მარტივად და ადვილად შევეწყვეთ ერთმანეთს.

**– ვხვდები, საით მიგყავს საუბარი. ალბათ, რაღაც კომენტარები ყოველთვის მოჰყვება თქვენს სერიებს. კახასთან რა ხდება ამ მხრივ? „რა, ბიჭო, შორენასთან მუშაობ?“ ამგვარებიც არის?**

**კახა**: ჰო. ბუნებრივიც არის, რომ ბევრ კოლეგას „შურს“. შურთ და შურდეთ! ორივემ ვიცით, რა არის პროფესია. გემრიელად და კარგად ვმუშაობთ. პრობლემა ან რამენაირი უხერხულობა არასდროს ყოფილა გადაღებაზე. იმ ფარგლების და იმ ჩარჩოში არ არის შორენა ამ სერიალში, რომელსაც ძალიან ბევრი იცნობს, თუნდაც იგივე ყბადაღებული, ვიხმარ ამ სიტყვას – სექს-სიმბოლო. ერთი რამაა: ზოგიერთი ვერ ხვდება, რომ შორენას აქვს სხვა ისეთი შესაძლებლობებიც, რაც აგრეთვე დასაფასებელია და ისიც უნდა დაინახო. მარტო შენ რაც გახსოვს, თუ მხოლოდ ის დაინახე, ეგრე სადაა?! მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ სწორედ შორენაა სერიალში ჩემ გვერდით და არა სხვა.

**– რეალურ ცხოვრებაში როდის გაიცანით ერთმანეთი?**

– დაახლოებით ხუთი წლის წინ.

**შორენა**: უფრო მეტი.

– გავიდა დრო... გაცნობისას დამწყები მსახიობები ვიყავით. გავიდა დრო უკვე ჩამოვყალიბდით მსახიობებად. აღმოჩნდა, რომ საკმაოდ ბევრი რამ ვისწავლეთ, თუმცა, იმ პერიოდში ასე არ ვფიქრობდით. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება შენი პედაგოგი. ჩვენ გაგვიმართლა. მე ვიტყოდი, რომ ოთარ ეგაძისგან უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე თეატრალურ უნივერსიტეტში, რადგან, სტუდენტობის პერიოდში არ მეცალა, ბავშვი პატარა მყავდა, გავრბოდი-გამოვრბოდი. არც ვიცოდი, მინდოდა, თუ არა მსახიობობა. მერე ყველაფერი გამოცდილებამაც მოიტანა და იმანაც, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდი. ბევრი მეუბნება, რატომ ხარ „ქეთი და კოტეში“, არ არის ეგ საშენოო... რატომაც არა?! ყველაფერში უნდა მოსინჯო თავი, თუნდაც კომედიურ ჟანრში, ან დრამატულში... კიდევ ერთი, ჩემთვის ეს არის გამოცდილება, რასაც ძალიან ვაფასებ.

**კახა**: ზოგს ჰგონია, რომ ვერთობით და ძალიან იოლია ეს პროფესია. სინამდვილეში კი ასე არაა.

**შორენა**: სასაცილო მომენტებიც არის, მაგალითად, წინა სერიაში კოტე გამომეცხადა ბეტმენის ფორმით, რის გამოც, ფაქტობრივად, ძალიან ბევრი დუბლი ჩავშალე, რადგან, რომ ვტრიალდებოდი და ვხედავდი, მიჭირდა სერიოზული სახის დაჭერა. ხშირია მსგავსი სიტუაციები და, ალბათ, ოდესმე ეს მომენტებიც გავა ეთერში.

**შორენა: „ასეთი ტემპებით თუ ვიმუშავეთ, შვილი არც გვეყოლება არასდროს. ოჯახში სულ ამაზეა ჩხუბი. ალბათ, ხვდებით, რა დღეში ვარ“**

**–კვირაში რამდენი გადაღება გაქვთ?**

– კვირაში ერთი გადასაღები დღე გვაქვს და ვიღებთ ერთი კვირის მასალას.

**კახა**: ოთხი სერიაა, თითოეულში არის 3 სცენა. ძალიან სახალისოა საძინებლის სცენები.

**შორენა**: იმიტომ რომ მე მაცვია ჩემი შვილის, გულებიანი პიჟამა, კახასაც – მსგავსი საოცრებები.

**კახა**: მე ყოველთვის ვხალისობ საძინებლის სცენებზე – ამ სცენებში სახალისო ამბები ხდება.

**ეკა სალაღაია**


## მადლობა

ულრმეს მადლობას ვუხდი და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ სამშობიარო „იმედის კლინიკის“ მთავარ ექიმს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **დავით კობეშავიძეს** და სამშობიაროს მთელ კოლექტივს. თქვენი პროფესიონალიზმითა და გულისხმიერებით ნამდვილად დგახართ ქვეყნისა და ერის სამსახურში! კიდევ მრავალი პატარას დაბადება გეხარებინოთ საქართველოსთვის!

**უდიდესი პატივისცემითა და მადლიერებით,**
**თამუნა ახობაძე**

# როგორ გვეხმარება „ბაკურიანის“ წყალი წონის დაკლებაში

გაზაფხულს წელს ცოტა დააგვიანდა, მაგრამ ქუჩაში გასვლისას, წვიმიანი თუ ქარიანი ამინდის მიუხედავად, მისი სურნელი ნამდვილად იგრძნობა. ამ საგაზაფხულო განწყობას, ხშირ შემთხვევაში, სპორტული, ჯანსაღი ცხოვრებისადმი ლტოლვა ერთვის თან: ზამთრის ცივ სეზონზე გაზარმაცებულები უცბად გავიაზრებთ ხოლმე, რომ ამოძრავება, რამდენიმე ზედმეტი კილოგრამის დაკლება და, ზოგადად, ფორმაში ჩადგომა არ გვაწყენდა. ჯანსაღი ცხოვრების წესი კი ყოველდღიურად მიღებული წყლის აუცილებელი დოზის გარეშე წარმოუდგენელია – ამაზე ყველანი ხშირად ვსაუბრობთ. ოქროს წესად იქცა დღე-ღამის განმავლობაში 1.5-2 ლიტრი წყლის მიღება. ადამიანები, რომლებიც ჯანსაღი ცხოვრების წესს ირჩევენ, ამ ოქროს წესს არასდროს ღალატობენ და მთელი წლის განმავლობაში ყოველდღიურად იღებენ საჭირო რაოდენობის წყალს. აი, ნაკლებად მონდომებულებს და ზარმაცებს კი აუცილებლად თბილი თუ ცხელი დღეების დადგომა გვჭირდება საიმისოდ, რომ ყოველდღიურად წყლის რაოდენობის მიღება ვაკონტროლოთ. ბევრმა ისიც არ იცის, რომ წარმატებული დიეტის (თუ ზედმეტი კილოგრამებისგან გსურთ გათავისუფლება) მთავარი წინაპირობა შიმშილი კი არა, არამედ, დღე-ღამეში სავალდებულოდ 2 ლიტრამდე წყლის მიღებაა. მოგახსენებთ, რატომაც:



1. დიეტის პირველ დღეებში წონაში სწრაფად ვიკლებთ, იმიტომ რომ ბლომად სითხეს ვკარგავთ. ამიტომაც დღის განმავლობაში დიდი რაოდენობით წყლის მიღება ძალიან მნიშვნელოვანია, ორგანიზმი რომ არ გამოიფიტოს;
2. ორგანიზმმა რომ კალორიები უკეთ დაწვას, ამისთვის აუცილებელია საკმარისი რაოდენობის წყლის მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, წონაში კლებაც უბრალოდ შენელდება;
3. კალორიების წვის დროს ორგანიზმი ტოქსინებს გამოყოფს, რომელთაგან გასათავისუფლებლადაც დიდი რაოდენობით წყალი გვესაჭიროება.
4. წყლისგან გამოფიტვა ორგანიზმში სისხლის რაოდენობის შემცირებას იწვევს. ამის შედეგად კუნთებს ნაკლები ჟანგბადი მიეწოდება, ჟანგბადის ნაკლებობა კი დაღლილობის შეგრძნებას მოგგვრით;
5. ჭამის დროს წყლის დალევას დადებითი ეფექტი აქვს: ასე, გაცილებით ადრე იგრძნობთ თავს დანაყრებულად და რეალურად ნაკლები რაოდენობის საკვები გექნებათ მირთმეული.

წყლის დასალევად წყურვილის გრძნობას ნუ დაელოდებით – გვირჩევენ დიეტოლოგები. თუ თქვენ მოგწყურდათ, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმში წყლისგან გამოფიტვის პროცესი დაწყებულია. მნიშვნელოვანია, რომ წყლის დალევა ჩვევად აქციოთ, რასაც ყველა თავისებურად ახერხებს. საკუთარი მაგალითი შემიძლია, გაგიზიაროთ და გითხრათ, რომ იმისათვის, ეს წესი ჩვევად მექცია, დაახლოებით ერთი კვირა დამჭირდა. ამაში კი „ბაკურიანის” წყლის 1.5-ლიტრიანი ბოთლი დამეხმარა, რომელსაც ყოველ დილით, სამსახურში მისვლამდე, ეზოს პატარა მარკეტში ვყიდულობდი.

წყლის ამდენ სახეობაში რატომ „ბაკურიანი”?! ახლავე მოგახსენებთ.

უმთავრესი ჩემთვის „ბაკურიანის” წყაროს წყლის უნიკალურობა იყო: უპირველესად, ის, რომ „ბაკურიანის” წყალი სიცოცხლისუნარიანობისათვის საჭირო დაბალანსებული მიკროელემენტების საუკეთესო ნაკრებია. იმის გააზრება, რომ წყლის მიღებით ორგანიზმისთვის აუცილებელი ყველა მინერალის ათვისება და წყლის ბალანსის სრულად აღდგენა შეგიძლია, მერწმუნეთ, ძალიან კომფორტულია.

გარდა ამ სასარგებლო თვისებებისა, „ბაკურიანის” წყაროს წყალში მისი სასიამოვნო გემოც მხიბლავს: ტყუილად კი არ გვარწმუნებენ სპეციალისტები, რომ მაღალი ხარისხის მინერალურ წყალს გემრიელი და გამორჩეული გემო უნდა ჰქონდეს!

ამიტომაც, მიმაჩნია, რომ წყაროს წყალი „ბაკურიანი” საუკეთესოა წყურვილის მოსაკლავად და სხეულის წყლის ბალანსის აღსადგენად.

**ანა თაყაიშვილი**





# როდის არის ქალისა და მამაკაცის სასიყვარულო ურთიერთობა ჩავარდნისთვის განწირული

**სიყვარულსა და ომში ყველა ხერხი გამართლებულიაო, ამბობენ; თუმცა, ალბათ, ბოლომდე ვერ დავეთანხმები ამ მოსაზრებას. ჯერ ერთი, გააჩნია სიყვარულს და გააჩნია ომს. ალბათ, იგულისხმება ომი, როცა შენს ქვეყანას იცავ და ჭეშმარიტი სიყვარული. მაგრამ, მორალური პრინციპების დაცვას საზოგადოება ჩვენგან მაინც ითხოვს. სხვა საქმეა, რამდენად ვაქცევთ საზოგადოების აზრს ყურადღებას და არის თუ არა, გადამწყვეტ მომენტში ის ჩვენთვის მნიშვნელოვანი. ზოგჯერ გაცილებით ჯობია, უსმინო მხოლოდ საკუთარი გულის კარნახს და გააკეთო ის, რაც მართლა გინდა. მთავარია, საკუთარ თავთან პირისპირ დარჩენილმა არ თქვა, რომ ბედნიერება ხელიდან შენი უმოქმედობის გამო გაუშვი...**

**სოფო** *(36 წლის):* ჩემი სიყვარული თავიდანვე ჩავარდნისთვის იყო განწირული და, გეტყვით, რატომაც – სტერეოტიპებზე „გამოკიდებული“ ადამიანი ვარ, უფრო სწორად – ვიყავი. მაგრამ, დროზე მივხვდი, რომ ცხოვრებას დავინგრევდი ამ სისულელეებით და უარი ვთქვი იმაზე, რისიც ყოველთვის მჯეროდა. ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ ძალიან არის დაკომპლექსებული. ვითომ ცდილობენ, ისე წარმოჩნდნენ, თითქოს თავისუფლები და ევროპულად მოაზროვნეები არიან, მაგრამ, რეალურად ჯერ კიდევ ვერ განვითარდნენ.

**– რას გულისხმობთ კომპლექსებსა და განუვითარებლობაში?**

– გეტყვით. მთავარი კომპლექსია: „რას იტყვის ხალხი“ და მეორე მთავარი პრობლემა – „არ მაინტერესებს, ვინ რას იტყვის“. ანუ, ორი უკიდურესობა ერთად და ერთდროულად ზის ჩვენს გონებაში. ვითომ არ ვაქცევთ ყურადღებას სხვის აზრს, მაგრამ, შინაგანად მთლიანად ამ აზრის გავლენის ქვეშ ვართ. გარეგნულად თითქოს რაღაც ძვრები არის და ნელნელა ცივილიზებულები ვხდებით, მაგრამ, რეალური თავისუფლებისგან მაინც ძალიან შორს ვიმყოფებით, იმიტომ, რომ ფასეულობები გვერევა. შინაგანი თავისუფლება ყველაფრის კადრებას და უპასუხისმგებლობას არ ნიშნავს; პირიქით, ძალიან წესიერი და ზედმეტად პასუხისმგებლიანი უნდა იყო და მაშინ ხარ კომპლექსებისგან თავისუფალი. მე აზროვნება ძალიან შემეცვალა ბოლო ორი წლის განმავლობაში, როცა პირისპირ აღმოვჩნდი სტერეოტიპებთან ბრძოლაში და უპირველესად, საკუთარ თავთან მქონდა ბრძოლები. ეს მაშინ მოხდა, როცა შემიყვარდა.

**– თქვენ თქვით, ეს სიყვარული თავიდანვე განწირული იყოო. რატომ?**

– იმიტომ, რომ ამ ურთიერთობის ბარიერი სტერეოტიპები იყო – ურთიერთობის ინიციატივა მე გამოვიჩინე, ჯერ ამან დამაკომპლექსა და ყველა შეცდომაც აქედან გამომდინარე დავუშვი... დავინახე თუ არა, მაშინვე მომეწონა. კაცზე დაფეთებული ნამდვილად არ ვყოფილვარ, რომ ჩემი საქციელი ამას დავაბრალო... მაღაზია მაქვს და ახალი კონსულტანტი მჭირდებოდა. გასაუბრებაზე მოვიდა უცნაურად ჩაცმული, მაგრამ, ძალიან ინტელექტუალური... შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ, მანამდე კაცებთან ურთიერთობისას ყოველთვის ვიცავდი ბალანსს – მიმაჩნდა, რომ სასიყვარულო ურთიერთობა მათი სამართავი იყო.

**– რატომ? ემანსიპირებული, დამოუკიდებელი ქალი, წარმატებული ბიზნესით, რატომ ფიქრობდით ასე?**

– სტერეოტიპები, ჩემო კარგო! ბიზნესი და დამოუკიდებლობა არ შველის შინაგან კომპლექსს. გარეგნულად ბევრი მოგაჩვენებთ თავს თავისუფალ ადამიანად თავისი უკომპლექსო საქციელით, მაგრამ, რეალურად, ასე ფარავენ საშინელ კომპლექსებს. ხმამაღლა არავინ აღიარებს, რომ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში მართვის სადავეები ყოველთვის ქალის ხელშია.

**– ეს არ არღვევს მათ შორის ბალანსს? კაცს ხომ უნდა წარმმართველი და ლიდერი თვითონ იყოს?**

– ერთი საკითხია, რა უნდა და, მეორეა – რას ახერხებს. „მინდა“ – ყოველთვის არ ნიშნავს „შემიძლიას.“ ქალისა და კაცის თანასწორობის პრინციპი მაშინ ირღვევა, როცა კაცი იწყებს ფიქრს, რომ მას ყველაფერი ეპატიება იმიტომ, რომ კაცია. ის, ვინც მომეწონა და მერე შემიყვარდა, ჩემზე რვა წლით არის უმცროსი. ერთი შეხედვით, თამამი ჩანდა, მაგრამ, პირველად ყავაზე მე დავპატიჟე.

**ქალისა და კაცის თანასწორობის პრინციპი მაშინ ირღვევა, როცა კაცი იწყებს ფიქრს, რომ, რადგან კაცია, მას ყველაფერი ეპატიება**

**– შეიძლება, ვერ გაბედა ასაკობრივი სხვაობის გამო, ან, იმიტომ, რომ მისი შეფი იყავით.**

– შეიძლება, არ გამოვრიცხავ... კაცები ჩვენზე – ქალებზე გაცილებით დაკომპლექსებულები არიან და მერე აქედან მოდის მათი ღალატიც, უხეშობაც, ძალისმიერი გამოვლინებებიც...

**– მისი მხრიდან საერთოდ არ იყო ინიციატივა?**

– როგორ არ იყო! სიყვარული მან ამიხსნა, მაგრამ, ნიადაგი მე მოვუმზადე – მე გავათამამე და დავარწმუნე საკუთარ გადაწყვეტილებაში. ჩემი ყოფილი შეყვარებულის მიმართ სხვა დამოკიდებულება მქონდა. „საჭე“ მას ჰქონდა მინდობილი და ვცდილობდი, „თანასწორობის პრინციპი“ არ დამერღვია, მაგრამ, მაინც არაფერი გამოგვივიდა. თვითონ ვერ შედგა როგორც პიროვნება, ცხოვრებაში ბევრს ვერაფერს მიაღწია და ჩემმა წარმატებებმა დაბოლმა. ბოლოს უკვე იმაზე დაიწყო ლაპარაკი, რომ მე ყველაფერს ლოგინიდან ლოგინში ხტუნვით მივაღწიე. ვინც შენს საქმიანობაში წაგადგებოდა, ყველას უწვებოდიო. საშინელი სკანდალით დავშორდით. მას მერე, არშემდგარ მამაკაცებს ვერიდებოდი, სტუდენტი კი შემიყვარდა.

**– ამაში თქვენ პრობლემას ხედავთ?**

– ვხედავდი, ახლა კი აღარ ვხედავ. მივხვდი, რომ მარტო ჩემი საქმეა, ვინ მეყოლება ქმრად. ჩემზე უმცროსზე გავაკეთებ არჩევანს თუ ჩემზე უფროსზე, მარტო ჩემი გადასაწყვეტია. ქალმა საჭე ხელიდან არ უნდა გაუშვას არც ერთ საკითხში და არც ერთ ფრონტზე, მით უმეტეს, როცა საქმე მამაკაცთან ურთიერთობას ეხება. ჩვენი წყვილი თავიდან საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდა: ის – 25 წლის სტუდენტი მეცნიერული მიდრეკილებებით და მე – ბიზნესვუმენი, ჩამოყალიბებული პიროვნება განსაზღვრული ფასეულობებით.

**– თქვენ შეუთავსებლად მიგაჩნიათ ასეთი თანხვედრა?**

– პრინციპში, არა. მე ამას არ დავუკომპლექსებივარ. თუმცა, ბევრი „კეთილისმსურველი“ ცდილობდა და ახლაც ცდილობს, უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჩემზე. აღარ იციან, როგორი ნეგატივი გამოუშვან და მომშხამონ. ამ ხალხს რომ ჰკითხო, ჩვენი ურთიერთობა განწირულია და არანაირი პერსპექტივა არ აქვს.

**– მიზეზსაც ამბობენ?**

– დიახ. სტერეოტიპები და ისევ სტერეოტიპები: რომ მე ქარაფშუტა, ჩამოუყალიბებელი ბიჭი (უფრო სწორად, ლაწირაკი) კი არა, ზრდასრული და სერიოზული მამაკაცი მჭირდება ცხოვრების თანამგზავრად. იფიქრებ, რომ ჩემზე მეტად შესტკივათ გული ჩემს ბედნიერებაზე... ეს ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს?! მათ გასაგონად, მთელი ხმით მინდა ვიყვირო, რომ გვერდით ნამდვილი მამაკაცი მყავს და ძალიან, ძალიან ბედნიერიც ვარ. დიახ, ურთიერთობის სათავეები მე მიპყრია ხელთ; დიახ, ამ ურთიერობის ინიციატორი მე ვიყავი; დიახ, მე ვიაქტიურე, ამით ძალიან კმაყოფილი ვარ და სხვა ქალებსაც ვურჩევ, მომბაძონ და ხელიდან არ გაუშვან თავისი შანსი.

**– თამამი მოწოდებაა.**

– რატომაც არა?! სხვათა შორის, ცოლობა თავად მთხოვა. ჩემი ინიციატივისა და ძალდატანების გარეშე.

**– ანუ, მამაკაცზე ძალის დატანებითაც**

# როგორ იპოვა ერთმანეთი მამა-შვილმა და რა მოულოდნელი სიხარული ეწვია ქალაქ სარაბულში მცხოვრებ 25 წლის ბიჭს

*50 წლის ოლღა მიხეილის ასული პოპოვა ეძებდა 48 წლის ზამირ (ტიმურ) ალიევს.*

**ისტორია**: ვეძებ: 48 წლის ზამირ (ტიმურ) ალიევს. მე ტიმური იჟევსკში გავიცანი, ერთმანეთი შეგვიყვარდა და შედეგად შვილიც გამიჩნდა, ტიმური კი 1988 წელს დროებით დაბრუნდა საქართველოში, ქალაქ რუსთავში. ძალიან მინდა მისი პოვნა. გთხოვთ, დამეხმაროთ.

**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია დაბეჭდილი იყო რუბრიკა „დაკარგულების“ 2012 წლის მაისის ნომერში. პირადად მე არც ერთი ისტორია არ მიმაჩნია დასრულებულად, სანამ ადამიანი ნაპოვნი არ იქნება, ამას კი ხანდახან დიდი დრო სჭირდება. საბედნიეროდ, ზამირ (იგივე ტიმურ) ალიევი, როგორც იქნა, გამოგვეხმაურა. ის გახარებულია შვილის პოვნით და მალე ნახავს ქალაქ სარაბულში მცხოვრებ დედა-შვილს. ზამირ ალიევის დიდი თხოვნით, მის ფოტოს არ ვაქვეყნებთ.

*ინტერვიუ ნაპოვნ ზამირ ალიევთან:*

**– ზამირ, გასული წლის მაისიდან გეძებთ, გვიამბეთ ამ ისტორიის თქვენი ვერსია – რატომ დაკარგეთ ერთმანეთი მამა-შვილმა, თქვენ ხომ იცოდით, რომ იჟევსკში შვილი გეყოლათ?**

– ყველაფერი, რაც თქვენს სტატიაში ეწერა, სინამდვილეა. მე წამოვედი იჟევსკიდან 1988 წელს და მას შემდეგ არც ოლღაზე და არც ჩემს შვილზე არაფერი ვიცოდი. შევარდნაძის დროს მართლაც მოვიხადე სასჯელი და ჩემი ციხეში ყოფნა ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო, რატომაც დავკარგე შვილი. შემდგომ საბერძნეთში ვიყავი წასული და სულ რამდენიმე თვეა, რაც ჩამოვედი. მეგობარმა მითხრა თქვენი სტატიის შესახებ – მას წაუკითხავს და მიამბო, რომ მეძებდნენ. მაშინვე დაგიკავშირდით, რადგან, შვილის პოვნა მეც ძალიან მინდა. როდესაც ეს ისტორია მოვისმინე, მაშინვე მივხვდი, რომ საუბარი სწორედ ჩემზე იყო.

**– დაოჯახებული თუ ხართ და თქვენმა ოჯახის წევრებმა თუ იციან რაიმე ამ ისტორიასთან დაკავშირებით?**

– დაოჯახებული ვარ და მყავს ორი ვაჟი. ვაპირებ, რომ მათ ყველაფერი ვუთხრა. დარწმუნებული ვარ, გამიგებენ და გაუხარდებათ კიდეც ეს ამბავი – სარაბულში მცხოვრები ბიჭი ხომ მათი ნახევარძმაა... მეუღლეც საკმაოდ გაგებული მყავს. იმედია, ყველაფერი მშვიდობით ჩაივლის.

**– როდისმე თუ გიფიქრიათ შვილის მოძებნა ან იმ ქალთან თუ გიცდიათ დაკავშირება?**

– შვილზე, ბუნებრივია, ვფიქრობდი, მაგრამ, როგორც გითხარით, ასეთი „ჩეპე“ გადამხდა თავს და ამის გამო ვერ დავუკავშირდი. შემდგომ კი წასვლა მომიწია, ამასობაში დიდი დროც გავიდა და ასე დავკარგე შვილი. დღეს მოხარული ვარ, რომ მიპოვეთ. ძალიან მინდა შვილის ნახვა. გადმოცემით ვიცი, რომ მე მგავს, თუკი მოვახერხებ, იქნებ როგორმე თავისი ნახევარძმებიც გავაცნო.

*ინტერვიუ ოლღა პოპოვასთან:*

**– ოლღა, ზამირი ნაპოვნია. როგორია თქვენი რეაქცია?**

– პირველ ყოვლისა, არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა – თქვენ დიდი სასწაული გვაჩუქეთ. მადლობა მინდა გადავუხადო, ასევე, იმ ადამიანს, ვინც ზამირს ამ სტატიის შესახებ უამბო. მე და ჩემს შვილს ძალიან გვიხარია, რომ ტიმური ვიპოვეთ. როგორც წინა ინტერვიუში აღვნიშნე, მე მისგან არაფერი მინდა, მხოლოდ ის, რომ მამა-შვილმა ერთმანეთი გაიცნოს. გავიგე, რომ დაოჯახებულია და მოხარული ვარ ამით. მეც გავთხოვდი – მყავს მეუღლე, რომელმაც იცოდა, რომ ჩემი შვილის მამას ვეძებ. იმედი მაქვს, ზამირის მეუღლეც მშვიდად შეხვდება ამ ამბავს. ჩემს შვილს ნახევარძმები ჰყოლია და თუკი მათ ურთიერთობა ექნებათ, ვფიქრობ, ამაში ცუდი არაფერია. სასწაულია, რომ ჩვენი ისტორია ასე კარგად დასრულდა. სიმართლე გითხრათ, უკვე მეწურებოდა ზამირის პოვნის იმედი. როგორც თქვენგან გავიგე, ის მართლაც ციხეში იყო და ამის გამო ველარ დამიკავშირდა, მე კი იმ დროს (1988 წელი იყო) იჟევსკის საავადმყოფოში ველოდებოდი ვაჟის გაჩენას. ამდენი წელია, მას შემდეგ გასული და თქვენი წყალობით ჩვენ ერთმანეთი ვიპოვეთ.

**– აპირებთ თუ არა შეხვედრას და მამა-შვილის ერთმანეთისთვის გაცნობას?**

– დიდი სურვილი მაქვს, რომ ტიმურმა ნახოს თავისი ვაჟი. ჩემი შვილი უკვე 25 წლისაა და მას არასდროს უნახავს მშობელი მამა. თუკი ტიმურის ოჯახის წევრები წინააღმდეგები არ იქნებიან, ძალიან გამიხარდება, თუკი ისინი ერთმანეთს შეხვდებიან.

***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

# კაცზე დაფეთებული ნამდვილად არ ვყოფილვარ, რომ ჩემი საქციელი ამას დავაბრალო

**შეიძლება დაქორწინება?**

– პრინციპში, შეიძლება. მეთოდები არსებობს და ცოტაც არაა, მაგრამ, მე არც ერთი არ გამომიყენებია. ჩვენი ურთიერთობა გრძნობაზე, ურთიერთპატივისცემაზე, ურთიერთგაგებასა და შინაგან სითბოზეა აგებული.

**– ერთ კითხვას დაგისვამთ, თუმცა, შეიძლება, ცოტა უხერხულადაც მოგეჩვენოთ: თქვენს პარტნიორს ანებივრებთ საჩუქრებით?**

– დიახ. მაგრამ, რა არის ამაში ცუდი და არაბუნებრივი? ვინც გიყვარს, გინდა, გაახარო და ასიამოვნო. თუ, მე ვარ გამონაკლისი და სხვა სხვანაირად იქცევა? დღეს თუ მე უფრო მეტი შემოსავალი და უფრო ძვირფასი საჩუქრების შეძენის საშუალება მაქვს, ბევრს არაფერს ნიშნავს. ისიც ცდილობს, თუნდაც ერთი ყვავილი მომიტანოს და გამახაროს. რომ ვატყობდე, ჩემთან გამორჩენის მიზნით არის, ეგრევე გავეყრებოდი.

**– მეუღლეა უკვე?**

– თითქმის. ურთიერთობა ოფიციალურად არ გაგვიფორმებია, მაგრამ, თუ საჭიროდ ჩავთვლი, ესეც იქნება, არ გვაქვს პრობლემა. მე, ზოგადად, საზოგადოების რეაქცია მაოგნებს – არაადეკვატურები არიან. ჩემმა რამდენიმე უახლოესმა მეგობარმაც კი გამაოცა და გამაბრაზა თავისი ლოგიკით – შენზე უმცროსია და ყველა ვარიანტში გიღალატებსო. თითქოს, მათი ათი წლით უფროსი, ღიპიანი ქმრები ანგელოზები იყვნენ. რატომ აკეთებენ შორსმიმავალ დასკვნებს, თანაც, ჩემ მაგივრად – გაუგებარია.

**– ისე, შინაგანად თქვენ თუ გიფიქრიათ ამაზე?**

– რომ, შეიძლება, მიღალატოს?!

ადამიანები ვართ და არაფერი ადამიანური ჩვენთვის უცხო არ არის. მე იმაზეც ვერ დავდებ თავს, რომ მე არ ვუღალატებ, – სერიოზულად ვამბობ ამას. ჩვენი მთავარი პრობლემა, იცით, რა არის? დღევანდელი დღით ცხოვრება არ ვიცით და წინასწარ ვნერვიულობთ, იმაზე ვიკლავთ თავს, ხვალ და ზეგ რა იქნება. ეს თქვენ ნორმალური გგონიათ? განა ვინმეს ჭკუას ვარიგებ, მაგრამ, თუ რაღაც წვლილს შევიტან სტერეოტიპების დანგრევაში, გამიხარდება.

**– კონკრეტულად, რომელი სტერეოტიპია უმთავრესად დასანგრევი?**

– ის, რომ მამაკაცია ქალისა და კაცის ურთიერთობაში წარმმართველი. რატომ ვიბრმავებთ თვალებს?! ჩვენ გარშემო ხომ რადიკალურად სხვანაირად არის ყველაფერი. თუ კაცებს უნდათ, რომ ასე იყოს და სჯერათ, რომ ასეა – ნუ შევუშლით ხელს, მაგრამ, ქალებმა მივხედოთ საკუთარ თავს, თორემ, სტერეოტიპებსა და კომპლექსებს გამოკიდებულები, მარტო დავრჩებით. ბედი ყოველთვის უნდა სცადო. რატომაც არა?!

**დალი მიქელაძე**

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**სამი წელია, გათხოვილი ვარ და, ერთი შეხედვით, კარგი ქმარიც მყავს. ყველას მოსწონს და მეც იმიტომ გავყევი, რომ მიყვარდა. მაგრამ, ახლა პრობლემები გვაქვს. საშინელი ცინიკოსია. ისეთი შხამიანი და გულისმომკვლელი რაღაცის თქმა შეუძლია, რომ გულს გაგიხეთქავს. ვეტყვი რამეს და ბრაზობს – შენ იუმორის გრძნობა არ გაქვს და ხუმრობა არ გესმისო. ყველას ხუმრობა თუ მესმის, ეს რა გახდა ამისთანა?! დამღალა მისმა კრიტიკამაც. ისეთ საწყენ სიტყვებს მეუბნება, ტირილამდე მივყავარ. არ არის ეს ფსიქოლოგიური ტერორი? კომპლექსებს მიჩენს. როგორ მოვიქცე?**

**გამოხმაურება:** ძალიან რთულია, იგნორირება გაუკეთოთ ამ ყველაფერს. ერთადერთი საშუალებაა, ემოციები „გამორთოთ“. ყოველთვის, როცა ასე მოიქცევა, იფიქრეთ იმაზე, რომ მას ასეთი ხასიათი აქვს. დაამარცხეთ სიჩუმით და სიმშვიდით. უკეთესი ალტერნატივა არ არსებობს.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**როგორ სასაცილოდ არ უნდა მოგეჩვენოთ, მთელი საქართველოსთვის შოკის მომგვრელი იყო დათოს მხრიდან ნინას ღალატის ამბავი. ამას წინათ „ფეისბუქში" მანდილოსანი წერდა: საკუთარ პრობლემებზე იმდენს რომ ვნერვიულობდე, რამდენსაც „ჩემი ცოლის დაქალების" პრობლემებზე ვნერვიულობ, ჩემი საქმე გაცილებით უკეთ იქნებოდაო. მართლაც, კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ამ სერიალის გმირების პრობლემებმა მოიცვა და საკუთარი დროებით დაავიწყა. ჩვენს ინტერვიუში ნინასთან, თინასთან და ლიკუნასთან ერთად ვისაუბრებთ.**

# რატომ აღარ უშვებენ ნინას თაყვანისმცემლები ქმრებს სტომატოლოგთან და როგორ აფასებს ის დათოს საქციელს

**– როგორ ხართ, გოგოებო? ლიკა ბავშვს ელოდება, ნინა – გაბრაზებულია, თინა – ყველას ჭკუას არიგებს...**

**მაკა ძაგანია** *(თინა)*: იცი, რა? მე მგონი, ნატაშკას ქმართან კონფლიქტის შემდეგ, თინამ გადაწყვიტა, რომ დიდად აღარ ჩაერიოს სხვის საქმეებში, თუმცა, არ გამოსდის და მაინც რაღაცეებს ამბობს ხანდახან.

**– ხასიათს ვერ ერევა... იმ ვაჟბატონს, როგორ იგერიებ, სათვალიანი და მკაცრი ნაშები რომ ევასება?**

– ვერსკის? ვიგერიებ. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, რომ თავი ავარიდო, მაგრამ, არ გამოსდის.

**– როგორ გგონია, ამჯერად იპოვა შენმა გმირმა ოცნების მამაკაცი?**

– არა მგონია, რომ ოცნების მამაკაცი იპოვა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ეგ არ ჩანს.

**ეკა ამირეჯიბი** *(ლიკუნა)*: არ მოგწონს ლაშა?

**მაკა**: როგორ არ მომწონს, მომწონს, თუმცა, ჯერჯერობით ისეთ კონდიციამდე არა ვართ, რომ ჩემი ოცნების მამაკაცი ვუწოდო. კი, სიმპათიები მაქვს, მაგრამ...

**ეკა**: რომ ჰკითხო, ძალიან წესიერი ქალია თინა. არადა, აბა, გადათვალე, უკვე მერამდენე მამაკაცია ლაშა!

**ანა ტყებუჩავა** *(ნინა)*: მე მგონია, თინა, არც ხარ შენ ისეთი ქალი, რომ ოცნების მამაკაცის გჯეროდეს.

**მაკა**: ჰო, ალბათ, არც სჯერა თინას მაგ ყველაფრის, მაგრამ, მოსწონს ლაშა, კარგად გრძნობს თავს ამ ადამიანთან ერთად და მისთვის ეს ჯერჯერობით აბსოლუტურად საკმარისია.

**– ანა, ნინას დღევანდელი გადასახედიდან რას ეტყვი იმ ადამიანებს, ვისაც სჯერათ, რომ ოცნების მამაკაცი არსებობს? შენი ოცნებები ისევ ისეთი ამაღლებულია, თუ დედამიწაზე სიარული გასწავლა ცხოვრებამ?**

– მე მჯერა, რომ არსებობს ასეთი...

**– დათო არის ასეთი?**

– ყოველ შემთხვევაში, დათო იყო ასეთი. ასე მეგონა, რომ იყო, მაგრამ, ახლა უკვე არაფერი აღარ ვიცი.

**– ახლა როგორ გააგრძელებთ ცხოვრებას შენ და დათო, აპატიებ, თუ ვერა?**

– ამაზე ლაპარაკი ადრეა. არ ვიცი.

**– ბავშვები ვისთან არიან?**

– ცოტ-ცოტა ყველასთან. მამასთანაც იქნებიან და ჩემთანაც.

**– ჯერჯერობით ასე ცხოვრებას აპირებთ?**

– ჰო.

**– შენს დედამთილს რომ გული გაუსკდეს, არ გეშინია?**

**მაკა**: ოდესმე ხომ უნდა მორჩეს საქართველოში ფიქრი დედამთილზე, მამამთილზე, მეზობელზე და დადგეს დრო, რომ ვიფიქროთ საკუთარ თავებზე?!

**ანა**: დედამთილის აზრი ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია.

**– ჩემი გადასახედიდან, ლიკას საუკეთესო დედამთილი ჰყავს.**

**ეკა**: მე მყავს ფანტასტიკური დედამთილი, რომელიც კეფირს არ მაკლებს, სულ ხელისგულზე მატარებს. არაჩვეულებრივ ოჯახში შევედი, ტუზი დამეცა.

**– ცოტა თავისებური ხასიათი აქვს შენს მეუღლეს, მაგრამ, მე მგონი, იპოვა ის საქმე, რაც მართლა მისი იყო.**

– კი, რა თქმა უნდა. ახლა ხურცილავა ცხოვრების ისეთ ეტაპზეა, როდესაც რეალიზებულად გრძნობს თავს და კმაყოფილია.

**– სამაგალითო მეუღლე ხარ, დღე-დღეზე ბავშვს ელოდები და ამ მომენტშიც კი გვერდში უდგახარ.**

– კონცერტს არ ვაცდენ. ხომ იცი, რომ კითხულობენ, თურმე: რა არის, რას მიეთრევა ეს ლიკუნა ყოველ კონცერტზე, ტორტივით რომ უზის თავის ქმარსო. ჩემს ქმარს წარმატებული პერიოდი დაეწყო და ჩემი გვერდში ყოფნა აუცილებელია ამ დროს.

**– ყველა გაგებით, არა?**

– რა თქმა უნდა.

**– აი, ნინა უშვებდა მარტოს სტომატოლოგთან და, რაც მიიღო, ვხედავთ.**

**ანა**: იცით, რა არის? თუ ქმარს უნდა ღალატი, სტომატოლოგთანაც გიღალატებს, მეზობელთანაც და პურის რიგშიც, – ამბობენ. მე არ



**ანა ტყებუჩავა: „პატიება რომ შემეძლოს, რატომ დავანგრევდი ოჯახს?!"**

ვიცი, როგორ არ უნდა შევუწყო ხელი, ან, როგორ შევუშალო, ანუ, როგორ მოვიქცე ისე, რომ მას არ გაუჩნდეს ამგვარი საქციელის ჩადენის სურვილი და აზრი.

**ეკა**: ხომ იცით, „ფეისბუქზე" რას წერენ, თურმე?! ქმრებს კბილები სულ რომ დასძვრეთ, სტომატოლოგებთან არ გავუშვებთო.

**– ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, ძალიან არ უნდოდა დათოს ღალატი, მაგრამ, თავს ვერ მოერია.**

– გააუპატიურეს თუ რა ქნეს?!

**ანა**: დათოს შემთხვევაში, მე რასაც ვუყურებ, ისე მოხდა, რომ ძალიან არასერიოზულად აღიქმება მისი ღალატი. ისე იქცევა, როგორც 16 წლის ბიჭი. ეს უფრო დამამცირებელია. ზოგადად, პიროვნება გახდა რაღაც ძალიან დაბალი დონის, თორემ, შეიძლება, მამაკაცს რაღაც პრობლემა გაუჩნდეს – შესაძლოა, რაღაცის გადამოწმების მიზნით... ან, ვიღაცამ ძალიან შეაწუხოს... ეს ძალიან ცუდია, მაგრამ, შეიძლება, რაღაცნაირი თავისებური გამართლება მაინც ჰქონდეს ამას. ამ შემთხვევაში მარტო ღალატზე არაა საუბარი, მე აღარ მომწონს ისეთი ადამიანი, როგორიც გახდა დათო, აღარ მომწონს მისი აზროვნება... ეგეთი კაცი ჩემი ოცნების მამაკაცი ვეღარ იქნება. ძალიან კონკრეტული გადაწყვეტილება მივლე – აღარ ვიქნებით ერთად!

**ეკა ამირეჯიბი: „ხომ იცი, თურმე, ამბობენ, რა არის, რას მიეთრევა ეს ლიკუნა ყოველ კონცერტზე, ტორტივით რომ უზის თავის ქმარსო"**

**– გიწონებენ შენი დაქალები ამ გადაწყვეტილებას?**

– ჩემი დაქალები იმას იწონებენ, რომ მე ვიყო ნორმალურად და ეს იყოს სიმართლეზე დამყარებული ურთიერთობები.

**ეკა**: ასეა. ჩვენ პროგრესულად მოაზროვნე სადაქალო ვართ. პირველ ყოვლისა, მოვიწონებთ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც წაადგება ჩვენს მეგობარს და არ მივეკუთვნებით იმ ქალების კატეგორიას, რომლებიც მსხვერპლად ეწირებიან რაღაცეებს და ვიღაცეებს – მეზობელმა არ თქვას რაღაც და მეზობლის ბებიამ კიდევ...

**– არადა, ძალიან გული კი დაგვწყდა...**

**თინა**: სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, – ეს ჩემს გმირს არ უნდა ეთქვა ახლა, მაგრამ... ზოგჯერ ჯობია, დაანგრიო ოჯახი, იმიტომ, რომ ასე უკეთესი იქნება შენთვისაც და შენი შვილებისთვისაც; უფრო სრულფასოვანი შეიძლება იყო ამ დროს.

**– ქართველი მამაკაცების უმრავლესობას, ღალატად ის მიაჩნია, თუ ქმარს საყვარელი ჰყავს, მაგრამ, თუ ერთი-ორჯერ ექნება ვიღაცასთან შემთხვევითი სექსუალური კავშირი, თურმე, ეს ღალატი არ არის.**

**ეკა**: მაგ მამაკაცებს მოკითხვას გადავცემთ!

**ანა**: მოვიკითხოთ ეგეთი მამაკაცები თავიანთ ნაშებთან ერთად. მე ვუსურვებ მათ, რომ ზუსტად ეგეთი ცოლები ჰყავდეთ, როგორებიც თვითონ არიან.

**მაკა**: აბსოლუტურად თანაბარი უფლებები აქვთ ქალსაც და კაცსაც და, თუკი კაცს შეუძლია ამის გაკეთება, მაშინ, ქალმაც იგივე უნდა გაუკეთოს, რომ მიხვდეს, საკუთარ ტყავზე გამოსცადოს, როგორია ღალატი.

**– ტყავზე თუ რქაზე?**

– რა მნიშვნელობა აქვს.

**ანა**: ყველა თავის არჩევანს აკეთებს: ვიღაცას, მოსწონს, რომ მისი ქმარი რაღაცაზეა დამოკიდებული, ვიღაცას – რომ მისი ქმარი თამაშობს.

**ეკა**: ვიღაცისთვის მთავარია, თვითონ არ გაიგოს და, ისე, სადაც უნდა, იქ იაროს მისმა ქმარმა.

**ანა**: ვიღაცისთვის მთავარია, რომ არ მოაკლდეს არაფერი, ვიღაცა შვილის გამო რჩება, ვიღაცას გამოსავალი არ აქვს... ყველას არჩევანსა და გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ. ამ შემთხვევაში მე ვილებ ასეთ გადაწყვეტილებას: მე არ შემიძლია, ვაპატიო და ვიცხოვრო ჩვეულებრივად. პატიება რომ შემეძლოს, რატომ დავანგრევდი ოჯახს?!

**– როგორც ვხედავ, ნინას, თინას და ლიკას რეალობაშიც პრობლემებით ცხოვრება გიწევთ, როგორც ამ ინტერვიუში.**

**ეკა**: ძალიან ხშირად მაყურებელს ეშლება რეალური ცხოვრება და კინო. მაყურებელი ხანდახან ზედმეტად პირდაპირ იღებს ყველაფერს და ავიწყდება რაღაც ზღვრის გავლება. ისე, ჩვენ არ ვემდურით მაყურებელს, გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი რეიტინგი გვაქვს. „ჩემი ცოლის დაქალები" მართლა ერთ-ერთ საუკეთესო სერიალად აღიარა ყველამ.

**ეკა სალაღაია**

# რომელ წელს გაუქმდა სასაფლაო ვერის ბაღის ტერიტორიაზე და რომელი წლიდან აღარ დადის ტრამვაი მელიქიშვილის ქუჩაზე

*წარსულში მდინარე ვერეს ქვემო წელზე განლაგებული იყო სოფელი ვერე, რომელიც გაბაშვილების მამულს წარმოადგენდა. ვახუშტი ბაგრატიონის მოწმობით, ვერეს ადრე „სკვირეთი“ რქმევია. ვერაზე გადიოდა დიღმის საქარავნე გზა, რომელიც ამჟამინდელ გმირთა მოედანთან ძველი ვერის ხიდით კვეთდა მდინარეს. ვერე რომ თბილისის უძველესი უბანია, ამას რამდენიმე ფაქტი მოწმობს, რომელთა შესახებ, ძველი ფოტოების დახმარებით, ამ ნომრიდან შეიტყობთ.*



ამჟამინდელი ვერის ბაღის ტერიტორია (ა. როინაშვილის ფოტო, მეცხრამეტე საუკუნე)

## ვერე

ვერე წყაროებში პირველად მოხსენიებულია მეცამეტე საუკუნეში. აქ აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა ცხადყოფს, რომ ეს ადგილები უფრო ადრე იყო დასახლებული. ვერაზე გადიოდა თრიალეთისკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სტრატეგიული და სავაჭრო-საქარავნე გზა. მეთვრამეტე საუკუნეში ამ გზას იცავდა საგანგებო რაზმი, ეგრეთ წოდებული „ვერის ხევის ყარაული”. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში ვერე მოიცავდა ტერიტორიას ახლანდელი მიხეილ ჯავახიშვილისა და გაბაშვილის ქუჩებიდან ბაგებამდე. მეცხრამეტე საუკუნეში აქ ახალი უბნები გაჩნდა: ვარდისუბანი, ვაკე, საბურთალო. ვარდისუბანი ახლანდელ მელიქიშვილის გამზირსა და „სემიონოვკის” (დასახლება ვარდისუბნის სამხრეთ-დასავლეთით, ვარდისგორაზე. სახელწოდება აქ ადრე განლაგებულ ჯარის ნაწილის სახელიდან უნდა იყოს წარმოქმნილი) დასახლებას შორის მდებარე ადგილს ერქვა. ადრე ერთ-ერთ ქუჩასაც (ამჟამინდელ ჯანაშიას ქუჩას) „ვარდისუბნისას“ ეძახდნენ, სადაც ამავე დასახელების სოფელი იყო. არსებული ცნობებით, ეს ტერიტორია ასკილის ბუჩქებით ყოფილა დაფარული (ასკილი ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელია) და, ალბათ, სწორედ ამიტომ მიიღო ეს პოეტური დასახელება. მეცხრამეტე საუკუნის ტფილისის გეგმაზე ვარდისუბნის დასავლეთით დატანილი იყო უბანი, სახელწოდებით - „ახალი ჰოლანდია“. აქ უწინ ტავერნა „ახალი ჰოლანდია” არსებობდა და უბნის სახელიც აქედან მოდის. ვარდისუბანი ავლაბარშიც ყოფილა, რომლისთვისაც მოგვიანებით „ძაღლის უბანი“ შეურქმევიათ.



მელიქიშვილის ქუჩა საბჭოთა პერიოდში (1940-იანი წლები)



ხედი მელიქიშვილის ქუჩაზე (1950-იანი წლები)

## ვერეს ბაღი

ადრე ამ ტერიტორიაზე ხეხილის ბაღები, ვენახები და ბოსტნები იყო გაშენებული ლურჯი მონასტრიდან მდინარე ვერეს მტკვართან შესართავამდე. შემდეგ ბაღების ნაწილი სასაფლაოს დაეთმო. 1898 წელს, როდესაც ქალაქურმა განაშენიანებამ ვერისუბნის დიდი ნაწილი დაიკავა, ეგზარქოსის თანხმობით, ქალაქის გამგეობამ სასაფლაო გააუქმა და ბაღის გაშენება დაიწყო. ვერეს ყოფილი სასაფლაოს ტერიტორიაზე შემორჩენილია დანიელ ჭონქაძისა და მისი მეუღლის, აგრეთვე, ლავრენტი არდაზიანისა და სხვათა საფლავები. საბჭოთა პერიოდში ბაღს სერგეი კიროვის სახელი მიენიჭა და 1933 წელს დაიწყო მისი კეთილმოწყობა აგრონომ-დეკორატორ ა. მაჭავარიანის პროექტით. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ბაღს ტრადიციული დასახელება დაუბრუნდა. ვერის ბაღში განისვენებენ ქართული ალპინიზმის ფუძემდებლები: ალიოშა, ალექსანდრე და სიმონ ჯაფარიძეები; დგას ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი და მერაბ კოსტავას ბიუსტი. ვერის ბაღშია ჭადრაკის სასახლე (არქიტექტორები: ვ. ალექსი-მესხიშვილი; გ. ღუდუშაური), რომელიც 1973 წელს აშენდა ნაწილობრივ ამოვსებული გაბაანთხევის ადგილზე. ხევი მდებარეობდა ლურჯი მონასტრისა და ვერის ბაღს შორის. ვერე გაბაშვილების მამული იყო და ხევის სახელიც ამ გვართანაა დაკავშირებული, თუმცა, ლურჯი მონასტრის მიმდებარე მიწები ცნობილ მოგზაურ რაფიელ დანიბეგაშვილს, ხოლო ხევის გადაღმა ტერიტორია – მღვდელ გამდლიშვილს ეკუთვნოდა.



ვერის ბაღი (კიროვის პარკი) საბჭოთა დროს



ხედი ფილარმონიაზე და მელიქიშვილის ქუჩის დასაწყისი (თანამედროვე ხედი)



ხედი მელიქიშვილის ქუჩაზე (1960-იანი წლები)

## ფილარმონია

თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის ადგილზე 1966 წლამდე საცხოვრებელი

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**სულ ახლახან მართლმადიდებლურმა სამყარომ მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული იზეიმა. თუმცა, ამით ყველაფერი არ მთავრდება: აღდგომის შემდეგ, მთელი კვირის განმავლობაში კვლავ გრძელდება სადღესასწაულო დღეები, რომელიც მუდმივად გვახსენებს მაცხოვრის აღდგომას. ამ დღეებს ამიტომაც ეწოდება ბრწყინვალე შვიდეული. რა მნიშვნელობა აქვს ამ დღეეებს, როგორ უნდა გავატაროთ ბრწყინვალე კვირეული, ამის შესახებ გვესაუბრება, ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ზიკაშვილი):**

# ვისთვის არის გახსნილი მუდმივად სამოთხის კარი და როდის ირჩევს ადამიანი საკუთარი ნებით ჯოჯოხეთს

– აღდგომა მორწმუნე ადამიანის ცხოვრებაში დღესასწაულთა დღესასწაული, დიდი სიხარულია. შესაბამისად, აღდგომის შემდეგი კვირა – ეს არის განცდა ამ დიდი დღესასწაულისა, აღდგომის სადიდებელი და საქები დღეები, რომ არ დაგვავიწყდეს ამ დღეს რა მნიშვნელოვანი მოვლენა აღესრულა. ადამიანები მარხულობენ 7 კვირის განმავლობაში, რომლის შემდეგაც დგება აღდგომა და ამ დროს თითქოს გარდატეხა ხდება მათ ცნობიერებაში: დადგა აღდგომა, გავიხსნილეთ მარხვა, შევამსუბუქეთ ჩვენი ცხოვრების წესი, სტილი შევიცვალეთ და ამით ყველაფერი დასრულდა. რა თქმა უნდა, ასე არ არის. ამით არაფერი სრულდება, პირიქით, აღდგომით იწყება ქრისტიანის მზადება მთელი წლისთვის. ანუ, ბრწყინვალე შვიდეული ეს ის დღეებია, როდესაც ჩვენ კი არ გვავიწყდება, რომ აღდგომა დამთავრდა, პირიქით ჩვენს ცნობიერებაში, გულში, აზროვნებაში უნდა გაგრძელდეს აღდგომის სიხარული. რჯულის კანონის თანახმად, არა თუ ერთი კვირის განმავლობაში იყო ხსნილი, არამედ 50 დღის განმავლობაში, სულთმოფენობამდე გრძელდებოდა ეს სიხარული. ამაზე მეტყველებს მოციქულთა 68-ე კანონი, ასევე მისი დამატება, რომელიც ნიკეას პირველ მსოფლიო კრებაზე ათანასე დიდმა ალექსანდრიელმა მიიღო – განწესება: აღდგომიდან სულთმოფენობამდე ქრისტიანები 50 დღის განმავლობაში ზეიმობენ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. დროთა განმავლობაში ეს შეიცვალა და ახლა ჩვენ ერთი კვირის განმავლობაში ვზეიმობთ მაცხოვრის აღდგომას და ეს ყველაფერი უნდა აისახოს ჩვენს ცნობიერებაზე, გულში, ცხოვრების წესსა და პატივის მიგებაში. ანუ, ჩვენ უნდა განვიცდიდეთ აღდგომის სიხარულს არა მხოლოდ ტრაპეზით, დასვენებით, არამედ იმის გაცნობიერებთ, გააზრებით, რას ვდღესასწაულობით და რამდენიმე დღის წინ რასთან გვქონდა საქმე.

**– ამ პერიოდში ლოცვითი წესი შემსუბუქებულია. დილისა და ძილის წინ საკითხავი ლოცვების მაგივრად, იკითხება „პასექის ჟამნი“.**

– იკითხება მცირე ლოცვა, რომელსაც „პასექის ჟამნი“ ეწოდება. საუკუნეების განმავლობაში ამას ჰქონდა თავისი დანიშნულება. იმ განჩინების თანახმად, ყველა დიდი დღესასწაული, რომელიც მაცხოვარს უკავშირდება ან დიდ მოწამეებს, ღვთისმშობელს, იოანე თაყვანისმცემელს, მიეგება თანასწორი პატივი, როგორც კვირა დღისა, აღდგომისა. 69-ე კანონის განჩინებაში წერია ასეთი რამ: ოთხშაბათსა და პარასკევს მთელი წლის განმავლობაში დაიცვება მარხვა, თუ, რა თქმა უნდა, ადამიანს რამე არ სჭირს – სნეულებაში არ არის, ანუ ავად. როცა საქმე გვაქვს დიდ დღესასწაულებთან, მსგეფსთან, მაშინ ოთხშაბათსა და პარასკევს აღარ არის მარხვა და ეს დღეები კვირის ტოლფასი ხდება. წმიდა ექვთიმე მთაწმინდელი ამბობს: ამ დიდ დღესასწაულებში, რომელიც უკავშირდება აღდგომას, ვიდრე სულთმოფენობამდე, 50 დღის განმავლობაში არ სრულდება არათუ ზედმეტი ლოცვები, კანონები, არამედ მუხლმოდრეკებიც, მეტანიებიც. ანუ, ადამიანი მუდმივად სულიერად საზეიმო მდგომარეობაშია, რადგან ეს დღეები წმიდა აღდგომასთან არის დაკავშირებული. ლოცვებიც ამიტომ არის შემცირებული, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანი ჩავარდეს ულოცველ მდგომარეობაში და არაფერი აკეთოს. მაგრამ, ასევე, მნიშვნელოვანია, თუ როგორ ვუდგებით ლოცვას. ანუ, ამ პერიოდში ლოცვების რაოდენობა, მოცულობა მცირდება. თუმცა, შეიძლება, ადამიანმა მთელი დღე ილოცოს, მაგრამ მის ლოცვას ლოცვა არ ერქვას. მაგრამ, პირიქით, შეიძლება, ადამიანმა მხოლოდ „პასექის ჟამნი“ წაიკითხოს და მთელი გულით ილოცოს. ანუ, გააცნობიეროს, რომ ის ცოდვილია, ღმერთი სჭირდება და მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვას. ლოცვა არ არის მრავალსიტყვაობა, ეს არის უფალთან ურთიერთობა, ჩვენი შინაგანი, სულიერი მდგომარეობა და არ გამოიხატება მრავალსიტყვაობაში.



**წმიდა ექვთიმე მთაწმინდელი ამბობს: ამ დიდ დღესასწაულებში, რომელიც უკავშირდება აღდგომას ვიდრე სულთმოფენობამდე, 50 დღის განმავლობაში არ სრულდება არათუ ზედმეტი ლოცვები, კანონები, არამედ მუხლმოდრეკებიც, მეტანიებიც**

**– კვირის ბოლოს ქრისტიანები ვზეიმობთ აღდგომის განახლებას – კვირაცხოვლობას. ამ დღეს ადამიანებს წმიდა არტოსი ურიგდებათ, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში ინახავენ და უძლურების ჟამს იღებენ. რა მნიშვნელობა აქვს არტოსს, რომელიც აღდგომიდან მთელი კვირის განმავლობაში აღსავლის ღია კარშია დაბრძანებული?**

– აღდგომის მსახურების ტიპიკონში ბოლოს წერია არტოსის კურთხევის ლოცვა. არტოსი პურია, რომელიც ამ დღისთვის ცხვება. აღდგომის ღამეს ხდება მისი კურთხევა და მთელი კვირის განმავლობაში დაბრძანებულია აღსავლის გახსნილ კართან, ამბიონზე, გადაფარებული აქვს ტილო. შაბათს, ანუ კვირის ბოლოს, კვირაცხოვლობის მსახურებაზე იკითხება მისი განტეხვის ლოცვა და შემდეგ ხდება მისი დანაწევრება, კვირას კი მრევლს ურიგდება. შეიძლება ითქვას, ამას არ აქვს საკრალური მნიშვნელობა, უბრალოდ, აღსავლის კართან მისი დაბრძანება განასახიერებს ეკლესიის ერთობას. პური სულიერი თვალსაზრისით, ზოგადად, არის სიმბოლო ერთობის, ხვავის, ბარაქის, შესაბამისად, არტოსი განასახიერებს ეკლესიის ერთობას, რომელიც ურიგდება მორწმუნე მრევლს, ნიშნად ამ ერთიანობაში ყოფნისა. რაც მთავარია, არა პური მოქმედებს, არამედ რწმენა, სარწმუნოება, რომლითაც ადამიანი არტოსს მიიღებს. ეს ტრადიციაა და ეკლესია საუკუნეების განმავლობაში აღასრულებს.

**– დღეს გავრცელებულია ასეთი მცდარი აზრიც, ერთგვარი ცრუ რწმენა: რადგან აღსავლის კარი ღიაა, ამიტომ სამოთხის კარიც ღიაა და ვინც გარდაიცვლება ბრწყინვლე შვიდეულში, ის აუცილებლად მოხვდება სამოთხეში. როგორია ეკლესიის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?**

– თუ ჩვენ საეკლესიო მსახურების ტიპიკონსა და მის მნიშვნელობას ავიღებთ, რა თქმა უნდა, იქ ნებისმიერ ქმედებას, როგორც მღვდლის, ასევე დიაკვნის, აღსავლის კარის გაღებას, დაკეტვას, მცირე შესვლას, ყველას თავისი მნიშვნელობა აქვს. ის, რომ აღსავლის კარი ღიაა, მიანიშნებს იმაზე, რომ სამოთხის კარიც ღიაა – მაგრამ ამას პირდაპირი გაგებით ვერ მივიღებთ. ვერ ვიტყვით, რომ რადგან აღსავლის კარი ღიაა, ამიტომ სამოთხის კარიც ღიაა და ადამიანს შეუძლია შიგნით შესვლა. სამოთხის კარი არათუ ერთი დღით, რამდენიმე კვირის, ან წელიწადის რომელიმე დროს არის ღია, არამედ ყოველთვის ღიაა, ისევე, როგორც ჯოჯოხეთის, რომლის კარი უფრო ფართოა. ამიტომ, გარეგნული შეფასებების მიღმა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ამას გააზრება სჭირდება და არა პირდაპირ გაგება. მაცხოვარი ამბობს: სამოთხე ხილულად არა მოვა, ის თქვენს გულებშია, ისევე, როგორც ჯოჯოხეთი. თუ ჩვენი ცხოვრებით ვამტკიცებთ, რომ ცხოვრების წესით, სურვილებით, მიდრეკილებებით მზად ვართ სამოთხისთვის, ეს განაპირობებს კიდეც მასში შესვლას. ანუ, სამოთხის კარის დაკეტვა-არდაკეტვას მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის პირადი ცხოვრება განაპირობებს. თუ არ გინდა სამოთხე, მაშინ თავისთავად შენთვის მისი კარი ღია არ იქნება. სამაგიეროდ, გაიღება მეორე, ჯოჯოხეთის კარი. დოგმატურ ცდომილებაში რომ შევიდეთ, უნდა გავიაზროთ, რომ ადამიანის სამოთხეში ან ჯოჯოხეთში შესვლას ღმერთი კი არ განაპირობებს, არამედ თავად ადამიანი საკუთარი პირადი ცხოვრებით. სხვა ყველა რელიგია ადამიანს არ ასწავლის იმას, რომ ცხონება-არცხონება, გადარჩენა-არგადარჩენა შენზეა დამოკიდებული, როგორც ამას მართლმადიდებლობა ასწავლის. სხვა რელიგიებში პირიქითაა: რომ ადამიანზე არაფერია დამოკიდებული, ყველაფერი უზენაესის ნებაა და ის მოხდება, რაც მას უნდა.

**– ვინც კარგად არ იცნობს მართლმადიდებლობას, ისიც ზუსტად ასე ფიქრობს. ანუ, ამტკიცებენ, რომ ადამიანის ნება მართლმადიდებლობაში უგულებელყოფილია და მისი მომავალი ღმერთზეა დამოკიდებული.**

– ვინც არ არის ჩახედული მართლმადიდებლობაში, ფიქრობს, რომ ეს ყველაზე კონსერვატორული რელიგიაა, რადგან ისეთ რაღაცეებს გვთავაზობს კანონების, რჯულის, მორალის, ქრისტიანული ეთიკის სახით, რაც ჩვენთვის, ხშირ შემთხვევაში, ძალიან ძნელია და მიუღწეველი. მაგრამ, ვინც კარგად იცის მართლმადიდებლური რელიგია, მან ისიც იცის, რომ ყველაზე თავისუფალი რელიგია სწორედ მართლმადიდებლობაა, სადაც ადამიანის უფლება არასდროს იზღუდება. ყველა სხვა ფუნდამენტურ რელიგიაში, ადამიანის პიროვნული ნება ყოველთვის უგულებელყოფილი, დაჩაგრულია. ღმერთს რაც უნდა, ის მოხდება, ისე იქნება – ამას თავისუფალ სარწმუნოებას ვერ დავარქმევთ. მართლმადიდებლობა კი ყველაზე თავისუფალი სარწმუნოებაა. ღმერთი ადამიანის თავისუფალი ნების წინაშე უძლურია, ოღონდ არა პირდაპირი გაგებით, რადგან მას ყველაფერი შეუძლია. უბრალოდ, ღმერთმა ადამიანი თავისუფალი ნებით შექმნა და რადგან ის თავის გადაწყვეტილებაში მუდმივია, ამიტომ მან ადამიანს დაუტოვა თავის საქმიანობის, მოღვაწეობის ასპარეზი. ადამიანი ყველაზე მაღალ საფეხურზე დგება, ყველაზე დიდია, თავად ანგელოზებზეც კი. ის წყვეტს როგორ იცხოვროს, სამოთხეში შევიდეს თუ ჯოჯოხეთში. ასე რომ, მართლმადიდებლობა იმიტომ არის ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომ ის ადამიანს ასწავლის საკუთარ ქცევებზე, ცხოვრებაზე, დანიშნულებაზე ანალიზის გაკეთებას, რომ შემდეგ აირჩიოს ის, რაც უნდა.

**ნათია უტიაშვილი**

# ღვთისმშობლის ხატის სასწაულები

ბოლო ჟამის ხატი – „მე ვარ თქვენთანა და ვერავინ უფლობდეს თქვენზედა“ – დაიწერა იოანე კრონშტადტელის კურთხევით ლეუშინის დედათა მონასტრის მონაზვნების მიერ. იოანე კრონშტადტელმა თავად აკურთხა ეს ხატი, მის წინაშე ლოცულობდა, უწოდებდა მას „რუსეთის მხსნელს“ და „ბოლო ჟამის ხატს“. შემდეგ მამა იოანემ ხატი გადასცა ერისკაცს, წმიდანმა წინასწარ აუწყა მას იმ მოვლენების შესახებ, რაც მოხდებოდა რუსეთში უახლოეს მომავალში (რევოლუცია, მეფის მკვლელობა, ღვთისმბრძოლი ხელისუფლების მიერ ქრისტიანთა დევნა და ხოცვა, სიწმინდეების განადგურება), მანვე იწინასწარმეტყველა, რომ მოგვიანებით რუსეთი ისევ გაბრწყინდებოდა ჭეშმარიტი რწმენის ნათლით და კვლავ ეყოლებოდა მართლმადიდებელი მეფე, რომელიც შეძლებდა ქვეყნის აღორძინებას. წმიდა მამამ ისიც აუწყა სერაფიმ ვირიცელს, რომ დეკანოზი გახდებოდა და აკურთხა იგი, გაემეორებინა წმიდა სერაფიმ საროველის ღვაწლი – ელოცა ამ ხატის წინაშე რუსეთის გადარჩენისთვის. ეს კურთხევა აღსრულებულ იქნა: მამა სერაფიმმა ორჯერ ილოცა 1 000 დღე-ღამის განმავლობაში ღვთისმშობლის ამ ხატის წინაშე (1937 და 1942 წლებში). როდესაც მასთან დახმარებისთვის მიდიოდნენ, სერაფიმ ვირიცელი ყოველთვის ამ ხატს მიმართავდა ლოცვით. დედაღვთისას ხატმა – „მე ვარ თქვენთანა და ვერავინ უფლობდეს თქვენზედა“ მრავალი სასწაული აღასრულა, სახელი განსაკუთრებით გაითქვა მას შემდეგ, როცა დედაღვთისამ გააცოცხლა ბავშვი, რომელიც მამა სერაფიმის მისაღებში მოუკვდათ. ხატის შესახებ შეიტყო ხელისუფლებამაც და მიიღო დადგენილება მისი ჩამორთმევის შესახებ. მაშინ ღირსმა სერაფიმმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეს ხატი გადასცა მონაზონ ბარსანოფიას, ისიც უთხრა, რომ მომავალში გადასცემდა მას ქერუბიმს და ხატი გახდებოდა წმიდა გიორგის სახელობის მონასტრის საკუთრება (ეს წინასწარმეტყველებაც შესრულდა. 1962 წელს დედა ბარსანოფიასთან სტუმრად მისულმა მამა ქერუბიმმა შემთხვევით ნახა „მე ვარ თქვენთან და ვერავინ უფლებოდეს თქვენზედა“, ძალიან მოეწონა და გადააბრძანა იგი ჩერნიგოვის წმიდა გიორგის სახელობის დედათა მონასტერში).

ეს ხატი თითქმის საუკუნის წინათ დაიწერა, მაგრამ ამის შესახებ ცოტა ვინმეს თუ სმენია ადრე. მოვიდა დრო და იგი მოგვევლინა, ეს დრო სწორედ ახლა დადგა, როცა მსოფლიო კატასტროფის საზღვართანაა მისული, როცა ომები, კატაკლიზმები და სასიკვდილო სნეულებანი ჩვენი სამწუხარო რეალობა გახდა.

როცა საზოგადოებამ ხელი აიღო თავისი შვილების ზნეობრივი ნორმების ერთგულ ადამიანებად აღზრდაზე (რომ აღარაფერი ვთქვათ სულიერ ფასეულობაზე) ტელევიზია, გაზეთები, წიგნები, ჟურნალები მიზანმიმართულად ამახვილებენ ადამიანთა ცნობიერებას, ყველგან ინერგება ავისმომასწავებელი კოდები, განსაკუთრებით დაუცველია ახალგაზრდა სულები, მხოლოდ ქრისტეს რწმენის შუქს შეუძლია, დაარღვიოს ეს წყვდიადი; აუცილებელია, რომ რწმენის ნათელი აინთოს იმ სულებში, რომლებიც ცოდვათა ბინდითაა დაბნელებული. სწორედ ამ ადამიანების გადასარჩენად შეიქმნა დედაღვთისას ხატი „მე ვარ თქვენთანა და ვერვინ უფლებოდეს თქვენზედა“, რომელსაც დიდი რუსი წმიდანი იოანე კრონშტადტელი „ბოლო ჟამის ხატს“ უწოდებდა. ალბათ, შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ხატი დაიწერა დედათა მონასტერში, მონაზვნების მიერ; მისი დაუჯდომელი ლოცვაც სასწაულებრივად დაიწერა წმიდა გიორგის მონასტრის იღუმენიას მიერ (იღუმენია დიდხანს ეძებდა ადამიანს, რომელიც შეძლებდა ამ სამუშაოს შესრულებას, მაგრამ, მოხდა ისე, რომ თავად მან დაწერა ეს საგალობელი, რომლის წერისასაც აშკარად გრძნობდა, რომ სიტყვები თავისთავად მოდიოდნენ, თითქოს ზეციდან იყვნენ ნაკარნახევი), როგორც ჩანს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ისურვა, რომ ამ ხატში და მის საგალობელში ბევრი დიდებული სითბო ყოფილიყო ჩაქსოვილი და, მართლაც, ხატში არაა ხაზგასმული ზეციური დედოფლის სიდიადე და ჩვენ ვხედავთ დედას, რომელიც თითქოს დაკარგული შვილების მოსაძებნად მიეშურება; სახე სატირლადაა გამზადებული მათი ბედის გამო, თვალები კი ღვთისადმი სასოებითაა აღსავსე. ყრმა იესოსაც ხელები აქვს გაშლილი თითქოს იმისთვის, რომ გულში ჩაიკრას ისინი, ვინც მას შეუყვარდება.

ხატი გამოეცხადა სწორედ ჩვენს ეპოქას, აქედან გამომდინარე, იგი განკუთვნილია ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის, მათთვის, ვინც ვცხოვრობთ ამ შფოთიან დროში – უკანონობის საუკუნეში, როცა სახელმწიფო აღარ წარმოადგენს უსაფრთხოების გარანტს თავისი მოქალაქეებისთვის, მეფობს სოციალური დაუცველობა, ეკონომიკური არასტაბილურობა, უმუშევრობა, დამნაშავეების თარეში.

**„ბოლო ჟამის სასწაულები“**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: მინდა, რომ მოძღვარმა ჩემი ახლობლები ლოცვაში მოიხსენიოს. რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის?**

**პასუხი**: თუ გსურთ, რომ ერთი კონკრეტული დღის ლოცვებში მოიხსენიოთ ახლობლები, წირვის წინ საკურთხეველში შეგზავნეთ ცალკე ცოცხლებისთვის და ცალკე მიცვალებულებისთვის სეფისკვერები, შესაბამისად, ცოცხლებისა და მიცვალებულების სახელები ცალ-ცალკე ჩამოწერეთ ფურცლებზე. სასურველია, ამ ადამიანების სახელზე მოწყალებაც გაიღოთ.

**კითხვა: არის თუ არა წინათგრძნობა ცოდვა და როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს მის მიმართ?**

**პასუხი**: წინათგრძნობის მცირეოდენი უნარი ყოველ ადამიანს გააჩნია და ეს, ისევე, როგორც ადამიანის სხვა თანდაყოლილი შესაძლებლობები, ღვთის მიერ არის ბოძებული. თუმცა, ჩვეულებრივ, მიწიერი ცხოვრებითაში ადამიანებს ეს უნარი ისე არ უვითარდებათ, რომ მასზე დაყრდნობა შეიძლებოდეს. მაგალითად, ბევრჯერ ხდება, რომ ცუდს ველით და ამის ნაცვლად კარგს ვიღებთ, ან – პირიქით. ამიტომ, წინათგრძნობას არ უნდა მიანიჭოთ გადამწყვეტი მნიშვნელობა.



**კითხვა: სამწუხაროდ, რწმენაში გაუნათლებელი ვარ და არ ვცხოვრობ ეკლესიურად. ჩემმა მეგობარმა მთხოვა ბავშვის მონათვლა. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი**: ნათლიას ღმერთის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება ნათლულის სულიერი აღზრდისთვის. ამიტომ, თქვენ გაქვთ უდიდესი მორალური დაბრკოლება ამ ნაბიჯის გადასადგმელად – რა უნდა ასწავლოთ ნათლულს, თუკი თავად ვერ ერკვევით სარწმუნოებრივ საკითხებში?! ნათლობა – ეს არის ახალი ცხოვრების დაწყება ქრისტესთან ერთად და ახლად მონათლულს ნათლიის სახით ისეთი მეგზური სჭირდება, რომელიც ჭეშმარიტ ქრისტიანად ჩამოაყალიბებს მას. რადგან ეს კითხვა გაგიჩნდათ, ესე იგი, თქვენც გაწუხებთ თქვენი გაუთვითცნობიერებლობა სარწმუნოებაში. დაიწყეთ ეკლესიური ცხოვრება, გახდით ჭეშმარიტი ქრისტიანი. ამ ეტაპზე კი ნუ გახდებით ფორმალური ნათლია, ისე, როგორც, სამწუხაროდ, დღეს ბევრი ადამიანი იქცევა.

# მამათა შეგონებანი

**წმიდა სილუანი**: დაიცავით მადლი ღვთისა: მასთან ადვილია ცხოვრება, ყველაფერი მასთან საყვარელი და სასიხარულოა, სულ სიმშვიდითაა ღმერთში და დადის, როგორც რომელიმე მშვენიერ ბაღში, რომელშიც ცხოვრობს უფალი და ღვთისმშობელი. მადლის გარეშე ადამიანი – ცოდვილი მიწაა, ხოლო მადლის ქვეშ მცხოვრები ადამიანი გონებით მსგავსია ანგელოზისა. ანგელოზები გონებით ემსახურებიან ღმერთს და უყვართ იგი, ასევე ადამიანმა გონებით უნდა ემსახუროს, როგორც ანგელოზმა. ნეტარნი არიან ისინი, რომელნიც დღე და ღამე ზრუნავენ და ფიქრობენ, როგორ აამონ ღმერთს, რათა გახდნენ მისი სიყვარულის ღირსნი; ისინი გამოცდილებით და შეგრძნებით შეიმატებენ სულიწმიდის მადლს. მადლი ისე არ მოდის, რომ სულმა არ იცოდეს იგი და როცა იკარგება მადლი, სული ძლიერ მწუხარებს მასზე, ცრემლიანი დაეძებს მას;

მშობლებს რომ დაეკარგოთ საყვარელი შვილი, წარმოიდგინეთ, რა დაემართებათ მათ, სული, რომელსაც უყვარს ღმერთი დიდი ძალით და ნაღვლიანად დაეძებს უფალს ისე, რომ არც ახსოვს მშობლიური და საყვარელი ადამიანები.

**გაბრიელ ეპისკოპოსი**: გონება გონებას ებრძვის... ჩვენი გონება – მტრის გონებასთან იბრძვის... მტერი დაეცა სიამაყით და წარმოსახვით, ჩვენც იქითკენ გვიზიდავს. ამ ბრძოლაში დიდი სიმამაცეა საჭირო. უფალი ტოვებს თავის მონას საბრძოლველად, თვითონ კი უცქერის მას, როგორც უცქერდა ანტონი დიდს, როცა იგი ეშმაკებს ებრძოდა. თქვენ გახსოვთ, ალბათ, რა სწერია ანტონი დიდის ცხოვრებაში: დასახლდა იგი აკლდამაში; იქ ეშმაკებმა სცემეს მას გრძნობის დაკარგვამდე; მისმა მსახურმა მეგობარმა გადაიყვანა ღირსი მამა სოფლის ეკლესიაში; ღამით, როცა ანტონი გონს მოვიდა, შეევედრა მეგობარს ისევ უკან, აკლდამაში დაებრუნებინა იგი. სრულიად ავადმყოფს, მას არ შეეძლო ფეხზე დგომა და დაწოლილი ლოცულობდა; ლოცვის დროს ისევ მოხვდა თავდასხმაში და როცა მძიმე წყლულებით გატანჯულმა, მაგრამ მაინც მოთმინებით მყოფმა თვალები გაახილა, დაინახა ნათელი. მიხვდა ღირსი მამა, შეიცნო უფლის მოსვლა და თქვა: „სად იყავი შენ, მოწყალეო იესო, როცა მტრებმა დამაწყლულეს მე?“ უფალმა მას უპასუხა: „მე აქ ვიყავი, ანტონ და ვუცქერდი შენს მამაცობას“.

**არქიმანდრიტი რაფაელი**: ჩვენ განუწყვეტლივ ვქმნით კერპებს; ჩვენი კერპი, უპირველეს ყოვლისა – ეს თავად ჩვენ ვართ. ჩვენი ცხოვრების ჩვეულებრივი მიზანია – დედამიწაზე ადგილის მომზადება ისეთი კერპებისთვის, როგორიც ჩვენ ვართ. ჩვენი შრომისა და გარჯის წლები ამაში გადის.

**იოსებ მღვიმელი**: ღვთის სასუფეველში შედიან არა უნანელნი, არამედ სინანულითა და ცრემლით გარდაქმნილი ცოდვილები. არაფერი ისე არ ეხმარება ადამიანს ვნებებთან ბრძოლასა და მათ ძლევაში, როგორც მოუკლებელი გონებრივი ლოცვა.

# მადრიდის „რეალის" რომელი ლეგენდარული ფეხბურთელები დარჩნენ „ოქროს ბურთის" გარეშე

*ზედიზედ მეოთხედ არგენტინელმა ლიონელ მესიმ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული ჯილდო – „ოქროს ბურთი" მიიღო. მოსალოდნელია, მომავალი წლის დაჯილდოებაზე ის მეხუთედაც გახდეს ტრიუმფატორი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა ფეხბურთელმა შეიძლება მასზე მეტი ტიტული მოიგოს. მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას არაერთი ფაქტი ახსოვს, როცა ფეხბურთელს მოუგია ყველა ჯილდო, ყოფილა ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გუნდისთვის და კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაუტარებია, თუმცა „ოქროს ბურთი" მაინც სხვას რგებია წილად. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბრაზილიელი – რობერტო კარლოსი, რომელმაც 2002 წელს მსოფლიო ჩემპიონატი და „ჩემპიონთა ლიგა" მოიგო, მაგრამ „ოქროს ბურთი" მის თანამემამულე, რონალდოს გადაეცა, რომელმაც მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატზე გაიბრწყინა. გთავაზობთ ინფორმაციას იმ ფეხბურთელთა შესახებ, რომლებმაც საფეხბურთო კარიერა ისე დაასრულეს, ან ამჟამად დაასრულებენ, რომ „ოქროს ბურთის" ლაურეატები ვერ გახდნენ.*

### ფერენც პუშკაში

1952 წლის ოლიმპიადის ტრიუმფატორ ფერენც პუშკაშს 1960 წელს ერთი ნაბიჯი დააკლდა სანუკვარ ჯილდომდე – მას ესპანელმა ლუის სუარესმა აჯობა. კარიერის განმავლობაში პუშკაშს ოლიმპიური ოქროს გარდა, არაერთი სხვა ჯილდო მოუგია: ხუთი საჩემპიონო ტიტული უნგრეთში და ესპანეთში, სამი ჩემპიონთა თასი „რეალთან" ერთად, გამარჯვება საკონტინენტთაშორისო თასზე და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი. პირადი მიღწევების გამო პუშკაში დასახელდა უნგრეთის საუკეთესო ფეხბურთელად მეოცე საუკუნეში და 11-ჯერ გახდა ბომბარდირი ესპანეთსა და ჩემპიონთა თასზე.



### რაულ გონსალესი

მადრიდის „რეალის" კიდევ ერთი ლეგენდარული ფეხბურთელი, რომელიც უმაღლეს ჯილდოს იმსახურებდა. რაულმა სამჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა და შვიდჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი. 2001 წელს ის მეორე იყო „ოქროს ბურთის" გამოსავლენ ლაურეატთა შორის. რაულს უამრავი ინდივიდუალური ჯილდო აქვს: ის დასახელებულია ესპანეთის, მეოცე საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელად ავტორიტეტულ გაზეთ „მარკას" ვერსიით, გარდა ამისა, ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ბომბარდირული მონაცემები.



### ანდრეს ინიესტა

ესპანეთში ქომაგთა გარკვეული ნაწილი დღემდე ვერ იჯერებს, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ტრიუმფატორი ნაკრების ლიდერი, ფინალურ შეხვედრაში გადამწყვეტი გოლის ავტორი – ანდრეს ინიესტა ჯილდოს გარეშე დარჩა და მას იმ წელს უტიტულო ლიონელ მესიმ აჯობა. შარშან ესპანეთის ნაკრებმა უნიკალური რეკორდი დაამყარა და ზედიზედ მეორედ მოიგო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში ევროპის ჩემპიონატზე, თუმცა ჯილდო კვლავ ლიონელ მესის ხვდა წილად. საგულისხმოა, რომ ანდრეს ინიესტამ შესაძლოა, ისე დაასრულოს კარიერა, მუდამ ლიონელ მესის ჩრდილში დარჩეს, არადა ტიტულებით ის გაცილებით მდიდარია მესიზე.



### ალესანდრო დელ პიერო

ალესანდრო დელ პიერო ისე წავიდა კარიერის დასასრულებლად ავსტრალიაში, რომ „ოქროს ბურთის" მოგება ვერ მოახერხა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე ახლოს იყო მიზანთან. ტურინის „იუვენტუსის" ლეგენდარულმა ათიანმა 1995-1996 წლების სეზონში თითქმის ყველაფერი მოიგო, თუმცა იმ წელსაც ჯილდოს გარეშე დარჩა. იგივე მოხდა 2006 წელს, როცა დელ პიერო მსოფლიო ჩემპიონი გახდა, თუმცა ჯილდო არც მაშინ შეხვდა.

### უესლი სნეიდერი

2010 წელი ჰოლანდიელის კარიერაში საუკეთესო იყო. მან პრაქტიკულად ყველაფერი მოიგო: საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა, იტალიის ჩემპიონატი და იტალიის სუპერთასი, ნაკრებთან ერთად კი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდა. მუნდიალზე სნეიდერი ჰოლანდიის ნაკრების საკვანძო ფეხბურთელი გახლდათ და ანდრეს ინიესტასთან ერთად, „ოქროს ბურთის" მოპოვების კანდიდატად მიიჩნეოდა. თუმცა, ორივეს ჩია არგენტინელმა – ლიონელ მესიმ აჯობა. ამჟამად სნეიდერი თურქული „გალათასარაის" რიგებში თამაშობს და სავარაუდოდ, მისი შანსები „ოქროს ბურთის" ლაურეატობაზე ნულის ტოლია, მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიის ნაკრების ლიდერი ფორმას ნელ-ნელა იბრუნებს.

### ფრანკო ბარეზი

„ოქროს ბურთი" ნომინალურ მცველს სულ სამჯერ გადაეცა, მათ შორის ერთხელ ბარეზის თანამემამულე ფაბიო კანავაროს. თავად იტალიის მეოცე საუკუნის დამცველად წოდებულ ფრანკო ბარეზის კი ეს ჯილდო ჯერ არ შეხვედრია. არადა კარიერის განმავლობაში ფრანკოს არაერთი მნიშვნელოვანი ტიტული მოუგია და ნამდვილად იმსახურებდა ამას, მსოფლიოს ჩემპიონატების ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი, სამი ჩემპიონთა თასის მფლობელი და ექვსგზის იტალიის ჩემპიონი – სია მართლაც შთამბეჭდავია, მაგრამ „ოქროს ბურთი" მცველებს, როგორც ჩანს, არ წყალობს.

### დინო ძოფი

მეკარეებიდან „ოქროს ბურთი" მხოლოდ ერთ ფეხბურთელს აქვს მიღებული, ლეგენდარულ საბჭოელ გოლკიპერს, ლევ იაშინს. თუმცა, არიან მეკარეები, რომლებიც ნამდვილად იმსახურებდნენ ამ ჯილდოს, მათ შორის – იტალიელი დინო ძოფი. ძოფი 1968 წელს იყო ახლოს „ოქროს ბურთთან", როდესაც იტალია მისი უშუალო მონაწილეობით ევროპის ჩემპიონი გახდა. ის ასევე 1982 წელსაც ითვლებოდა კანდიდატად, როდესაც 40 წლის ასაკში მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, მაგრამ ორივე შემთხვევაში ფორტუნა ძოფის მხარეს არ აღმოჩნდა.

### ჯანლუიჯი ბუფონი

ბუფონი თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო გოლკიპერია, თუმცა, როგორც ჩანს, ეს არ კმარა, რომ „ოქროს ბურთის" ლაურეატი გახდე. 2006 წელს იტალია მსოფლიო ჩემპიონი გახდა და ბუფონმა მართლაც ფენომენალურად ისასპარეზა. თუმცა, „ოქროს ბურთი" მის თანამემამულე ფაბიო კანავაროს გადაეცა. ჯანლუიჯი ბუფონმა „ოქროს ბურთის" გარდა, შესაძლოა კარიერა, ისე დაასრულოს, რომ ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი, „ჩემპიონთა ლიგაც" კი ვერ მოიგოს.



### პეტერ შმეიხელი

პეტერ შმეიხელს ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა „მანჩესტერ იუნაიტედსა" და დანიის ნაკრებში – ის იყო 1992 წელს „დანიური დინამიტის" ერთ-ერთი შემოქმედი ევროპის ჩემპიონატზე, როცა ყველასთვის მოულოდნელად, დანიელები ევროპის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლნენ. შმეიხელი გახლდათ ასევე იმ ლეგენდარული ჩემპიონთა ლიგის ფინალის მონაწილე, როცა „მანჩესტერმა" ერთ წუთში გატეხა მიუნჰენის „ბაიერნი" და 1999 წელს ლიგას დაეუფლა. შმეიხელი თავისი კარიერის განმავლობაში პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო გოლკიპერად მიიჩნეოდა, თუმცა „ოქროს ბურთის" მოპოვება მისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

### იკერ კასილასი

მადრიდის „რეალის" გოლკიპერი, მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ორგზის ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის ორგზის გამარჯვებული – კასილასი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო გოლკიპერად მიიჩნევა. თუმცა, „ოქროს ბურთის" მოპოვება მისთვის ჯერაც მიუღწეველია. შესაძლოა, კასილასმა სულაც ისე დაასრულოს კარიერა, რომ ვერ გახდეს „ოქროს ბურთის" ლაურეატი, თუმცა ეს სულაც არ აკნინებს მის მიღწევებს.



**უშანგი რუხაძე**

## რაულის მეათასე მატჩი



მადრიდის „რეალის" და გელზენკირხენის „შალკე 04-ის" ექსთავდამსხმელმა, ლეგენდარულმა ესპანელმა რაულმა კარიერაში მეათასე ოფიციალური მატჩი ითამაშა. რაული ამჟამად ყატარის „ალ-საადის" ღირსებას იცავს და საიუბილეო შეხვედრამაც „ალ-რაიანის" წინააღმდეგ ყატარის თასის გათამაშების ფარგლებში მოუწია. ყატარული კლუბის ღირსებას რეკორდსმენი ესპანელი 2012 წლის მაისიდან იცავს და უკვე მოასწრო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. გავრცელებული ცნობის თანახმად, მიმდინარე სეზონი რაულისთვის უკანასკნელი იქნება. უკვე ცნობილია, რომ მადრიდული კლუბის პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი ფეხბურთელს კლუბის ადმინისტრაციაში შესთავაზებს თანამდებობას.

## პისტორიუსის აკრძალული ფოტოები

ცნობილია, რომ ექვსგზის პარაოლიმპიური ჩემპიონი – ოსკარ პისტორიუსი მეგობარი გოგონას მკვლელობაშია ეჭვმიტანილი და საქმეს სამხრეთ აფრიკის სასამართლო განიხილავს. სასამართლოს დასრულებამდე სპორტსმენი თავისუფალია და რამდენიმე ხნის წინ, მისმა ადვოკატმა განაცხადა, რომ დაკავების მომენტში პოლიციელები მალულად ულებდნენ პისტორიუსს ფოტოებს მობილური ტელეფონებით. სამხრეთ აფრიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ცნობით, უკვე ამოღებულია მობილური ტელეფონების ნაწილი, სადაც 45 ფოტო აღმოჩნდა. სკანდალურ სპორტსმენს პოლიციელები ფოტოებს ნებართვის გარეშე ულებდნენ და შესაძლოა, ამ ფაქტის გამო, რამდენიმე მათგანი დაისაჯოს კიდეც.

## კუბა პროფესიულ კრივში ბრუნდება

2013 წლის ნოემბრიდან კუბელ მოკრივეებს უფლება მიეცემათ, პროფესიულ კრივში მოსინჯონ ძალები. აკრძალვა 51 წლის განმავლობაში მოქმედებდა და ძალაში ფიდელ კასტროს ინიციატივით შევიდა, რომელსაც მიაჩნდა, რომ პროფესიული კრივი კორუფციის ჭაობში იყო ჩაფლული. ამასთან ერთად, სამოყვარულო კრივი კუბაში სპორტის ერთ-ერთ პოპულარულ სახეობად ითვლება და არაერთი ცნობილი სპორტსმენი აღზრდილა თავისუფლების კუნძულზე, მათ შორის, ფელიქს სავონი – ლეგენდარული სპორტსმენი და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი. მან ისე დაასრულა კარიერა, რომ პროფესიულ რინგზე ძალები ვერ მოსინჯა.

## კრიშტიანუ და ირინა ერთად არიან



მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში აქტიურად ვრცელდებოდა ცნობები კრიშტიანუ რონალდუსა და ირინა შეიკის დაშორების თაობაზე, რუსმა ლამაზმანმა „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე ფოტო განათავსა, რომელზეც რონალდუსთან ერთად მადრიდის ერთ-ერთ რესტორანშია გადაღებული. წყვილის დაცილების თაობაზე დიდი ხანია, ევროპული ტაბლოიდები იუწყებიან და რონალდუს სხვადასხვა ლამაზმანთან კავშირში ამხელენ, თუმცა, როგორც ჩანს, შეიკი არ ეჭვიანობს და პრესის მიერ აგორებულ ჭორებს ყურს არ უგდებს.

## ტამარა ეკლსტოუნის მოპარული ავტომობილი

„ფორმულა ერთის" მფლობელის, მილიარდერ ბერნი ეკლსტოუნის ქალიშვილს, ტამარა ეკლსტოუნს ძვირად ღირებული ავტომობილი, „ლამბორგინ ავენტადორი" მოჰპარეს. აღნიშნული ავტომობილი ტამარამ 2011 წელს შეიძინა. იმ პერიოდში ლამაზმანი ვინმე ომარ კიამს ხვდებოდა და ავტომობილიც ომარის სახელზე იყო გაფორმებული. თუმცა, დარეგისტრირებული ტამარას ლონდონურ მისამართზე გახლდათ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ომარს ვალი ჰქონია და ავტომობილიც მის მევალეს წაუყვანია. ამჟამად ბრიტანული პოლიცია ავტომობილის ნამდვილი მფლობელის ვინაობას არკვევს. ტამარა ეკლსტოუნი კი ირწმუნება, რომ „ლამბორგინი" სწორედ მას ეკუთვნის.

## 2014 წლის მუნდიალის სექს-სიმბოლო

ლორენა ბური ბრაზილიელი ლამაზმანია, რომელსაც 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სექს-სიმბოლოს ტიტულისთვის ერთ-ერთ სავარაუდო კანდიდატად ასახელებენ. ლორენამ უკვე გაიმარჯვა პაულისტას სილამაზის კონკურსში და ამჟამად პრეტენზიას ბრაზილიური ფეხბურთის დედოფლობაზე აცხადებს. ფეხბურთის მიმართ სიყვარულის დასამტკიცებლად ლორენამ უკვე მიიღო მონაწილეობა გულახდილ ფოტოსესიაში და სრულიად შიშველმა ბრაზილიის დროშით ხელში სტადიონ „პაკაემბუს" ფონზე იპოზიორა.




## ყველაზე სექსუალური სპორტის მინისტრი



ვენესუელის ახალმა პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ მოფარიკავე ალეხანდრა ბენიტეს რომერო სპორტის მინისტრის თანამდებობაზე დანიშნა. 32 წლის სპორტსმენი სამხრეთ ამერიკის მრავალი ტურნირის გამარჯვებული და 2004, 2008 და 2012 წლების ოლიმპიური თამაშების მონაწილეა. 1999 წლიდან ალეხანდრა უგო ჩავესის მომხრე იყო და ვენესუელის ერთიანი სოციალისტური პარტიის, კარაკასის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ. გარდა ამისა, ალეხანდრა თამამ ფოტოსესიებში მონაწილეობითაცაა ცნობილი. მან შიშველმა გამოუცხადა მხარდაჭერა უგო ჩავესს შარშანდელი არჩევნების დროს.

## რუნი - ყველაზე მდიდარია პრემიერლიგაში

„მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ფორვარდმა უეინ რუნიმ პრემიერლიგის ფეხბურთელებს შორის ყველაზე მდიდარის სტატუსი მოირგო. რუნის ქონება 79 მილიონ დოლარად არის შეფასებული, ხოლო მეუღლესთან, კოლინთან ერთად, მათი საერთო კაპიტალი 99 მილიონ დოლარს შეადგენს. მეორე ადგილზე რუნის თანაგუნდელი რიო ფერდინანდია, რომლის აქტივები 65 მილიონ დოლარად არის შეფასებული. მესამეზე – წარსულში პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი, ამჟამად კი „სტოკ სიტის" თადარიგში ჩაკარგული მაიკლ ოუენია, 58,9 მილიონი დოლარით. მიმდინარე სეზონი „ლივერპულის" ლეგენდისთვის უკანასკნელი იქნება. ცნობისთვის, ყველაზე მდიდარი ბრიტანელი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემია, რომლის აქტივები 255 მილიონ დოლარად არის შეფასებული. თუმცა, იმის გამო, რომ „ბექზი" „პარი სენ ჟერმენის" რიგებში ასპარეზობს, ვერ მოხვდა აღნიშნულ რეიტინგში.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## მშიერ კუჭზე სირბილი, ორგანიზმში ცხიმებს არ წვავს

სირბილს გამაჯანსაღებელი ეფექტი მაშინ აქვს, თუ ადამიანი კვირაში ოთხჯერ, ნახევარი საათის განმავლობაში მაინც დარბის. მათ კი ვინც ფიზიკურად მოუმზადებელია, ორი თვე მაინც დასჭირდება შედეგის მისაღწევად. დაიწყეთ სირბილი კვირაში ორჯერ, ოცი წუთის განმავლობაში; დამატებით, კვირაში ორჯერ კი – ისეირნეთ.

სირბილი ბუნებრივი მოძრაობაა. ასე რომ, ყური უგდეთ საკუთარ სხეულს. ნუ შეუშინდებით მუხლის მაღლა აწევას და ტერფის წინ გაშლას. შეცდომად ითვლება სირბილის დროს ცხვირით სუნთქვა. შეუძლებელია, ამ ხერხით ჟანგბადის იმ რაოდენობის შესუნთქვა, რომელიც კუნთებს სირბილის დროს ესაჭიროება. ისუნთქეთ პირით და ყურადღება მიაქციეთ, რომ ამოსუნთქვა ჩასუნთქვაზე ხანმოკლე არ იყოს.

სირბილი საჭიროა იმ ტემპში, როგორსაც შეძლებთ. ამ დროს საუბარიც უნდა შეგეძლოთ. თუ ჰაერი არ გყოფნით და ბეჭებში ჩხვლეტას იგრძნობთ, ტემპი შეამცირეთ ან სწრაფ სიარულზე გადადით.

ზოგი ამტკიცებს, რომ დილით ვარჯიში მავნებელია, რადგან ორგანიზმს ისევ სძინავს; ზოგი კი ამბობს, დილით სირბილი მთელი დღის ტონუსს გვაძლევსო. ირბინეთ მაშინ, როცა ეს თქვენთვის ხელსაყრელია. თუ ადრე ადგომა გიჭირთ, საღამოობით ირბინეთ. ვარჯიშისთვის შეგიძლიათ, დასვენების დღეები გამოიყენოთ. თავდაპირველად, სწორი გზა შეარჩიეთ. აღმართი და დაღმართი კარგია, მაგრამ მათთან გასამკლავებლად ჯერ სწორად სირბილის ტექნიკა უნდა აითვისოთ და ორგანიზმის ამტანობა გაზარდოთ. სირბილის დროს, რაც უფრო ფართოა ტანსაცმელი, მით მეტია ჰაერის წინააღმდეგობა. შეარჩიეთ რაიმე მსუბუქი, ოფლგამტარი მაისური, ქარისგან დამცავი მოსაცმელი და პრაქტიკული სპორტული ფეხსაცმელი. დამწყებ მორბენლებში ტრავმების უმეტესობა ცუდი ფეხსაცმლის ბრალია. უხარისხო ფეხსაცმელი მძიმეა და ამიტომ, მეტისმეტად იტვირთება წვივები და ბარძაყები. ასევე, ისინი მიწასთან შეხებისას არ ამორტიზირდება, რის გამოც ზიანდება მუხლები და ხერხემალი. კარგი სპორტული ფეხსაცმელი ხელს უწყობს ტერფის მდებარეობის სტაბილიზაციას, იცავს წვივ-ტერფის სახსარს, აუმჯობესებს მიწიდან ტერფის აცილების ეფექტს.

მშიერ კუჭზე ვარჯიში ცხიმს არ წვავს. თან, შეიძლება, შიმშილის გამო გულიც კი გაგიხდეთ ცუდად. ნახშირწყლების საკმაო რაოდენობის გარეშე ცხიმის წვა არ ხდება. ასე რომ, გირჩევთ, სირბილის დაწყებამდე ისაუზმოთ. კარგია ამ დროს შვრიის ფაფა, ხილი და ბანანი. ასევე, ხილის ან ბოსტნეულის წვენი. მინერალური წყალი მიიღეთ შეუზღუდავი რაოდენობით. სირბილის შემდეგ ჭამა კი თქვენს მიზანზეა დამოკიდებული: თუ გახდომა გსურთ, დასაშვებია მხოლოდ ადვილად ასათვისებელი მცირე ულუფა, მაგალითად, ხაჭო, მაწონი, ბოსტნეულის სალათა. ვისაც ჭარბი წონა არ აწუხებს, შეუძლია საკვების ჩვეულებრივი ულუფის მიღება.

თუ კუნთოვანი მასის გაზრდა გსურთ, სირბილის შემდგომ აუცილებლად მიიღეთ ნახშირწყლებით და ცილებით მდიდარი საკვები.

## კუჭის შეკრულობისა და ბუასილის დროს, ძილის წინ მიირთვით გახეხილი სტაფილო

სტაფილო სხვა ბოსტნეულისგან გამოირჩევა კალიუმის მარილების დიდი შემცველობით. ეს კი აუცილებელია გულის, სისხლძარღვებისა და თირკმელების დაავადებების დროს.

თუ სტაფილოს ხშირად მიირთმევთ, პირის ღრუში მავნე მიკრობების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება.

სურდოს დროს დღეში ხუთჯერ ჩაიწვეთეთ ცხვირში სტაფილოს წვენი და მალე გამოჯანმრთელდებით.

ანგინის დროს ყელში გამოსავლებად სტაფილოს წვენს შეურიეთ ცხელ წყალში წინასწარ გახსნილი 1 ჩაის კოვზი თაფლი. ყელის ტკივილის და ხველების დროს კი, უებარია სტაფილოს სიროფი.

ღრძილების ანთებისა და სტომატიტის დროს კარგია სტაფილოს წვენის გამოვლება პირის ღრუში.

მიოკარდიუმის ინფარქტის დროს კი კარგია, თუ პირველივე დღეებიდან დალევთ 100 მილილიტრ სტაფილოს წვენს, დღეში ორჯერ.

ზედმეტი ცხიმიანობის პროფილაქტიკისთვის რეკომენდებულია სტაფილოს ჭამა კომბოსტოსთან და შტოშთან ერთად, რადგან სამივე დიდი რაოდენობით შეიცავს იოდს.

კუჭის შეკრულობისა და ბუასილის დროს, ძილის წინ მიირთვით 1 ჩაის ჭიქა გახეხილი სტაფილო. სტაფილოს წვენი აწესრიგებს კუჭნაწლავის მოქმედებას.

ჰიპერტონიის დროს 1 ჩაის ჭიქა სტაფილოს წვენს, 1 ჭიქა პირშუშხას წვენსა და 1 ჭიქა თაფლს შეურიეთ 1 ჭიქა ლიმონის წვენი. კარგად ამოურიეთ და მინის ჭურჭელში ჩაასხით. შეინახეთ მაცივარში. დალიეთ 2 სადილის კოვზი დღეში ორჯერ, კერძოდ, 1 კოვზი ჭამამდე ერთი საათით ადრე, მეორე კოვზი კი – ჭამიდან 2-3 საათის შემდეგ.

## რატომ არის საშიში იმუნიტეტის დაქვეითება

იმუნიტეტი ორგანიზმის თავდაცვისუნარიანობაა გარე და შიდა გამღიზიანებელთა მიმართ. როდესაც ადამიანი ადვილად ცივდება, ხშირად ავადმყოფობს სხვადასხვა ინფექციური დაავადებით, სწორედ მასზე ამბობენ, სუსტი იმუნიტეტი აქვსო.

ადამიანის იმუნური სისტემის მდგომარეობის განსაზღვრა ლაბორატორიული მეთოდებით ადვილია. ეს ხდება სისხლის საერთო ანალიზის გამოკვლევით.

იმუნურ პროცესებზე პასუხს აგებს ლიმფოციტები და მონოციტები. ამ უჯრედების რაოდენობის საგრძნობი მატება, ანუ, როცა ლიმფოციტები დაახლოებით ორმოც პროცენტს აღემატება, მონოციტები კი ათ-თხუთმეტ პროცენტზე მეტია, იმუნური სისტემის გადაძაბვაზე – ორგანიზმის ინფექციასთან ბრძოლის პროცესზე მეტყველებს. მაგრამ, თუ ლიმფოციტების რაოდენობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული, ეს იმუნიტეტის დაქვეითების მაჩვენებელია.

ასევე, სისხლში არსებობს სპეციალური იმუნოკომპეტენტური ცილები, ანუ იმუნოგლობულინები, რომელთა რაოდენობრივი მაჩვენებელიც იმუნიტეტის მდგომარეობაზე მიუთითებს.

ადამიანი რომ მხნედ, ჯანმრთელად და შრომისუნარიანად გამოიყურებოდეს, აუცილებელია, მისი იმუნიტეტი გარკვეული პროცენტით აკმაყოფილებდეს საერთო ნორმებს.

## პანკრეატიტის დაავადების დროს მცენარეული ნაყენი დაგეხმარებათ

კუჭქვეშა ჯირკვლის, ანუ პანკრეასის ქსოვილის ანთებით დაავადებას პანკრეატიტი ეწოდება. ის შეიძლება იყოს მწვავე ან ქრონიკული. პანკრეატიტი შეიძლება გამოიწვიოს კუჭქვეშა ჯირკვლისა და სანაღვლე სადინარების დახშობამ, ალკოჰოლის გადაჭარბებამ, ინფექციებმა, საკვებში ცილის დეფიციტმა, ზედმეტად ცხიმიანმა ან მწარე კერძებმა, ზოგიერთმა მედიკამენტმა.

პანკრეასი, ჰორმონ ინიცინის გარდა, გამოიმუშავებს წვენს, რომელიც საჭმლის მომნელებელი ფერმენტებითაა გაჯერებული. პანკრეატიტის დროს ფერმენტები აქტიურდება და საკუთარი ჯირკვლის ქსოვილს აზიანებს, რასაც პანკრეასის შეშუპება და უჯრედის კვდომა მოსდევს.

ქრონიკული პანკრეატიტის დროს ანთებითი პროცესი ქრონიკულად, ანუ მუდმივად მიმდინარეობს, რასაც პერიოდულად, საკუთარი ფერმენტების გააქტიურება და პროცესის გამწვავება ახლავს თან. პანკრეატიტის მთავარი ნიშანი სარტყლისებური ტკივილია, რომელიც გამოხატულია მუცლის ზედა ნაწილში და გადაეცემა წელისა და ზურგის არეს. ასევე, თან ახლავს გულისრევის შეგრძნება, ტემპერატურის მატება, სლოკინი, კანის გაფერმკრთალება.

ქრონიკული პანკრეატიტის კლინიკური სურათი თავიდან მწვავეს ჰგავს. დაავადების დაწყების შემდეგ ხშირდება ნაწლავების მოქმედება, წონაში კლება, შესაძლოა, განვითარდეს ჰორმონების უკმარისობა, მოგვიანებით კი – შეშუპება და ანემია, კანზე ლაქები ჩნდება. გამწვავების პერიოდში საჭიროა ისეთი მკურნალობა, როგორიც მწვავე პანკრეატიტის დროს, კერძოდ: ტკივილ-

ის მოხსნა, მკაცრი დიეტა და ალკოჰოლის აკრძალვა. პანკრეასული ტკივილის დაწყებიდანვე საჭიროა მტკივნეულ ადგილას ცივი, ყინულის კომპრესის დადება, სიმშვიდე და დიეტა. ტკივილის მოსახსნელად ინიშნება ანალგეტიკური საშუალებები.

კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციურ უკმარისობას პანკრეასის ფერმენტებით მკურნალობენ. ავადმყოფს უნიშნავენ ცხიმში ხსნად A, K და P ვიტამინებს. ინფექციური პროცესის საწინააღმდეგოდ გამოიყენება ანტიბიოტიკები. თუ ადამიანი წონაში იმატებს, უმცირდება ნაწლავების მოქმედება და თავს უკეთ გრძნობს, ესე იგი, მკურნალობა შედეგიანია.

პანკრეატიტის დროს კარგია მცენარეული ნაყენის მიღებაც, კერძოდ: აიღეთ თანაბარი რაოდენობით სამყურას ფოთოლი, ცერეცოს თესლი, ფარსმანდუკი, ასისთავა და ცოტა კამის თესლი. 1 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და ადუღეთ დაახლოებით 15-20 წუთი. შემდეგ გადაწურეთ, გააციეთ და მიიღეთ ნახევარი ჭიქა დღეში ორჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

### ვიტამინების უკონტროლო მიღება ჯანმრთელობისთვის საშიშია

დღეს ადამიანთა უმრავლესობა ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების ნაკლებობას განიცდის, განსაკუთრებით – იოდის, მაგნიუმის, სელენის, თუთიისა და კალციუმის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორგანიზმში ყოველთვის როდი შეინიშნება მიკროელემენტების ნაკლებობა. ხშირია ალუმინის, ტყვიის, ქრომისა და სხვათა სიჭარბე. ეს კი ის ელემენტებია, რომლებიც ვიტამინების ბევრ კომპლექსში შედის. როცა ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი ელემენტები ორგანიზმში ჭარბი რაოდენობით ხვდება, იწვევს სერიოზულ დაავადებებს და ტოქსიკურ რეაქციებს.

ვიტამინების კომპლექსების ხანგრძლივმა და უკონტროლოდ გამოყენებამ, შეიძლება, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს თქვენს ჯანმრთელობას.

მწეველებს, რომლებიც ხანგრძლივად იღებენ ბეტაკაროტინს, გაცილებით ხშირად ემართებათ ფილტვის კიბო. ფოლის მჟავის სიჭარბე კანის გაღიზიანებას იწვევს. E ვიტამინის ჭარბი მიღება კი არტერიულ წნევას მაღლა სწევს. რაც შეეხება C ვიტამინს, მისი ხანგრძლივი მიღება ნერვულ სისტემაზე მოქმედებს, იწვევს აღგზნებას, მოუსვენრობას, უძილობას, თრგუნავს კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციას, ზრდის შარდში შაქრის რაოდენობას. ეს კი თირკმელებზე უარყოფითად მოქმედებს და სისხლის შედედებასაც იწვევს. ამ ვიტამინის სიჭარბე ორგანიზმიდან B ჯგუფის ვიტამინების დიდი რაოდენობით დაკარგვას იწვევს.

კვლევით უკვე დადგინდა, რომ ასკორბინის მჟავა სისხლში $B_1$ ვიტამინის კონცენტრაციას ზრდის, A ვიტამინისას კი – ამცირებს. დიდი რაოდენობით $B_1$ ვიტამინის მიღება ორგანიზმიდან $B_2$ ვიტამინს გამოდევნის. A ვიტამინის ჰიპერდოზირება კი ორგანიზმში D ჰიპოვიტამინოზის სიმპტომებს ერთიორად აძლიერებს.

ნევროზით დაავადებულების ორგანიზმში $B_1$ და $B_6$ ვიტამინები მუდმივ ურთიერთქმედებაშია. მათი არაგეგმაზომიერად და უკონტროლოდ მიღებამ შესაძლოა, ავადმყოფს მდგომარეობა საგრძნობლად დაუმძიმოს და სავალალო შედეგამდეც კი მიიყვანოს.




## ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ სტუდენტი, ვცხოვრობ მარტო და, ამიტომ, ხშირად მიწევს კვერცხის ჭამა. შეიძლება, ეს საზიანო აღმოჩნდეს? თან ვვარჯიშობ და ცილების გამო უფრო ვაკეთებ აქცენტს კვერცხზე.**

**პასუხი:** კვერცხის მიღება ზომიერი რაოდენობით არ არის საზიანო, მაგრამ, კვება უნდა იყოს ბალანსირებული – აუცილებელია ხილი და ბოსტნეული.

**კითხვა: 3 წლის ბიჭს ჰემოგლობინი აქვს 119 და რკინის შემცველობა – 20,2მკმოლ/ლ. რამდენად საშიშია რკინის მაღალი შემცველობა მისთვის?**

**პასუხი:** ამ ასაკში სისხლში რკინის შემცველობა დასაშვებია 8,95-21,48-ის ფარგლებში, ამიტომ, თქვენს ვაჟს რკინა ნორმალური შემცველობით აქვს სისხლში.

**კითხვა: რა შეიძლება, გამოიწვიოს ორგანიზმში ცილების უკმარისობამ?**

**პასუხი:** ორგანიზმში ცილების უკმარისობის დროს ვითარდება ზრდაში ჩამორჩენა, კანის მოდუნება და ნაადრევი დაბერება, კუნთების მკვეთრი სისუსტე, ღვიძლის ფუნქციების მოშლა. ამის გარდა, ცილების უკმარისობას ხშირად თან სდევს ავიტამინოზი $B_{12}$, A, D, K ... რაც ასევე, გავლენას ახდენს კლინიკურ სურათზე.

**კითხვა: რა არის მზის ალერგია?**

**პასუხი:** „მზის ალერგია", ანუ ფოტოდერმატიტი – ჭინჭრის ციების ტიპის გამონაყარი, რომელიც მზის სხივების ზეგავლენით ჩნდება. ის შეიძლება, იყოს რომელიმე დაავადების ან ქრონიკული ინფექციის სენსიბილიზაციის გამოვლინება.

**კითხვა: შეიძლება თუ არა გრიპმა გამოიწვიოს გულზე გართულება და როგორი სიმპტომები ახასიათებს?**

**პასუხი:** შეიძლება, უფრო ხშირად – ტოქსიკური მიოკარდიტი. სიმპტომები: სისუსტე, არითმია, გულის არეში ტკივილები, ცივი ოფლი. მიოკარდიტი ძალიან სერიოზული გართულებაა, ამიტომ ამ სიმპტომების გამოვლენისას სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

**კითხვა: რა არის ცრუ სახსარი და როგორია მისი მკურნალობა?**

**პასუხი:** მოტეხილობის შეუხორცებლობის შემთხვევაში, შეიძლება, ცრუ სახსარი ჩამოყალიბდეს. ნორმალური სახსრისგან განსხვავებით, მას არ აქვს ხრტილოვანი ზედაპირი და მყესები. მკურნალობა – მხოლოდ ქირურგიული.

**კითხვა: რომელი ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების მიღება არ არის მიზანშეწონილი ბუასილის დროს?**

**პასუხი:** სისხლძარღვთა გამაფართოებელი. არ არის რეკომენდებული ასპირინი, არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები (იბუპროფენის ჯგუფის).

**კითხვა: როგორ მკურნალობენ ნეკნის მოტეხილობას და რა ხანგრძლივობით?**

**პასუხი:** ნეკნის მოტეხილობის დროს თაბაშირი არ გამოიყენება. იყენებენ მხოლოდ მჭიდრო გადახვევას გულმკერდის მოძრაობის შესაზღუდად და ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატებს. როგორც წესი, ახალგაზრდა ორგანიზმი 3 კვირაში სძლევს მოტეხილობას.

**კითხვა: როგორ შეიძლება საყლაპავის თიაქრის განკურნება?**

**პასუხი:** მედიკამენტური მკურნალობა არ არსებობს. ქირურგიული ჩარევა ნაჩვენებია მხოლოდ გართულებების შემთხვევაში.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# რატომ იწყევლიდა თავბედს ბათუ კრავეიშვილი სტალინთან შეხვედრისას

„ქეთო და კოტე" – გასაოცარი და დაუვიწყარი მსახიობები, ხმები, დეკორაციები, კოსტიუმები სცენები... მაგრამ, მთელი ფილმის განმავლობაში ერთი ძალიან თბილი და ტკბილი ხმა ჩაგესმის, რომელიც უდიდეს სიამოვნებას გგვრის. ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, კოტეს როლში ის კი არა, სხვა ყოფილიყო, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არა რეჟისორის ზუსტი ხედვა, საქართველოს დიდი ბარიტონი – ბათუ კრავეიშვილი ფილმში მართლაც არ იქნებოდა.



ბათუ (ბართლომე) კრავეიშვილი დაიბადა 1914 წელს, სამტრედიაში. 13 წლის ასაკში ბიძასთან გადმოვიდა, თბილისში. მისი ბიძა – ნიკოლოზი რუსთაველის თეატრის მხატვარი იყო. მშობლებს თურმე ბათუს ექიმობა უნდოდათ, ამიტომ მომავალმა ხელოვანმა მოსკოვში სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩააბარა. სასიმღერო კარიერა კი, 19 წლის ასაკში დაიწყო. მოსკოვის დიდ თეატრში გამართულ კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა, სადაც გაიმარჯვა და დიდი თეატრის სოლისტი გახდა. შემდეგ თბილისში დაბრუნდა და ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიწყო მუშაობა, სადაც მრავალი საოპერო პარტია შეასრულა. 1958 წლიდან კრავეიშვილი კონსერვატორიის პედაგოგი გახლდათ. გადაღებულია ფილმებში: „დაკარგული სამოთხე", „გიორგი სააკაძე", „ქეთო და კოტე". 55 წლის ასაკში ავად გახდა. შეცდომით ჩატარებული ოპერაციის შედეგად დადგინდა, რომ ხელოვანს თირკმლის კიბო ჰქონდა. ბათუ კრავეიშვილი 1969 წელს გარდაიცვალა. მისი დღიურების – „შეხვედრები წარსულთან" საშუალებით, მისი ცხოვრების ორ პერიოდს გაგაცნობთ.

„თბილისის კინოსტუდია „ქეთო და კოტეს" გადაღების სამზადისში იყო... ჩვენი თეატრიდან საცდელ გადაღებაზე თითქმის ყველა ტენორი გამოიძახეს... პირველად განზრახული ჰქონდათ ჩემი გადაღება არა კოტეს, არამედ თავადი ლევანის როლში... სტუდიაში გამოცხადებისთანავე, ტანზე თავად ლევანის კოსტიუმი მომარგეს და გრიმიც როლის შესატყვისი გამიკეთეს... საცდელი გადაღებების შედეგები სახარბიელო არ აღმოჩნდა. დამდგმელმა ჯგუფმა კვლავ განაგრძო საცდელი გადაღებები: იღებდნენ ხან დრამის, ხან ოპერის მსახიობებს, ზოგჯერ უბრალოდ ხალხში ეძებდნენ შესაფერ ტიპაჟს. ტაბლიაშვილის პროფესიულ თვალსა და გამჭრიახ გონებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ არ გაჰყვა ძველ გზას, როგორც ამ 30-40 წლის წინათ ხდებოდა, როცა რეჟისორები შემთხვევით შერჩეულ ტიპაჟებს იყენებდნენ კინოსურათებში... ამიტომ, ტაბლიაშვილმა უარყო ტიპაჟის ქუჩაში ძებნა და გადაწყვიტა, ფილმში მონაწილეობის მისაღებად მოეწვია პროფესიული, მაღალი ოსტატობის მქონე მსახიობები. როცა ტაბლიაშვილმა კოტეს როლში ჩემი გადაღება გადაწყვიტა, იმ დათმობაზე წავიდა, რომ კოტეს რთული ვოკალური პარტია, რომელიც ტენორისთვისაა დაწერილი, ბარიტონს მისცა სამღერლად. მან თავისებურად აღიქვა „ქეთო და კოტეს" სახეები... თუმცა კინოსურათის მონაწილეთა შემადგენლობის საბოლოოდ დადგენამ დიდი დრო წაიღო. ბოლოს, მაინც ტაბლიაშვილის დაჟინებული მოთხოვნით, შერჩეული შემადგენლობა დაადგინეს და რეჟისორები ფილმის გადაღებას შეუდგნენ... რეჟისორმა ფილმს სიახლე, სიღრმე და მასშტაბურობა მიანიჭა... თავადის როლში გადაიღეს ჩემი კოლეგა, ქართული საოპერო სცენის ლომგული – პეტრე ამირანაშვილი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ერთგულად და სახელოვნად ემსახურებოდა ხელოვნებას. გიორგი შავგულიძე, პეტრეს და მე რომ ერთად დაგვინახავდა, გვეტყოდა ხოლმე: ბიჭო, ტაბლიაშვილმა სად მოგნახათ ბიძა და ძმისშვილის როლებში ორი ბარიტონი ერთად? ალბათ, იცის, რა ძალიან გიყვართ ერთმანეთი.





1939 წლიდან, როცა მოსკოვის დიდი თეატრის დასში ჩამრიცხეს, 1941 წლის შემოდგომამდე, კრემლში გამართულ თითქმის ყველა დიდ და ღირსშესანიშნავ შეკრებათა მონაწილე ვიყავი. ერთხელ, დიდი თეატრის დასის გამგემ ფეოდორ პეტროვმა თავის კაბინეტში შემიყვანა და მითხრა: ბათუ, დღეს საღამოს 6 საათისთვის ჩაცმული დამხვდი, მანქანა გამოგივლის, შენ და ნატალია შპილერი – ორივენი კრემლში მოხვალთ. პეტროვს ჩემი პროგრამა დავუტოვე და სახლში წამოვედი. სრულ 6 საათზე, ჩემი სახლის წინ მანქანა გაჩერდა. მანქანაში ნატალია შპილერი მელოდა. ორივენი კრემლში მივედით და დარბაზში შევედით. მსახიობებმა ჩვენთვის განკუთვნილ ოთახში მოვიყარეთ თავი. იქ შემოგვქონდათ ჩაი, ნამცხვარი და



სხვა ტკბილეული... იმ დღეს კონცერტზე მეხუთე ნომრად გავედი. რაღაც უცნაურმა მღელვარებამ შემიპყრო. ამ მდგომარეობაში ვიმღერე რობერტის არია ჩაიკოვსკის „იოლანტადან." რობერტის არიის შემდეგ ვიმღერე არაყიშვილის „ურმული". ესტრადიდან ჩამოვედი და სუფრისკენ გავწიე, სადაც ჩემი უფროსი მეგობარი, დიდი თეატრის წამყვანი მომღერალი – მაქსიმ დორმიდონტის ძე მიხაილოვი დავინახე და მის გვერდით დავჯექი... მიხაილოვი თავის სტიქიაში აღმოჩნდა და მის მაგიდაზე რომ გამოცვალა არყის ბოთლები, მე-



ზობელი მაგიდებიდან დაიწყო გადმოლაგება...ალფრთოვანებულმა მიხაილოვმა „Многая лета" წამოიწყო. ის ისეთი გატაცებით მღეროდა და ისე



მძლავრად მიიწევდა მაღალ რეგისტრში, რომ დაჭიმულობისგან მოხარშულ კიბოს დაემსგავსა... მისმა მოულოდნელმა ამღერებამ და უცნაურმა ქცევამ სიცილი გამოიწვია, ამგვარად ყველამ მოილხინა და სიცილი სიმღერად გადაიქცა. მხოლოდ ერთი კაცი, რომელიც დარბაზის შუაგულში იჯდა და მის თვალებს შეუმჩნეველი არაფერი რჩებოდა, მისთვის ჩვეული სიდარბაისლით დინჯად იჯდა და როდესაც ბახუსი ყველას ზომაზე მეტად მოერია, ის უსიტყვოდ წამოდგა. ეს კი საკმარისი გახდა, დარბაზი მყისვე დაწყნარებულიყო. სტალინმა სკამები გვერდზე მისწია და ჩვენკენ წამოვიდა, თან, ხმამაღლა თქვა: „простите за мою слабость. Откуда прибыл мой земляк? Хочу узнать.“ ეს თქვა და სავსე ჭიქით ხელში პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა. სადაური ხარ ბიჭო, – მკითხა ქართულად. სამტრედიელი. სამტრედიელი, – გულიანად გაიცინა მან. მე საქციელი წამიხდა. შე ყოფაძაღლო სამტრედიიდან აქ რამ ჩამოგიყვანა? – განაგრძობდა სიცილს სტალინი. რა ვიცი, ბატონო... – დამნაშავესავით წავილუღლუღე მე და გულში თავს ვიწყევლიდი: რა ჯანდაბად ვახსენე ეს სამტრედია-მეთქი. налейте вина! – თქვა სტალინმა და ჭიქა ქართული ღვინით შემივსეს. – ყოჩაღ შენ, იცოცხლე ათასი წელი! – მითხრა მან და ჭიქა მომიჭახუნა. მადლობა გადავუხადე და ჭიქა გამოვცალე. შემდეგ შევნიშნე, რომ დარბაზში მყოფნი გარს შემომხვეოდნენ და ცნობისმოყვარეობით მეკითხებოდნენ, ისეთი რა თქვი, სტალინი ასე გულიანად რომ იცინოდაო. გაოგნებული ვიდექი, მეც ვერ გამეგო, თუ რა ვთქვი სასაცილო. ხალხის მოზღვავებულ ტალღას სტალინი ჩემგან ნელ-ნელა შორს მიჰყავდა. მე ვხედავდი მის წინ აღმართულ ადამიანთა სიყვარულით სავსე სახეებს, რომლებიც სუნთქვაშეკრული მისჩერებოდნენ. ჩემს მეხსიერებაში დარჩა საბჭოთა კავშირის გმირ მფრინავთა – გრომოვისა და კოკინაკის კლდესავით აღმართული ფიგურები, გრიზადუბოვასა და რასკოვას სტალინისადმი მიმართული მზერა. სტალინი დინჯად, ალერსით მიესალმა ყველას ესტრადაზე და მადლობა გადაუხადა... მე კი ვიდექ და კვლავ იმაზედ ვფიქრობდი, თუ რა ვთქვი ისეთი, რამაც სტალინი ასე გულიანად გააცინა... შემდეგ სასულე ორკესტრმა ჩვენებური, ქართული მთიულური საცეკვაო დაუკრა. ესტრადაზე ლეპეშინსკაია გამოხტა და ცეკვა დაიწყო. მისი თვალები მე მომჩერებოდა. შევკრთი, ერთი ნაბიჯი გადავდგი, მაგრამ უცბად წინ ბუდიონი გადამეფარა, შეიჭრა სცენაზე და რუსული ბუქნა დაუარა. ლეპეშინსკაია მაინც ჩემკენ იყურებოდა და მიღიმოდა. ის მიწვევდა საცეკვაოდ, მაგრამ მოხდა უცნაური რამ: სტალინი წამოიწია,





ბუდიონი გააჩერა და წრიდან გაიყვანა, – შე ბებერო, გზა ახალგაზრდებს დაუთმეო. მერე მომიბრუნდა და დამიძახა: აბა, მოდი, ახალგაზრდავ!.. მე აღარ დავაყოვნე და რაც ვიცოდი და არ ვიცოდი – ყველანაირი ილეთი გამოვიყენე. მგონი, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, რადგან ლეპეშინსკაიასთვის ფეხზე ფეხი არ დამიდგამს და არც ცეკვის დროს დავჯახებივარ. ყველა კმაყოფილი დარჩა.”

**ეკა პატარაია**

# რომელ წელს გაუქმდა სასაფლაო ვერის ბაღის ტერიტორიაზე და რომელი წლიდან აღარ დადის ტრამვაი მელიქიშვილის ქუჩაზე

**(23-ე გვერდიდან)**

სახლი იდგა. სახლის წინ აღმართული იყო ცნობილი საათი და, როდესაც ვერელები და თბილისის სხვა მცხოვრებლები იტყოდნენ – „საათთან ვხვდებით,” ყველამ იცოდა, რომ იქ უნდა მისულიყო, აღარ კონკრეტდებოდა, რომელ საათთან. ეს სახლი ლავრენტი ბერიას პერიოდში აშენდა და მსგავსი არქიტექტურული შენობა დგას კოლმეურნეობის მოედანზე, კოშკის ფორმა რომ აქვს. ეს იყო ფსევდოქართული ელემენტების გამოყენებით აშენებული საცხოვრებელი სახლი. არანაირი კულტურული დატვირთვა ამ სახლს არ ჰქონდა და, დიდი საკონცერტო დარბაზის აშენების პარალელურად, მისი დემონტაჟი მოხდა. არქიტექტორ ივანე ჩხენკელის პროექტით აგებული ფილარმონია 1971 წელს გაიხსნა, შემდგომში რამდენჯერმე ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და ამჟამად 2 000 მაყურებელს იტევს. ფილარმონიის წინა ფასადს მერაბ ბერძენიშვილის ბრინჯაოს ქანდაკება – „მუზა” ამშვენებს.



ფილარმონია (1970-იანი წლები)

### მელიქიშვილის ქუჩა

პეტრე მელიქიშვილის ქუჩას წარსულში წყნეთის ქუჩა ეწოდებოდა და ის ამჟამინდელ მეცხრე საავადმყოფომდე გრძელდებოდა. ქუჩის გაფართოება მეოცე საუკუნის დაახლოებით 30-იან წლებში დაიწყო, ამჟამინდელი იერი მიიღო და მასზე ტრამვაის ხაზები გაიყვანეს. ტრამვაის მოძრაობა მელიქიშვილზე 1967 წელს გაუქმდა. მელიქიშვილის გამზირზე მდებარეობდა თბილისში ტუბერკულოზის ინსტიტუტის პირველი შენობა, სადაც ამჟამად განთავსებულია გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი. მელიქიშვილის გამზირზეა, ასევე, საბჭოთა პერიოდში აშენებული სასტუმრო „საქართველო”, რომლის მშენებლობაზე გერმანელი ტყვეები მუშაობდნენ.



ქალაქის ტუბერკულოზის ინსტიტუტის პირველი შენობა (1931 წელი)



სასტუმრო „საქართველო” (თანამედროვე ხედი)

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ფრაგმენტები წიგნიდან: თ. კვირკველია „ძველთბილისური დასახელებანი” (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1985).**



**ზოგ ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში თან სდევს ფატალური უიღბლობა. თანაც, გასაკვირი ის არის, რომ ამის აშკარა მიზეზი თითქოს არც კი არსებობს. მეცნიერები უძველესი დროიდან სწავლობდნენ ამ ფენომენს და დღეს, ზოგიერთი მათგანი აცხადებს, რომ მისი ახსნა შესაძლებელია და მალე შესაბამის ფორმულებსაც გამოაქვეყნებენ. ვიდრე ისინი უიღბლობის „ვაქცინას" შემოგვთავაზებენ, ცხოვრება სულ ახალ-ახალ კატასტროფებს გვთავაზობს. სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით ვთხოვეთ კომენტარი მეცნიერ-პარაფსიქოლოგს, ბატონ ვლადიმერს. მან ისეთი ინფორმაცია მოგვაწოდა, ვფიქრობ, ყოველდღიურ ცხოვრებაში, ნამდვილად გამოგვადგება.**

# როგორ გავიგოთ წინასწარ რას გვპირდება კონკრეტული დღე და შესაძლებელია თუ არა პრობლემებსა და გაუგებრობებს ადვილად დავაღწიოთ თავი

**ვლადიმერი**: ჩვენ გარშემო უამრავი შემზარავი ფაქტი ხდება. ზოგის მიზეზი გასაგებია, ზოგის კი – ამოუხსნელ-ამოუცნობი. უბედურ შემთხვევათა სტატისტიკის გაანალიზებამ სპეციალისტები იმ აზრამდე მიიყვანა, რომ ცხოვრება „რულეტკას" ჰგავს – არასდროს იცი, როდის მოგივა ავბედითი ნომერი. საოცარი კიდევ ის არის, რომ ჩემი დაკვირვებით, უიღბლო ადამიანი, რა ქონება და ავლა-დიდებაც არ უნდა მოიპოვოს, მაინც უიღბლოდ რჩება. უბედურება მას, რომ იტყვიან, შუბლზე აწერია და ვერაფრით გაექცევა.

**– გამოდის, ბედს უნდა დავნებდეთ და გამოსავალი არ არსებობს?**

– გამოსავალი როგორ არ არსებობს, მაგრამ ადამიანი თუ თავად არ დაეხმარა საკუთარ თავს და სიტუაცია არ გაანეიტრალა, რთულია ცხოვრებისეულ პრობლემებს ასცდეს. ამიტომ, უნდა შეიმსუბუქოთ ცხოვრება და გაითვალისწინოთ ის, რასაც გამოცდილი ადამიანები გირჩევენ. მაგალითად, ზოგი საერთოდ არ აქცევს ყურადღებას, როცა ცამეტი რიცხვი პარასკევს ემთხვევა. ამ დროს დიდია ავარიებისა და უბედური შემთხვევების ალბათობა და ამას სტატისტიკაც მოწმობს. მოდი და თქვი, რომ ეს უბრალო დამთხვევაა და სხვა არაფერი. ამიტომ, გირჩევთ, ასეთ დღეებში მოერიდოთ მგზავრობას, უცხო ხალხთან კონტაქტს, გადაადგილებებს, რომ დღე მშვიდად და კონფლიქტების გარეშე განვლოთ. სხვათა შორის, ასეთ დღეს დაბადებული ადამიანები ძალიან უიღბლოები არიან და მათ თითქმის ცხოვრების ყველა სფეროში ეცარებათ ხელი. ასევე, არსებობს უიღბლო ერები ანუ როგორც მათ პარაფსიქოლოგები ვუწოდებთ – დაღდასმულები. მაგალითად, ავსტრალიელი აბორიგენები – მათ ისეთ ქვეყანაში მოუწიათ ცხოვრება, სადაც ყველაზე შხამიანი ქვეწარმავლები და ველური ძაღლი – დინგო ბინადრობს. რომ აღარაფერი ვთქვათ, ნიანგებსა და ზვიგენებზე, რომლებითაც სავსეა იქაური წყლები, სანაპიროები და მდინარეები. ავსტრალიაში საშიშია მზეც, სადაც კანის კიბოთი დაავადების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ასე რომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ისინი დაწყევლილ ერთა სიაში პირველ ადგილზე არიან. მადლობა ღმერთს, ჩვენ, ქართველები, უიღბლო ერების სიაში არ ვწერივართ. ჩვენი ქვეყანა ამიტომაც არ განიცდის დიდ კატაკლიზმებს და სტიქიური უბედურების მსხვერპლი არ ხდება. უიღბლო ერებში ზვავები, მეწყერები, მიწისძვრები, შენობების ნგრევაა. მართალია, ბუნებას წინ ვერავინ აღუდგება და მსგავსი მოვლენები ყველა ქვეყანაში ხდება, მაგრამ მე მასშტაბურ უბედურებებს ვგულისხმობ.

**– ბევრისგან მსმენია, არსებობს მინიშნებები, რომლებსაც ადამიანისთვის ბედნიერება მოაქვსო. ეს თუა სიმართლე და რომელ მინიშნებებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება?**

– ასეთი უამრავი მინიშნება არსებობს და ეს იმაზეა დამოკიდებული, თავად როგორ დაცდი მას. უცხოელმა მკვლევრებმა სცადეს დაედგინათ, სანდოა თუ არა ბედნიერების მომტანი ისეთი ნიშანი, მაგალითად, როცა ჩიტი თავზე დაგასკინტლავს, მაგრამ ერთიან აზრამდე დღემდე ვერ მივიდნენ ***(იცინის).*** ზოგიერთისთვის, ამგვარ „საჩუქარს" მართლაც რაღაც პოზიტიური მოსდევს, ზოგისთვის კი პირიქით. ასე რომ, რაიმე ერთიანი პროგნოზის გაკეთება, რთულია. ამას უნდა დააკვირდეთ და თავად დაცადოთ, რა მოვლენა როგორ მოქმედებს თქვენზე; რას მოაქვს ბედნიერება თუ ნეგატიური შედეგი. სხვათა შორის, ყველაზე უტყუარი ნივთების წინასწარმეტყველებაა და ამაში ეჭვი ნამდვილად არ მეპარება.

**– ბევრს გაეღიმება, როცა გაიგებს, ნივთებს წინასწარმეტყველების უნარი აქვსო. არ მეთანხმებით?**

– თუ არ ხარ ამ სფეროში გათვითცნობიერებული, რასაკვირველია, გაგეღიმება, მაგრამ საქმე ისაა, ასე გაღიმებული არ დარჩე მთელი ცხოვრება. კი ბატონო, დაგიკონკრეტებთ და

## ყველაზე უტყუარი ნივთების წინასწარმეტყველებაა

თავად გამოიტანეთ დასკვნა. მგონი, ასე აჯობებს. აბა, დააკვირდით, ზოგს მინის ჭურჭლის გატეხა კარგად აქვს დაცდილი. ადამიანს, რომელსაც ხელიდან უცვივა ჭურჭელი და ტყდება, და ეს რამდენიმე დღე გრძელდება, ბედნიერების ნიშანია, მაგრამ, თუ თავისით ტყდება, მაშინ – ცუდის მომასწავებელი. ასევე, ერთ მეთოდს შემოგთავაზებთ, რომელიც საქმიან ადამიანებზეა გათვლილი და ერთგვარი წარმატება-წარუმატებლობის მიმანიშნებელი რიტუალია. კერძოდ, თუ სერიოზულ საქმეზე გიწევთ წასვლა და წინასწარ გსურთ გაიგოთ, მომგებიანი იქნება ეს თქვენთვის თუ არა, ერთ უტყუარ ხერხს უნდა მიმართოთ. ალბათ, ბევრს არ სმენია ბრინჯით მკითხაობაზე, და არ იცის, რომ, ამას თქვენს კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლია.

**– სიმართლე გითხრათ, პირადად მე, არ გამკვირვებია, რადგან არაერთი ეზოთერიკოსი ამბობს, ბრინჯით მკითხაობა უძველესი დროიდან იღებს სათავეს და ეს იაპონიაში დღემდე პოპულარული რიტუალიაო. ეს როგორ უნდა მოვახერხოთ?**

– ეს ძალიან მარტივი გასაკეთებელია და ახლავე მოგახსენებთ. ონკანიდან აიღეთ ერთი ჩაის ჭიქა წყალი, მოსვით სამი ყლუპი, მერე მარჯვენა ხელით აიღეთ ერთი მუჭა ბრინჯი, ჩაყარეთ წყლით სავსე ჭურჭელში, ნელა შეანჯღრიეთ და დააცადეთ ცოტა ხანი. წყალი რომ დადგება, დააკვირდით, როგორ განთავსდა ჭიქის ფსკერზე ბრინჯის მარცვლები. თუ ბრინჯმა წრე შეკრა, ეს კარგია, რადგან ამ დღეს, საქმეში ხელი მოგემართებათ და თქვენს ყველა იდეასა თუ წინადადებას მოიწონებენ საქმიანი პარტნიორები. თუ მარცვლები სამკუთხედად განლაგდა, თქვენი გეგმები სულ მალე რეალიზდება და დიდ გასამრჯელოსაც მიიღებთ. თუ ბრინჯმა ოთხკუთხედი შეკრა, ამ დღეს ყველანაირი მოლაპარაკება მშვიდად ჩაივლის და ბევრ სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ. მაგრამ, თუ ვარსკვლავის ფორმა მიიღო ან უაზროდ გაიბნა ბრინჯის მარცვლები ჭიქის ფსკერზე, მაშინ ეს დღე ცუდია და უმჯობესია, ყველანაირი საქმიანი წინადადებისა თუ ახალი წამოწყებისგან თავი შეიკავოთ. ვერც პარტნიორებთან გაიტანთ თქვენსას და საერთოდ, ვერც საყვარელ ადამიანებთან ასცდებით კამათსა და ჩხუბს. ასე რომ, თუ დილით საქმეზე მიმავალი, სულ მცირეოდენ დროს მოიტოვებთ და ბრინჯით გაიგებთ რა გელით, ადვილად მიხვდებით, რა დროს, ვისთან როგორ იმოქმედოთ, რომ იღბალმა გაგიღიმოთ. მგონი, ჯობია, წინასწარ იცოდე, რას გპირდება კონკრეტული დღე და ამით პრობლემებსა და გაუგებრობებს თავი ადვილად დააღწიო. პირადად მე, ეს მეთოდი, ერთ-ერთმა იაპონელმა დიპლომატმა მასწავლა. მასთან ერთად მომიწია მივლინებაში ყოფნა და დილაუთენია რომ გამოიტანა ბრინჯი, ვკითხე, რად გინდა დილაადრიან უმი ბრინჯი და წყალი-მეთქი. მაგრამ, რომ ამიხსნა, რასაც აკეთებდა, მერე, დამიჯერეთ, ყოველ დილით აქეთ ვეხვეწებოდი, მიდი ერთი, მიწინასწარმეტყველე მაგ შენი ეროვნული ბურღულეულით, რა მელის, თუ კაცი ხარ-მეთქი ***(იცინის).*** თქვენ წარმოიდგინეთ, ზუსტად ისე ჩაივლიდა დღე, როგორც ის იტყოდა. ეს რომ სხვას ეთქვა, შესაძლოა, არც კი დამეჯერებინა. ხომ იცით, ასეა, სანამ საკუთარ თავზე არ გამოცდი, ისე სხვისი გამოცდილების დაჯერება გიჭირს.

**ნონა დათეშიძე**

## საშიში ქალა

უკანასკნელი ერთი საუკუნის განმავლობაში, სამყარო ძალიან შეიცვალა. გადანაწილდა ძალთა თანაფარდობაც ორ სქესს შორის. ქალი აღარ არის სუსტი და დაუცველი... შეიძლება, არც არასოდეს ყოფილა ასეთი, მაგრამ ასეა თუ ისე, დღეს ამ არსების არსი და დანიშნულება რადიკალურად თუ არა, მნიშვნელოვნად მაინც შეიცვალა. ქალი ახლა უფრო მიზანდასახული, შეუპოვარი, ამბიციური და დამოუკიდებელია. თითქოს კუნთებიც გაუმკვრივდა, ხასიათიც ხისტი გაუხდა. ცხოვრებამ მას ბრძოლის მკაცრი წესები შესთავაზა და ამ ბრძოლაში ნელ-ნელა გამოაწრთო. სათუთი, ნაზი, ჰაეროვანი არსება საერთოდ დაუცველი რომ არ დარჩენილიყო და საკუთარ თავთან ერთად, ადამიანთა მოდგმაც გადაერჩინა, ქალი გაამკაცრა და მას პრინციპები გაუჩინა ბუნებამ, ან იქნებ ევოლუციურ-ისტორიულმა პროცესმა.

თანამედროვე ქალის პოპულარული და აქტუალური ლოზუნგია: „ვაკეთებთ იმას, რაც გვსურს და ჩვენს სუსტ მხრებს მძიმე ტვირთის ზიდვაც შეუძლია,“ – ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, კარგია. სამწუხარო ისაა, რომ მამაკაცების უმრავლესობამაც დაინახა, რომ ქალს მისი დახმარების გარეშეც შეუძლია თავის გატანა და ადგილის დამკვიდრება. ზოგიერთი მამრი ისე გათავხედდა, რომ მხოლოდ პრობლემები კი არ გადააბარა ქალის სუსტ მხრებს, თავადაც ზედ ჩამოეკიდა. ამიტომაც, აქტიური ქალები ძალიან იჩაგრებიან. მათი სიძლიერე, შეიძლება, მათივე წინააღმდეგ იქნას გამოყენებული. ქალებს დღეს აქვთ პრივილეგიებიც და არჩევნის თავისუფლებაც. უბრალოდ, ზოგიერთს არ ჰყოფნის უნარი, გააცნობიეროს მარტივი ჭეშმარიტება – რომ ყველაფერი მათსავე ხელშია!

## მათ ეს მოსწონთ...

ძნელია, იპოვო ქალი, რომელსაც არ ჰქონდეს სურვილი – ჰყავდეს გვერდით ღირსეული პარტნიორი და სტაბილური ურთიერთობა. შეიძლება, ცხოვრების რაღაც ეტაპზე ვერ აცნობიერებდეს ამას, მაგრამ საბოლოოდ, მაინც აქეთ მიჰყავს ყველაფერი... როგორ იქცევა ჭკვიანი ქალი, რომ პარტნიორმა მისი ღირსებები დაინახოს? უპირველესად, კაცს აძლევს საშუალებას, იგრძნოს თავისი მნიშვნელობა ქალის ცხოვრებაში. ანუ, ის უნდა დარწმუნდეს, რომ ერთადერთია, ვინც მართლა გჭირდებათ.

რა უნდა გააკეთოთ ამისთვის? – განსაკუთრებული არაფერი. უბრალოდ, ხშირად უნდა ჰკითხოთ აზრი ამა თუ იმ საკითხზე და პერიოდულად, გაითვალისწინოთ კიდეც. გაუზიარეთ შთაბეჭდილებები და მოუყევით განვლილი დღის საინტერესო ეპიზოდები. უთხარით, რომ, როცა თქვენ გვერდით არ არის, იწყენთ.

თუ უკვე ერთ ჭერქვეშ ცხოვრობთ, გადაუნაწილეთ მეუღლეს საოჯახო საქმეები. აქტიურად ჩართეთ პროცესებში. როგორი ემანსიპირებულიც არ უნდა იყოთ, ნუ მოახდენთ ძალისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებას. არ არის საჭირო, მამაკაცს უთხრათ ან აგრძნობინოთ: „იცი, რა – მე საკმარისი ძალა მაქვს იმისთვის, რომ ცხოვრებას გავუმკლავდე და გამოვტაცო მას ყველაფერი კარგი, რისი მოცემაც შეუძლია“. იყავით ქალის როლში: გამოავლინეთ მაქსიმალური სითბო, სინაზე, ყურადღება... მამაკაცებს ეს ძალიან მოსწონთ.

## არავითარ შემთხვევაში

„ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ერთმანეთს უკვე დიდი ხანია, ვიცნობთ“; „ვფიქრობ, ერთად კარგად ვიქნებით“; „ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს“... არა, არა და არავითარ შემთხვევაში... ერთი შეხედვით უწყინარი ფრაზები სერიოზული საფრთხის შემცველია. კონკრეტულად საშიშია „ჩვენ“ და „ერთად“. ასეთი საუბარი მხოლოდ ურთიერთობის მეორე და მესამე ეტაპზე შეიძლება და არა ნაცნობობის დასაწყისში. მამაკაცს აფრთხობს ყველაფერი, რაც სწრაფ გადაწყვეტილებას უკავშირდება. მით უმეტეს, პირადულში. განსაკუთრებით ფრთხილობენ მამაკაცები, რომლებშიც მონადირის ინსტინქტი გამძაფრებულია. ისინი ამ ფრაზებში მახეს, ხაფანგს ხედავენ.

ბრიტანელმა ფსიქოლოგებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი. რამდენიმე მამაკაცი ორ ჯგუფად დაყვეს და სიმპათიური ქალბატონების ფოტოები აჩვენეს: პირველ ჯგუფს მაშინვე, ხოლო მეორე ჯგუფს – ორმოცი წუთის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში მათ პარალელურად უჩვენებდნენ ქორწილებს, ჩვილი ბავშვებისა და ოჯახური სიტუაციების ამსახველ სლაიდებს. პირველი ჯგუფის მამაკაცებმა მაშინვე გამოთქვეს ქალიშვილების გაცნობის სურვილი. მეორე ჯგუფმა თავი შეიკავა.

ანუ... ეს ნიშნავს იმას, რომ უცოლო მამაკაცებში (განსაკუთრებით 30 წელს გადაცილებულებში) ქორწინებაზე აბსტრაქტული წარმოდგენაც კი შიშს იწვევს... აცალეთ, თავი მონადირის ამპლუაში იგრძნოს. იმ მონადირის, რომელსაც მსხვერპლი მუდმივად ხელიდან უსხლტება... სამომავლო გეგმები მერე დააწყვეთ.

## სუფთა ფურცლიდან

მთავარია, არ დაკარგო დრო და დროულად დაიწყო ყველაფერი სუფთა ფურცლიდან. რას ნიშნავს ეს – ცხოვრება სასიამოვნო სიურპრიზებით არ გვანებივრებს. სტრესი, იმედგაცრუება ფეხდაფეხ დაგვყვება. თითქოს ხელსაყრელ მომენტს ეძებენ, რომ კლანჭი ჩაგვავლონ. დროულად თქვით – მე ყველაფერს შევძლებ და უკანმოუხედავად იწყეთ სვლა წინ. თუმცა, გაითვალისწინეთ, სუფთა ფურცლიდან დაწყება ყველაფრის დაწყებას არ ნიშნავს. პირიქით, ყოველი განვლილი ნაბიჯი კარგად უნდა აწონ-დაწონოთ, გაიაზროთ და მიხვდეთ, სად დაუშვით შეცდომა. არავითარ შემთხვევაში, არ შეადაროთ თქვენი ცხოვრება სხვებისას. ჯერ ერთი, არ იცით, რა ხდება ფარდის მიღმა და მეორეც – ყველას თავისი წილი ბედნიერება, სიხარული და წარუმატებლობა აქვს.

არასოდეს წამოეგოთ პროვოკაციაზე. როგორ გამოწვევასაც უნდა გთავაზობდეთ ცხოვრება, ღირსეულად დახვდით მას. დღეს არ გაგიმართლათ? – ხვალ ყველაფერი გაცილებით უკეთესად იქნება.

უმთავრესია – გულში ბოღმა და შური არ ჩაიდოთ. ეს უკვალოდ არ ქრება, უზარმაზარ ნეგატიურ კვალს ტოვებს და საშუალებას აღარ გაძლევთ, იაროთ საკუთარი ორიენტირების მიხედვით. დაბოღმილი, ყველასა და ყველაფერზე განაწყენებული ადამიანი ვეღარც ახალ ურთიერთობებს აგებს და ვერც ცხოვრებას იწყებს სუფთა ფურცლიდან.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# რომელი მარკის სექსუალური მოდელები დაჩრდილა რიანამ და რომელი ჟანრის მუსიკას არ უსმენდა ის ბარბადოსზე

*ნიჭიერი, ლამაზი და თამამი, მისი შემხედვარე შეუძლებელია გულგრილი დარჩე. შეიძლება მის სიმღერებს სულაც არ უსმინო, მაგრამ მისი სილამაზე და სექსუალურობა, რომ თვალშისაცემია, ფაქტია. რიანა თანამედროვე მსოფლიო მუსიკის ნამდვილი დედოფალი და მილიონობით ადამიანისთვის კერპია. არსებობს რამდენიმე ფაქტი რიანას შესახებ, რომელთა ცოდნა მისი თაყვანისმცემლებისთვის აუცილებელია:*

* მომღერლის სრული სახელი და გვარია რობინა რიანა ფენტი. ის კუნძულ ბარბადოსზე დაიბადა და იქვე დაამთავრა დაწყებითი და საშუალო სკოლები.



* პოპ-მომღერლობის გარდა, რიანა ფოტომოდელი, დიზაინერი და ბარბადოსის საპატიო ელჩია კულტურის საკითხებში.

* რიანას დედა ჩვეულებრივი ბუღალტერია, ხოლო მამა – ტანსაცმლის მაღაზიაში საწყობის გამგე.

* რიანას ორი უმცროსი ძმა ჰყავს: რაჯადი და რორი.

* დღის განმავლობაში რიანა რამდენჯერმე იცვლის ფრჩხილის ლაკის ფერს. მანიკიურს მას სპეციალურად დაქირავებული სპეციალისტი უკეთებს.

* ყველაზე მეტად რიანას მატყუარა ადამიანები არ უყვარს. მისი თქმით, მას ურჩევნია, პირდაპირ უთხრან, რომ ძროხასავით გამოიყურება, ვიდრე ზურგსუკან ილაპარაკონ.

* რიანას საყვარელი ტკბილეულია შოკოლადის ნაყინი.

* „დაიმონდსის" გამოსვლამდე რიანას საყვარელი სიმღერა „ამბრელა" იყო.

* მას დიდი სურვილი აქვს, რომ სკაიდაივინგით დაკავდეს, თუმცა, ამას სიმაღლის შიშის გამო ვერ რისკავს.

* რიანას თქმით, მისთვის პოპის დედოფალი მადონაა, თავად კი პოპის „შავი დედოფალია".

* სწავლა რომ გაეგრძელებინა, რიანა ფსიქოლოგი გამოვიდოდა.

* ბავშვობაში რიანა ეგზორციზმის რიტუალს დაესწრო საკუთარ სახლში.

* რიანას ძალიან უყვარს კერძების მომზადება და უარს არც ჭურჭლის გარეცხვაზე ამბობს.

* რეპერ ჯეი-ზის თქმით, პრაქტიკულად შეუძლებელია მობილურ ტელეფონში რიანას საუბრის გაგება და ურჩევს მას, რომ ესემესებით იქონიოს კონტაქტი მეგობრებთან.

* რიანა „რედ ბულის" დიდი მოყვარულია.

* კრის ბრაუნთან სკანდალური ურთიერთობის პერიოდში, რიანამ გახსნა გვერდი „ტვიტერში", რათა მის თაყვანისმცემლებს სრული ინფორმაცია მისგან მიეღოთ და არა ჟურნალისტებისგან.

* რიანა თავად ილებავს თმას.

* რიანას საყვარელი ფილმი და სერიალია: „ნაპოლეონ დინამიტი" და „დექსტერი".

* ბოლო მონაცემებით რიანას სხეულზე 16 ტატუ აქვს, მათ შორის არის დამატებით – დროებითი ტატუები, რომელთა გაკეთებაც მას ფილმ „საზღვაო ომის" გადაღებებისთვის მოუწია.

* რიანას თქმით, ბარბადოსზე ცხოვრების პერიოდში მას არც ერთხელ არ მოუსმენია როკ-მუსიკისთვის.

* ამბობენ, რომ რიანამ წარმატებას ჯეი-ზისთან რომანით მიაღწია, თუმცა, რეალურად, იმ პერიოდში ჯეი-ზი ბიონსეს ხვდებოდა და მოგვიანებით წყვილი დაქორწინდა. რიანასთვის კი ბიონსე დღემდე ითვლება მის საყვარელ შემსრულებლად.

* 2008 წლიდან მოყოლებული ბარბადოსში ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაული, რომელიც რიანას ეძღვნება.

* რიანას არ უყვარს მექსიკური, ჩინური, იაპონური და ინდური სამზარეულო. ვარსკვლავი პრაქტიკულად არ ჭამს ბოსტნეულს და ძირითადად მხოლოდ ხილით იკვებება.



* ბიონსეს გარდა, რიანა მერაია ქერის, ალიშა ქიზისა და უიტნი ჰიუსტონის მსმენელია.

* რიანას აქტივები 75 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

* რიანას ბებიის აზრით, მისი შვილიშვილი იდეალური მეორე ნახევარი იქნებოდა ემინემისთვის.

* „ვენუსის" ვერსიით, რიანას ყველაზე ლამაზი ფეხები აქვს.

* სახლში რიანას ჰყავს კუ და ძაღლი, მეტსახელად „მარლი".

* რიანას საყვარელი კინომსახიობები არიან: დენზელ ვაშინგტონი, ჯესიკა ალბა, ჰოლი ბერი და ტერენს ჰოვარდი.

* 2011 წელს, ბერლინის მადამ ტიუსოს მუზეუმში დაიდგა რიანას ცვილის ფიგურა, თუმცა, იმის გამო, რომ პოპ-ვარსკვლავი ხშირად იცვლის იმიჯს, ცვილის ასლი გრძელი თმით მუზეუმის დამთვალიერებლებს შორის ნაკლებად იწვევს ინტერესს.

* დონეცკში, სტადიონ „დონბას არენაზე" გამართული კონცერტისთვის, რომელსაც 75 ათასი მაყურებელი დაესწრო, რიანამ ჰონორარის სახით 500 ათასი დოლარი მიიღო.

* წარსულში რიანა „ტრანსფორმერების" ვარსკვლავს, შია ლებეფს ხვდებოდა, თუმცა, მათი რომანი ხანმოკლე გამოდგა.

* რიანა პირველი ბარბადოსელი მომღერალია, რომელმაც „გრემის" ჯილდო მიიღო.

* რიანას საყვარელი ფერებია შავი და მწვანე.

* საკუთარ თავს რიანა არ მიიჩნევს ლამაზად, პირიქით, ჰგონია, რომ უშნოა.

* რიანა ყველაზე ახალგაზრდა შავკანიანი მოდელია, რომელიც „ვოგის" გარეკანზე მოხვდა.

* რიანა პროდიუსერმა ივენ როჯერსმა აღმოაჩინა, რომელიც ბარბადოსზე მეუღლესთან ერთად ისვენებდა და შემთხვევით მოისმინა 15 წლის რიანას სიმღერა.

* რიანა დაიბადა 1988 წლის 20 თებერვალს; მისი სიმაღლე 175 სანტიმეტრია.

* 2009 წელს რიანას ბოიფრენდი კრის ბრაუნი პოლიციამ ძალადობის ფაქტზე დააპატიმრა. ბრაუნი სისტემატურად უსწორდებოდა ფიზიკურად პოპ-ვარსკვლავს და ამის გამო ხუთწლიანი პირობითი სასჯელი მიიღო. დაშორების შემდეგ რიანა მცირე ხნის განმავლობაში კალათბურთელ ჯეი არ სმიტს, ამერიკული ფეხბურთის მოთამაშე მეტ კემპსა და რეპერ აშერ რაიმონდს ხვდებოდა, ხოლო 2012 წლის ოქტომბრიდან კი, რიანამ და კრის ბრაუნმა ურთიერთობა განაახლეს.

* რიანას უყვარს „ინსტაგრამა" და ხშირად აქვეყნებს თავის პიკანტურ ფოტოებს ინტერნეტში.

* რიანა ეპატაჟის დიდი მოყვარულია და არც სტრიპტიზის მოცეკვავეებთან გართობაზე ამბობს უარს. მაგალითად, ბოლო წვეულებაზე სტრიპტიზიორ რემი რედთან ცეკვა რიანას 8 ათასი დოლარი დაუჯდა.

* მოდის კრიტიკოსთა აზრით, „ვიქტორია სიქრეტის" 2012 წლის ჩვენებაზე გამოსვლით, რიანამ ამ მარკის ყველაზე სექსუალური მოდელებიც კი დაჩრდილა.

**უშანგი რუხაძე**

# სტალინი და „კანონიერი ქურდები“



ბერია-სტალინის თათბირის შემდეგ გადაწყდა: „ვინც ეგრეთ წოდებული ბეზპრედელშჩიკია, უნდა მოკვდეს!“

დიდ საბჭოეთში კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის დაწყების შემდეგ ლოგიკურ გაგრძელებად იქცა რეპრესიები, მოსახლეობის გალატაკება. შედეგად, იფეთქა კრიმინალურმა ტალღამ, რასაც ხელისუფლება დაუნდობელი ღონისძიებებით დაუპირისპირდა. სტალინს კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ ეს ღონისძიებები არ იყო საკმარისი პრობლემის მოსაგვარებლად. ამ პერიოდში სტალინის რეჟიმის მიერ, ხელოვნურად შეიქმნა ტერმინი „კანონიერი ქურდი".

ბელადმა „გპუ"-ს პირველი მოადგილე ჰენრიხ იაგოდა გამოიძახა და დაავალა, კრიმინალთან ბრძოლის ვერსია შეემუშავებინა. „გამოსავალი ერთია, ამხანაგო სტალინ – უნდა გავაკონტროლოთ კრიმინალური ელიტა!“ იყო პასუხი. ამ პრობლემაზე ოდესღაც ვილჰელმ შტიბერი მუშაობდა. ამ უკანასკნელმა შექმნა გერმანული დაზვერვა, კონტრდაზვერვა და კრიმინალური პოლიცია. სტალინმა მოითხოვა, შეესწავლათ შტიბერის გამოცდილება. „როგორც მახსოვს, შტიბერი რუსეთშიც მოღვაწეობდა,“ – თქვა მან.

სტალინისთვის ცნობილი იყო, რომ შტიბერი „მაძებრების მეფედ" ითვლებოდა. იგი 1818-1882 წლებში მოღვაწეობდა. მან შექმნა პრუსიის კრიმინალური პოლიცია, დაზვერვა და კონტრდაზვერვა. იგი პროფესიით იურისტი იყო, ეწეოდა ადვოკატობას და მისდევდა ჟურნალისტიკას. ერთხელ, პოლიციის შეფმა, რომელიც მისი ტალანტით იყო მოხიბლული, ერთი თავსატეხი საქმის გამოძიება დაავალა. მისი გახსნა შტიბერმა შეძლო და ამის შემდეგ დაიწყო შტიბერის, როგორც მაძებრის კარიერა. წლების განმავლობაში ებრძოდა შტიბერი ქურდებს, ბანდიტებს, ჯაშუშებს. მან დამნაშავეობასთან ბრძოლის საკუთარი მეთოდი შეიმუშავა. „კრიმინალის მოსპობა შეუძლებელია, – აღნიშნავდა შტიბერი, – დანაშაული იყო, არის და იქნება. აუცილებელია კრიმინალური სამყაროს კონტროლი. ამისთვის კი ერთადერთ გზა არსებობს – ჩვენი კონტროლის ქვეშ უნდა მოექცეს კრიმინალური ელიტა. შტიბერმა ამისთვის დიდი მუშაობა გასწია: დაწვრილებით შეისწავლა ინდოეთში არსებული ქურდული კასტების სტრუქტურა და ზნე-ჩვეულებები. ასე ჩამოყალიბდა კრიმინალური სამყაროს ელიტის პორტრეტი: „არა – ოჯახი! არა – პოლიტიკას! არა – გაზეთები! არა – მთავრობასთან თანამშრომლობა! ელიტა ჩვენს კონტროლქვეშ მოქცეული პირებისგან უნდა შედგებოდეს, რომელიც გაყოფს ნადავლს, დასჯის იმათ, ვინც თავის თავზე ბევრს აიღებს."

შტიბერის მოდელი გერმანიაში წარმატებით განხორციელდა და, შედეგად, კრიმინალმა იკლო; მთავრობა აკონტროლებდა დამნაშავეობის ზრდას. შედეგად, შტიბერიც ყველამ მაძებრობის გენიოსად აღიარა. მომავალში შტიბერმა დაამტკიცა, რომ დაზვერვა-კონტრდაზვერვის გენიოსიცაა: მან შექმნა აგენტურული ქსელი, რომელიც მთელ მსოფლიოს მოიცავდა და სწორედ ამან განაპირობა პრუსიელების გამარჯვება ფრანგებზე (1870-1871 წლებში). სამსახურიდან გადადგომის შემდეგ შტიბერი რუსეთში მიიწვიეს, სადაც ის კონსულტაციას უწევდა დამნაშავეობასთან ბრძოლას. მისი მეთოდი რუსებმაც გადაიღეს. „ქურდი" – სწორედ ასე უწოდეს მათ კრიმინალური ელიტის წარმომადგენელს.

სტალინის ბრძანება იაგოდამ დანიშნულ ვადაში შეასრულა. ბელადი ყურადღებით უსმენდა მის მოხსენებას. რამდენიმეწამიანი დუმილის შემდეგ ჯუღაშვილმა ჰკითხა: „თქვენ გსურთ, კრიმინალური კანონები ჩარჩოებში მოაქციოთ?!“ იაგოდა დაეთანხმა: „შევქმნათ ქურდის ახალი ტიპი, რომელიც კანონის კონტროლქვეშ იქნება... ასე ვთქვათ, „კანონიერი ქურდი“.

სწორედ, სტალინისა და იაგოდას ამ შეხვედრის შემდეგ გაჩნდა ტერმინი „კანონიერი ქურდი“. ერთ-ერთი ვერსიით, „კანონიერი ქურდობის“ ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს ოდესელმა კრიმინალებმა: მოშე-იაკობ ვინიცკიმ (მიშკა იაპონჩიკმა) და ნაფტალი ფრენკელმა. ამავე ვერსიით, ეს უკანასკნელი „ენკავედეს" გენერალი და სტალინთან დაახლოებული პირი იყო.

ასეა, თუ ისე, ფაქტია, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ვორკუტისა და მაგადანის ზონებში გაჩნდნენ პირები, რომლებიც თავს „კანონიერ ქურდებს" უწოდებდნენ. მათ მკაცრად განსაზღვრული დაუწერელი კანონები და იერარქია ჰქონდათ. ეს იერარქია მოქმედებდა როგორც სასჯელაღსრულებითი დაწესებულების შიგნით, ასევე, მის გარეთ. „კანონიერ ქურდად" შეიძლებოდა, ეკურთხებინათ მხოლოდ ის პირი, რომელიც რამდენიმეჯერ იქნებოდა ნასამართლევი. საგანგებო, ეგრეთ წოდებულ „სხოდკაზე" წყდებოდა, თუ რამდენად იმსახურებდა ის ამ წოდებას. კანონიერი ქურდი ხელშეუხებელი პირი იყო. ისინი ციხეებსა და ზონებში მეფეებად გრძნობდნენ თავს: არ მუშაობდნენ, ჰყავდათ ამალა, გააჩნდათ ძალაუფლება ადამიანთა გარკვეულ ჯგუფზე. კანონიერი ქურდები უმკაცრესი ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ. ვინც უარს იტყოდა ამაზე, ან „აფუჭებდნენ", ან ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ცუდად მთავრდებოდა იმ ქურდის საქმეც, რომელიც აღარ სჭირდებოდათ.

სტალინმა მოიწონა იაგოდას შემუშავებული სისტემა, თუმცა, მიუხედავად ამისა, იაგოდა მაინც ვერ გადაურჩა რეპრესიებს.

გავიდა წლები. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ეს ომი არც კრიმინალურ სამყაროს ასცდენია. მათმა ნაწილმა განაცხადა, რომ საჭირო იყო სამშობლოს დაცვა. ნაწილმა – უარი თქვა. ასეთებს ზონებში უკრეს თავი. კრიმინალთა ნაწილი საჯარიმო ბატალიონში იბრძოდა. მათგან ზოგიერთი ბრძოლის ველიდან გაიქცა, ზოგი – გერმანელებს ჩაჰბარდა. ასეთებს გერმანელები პოლიცაებად ასაქმებდნენ და ათასგვარ ბინძურ საქმეს ავალებდნენ, ურჩებს კი არ აცოცხლებდნენ. ჩეკისტები იმ კრიმინალების გამოყენებასაც შეეცადნენ, რომლებიც მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. ამგვარი თანამშრომლობის არაერთი მაგალითი არსებობს, გავიხსენოთ, თუნდაც, გაულაიტერ კუბეს ლიკვიდაციის ამბავი: კუბეს რეზიდენციაში დამლაგებლად მუშაობდა წარსულში საეჭვო რეპუტაციის ქალი ელენა მაზანიკი. ის შინსახკომის აგენტი იყო, რაც დაეხმარა, ოფიციანტად დაეწყო მუშაობა ბელორუსიის ცეკას სასადილოში. ომის დროს მაზანიკი გერმანელი ოფიცრის (რომელიც მისი საყვარელი იყო) დახმარებით კუბეს რეზიდენციაში დამლაგებლად მოეწყო. კუბეზე ნადირობდა როგორც შინსახკომი, ასევე – „გრუ“. ამიტომ, საკვირველი არაფერი იყო იმაში, რომ მაზანიკსაც დაუკავშირდნენ ყოფილი პარტნიორები და დაარწმუნეს, რომ სამშობლოს წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვის შანსი ეძლეოდა. მაზანიკს საკონტროლო დავალებები მიეცა, რასაც მან წარმატებით გაართვა თავი. შემდეგი დავალება უფრო რთული იყო: მას კუბეს საძინებელში ასაფეთქებელი მოწყობილობა უნდა შეეტანა და ლეიბქვეშ ამოედო. მაზანიკმა ესეც მოახერხა და, შედეგად, კუბე ნაფლეთებად იქცა. შემდეგში მაზანიკი პარტიზანულ რაზმში გააერთიანეს, იქიდან კი მოსკოვში ჩაიყვანეს, სადაც დააჯილდოეს. კუბეს სიკვდილით გაღიზიანებულმა ნაცისტებმა მინსკში სისხლის ტბა დააყენეს.

ომის დამთავრებას მოჰყვა კრიმინალური აფეთქება და გამონაკლისი არც სტალინური საბჭოთა კავშირი გახლდათ. ამ პერიოდისთვის კრიმინალურ სამყაროში ისეთი კრიმინალებიც გაჩნდნენ, რომლებმაც აღარ ისურვეს დადგენილი წესებით თამაში. ასეთებს „ბეზპრედელშჩიკებს" ეძახდნენ, ვინაიდან, ისინი არც ხელისუფლებას ცნობდნენ და არც კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტებს.

ბერია-სტალინის თათბირის შემდეგ გადაწყდა: „ვინც ეგრეთ წოდებული ბეზპრედელშჩიკია, უნდა მოკვდეს!"

ამ პერიოდის კრიმინალური სიტუაციის საუკეთესო მაჩვენებელია ბანდა „შავი კატა". ეს ბანდა ძმებმა ვაინერებმა აღწერეს თავიანთ ნაწარმოებში „გულმოწყალების ერა", ხოლო რეჟისორმა გოლოვუხინმა გადაიღო შესანიშნავი ფილმი „შეხვედრის ადგილი უცვლელია". ასე რომ, ფილმში აღწერილი ბანდა ნამდვილად არსებობდა და ყოფილი ფრონტელებისა და სისხლის სამართლის დამნაშავეებისგან იყო დაკომპლექტებული. ერთ-ერთი პერსონაჟის, ბანდიტი ფოქსის რეალური პროტოტიპი საბჭოთა არმიის ოფიცერი იყო, რომელიც ტყვედ ჩავარდა, თუმცა, გაქცევა მოახერხა და საბჭოთა პარტიზანებს შეუერთდა. ომის დამთავრების შემდეგ ის დააპატიმრეს და დაკითხვაზე ხშირად უმეორებდნენ: ხომ არ იყო თქვენი გაქცევა გესტაპოს მიერ ინსცენირებული. ბოლოს მას ბანკში უკრეს თავი, საიდანაც რამდენიმე ბანდიტთან ერთად მოახერხა გაქცევა და შექმნა ბანდა. ისინი ძარცვავდნენ მდიდრებს, მაღაზიებს, ბინებს; ვინც წინ გადაეღობებოდათ, მკაცრად უსწორდებოდნენ, წამოსვლისას კი, დანაშაულის ადგილას, შავ კატას ხატავდნენ. მთავრობას დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა ამ ბანდის გასანადგურებლად, თუმცა, საბოლოოდ მაინც მოახერხეს. ასეთივე ბედი გაიზიარეს სხვა ბანდებმაც.

ვინც უმართავი იყო – მოკვდა!

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# რატომ არის სექსუალური ენერგიის არასწორად გამოყენება სახიფათო და ბლოკავს თუ არა ეს საჭირო კოსმიური ენერგიების შემოდინებას ჩვენს ორგანიზმში

ნებისმიერი ჩვენგანისთვის აუცილებელია იმ ძალების აღდგენა, რომლებიც დედამიწიდან და კოსმოსიდან მოდის ჩვენამდე, გვავსებს და გვამარაგებს სასიცოცხლოდ საჭირო, აუცილებელი ენერგიებით.

ყველას სჭირდება ბუნებრივი ენერგიის წყარო, რომელსაც ასტროლოგები „დედამიწის ძალას“ უწოდებენ. სწორედ ამის საშუალებით კვებავს თითოეული ჩვენგანი თავის ნერვულ სისტემას, შიდა ორგანოებს და სულსაც კი.

ბუნების ძალები სამ კატეგორიად იყოფა. ესენია: უნივერსალური, დედამიწისა და კოსმიური ძალები.

უნივერსალური, ანუ, როგორც მას უწოდებენ, ზეციური ძალა, ვლინდება, როგორც პლანეტებისა და გალაქტიკის ერთობლივი ენერგია. ეს ძალა კვებავს სამყაროში ყველაფერს, მათ შორის – ადამიანის სულს, გონებასა და სამყაროში მის ყველა გამოვლინებას უწყობს ხელს. ადამიანები ამ ენერგიებს მხოლოდ ზედა კოსმოსური ხვრელიდან იღებენ. სხვათა შორის, მას „ადამიანის გონების ენერგიასაც“ უწოდებენ. დედამიწასა და მთვარეს შორის არსებობს უდიდესი მიზიდულობის ძალა. ამით იქმნება ერთიანი მაგნიტური ველი, რომელიც დედამიწისკენ მიმართავს ჩვენი გალაქტიკის ყველა ვარსკვლავის ენერგიას და მას ადამიანის ერთიან ენერგეტიკულ ველზე უდიდესი გავლენის მოხდენის უნარი აქვს.

დედამიწის ძალა შეიცავს მცენარეების, ცხოველებისა და დედამიწის ყველა ბუნებრივი მინარევის ენერგიას ერთიანად.

როცა მცენარე ზრდის დროს ზევით მიიწევს, ამით კოსმიურ ენერგიას შთანთქავს და ზრდის პროცესსა და კვებას განაგრძობს. ცხოველები კი, ბალახისა და სხვა მცენარეების საშუალებით იღებენ ამ კოსმიურ ენერგიას. რაც შეეხება ადამიანს, დედამიწის ძალას ის ფეხისგულში მდებარე წერტილებიდან იღებს, შემდეგ ქოჩის ქვედა მხარეს ათავსებს და ასე იზოგავს მას. ასე რომ, თუ გსურთ, სასიცოცხლო ენერგია აღიდგინოთ, მოიხსნათ სტრესი, იგრძნოთ შვება და დედამიწის ენერგიით დაიმუხტოთ, ხშირად იაროთ ბალახზე ფეხშიშველმა.

რაც შეეხება მესამე კოსმიურ ძალას, მას ასტროლოგები „ადამიანის სასიცოცხლო ძალასაც“ უწოდებენ. ის უნივერსალურ ძალთა ნაწილია და მთელ კოსმოსს ავსებს ამ ძალებით. ყოველი ჩვენგანი კოსმიური ძალის უმაღლესი გამოვლინებაა. ის ამ ენერგიას მედიტაციისა და სასუნთქი აპარატის (ცხვირი, ფილტვები) მეშვეობით ითვისებს და შეინოვს, რითაც შემდეგ ენერგიის საწყის წყაროს უკანვე აბრუნებს.

ადრე ჩვენი კანის უჯრედებს შეეძლო, შთაენთქა და ენერგიულ საკვებად გამოეყენებინა კოსმიური და სინათლის ენერგიის დაახლოებით ოთხმოცი პროცენტი. შემდგომ კი ადამიანმა დაიწყო სექსუალური ენერგიის არასწორად გამოყენება, რასაც მისი უჯრედების დეგრადირება და გადაგვარება მოჰყვა. სწორედ ამის შედეგია, რომ დღეს კოსმიური ენერგიის მხოლოდ ათი პროცენტის გამოყენება შეგვიძლია. ადამიანები ბუნებრივი ცხოვრების წესის გამო დაშორდნენ თავიანთ შინაგან „მეს“, გონება სხვა სფეროებით გადაიტვირთა და, ამიტომ, სულ უფრო დავშორდით კოსმიურ ძალებთან კონტაქტს. საჭირო ენერგიას კი ადამიანი იღებს მცენარეებით, ბოსტნეულით, მინერალებით, ცხოველის ხორცით. ასეთი საკვების მიღებით გამოფიტული ორგანიზმი კოსმიური ენერგიით ივსება. ამიტომ, ეცადეთ ხშირად გახვიდეთ ბუნებაში, ახლოს იყოთ ხეებთან, ბალახთან, მიწასთან. იაროთ ფეხშიშველმა და ამით დაიმუხტოთ „დედამიწის ძალით“. ასე, თქვენს ორგანიზმს მისცემთ საშუალებას, გაძლიერდეს და მეტად შეძლოს კოსმოსიდან წამოსული სასიკეთო ენერგიებით მომარაგება.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1978 წლის 15 ნოემბერს. მაინტერესებს, კერძოდ, რომელ ქვეყნებში გამიმართლებს და როდის იქნება უმჯობესი უცხოეთში გამგზავრება?**

**პასუხი:** თქვენთვის უცხოეთი საშუალოა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ სიყვარულის პლანეტა „ვენერა“ სწორედ უცხოეთის კუთხით არის თქვენთვის წარმატების მომტანი. ასე რომ, უცხოეთი სასიყვარულო ურთიერთობების კუთხით არის სასურველი. ქვეყნებიდან კი მისაღებია: იტალია, არგენტინა, ბირმა, ჩინეთის ჩრდილოეთი ნაწილი, სან-მარინო, ესპანეთის კატალონიის მხარე, მონაკო, ლატვია, ეგვიპტე, ჰავაის კუნძულები, გვატემალა, ავსტრია. ასევე, არსებობს ქვეყნები, სადაც წარმატებების შანსი იმ შემთხვევაში გელით, თუ გადალახავთ ბარიერებსა და წინაღობებს. ასეთებია: ინგლისი, დანია, შეერთებული შტატებიდან – ალასკა, კორეა, ავსტრალია, ვენესუელა, შვედეთი, მალაიზია, ჩინეთი. წელს კარგი პერიოდია უცხოეთში გასამგზავრებლად: 23 აგვისტოდან 23 სექტემბრამდე, 23 ოქტომბრიდან 23 ნოემბრამდე.

**კითხვა: დავიბადე 1988 წლის 20 სექტემბერს, 11 საათზე. რა მელის ახლო მომავალში და გამიმართლებს თუ არა უცხოეთში?**

**პასუხი:** თქვენს ცხოვრებაში საკმაოდ კარგი და აქტიური პერიოდი დაიწყო. ამიტომ, მეტად იაქტიურეთ წლის ბოლომდე. რაც შეეხება უცხოეთს, გეტყვით, რომ გამარჯვების ძირითადი ფაქტორი თქვენთვის უკავშირდება სამშობლოს. აქ მეტი წარმატების შესაძლებლობებია. უცხოეთი კი არც ცუდია და არც კარგი, ის თქვენთვის საშუალოა.

**კითხვა: დავიბადე 1977 წლის 9 მაისს. მაინტერესებს, უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მეტად მისაღები სამუშაოდ და ბედის საძიებლად?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის, თუმცა, არც გეკრძალებათ. ნუ ელით დიდ წარმატებებს სამშობლოს გარეთ. ქვეყნებიდან კი უფრო მეტად იღბლიანია: ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი მხარე, ჰოლანდია, პარაგვაი, შოტლანდია, თურქეთი, იტალია, სამხრეთ აფრიკა, უკრაინა, ირლანდია, კვიპროსი, ბელგია, მოლდავეთი, ფინეთი, არგენტინა, ეგვიპტის ჩრდილოეთი ნაწილი, ბულგარეთი და ისრაელი.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2001 წლის 16 აგვისტოს, შაბათ დღეს, საღამოს 9 საათზე. რა არის მისი კარმული მისია და რომელი პროფესიები მოუტანს წარმატებებს მომავალში? ასევე, რა უნდა გააკეთოს პრობლემების დასაძლევად?**

**პასუხი:** თქვენი შვილის კარმული მისიაა წარმოაჩინოს დადებითი თვისებები. სხვათა შორის, კარმული მისიის შესრულება მას მისცემს საშუალებას, ადვილად დაძლიოს პრობლემები ცხოვრებაში. ის უნდა იყოს შეუპოვარი, ორგანიზებული, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, ფულის ყაირათიანი მხარჯველი და გადამანაწილებელი. ამავდროულად, უნდა ისწავლოს საიდუმლოს შენახვა. ჯერ ნაბიჯი გადადგას და მერე თქვას სათქმელი. უნდა ემსახუროს სამშობლოს და იყოს პატრიოტი, დაიცვას ადათწესები და ტრადიციები; უნდა შექმნას სტაბილური ნათესაური კავშირები. სადაც შევა, უნდა შეიტანოს სიმშვიდე და ჰარმონია. დაეყრდნოს დიპლომატიას, შეძლოს შუამავლის როლის შესრულება ორგანიზაციებსა და კერძო პირებს შორის. დაეყრდნოს ინტუიციასა და კომუნიკაბელურობას. ამით გადალახავს ნებისმიერ პრობლემას და ადვილად მიაღწევს წარმატებებს. რაც შეეხება პროფესიებს, მისთვის წარმატებული და მისაღებია: ხელოვნების ფართო სპექტრი, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო სფერო; ისტორია, პედაგოგიური მოღვაწეობა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ფოტოგრაფია, არქეოლოგია. თუ ბარიერებსა და წინაღობებს გადალახავს, წარმატებები ელის შემდეგ პროფესიებშიც: ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, ტურიზმი, სპორტი, ქორეოგრაფია, მეცნიერება, კვლევითი სფერო.

**კითხვა: დავიბადე 1986 წლის 5 ივლისს. მინდა ახალი სამსახურის შექმნა და რა ფერად უნდა შევღებო ინტერიერის კედლები?**

**პასუხი:** უკეთესი იქნება, თუ არჩევანს გააკეთებთ თეთრ, ღია მწვანე, კრემისფერ ან ღია ნაცრისფერ ტონებზე. თქვენთვის ღია ტონები გაცილებით მომგებიანი და წარმატების მომტანია.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

8 მაისი, **ოთხშაბათი** 19.45 - **„მტრის ნიღაბი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ბესო ზანგური, გაგი სვანიძე, ზაალ ბარათაშვილი, გელა ლეჟავა, მამუკა ლორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

9 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„პირველი სიყვარული"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინეშველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

10 მაისი, **პარასკევი** 19.45 - **„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი".** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე. კომედია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;***

11 მაისი, **შაბათი** 19.45 - **„ნადირობის სეზონი".** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი; ტრაგიკომიკური ფანტასმაგორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

11 მაისი, **შაბათი** 19.45 - **„რა საოცარი დღეა..."** (ჩრდილების თეატრი) - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გელა კანდელაკი. მონაწილეობენ: ვადიმ შუბითიძე, ელენე მურჯიკნელი, პაატა შენგელია, ანჟელა აბშილავა, გიორგი ჭანტურია, ელენე ზურაბაშვილი. ***ხანგრძლივობა 1სთ. 20წთ.;***

12 მაისი, **კვირა** 19.45 - **„კაცია-ადამიანი?!".** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორები: რობერტ სტურუა, ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: დავით დარჩია, თათული დოლიძე, მარინა კახიანი, ჟანრი ლოლაშვილი, ტრისტან სარალიძე, დავით უფლისაშვილი, დარეჯან ხარშილაძე, ნანუკა ხუსკივაძე. ტრაგიკომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8,**
**ტელ.: 295-59-66.**

7 მაისი, **სამშაბათი** 20.00 - **„აგნუს დეი" - „მოცარტი და სალიერისა" და „ეგვიპტის ღამეები"-ს მიხედვით** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: დავით ჩხარტიშვილი. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, გაგა შიშინაშვილი, შაკო მირიანაშვილი, ჯანო იზორია, დათო ბელთაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

8 მაისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები".** (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ერთმოქმედებიანი პიესა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9 მაისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„გუშინდელნი"** - (თეატრი სხვენში) - სოხუმის დრამატული თეატრის სპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: ნუგზარ ჩიქოვანი, ლორინა პაპუაშვილი-ელერდაშვილი, ქეთი ჩაჩუა, ვანო დუგლაძე, ჯიბო კვანტრიშვილი, პაატა კიკვაძე, მერაბ ბრეკაშვილი, ჯულიეტა პაქელიანი, თეონა გურამიშვილი, ნუგზარ წერედიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

10 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„პეიზაჟს აკლია სითბო"** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), დამდგმელი რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ვარლამ კორშია, ლილე ფილფანი, დიმიტრი ტატიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

11 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„ქალები"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.5 ლარი), რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.;***

11 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„სევილიელი დალაქი". თოჯინების საოპერო თეატრი „აწკალა"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მალხაზ გაბუნია, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, ელენე ფირცხალავა, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

12 მაისი, **კვირა** 20.00 - **„არტ-ხელოვნება"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.5 ლარი), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

12 მაისი, **კვირა** 20.00 - **„კედელი".** (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კვაჭაძე, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ელენე ფირცხალავა, გრიგოლ გოგოლაძე; თითების თეატრი - (თეატრი სხვენში). ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

8 მაისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებული"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, თიკო კორძაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.;***

9 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45წთ.;***

10 მაისი, **პარასკევი** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

11 მაისი, **შაბათი** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

12 მაისი, **კვირა** 19.00 - **„სათამაშო პისტოლეტი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 12 ლარი), რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი. მონაწილეობენ: ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20წთ.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97**

9 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მაგიის საოცრებანი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), მონაწილეობენ: გოგა თავაძე. როლებში: ზურა ავსაჯანიშვილი, აკაკი ხიდაშელი, ანა მატუაშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

10 მაისი, **პარასკევი** 19.00 - **„შავი კეტები"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ ტყემალაძე, ანა მატუაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, სალომე წურწუმია, მამუკა მაზავრიშვილი, იმედა ნატროშვილი, კოტე მჟავია, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

11 მაისი, **შაბათი** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: ვახტანგ ადეიშვილი, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

12 მაისი, **კვირა** 19.00 - **„წარღვნა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ გაჩავა. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, ალეკო ალავიძე, ვასილ შიხაშვილი, ანდრო სარიშვილი, ანა მატუაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

## . აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**ალმაშენებლის გამზირი №182.**
**ტელ.: 234-80-90.**

7-8 მაისი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 20.00 - **„კარმენი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: კოტე ფურცელაძე. მონაწილეობენ: ანა ალექსიშვილი, ანა წერეთელი, ეკატერინე დემეტრაძე, გიორგი ტორიაშვილი, გიგი ქარსელაძე, ბაჩო ჩაჩიბაია, არჩილ სოლოღაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

9-10 მაისი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 20.00 - **„ანტიგონე"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: პაატა ციკოლია. მონაწილეობენ: ალეკო ბეგალიშვილი, გიორგი ვარდოსანიძე, ანა ზამბახიძე, ეკა დემეტრაძე, ანდრო ბარათაშვილი; ***ხანგრძლივობა: 3სთ.***

11-12 მაისი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი"** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, კახა კინწურაშვილი, არჩილ სოლოღაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
**ჭავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

10 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„ხარმსი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: დავით გოცირიძე, დავით გიგოლაშვილი, დავით ველიჯანაშვილი, თამთა ცინცაძე, თათია ბუაძე, მაია გელოვანი, მაკა ძაგანია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

11 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„ოპერა მაფიოზო".** (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: გაბრიელ გოშაძე. მონაწილეობენ: დავით გიგოლაშვილი, მამუკა ლორია, ზაზა ასანიშვილი, ვასილ ოდიშვილი, მაკა ძაგანია, თამთა ცინცაძე, სოსო მჭედლიშვილი. კომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

12 მაისი, **კვირა** 20.00 - **„ევრიდიკე"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორები: ოთარ ეგაძე, მილენა ეგიაზაროვა. მონაწილეობენ: ანდრია ვაჭრიძე, მერაბ ჩხეიძე, ლევან მამნიაშვილი, დავით გიგოლაშვილი, თათია გაბედავა, ანი თალაკვაძე, სალომე მიქაძე, ზურა გაბუნია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.**
**ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 6 მაისი

**06.30** დ/ფ "პირველი ეთიოპიელი" ქრისტიანი ბერების კვალდაკვალ" **07.30** "ძვ. ქართული საგალობლები" **08.00** ქართ. ტ/ფ "დედაო" ღვთისავ" **09.00** "გიორგობა" (პ/ტრ.) **14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.40** "მოამბე" **15.00** ტ/სერ **"ბორჯია"** **17.00** დ/ფ **"100** უდიდესი აღმოჩენა" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარულის შიშით"** **21.00** ტ/სერ **"ბორჯია"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "კომენტატორი" **00.00** "საფარი" **00.30** მხ/ფ **"წითელი ვიოლინო"** (ტიტ.) (ს. ელ.ჯექსონი)

**06.05.13 07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **13.00** ქ/სერ. **"ღმერთო რისი გულისთვის" 2** სერ. **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები" 4** სერ. **19.05** მთავარი ფაქტორი **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** მთავარი ფაქტორი (გაგრძელება) **23.00** ქ.მხ/ფ **"ფიროსმანი"** **01.25** მხ/ფ **"იტალიური ისტორია"** (ა.ბონი) (ტიტ.) **03.55** მუსიკა

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ყველაზე ჭკვიანი **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების /ალა"** **22.00** "საქართველოს ვარსკვლავი" **00.00** შიშის ფაქტორი **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერიბ დაიჯესტი

**7.00, 1.00, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.00, 10.00** ახალი ამბები **8.10, 9.15, 10.15** მაღვიძარა **11.00, 17.00, 22.00, 1.30** მაგთიფანი **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 3.30** თავისუფალი დრო **14.00** კვირის აბები (გამ) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00, 2.30** ირაკლი ჩარკვიანის კონცერტი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.45** მონიტორის ჟურნ. გამოძიება(გამ) **19.15 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **23.00** მაგთიფანი კონცერტი (გამ) **0.30** ღია კარის დღე (გამ) **5.30** "ჩემი ქორწილი" (გამ **27.04**)

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.30** მხ/ფ **"ქეთო და კოტე"** **08.00** დილის ლოცვა **08.10** სახარება **08.15** ეთნოგრაფია **08.30** დოკ/ფ "ძველი ქართული საგალობელი" **09.00** გიორგობა (ტრანსლაცია) **12.05** მხ/ფ **"ფიროსმ-ანი"** **13.30** კონცერტი -"სააღდგომო საგალობლები" სამების გუნდი **15.05** კონცერტი - ნიჭიერთა ათწლედი და იური ბაშმეტი **15.30** დოკ/ფ "წმინდა მიწაზე" I ნაწ. **15.55** ციკლი "საუფლონი"- "ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა" **16.25** მხ/ფ **"ჭრიჭინა"** **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.15, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.20** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55, 00.40** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"რაც გინახავს,ვეღარ ნახავ"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** საუბრები ლიტერატურაზე **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დოკ/ფ "წმინდა გიორგი" **23.30** მოკ/ფ **"ღვინის ქურდები"** **00.45** კონცერტი - ზაურ ბოლქვაძე **02.15** დოკ/ფ "აღდგომა ხევში"

## სამშაბათი 7 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"ბორჯია"** **17.00** დ/ფ "თანამედროვე სნაიპერი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარული შიშით"** **21.00** ტ/სერ **"ბორჯია"** **22.00** "აქცენტები" **23.30** მხ/ფ **"ბენჯამინ ბატონის იდუმალი საქმე"** (ბრ.პიტი)

**07.05.13 07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კონცერტი: "ლიზა ბაგრატიონი" (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები" 5** სერ. **18.50** სერ. **"აკრძ²ალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ახალი საბავშვო ხმა (პ/ე) **00.15** მხ/ფ **"აუხდენელი ოცნებები"** (ვ.კასელი) **02.00** მუსიკა

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ. **"ერთგულების /ალა"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია. **23.30** სერ. **"გრიმი"** **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი კლიპები

**7.00, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.00, 10.00, 1.00** ახალი ამბები **8.10, 9.15, 10.15** მაღვიძარა **11.00, 17.00, 22.20, 0.30** მაგთიფანი **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 4.30** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **16.20** "ჩვენ" (გამ) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00** თოქ-შოუ "სუბ. აზრი" **19.15 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30** "ყოველდღიური აბები" **23.00, 3.00** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი"

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ **"ჭრიჭინა"** **08.00** დილის ლოცვა **08.10** სახარება **08.15** ერთი წვეთი **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ქრისტიანული სწავლება **10.55** საუბრები ლიტერატურაზე **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"რაც გინახავს,ვეღარ ნახავ"** **13.25** კონცერტი - ელისო ვირსალაძე, ნიკოლოზ რაჭველი (შუმანის კონცერტი) **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "წმინდა მიწაზე" II ნაწ. **15.55** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.20** კონცერტი - საგალობლების საღამო **18.10** დიდ ხარ შენ,უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ივერიის ღვთისმშობლის ხატი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25 6000** დავით გარეჯელი მოწამე **21.35** ჩვენი ბიბლიოთეკა **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** ჩვენი ფონდი **23.30** მოკ/ფ "ქვევრი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.40** ირაო "აღდგომა აფხაზეთში"

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**29 აპრილი – 5 მაისი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.30, 17.15, 20.00, 22.30 - **„რკინის კაცი 3"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00 - **„მანქანა რომელიც ყველაფერს გააქრობს"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„კომა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.30, 22.30 - **„შურისძიება"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

17.10 - **„ობლივიონი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

20.00 - **„ქრუდსების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.30 - **„ობლივიონი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

17.10, 19.45, 22.30 - **„ძალიან საშიში კინო 5"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.00, 16.00, 18.00 - **„ქრუდსების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.30 - **„ობლივიონი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,5 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.00, 14.45, 17.15, 19.45, 22.30 - **„რკინის კაცი 3"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.00, 16.00, 18.00 - **„ქრუდსების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.30 - **„ადგილი ფიჭვნარს მიღმა"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 7,5 - 11,5 ლარი)

**კინოთეატრი „საქართველო"**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00, 18.00 - **„მონსტრი პარიზში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.00, 16.00 - **„რომის გლადიატორები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.00 - **„კომა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 4 - 7 ლარი).

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 8 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ "**ბორჯია**" **17.00** დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**სიყვარული შიშით**" **21.00** ტ/სერ "**ბორჯია**" **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** მხ/ფ "**ყოველთვის თქვით დიახ**" (ჯ.კერი) **01.20** დ/ფ "ახალგაზრდული სული"

**08.05.13 07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **6** სერ. **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ფულთან თამაში **23.00** მხ/ფ "**ქალები**" (მელოდრამა. **1.50** მ. რაიანი" ა. ბენინგი" ე. მენდესი) (**12**) **01.35** მხ/ფ "**აზრთა მპყრობელნი**" (ქ.სლეიტერი) **03.15** მუსიკა

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების /ალა**" **22.00** ნანუკას შოუ. **23.30** სერ. "**გრიმი**" **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერიბ დაიჯესტი კლიპები

**7.00, 1.30, 4.00, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.00, 10.00, 0.00** ახალი ამბები **8.10, 9.15, 10.15** მაღვიძარა **11.00, 14.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 4.30** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** კვირის აბები (გამ.) **17.00** ჩემი ქორწილი (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 0.30** თოქ-შოუ "არგუმენტები" **19.15 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.30, 2.00** მაგთიფანი კონცერტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.45** ირაო "აღდგომა აფხაზეთში" **07.20 6000** დავით გარეჯელი მონამე **07.30** მოკ/ფ "ქვევრი" **08.00** დილის ლოცვა **08.10** სახარება **08.15** ერთი წვეთი **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.20** ქრისტიანული სწავლება **13.30** კონცერტი - ბიძინა კვერნაძე **14.30** ჩვენი ბიბლიოთეკა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ " წმინდა მიწაზე" III ნაწ. **15.55** ეთნოგრაფია **16.10** მოკ/ფ "**ალავერდობა**" **16.55** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მე, ბებია ილიკო და ილარიონი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პასექის ჟამნი **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დოკ/ფ "იერუსალიმი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** დოკ/ფ "გელინო"

## ხუთშაბათი 9 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ "**ბორჯია**" **17.00** ქართული მხ/ფილმი: "ჯვარცმული კუნძული" (რეჟ: შ. მანაგაძე) **18.30** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**სიყვარული შიშით**" **21.00** ტ/სერ "**ბორჯია**" **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **00.00** მხ/ფ "**შერლოკ ჰოლმსი**" (ტიტ.) (ჯ.ლოუ)

**09.05.13 07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **7** სერ. **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** მხ/ფ "**დეჟა ვუ**" (ჯ.ქვეიზელი) **00.45** მხ/ფ "**მარტოხელა გულები**" (ს.ჰაიეკი) **02.30** მუსიკა

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების /ალა**" **22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერიბ დაიჯესტი კლიპები

**7.00, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.00, 10.00, 1.00** ახალი ამბები **8.10, 9.15, 10.15** მაღვიძარა **11.00** კვირის აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 4.30** თავისუფალი დრო **14.30, 22.20, 0.30** მაგთიფანი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** მაგთიფანი კონცერტი (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00** თოქ-შოუ "სუბ. აზრი" **19.15 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30** "ყოველდღიური აბები" **23.00, 3.00** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი"

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "გელინო" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.15** ერთი წვეთი **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.35** დოკ/ფ "იერუსალიმი" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**მე, ბებია ილიკო და ილარიონი**" **13.30** კონცერტი - ქართული ხმები **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ " წმინდა მიწაზე" IV ნაწ. **15.55** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.20** კონცერტი - "ისევ ის ბალი" შოთა მილორავა **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ლიმილის ბიჭები**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **22.25** დოკ/ფ "სტუმრად პატრიარქთან" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დოკ/ფ "სიმებიანი კვარტეტი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** დოკ/ფ "გადადექი ფაშა"

## პარასკევი 10 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ "**ბორჯია**" **17.00** დ/ფ "სამხედრო საზღვაო შეიარაღება" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**სიყვარული შიშით**" **21.00** ტ/სერ "**ბორჯია**" **22.00** "აქცენტები" **23.30** "წითელი ზონა" **00.30** მხ/ფ "**ოუტსაიდი**" (ტიტ.)

**10.05.13 07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) **16.35** რომ გადახვალ" გააჩერე (გ/ჩ) **17.50** სერ. "**მაგნატები**" **8** სერ. **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.15** მხ/ფ "**სიყვარულის დღესასწაული**" (გ.კინეარი) **02.10** მუსიკა

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების /ალა**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერიბ დაიჯესტი კლიპები

**7.00, 1.00, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.00, 10.00** ახალი ამბები **8.10, 9.15, 10.15** მაღვიძარა **11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30** მაგთიფანი **11.30, 16.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 4.30** თავისუფალი დრო

**15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები" **19.15 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30** "ყოველდღიური აბები" **23.00, 3.00** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი"

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "გემღერებოდეს დედაო" **08.00** დილის ლოცვა **08.10** სახარება **08.15** ერთი წვეთი **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "სტუმრად პატრიარქთან" **11.00** დოკ/ფ "სიმებიანი კვარტეტი" **11.45** ქრისტიანული სწავლება **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ღიმილის ბიჭები" 13.35** კონცერტი - თამარ ჭოხონელიძე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დეკორატიული ფლორა **15.45** დოკ/ფ " წმინდა მიწაზე" V ნაწ. **16.10** მოკ/ფ "სამოთხის გვრიტები" **17.00** საუბრები ლიტერატურაზე **17.30** დოკ/ფ "გიორგი ჯიბლაძე" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.35** ფოტოგალერეა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ჩარირამა" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ლექსით ქებათა ქება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** მოკ/ფ **"სიყვარულის ცეცხლი" 00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.00** ირაო

## შაბათი 11 მაისი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **09.30** საბ. ან/ფ **"უკანასკნელი მიმზი" 11.00** "ეთნოგრაფიული ნარკვევები" **11.30** საბ. ტ/სერ **"ზინგზილები" 12.00, 16.00, 20.00, 02.00** "მოამბე" **12.30** "AGVA-GEORGIA" **13.00** დ/ფ "ღვინო" **14.00** ქართ. მხ/ფ **"უდიპლომო სასიძო" 16.30** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.00** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" – მარტა გერჰოლდი **18.00** "ეტალონი" **19.00** "გურმანია" **21.00** მხ/ფ **"სანამ მოკვდები"** (ჯ.ნიკოლსონი) **23.00** "ახალი ქართული კინო" **23.20** მოკ. მხ/ფ **"ბუდე" 00.00** მხ/ფ **"გააანალიზე ეს"** (რ. დე ნირო)

**11.05.13 07.30** ან/ფ "ბარბის დღიურები" **09.00** მხ/ფ **"უცნაური ფერია" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან/ფ "ავატარი" **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში" 13.00** სერ. **"ოქროს კერპი" 3** სერ. **14.20** იმედიატორი (გ/ჩ) **15.50** დოკ/ფ "ტონინო გუერა საქართველოში" (გ/ჩ) **17.50** სერ **"მაგნატები" 9** სერ. **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული" 21.00** სერ. **"მარტოსული" 22.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში" 23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ **"ფარული მუქარა" 01.35** მხ/ფ **"კაპიტან ალატრისტეს ცხოვრება"** (ვ.მორტენსენი) (ტიტ.) **03.55** მუსიკა

**08.00** კურიერიბ დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** შერეკილები **10.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **13.30** ქართ. მხ/ფ **15.30** სერ. **"სიყვარული და საიდუმლო" 16.30** "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) **19.00** ყველაზე ჭკვიანი **2. 20.05** სერ. **"ერთგულების /ალა" 22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 00.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.00** "Latin Angels" **01.30** სერ. **"გრიმი" 02.00,** მხ/ფ კლიპები

**7.00, 0.00, 2.00, 3.00, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **9.30, 5.30** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები" **11.00, 23.00, 3.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.30, 15.30, 19.15 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.45, 0.30, 4.30** თოქ-შოუ "პრესპრესი" **1.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **2.30** "ღია კარის დღე" (გამ.)

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.10** სახარება **08.15** ერთი წვეთი **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ჩარირამა" 13.30** ჩვენი ბიბლიოთეკა **13.55** ქრისტიანული სწავლება **14.05** მოკ/ფ **"ფეოლა" 14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **14.55** შვიდგზის ლოცვა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ოპერა-"აბესალომ და ეთერი"" **16.40** დოკ/ფ "წმინდა მიწაზე" VI, VIII ნაწ. **17.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **18.10** ქრისტიანული ხელოვნება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვნების სალონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** კარაბადინი **22.25** პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **22.10** სიმღერის კვალდაკვალ **00.30** მხ/ფ **"ჩემი მშვენიერი ლედი"**

## კვირა 12 მაისი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.20** საბ/ფ **"საოცარი მისტერ ბარნანდერი" 10.00** "ეტალონი" **11.00** საბ. ტ/სერ "ზინგზილები" **12.00, 16.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სპექტაკლის დრო" – შ. რუსთაველის თეატრის სპექტაკლი: **"მეფე ლირი" 15.00** ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის "ოქროს ფრთის" დაჯილდოების ცერემონიალი **16.30** "ჩვენი ეზო" **17.30** "ვაშინგტონი დღეს" **18.00 ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი: **"ტორპედო"** /ქუთაისი/ – **"დილა"** /გორი/ (პ/რ) **20.00** მხ/ფ **"ღამეები როდანტაში"** (რ.გირი) **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.00** "აღმოაჩინე საქართველო" **23.30** "უცნობი მუსიკა" **00.30** კონცერტი **01.30** მხ/ფ **"კონსტანტინი"** (კ.რივზი

**12.05.13 07.30** ან/ფ "ბარბი: ფერიების ქვეყანა და წყალქვეშა სამეფო" **09.00** მხ/ფ **"ყაჩაღები" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში" 13.00** სერ. **"ოქროს კერპი" 4** სერ. **14.20** მხ/ფ **"საჰარა" 17.40** იმედის გმირები **17.50** სერ **"მაგნატები" 10** სერ. **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული" 21.00** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში" 23.00** რომ გადახვალ" გააჩერე **23.30** იმედიატორი **01.00** დოკ/ფ "ელექტრონავტები" **02.00** მუსიკა

**08.00** კურიერიბ დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** შიშის ფაქტორი **10.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 12.00, 15.00, 18.00, 04.00** კურიერი **12.30** დოკ/ფ (ფრაგმენტი) **13.00** "საქართველოს ვარსკვლავი". **15.30** სერ. **"სიყვარული და საიდუმლო" 16.30** პროფილი (გ/ჩ) **19.00** ეკი ვოკი **20.00** იღბლიანი ბორბალი **21.00** P.S. **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 23.00** კომედი შოუ **00.00** კარდაშიანების ოჯახი **01.00** ტოპ გოგო (გ/ჩ) **01.30** სერ. **"გრიმი" 02.00** მხ/ფ კლიპებ

**7.00, 23.30, 4.00, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **10.15, 18.45, 3.30** "ღია კარის დღე" **11.00, 22.30, 0.00, 2.30, 5.30** მაგთიფანი **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.30, 15.30 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება **20.00, 4.30** ჩემი ქორწილი **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.45, 1.30** კვირის აბებ

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.10** სახარება **08.20** გამოყენებითი ხელოვნება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 22.55, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ლუკას სახარება" 13.15** ქრისტიანული ხელოვნება **13.45** დოკ/ფ "გემღერებოდეს დედაო" **15.05, 18.05, 21.05, 00.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** დოკ/ფ "დიდი ანდრიას ნაკვალევზე" **18.30** დროის ჩანაწერები **19.35** მხ/ფ **"ფესვები" 21.35** "თვენი" თომა მოციქული **21.45** კვირიაკე **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დოკ/ფ "წმინდა ანდრია მოციქული,ქრისტეს პირველი მქადაგებელი საქართველოში" **23.30** კონცერტი - ქრისტე აღსდგა **00.30** მხ/ფ **"ვერის უბნის მელოდიები"**

### ვერძი
ნუ გარისკავთ. დაასრულეთ ადრე დაწყებული საქმეები. ეცადეთ, დაარეგულიროთ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან და ოჯახის წევრებთან. არ გირჩევთ, უცხოელებთან კონტაქტს და ხელშეკრულების დადებას.

### კურო
ენერგიის მომატებით ბევრი საქმის შესრულებას შეძლებთ. გაგიადვილდებათ ახალი კავშირების დამყარება. თუმცა, ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. საყვარელ ადამიანთან დროულად გაარკვიეთ ურთიერთობები, რათა უფრო არ გაუარესდეს მდგომარეობა.

### ტყუპები
ენერგიის ნაკლებობა უარყოფითად აისახება თქვენს განწყობაზე. ნუ დახარჯავთ ფულს უმიზნოდ. ეცადეთ, დროულად იპოვოთ ადამიანი, ვის გვერდითაც განმარტოებას და დასვენებას შეძლებთ. იყავით უფრო რომანტიკული.

### კირჩხიბი
საქმიან პარტნიორებთან კარგი ურთიერთობა თქვენს განწყობასა და მუშაობის ხარისხზე აისახება, კარგია იმიჯის შეცვლა. გამონახეთ დრო დასვენებისთვის. ნუ გამოიყენებთ ინფორმაციას გადაუმოწმებლად. არ წამოიწყოთ ახალი რომანი. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

### ლომი
დადებითად წარიმართება საზოგადოებრივი საქმეები. კარგია მოგზაურობა. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში გაიცნოთ ადამიანი, რომელიც მომავალში თქვენი სასიყვარულო პარტნიორი გახდება. საჭიროების შემთხვევაში, დროულად წადით კომპრომისზე.

### ქალწული
კარგია ფინანსური პრობლემების მოგვარება. არ არის გამორიცხული თქვენი სასიყვარულო კავშირი სხვების განხილვის საგანი გახდეს. ეს გაამწვავებს თქვენს ურთიერთობას საყვარელ ადამიანთან. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

### სასწორი
თავს უკეთ იგრძნობთ. კარგია სახლის ინტერიერის შეცვლა. ეს მოგიხსნით შინაგან დაძაბულობას. დამოუკიდებლობის სურვილი წინააღმდეგობებს შეგიქმნით საყვარელ ადამიანთან და ოჯახის წევრებთან. შესაძლოა გქონდეთ ფარული სასიყვარულო კავშირი.

### მორიელი
ნუ გამოხატავთ აგრესიას. ახალს ნურაფერს წამოიწყებთ, ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. თუმცა, კარგია ძველი საქმეების დასრულება. სასიყვარულო ურთიერთობა არ იქნება რომანტიკული, რაც აგაფორიაქებთ და უფრო მეტად დაგაფიქრებთ.

### მშვილდოსანი
დიპლომატიის გამოვლენა დაგეხმარებათ ურთიერთობების დალაგებაში. შესაძლოა, საქმეების სიუხვის გამო, დრო არ დაგრჩეთ სასიყვარულო პარტნიორისთვის, რაც რჩეულის უკმაყოფილებას გამოიწვევს. ნუ დასახავთ მიზნებს, ეცადეთ, არ გადაიტვირთოთ და შეამცირეთ გადაადგილებების რაოდენობა.

### თხის რქა
საქმეს მიუდექით შემოქმედებითად, ეს აგიმაღლებთ ავტორიტეტს და გაგიუმჯობესებთ ფინანსურ მდგომარეობას. კარგია იმიჯის შეცვლაც. საყვარელი ადამიანი გაგანებივრებთ საჩუქრებითა და სიურპრიზებით. მოერიდეთ მოლაპარაკებებს, რადგან ეს გაგიჭირდებათ.

### მერწყული
არ ვარგა ადგილსამყოფლის შეცვლა. თავს შეგახსენებთ მატერიალური პრობლემები. არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და ხშირად დაისვენეთ. იყავით მეტად დიპლომატიური. ერთგულება კი გააძლიერებს თქვენს სასიყვარულო კავშირს.

### თევზები
შეინარჩუნეთ სულიერი წონასწორობა. არ ვარგა ახალი კავშირების დამყარება. ასევე, არ გირჩევთ მოგზაურობას. სასიყვარულო ურთიერთობაში არ არის მოსალოდნელი ცვლილებები. შესაძლოა, გამონახოთ შემოსავლების მიღების ახალი გზები. თუმცა, ახალი საქმის წამოწყებას არ გირჩევთ.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 10 მაისი, 00 სთ: 28 წთ.**

### ორშაბათი
**გეომაგნიტური დღეა**

მოერიდეთ უაზრო საუბრებში დროის უმიზნოდ ხარჯვას. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, ტოპაზი, ფირუზი, აკვამარინი ან წითელი იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებებს, თმის შეჭრას, ვაჭრობას, მოგზაურობას. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები, თვალები.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.*

### სამშაბათი
ეცადეთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე ნებისმიერ სიტუაციაში. ატარეთ წითელი, ცისფერი, ლურჯი, ყვითელი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, სარდიონი ან საფირონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, კაპიტალდაბანდებებს. აკონტროლეთ სულსწრაფობა და ეგოიზმი. კარგია მოგზაურობა. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, თვალები, ყურები, კბილები.

*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.*

### ოთხშაბათი
ნუ აჰყვებით პროვოკაციებს. მოერიდეთ კონფლიქტებს, ასევე, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებებს, სასიყვარულო კავშირებს, ხელშეკრულებების დადებას. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ლურჯი, ყავისფერი, მწვანე, ცისფერი, ლიმონისფერი ან ბეჟი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, აქატი, მალაქიტი ან ძოწი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ახალი ნაცნობობა, ვაჭრობა, შემოქმედებითი მუშაობა, მოგზაურობა. სუსტდება თავი, ყელი, ენდოკრინული სისტემა.

*პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.*

### ხუთშაბათი
**გეომაგნიტური დღეა**

პარასკევს ახალმთვარეობაა და მზის დაბნელება, ამიტომ, მოვლენების მიმართ იყავით ფრთხილი და წინდახედული. აკონტროლეთ ემოციები, სიამაყე, ეგოიზმი. ნუ გადაიტვირთებით. არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას, სარისკო მოქმედებებს. ატარეთ ლიმონისფერი, ბეჟი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, გიშერი, ონიქსი ან ყვითელი იასპი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.*

### პარასკევი
**გეომაგნიტური დღეა**

დღეს ახალმთვარეობა და მზის დაბნელებაა, ანუ, მძიმე ენერგიებისა და მოვლენების დღეაა. მაღალია კონფლიქტების, ტრავმების, ავარიების, შეცდომების, ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობა. იყავით ფრთხილი. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს. მოერიდეთ მოგზაურობას, სარისკო მოქმედებებს, ფინანსურ გარიგებებს. ატარეთ ლიმონისფერი, თეთრი, ცისფერი, მწვანე ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, ონიქსი, გიშერი ან მწვანე იასპი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

*პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.*

### შაბათი
მოერიდეთ კონფლიქტებს, აგრესიის გამოვლენასა და ეჭვიანობას. ნუ განმარტოვდებით. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ატარეთ ყავისფერი, კრემისფერი, ცისფერი, იასამნისფერი, ვერცხლისფერი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ნეფრიტი, ცირკონი, ლაბრადორი ან სარდიონი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია მშენებლობა, ვაჭრობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება სასუნთქი ორგანოები, ბრონქები, ფილტვები, ხელები, მხრები.

*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.*

### კვირა
**გეომაგნიტური დღეა**

დღეს არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. მაღალია ცდუნებების, ჭორების, მოტყუებისა და ინტრიგების ალბათობა. ატარეთ ნაცრისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, კრემისფერი, ცისფერი ან იასამნისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ჟადეიტი, ცირკონი, ქარვა ან იაგუნდი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია სწავლა, მოგზაურობა, ვაჭრობა, მშენებლობა. სუსტდება ბრონქები, ფილტვები, მხრები, ხელები.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.*

**გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**თაბორიძე**

გვარის ფუძეა **თაბორი**.

„ზარამ ფარეშიშვილმა მიჰყიდა დათუნა ხიზანიშვილს თაბორისეული ბურნაყაული თოთხმეტი დღის მიწა ბორაშვილის მიწამდე“ (მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარი).

საქართველოში 319 **თაბორიძე** ცხოვრობს: თბილისში – 149, კასპში – 60, დუშეთში – 26. არიან სხვაგანაც.

**ოქუაშვილი**

მცირერიცხოვანი, ქართლში გაჩენილი გვარია, რომლის ფუძედ გამოყენებულია მამაკაცის საკუთარი სახელი – **ოქრო, ოქრუა**. გვხვდება მისი მოფერებითი სახელები: ოქო, ოქია.

ოქროდან რამდენიმე გვარია გაჩენილი: **ოქაძე, ოქრიაშვილი, ოქროაშვილი, მოქროაძე, ოქროკვერცხიშვილი, ოქროპირაშვილი, ოქროპირიძე, ოქრუაძე** და ასე შემდეგ.

ასევე, გვხდება ქართული გვარი **ოქუნაშვილი**.

საქართველოში 66 **ოქუაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 26, თეთრი წყაროში – 16, გორში – 11. არიან სხვაგანაც.

**შიშინაშვილი**

გვარის ფუძედ გამოყენებულია საკუთარი სახელი შიშინა. **შიშინაშვილი** რაჭაში წარმოქმნილ გვარადაა მიჩნეული. ილია მაისურაძე წერს: „**შიშინაშვილი**, მეორე ტოლი, ამბროლაურის რაიონი; საკუთარი სახელი – შიშინა“.

საქართველოში 248 **შიშინაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 97, ამბროლაურში – 79, ქუთაისში – 43. არიან სხვაგანაც.

**დაბრუნდაშვილი**

ერთი ადგილიდან აყრილი კაცი ცოტა ხანში უკან დაბრუნებულა და მისი შთამომავლები **დაბრუნდაშვილები** გამხდარან.

**დაბრუნდაშვილი** ივანა, რომელიც აგარაში ცხოვრობდა, ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის დროს, მამულით ერგო ედიშერს.

საქართველოში 612 **დაბრუნდაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 305, ხაშურში – 103, ქარელში – 68. არიან სხვაგანაც.

**ეგრისელაშვილი**

გვარის ფუძეა გეოგრაფიული სახელი ეგრისი, რომელიც დასავლეთ საქართველოს ძველი სახელწოდებაა და ეგრისის ტომის სახელიდან მომდინარეობს.

ეგრისი იყო სოფელი ბედრუჯის, დღევანდელი ბოლნის-დმანისის მხარეში.

1721 წელს, საგაჩეთს მოიხსენიება გიორგი **ეგრისელაშვილი.**

საქართველოში 185 **ეგრისელაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 127, დმანისში – 43, ბოლნისში – 5. არიან სხვაგანაც.

**გოგოლაშვილი-გოგოლაძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გოგოლა**. ამავე ძირისაა გვარი **გოგოლაური.**

1728 წელს აგაზანში მოიხსენიება აზნაური მიხდაჲი **გოგოლაშვილი**.

**გოგოლაურთა** სოფელია დუშეთის რაიონში.

საქართველოში 1 675 **გოგოლაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 521, ქუთაისში – 229, სიღნაღში – 173. არიან სხვაგანაც.

9 791 **გოგოლაძე**: თბილისში – 2 135, ბორჯომში – 1 554, ლაგოდეხში – 1 007. არიან სხვაგანაც.

**იორდანაშვილი-იორდანიშვილი**

გვარის ფუძეა მდინარის სახელწოდება იორდანე.

მეცამეტე საუკუნეში ტბეთის მატიანეში მოიხსენიებიან **იორდანიშვილები.**

1679 წელს მიქელაშვილების ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება იორდანე **იორდანაშვილი**.

საქართველოში 241 **იორდანაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 59, კასპში – 55, გარდაბანში – 46. არიან სხვაგანაც.

434 – **იორდანიშვილი.**

**გულიტაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გულია, გულიტა.**

ამავე ძირისაა გვარები: **გულაძე, გულია, გულიაშვილი, გულისაშვილი, გულუა, გულუხია.**

1721 წელს აგვადანეთში მოიხსენიება ევნეზა **გულიტაშვილი.**




საქართველოში 417 **გულიტაშვილი** ცხოვრობს: საჩხერეში – 191, თბილისში – 67, ოზურგეთში – 36. არიან სხვაგანაც.

**სოსიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **სოსია**.

მისი კნინობითი ფორმებია: სოსე, სოსება, სოსელა, სოსიკა, სოსიკო, სოსიტა.

**სოსიაშვილი** თევდორე ოჯახითურთ, 1843 წლის აღწერით, ლოუბანში მოიხსენიება.

საქართველოში 295 **სოსიაშვილი** ცხოვრობს: გორში – 145, თბილისში – 91, ქარელში – 27. არიან სხვაგანაც.

**გოგიძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი გოგი. ამავე სახელის კნინობითი ფორმაა გიო, რომელიც დამოუკიდებელ სახელადაც გვხვდება.

1817 წელს ყმის ნასყიდობის წიგნში, რომელიც პავლე ნემსაძეს ბეჟან წერეთლისთვის მიუცია, კაღელა **გოგიძე** მოიხსენიება.

ბორბალოში მცხოვრებმა გლეხმა ივანე **გოგიძემ** 1829 წელს იქორწინა ვინმე დავითის ასულ მარიამზე. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ.

**გოგიძეები** ცხოვრობენ ლეჩხუმში, შიდა ქართლში, იმერეთში.

საქართველოში 1782 **გოგიძე** ცხოვრობს: გორში – 474, თბილისში – 375, წყალტუბოში – 297. არიან სხვაგანაც.

**ხოსროშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ხოსრო**, რომელიც სპარსული წარმოშობისაა და ქართულად სახელგანთქმულს, დიდებულს ნიშნავს. მისი კნინობითი ფორმებია: ხოსია, ხოსიტა, ხოსროა, ხოსროვა, ხოსროველა, ხოსრუა, ხოსუა.

1818 წელს, ეგნატე **ხოსროშვილი** ნათლავს ქალიშვილს – ქეთევანს.

ამავე ძირისაა გვარები: **ხოსიაშვილი, ხოსიეიშვილი, ხოსრიაშვილი, ხოსრაშვილი, ხოსრუაშვილი.**

საქართველოში 531 **ხოსროშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 174, დუშეთში – 84, რუსთავში – 60. არიან სხვაგანაც.

**ჭამელაშვილი**

გვარის ფუძეა მეტსახელი **ჭამელა**.

თიანეთში მცხოვრებ გიორგი **ჭამელაშვილს** შეეძინა ქალიშვილი, რომელიც მონათლა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ და სახელად მარიამი უწოდა. ნათლია იყო გულუა ჩივაძე.

საქართველოში 69 **ჭამელაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 53, გარდაბანში – 10, დმანისში – 2. არიან სხვაგანაც.

**ოსიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ოსია**.

1721 წელს სამშვილდეში მოიხსენიება დავით **ოსიაშვილი**.

ამავე ძირისაა გვარები: **ოსიძე** და **ოსიაური**.

საქართველოში 878 **ოსიაშვილი** ცხოვრობს: გარდაბანში – 249, თბილისში – 200, გურჯაანში – 169. არიან სხვაგანაც.

**ხანიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ხანია.

1721 წლის აღწერით, სამაჩვეთში მოიხსენიება თეიმურაზ იარალაშვილის ყმა – ვახუშტი **ხანიაშვილი**.

საქართველოში 379 **ხანიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 126, სიღნაღში – 90, ყვარელში – 59. არიან სხვაგანაც.

**გრიგოლაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გრიგოლი**, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა და ქართულად მღვიძარს, ფხიზელს ნიშნავს. მისი მოფერებითი, კნინობითი ფორმებია: გიგა, გიგო, გიგლა, გიგოლი.

1721 წელს მუხათში მოიხსენიება კირაოზა **გრიგოლაშვილი**.

საქართველოში 703 **გრიგოლაშვილი** ცხოვრობს: ქუთაისში – 183, თბილისში – 177, წყალტუბოში – 81. არიან სხვაგანაც.

**ინაშვილი**

გვარის ფუძეა სახელი ინა.

გიორგი **ინაშვილი** მოიხსენიება 1711 წელს ბერუკა აბრამიშვილის მიერ დომენტი ბენიათიშვილისთვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში.

ვარდისუბნელმა დიმიტრი **ინაშვილმა** 1818 წელს თანასოფლელ სოლომონ კედელაშვილს მიათხოვა ქალიშვილი – სოფა.

1874 წლის აღწერით, სოფელ შავსაყდარში მოიხსენიებიან პეტრე, დიმიტრი, გიორგი, ლაზარე და მიხეილ **ინაშვილები.**

ამავე ძირისაა გვარები: **ინაძე, ინაური, ინაიშვილი, ინალიშვილი.**

საქართველოში 1 013 **ინაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 467, დუშეთში – 133, სიღნაღში – 128. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# დიეტა დანაკარგების გარეშე

ინტერნეტ ჟურნალები და სპეციალური წიგნები უამრავ დიეტას გვთავაზობს და, უმრავლეს შემთხვევაში, ქალბატონების დიდი ნაწილი ირჩევს ყველაზე რადიკალურ ვარიანტებს, მაგალითად, ისეთს, როგორიცაა „მინუს 5 კილოგრამი 2 დღეში", ან – „ცელულიტი სამუდამოდ გაქრება" და ასე შემდეგ, რაც, საბოლოო ჯამში, არათუ არ გვაძლევს სასურველ შედეგს, არამედ, ზოგჯერ დამღუპველად მოქმედებს ჯანმრთელობაზე.

იმისათვის, რომ ორგანიზმისთვის უვნებლად მიაღწიოთ მიზანს, უნდა იცოდეთ იდეალური დიეტის რამდენიმე „ოქროს წესი".

1) საკვების ენერგეტიკული ღირებულება უნდა იყოს იმ ენერგიის დანახარჯზე ნაკლები, რასაც ახდენს ორგანიზმი დღის განმავლობაში. ანუ, თუ თქვენ სამსახურში მთელი დღე კომპიუტერს უზიხართ, საღამოს კი სერიალების ყურებაში ატარებთ (ანუ, თითქმის არ მოძრაობთ), თქვენი დღიური რაციონის ენერგეტიკული ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1 000 კილოკალორიას; მაგრამ, თუ თქვენი სამსახური დაკავშირებულია ფიზიკურ შრომასთან ან აქტიურად ხართ სპორტით დაკავებული, შეგიძლიათ, საკვების კალორიულობა 1 500-1 700 კილოკალორიამდე აიყვანოთ.

2) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ პროდუქტების საკვებ ღირებულებას, კერძოდ, თქვენი ყოველდღიური მენიუ აუცილებლად უნდა შეიცავდეს „ნელ" ნახშირწყლებს, რომლებსაც დიდხანს ინელებს ორგანიზმი და, შესაბამისად, ახანგრძლივებს დანაყრების შეგრძნებას. ამ ნივთიერებას შეიცავს: წიწიბურა, ქერი, ველური ბრინჯი, „ხლებცი". ორგანიზმს ცილებით უზრუნველყოფს: საქონლის მჭლე ხორცი, ქათამი, ინდაური, თევზი. გარდა ამისა, გასახდომი მენიუ უნდა შეიცავდეს 300 გრამ არატკბილ ხილსა და მცენარეულ ზეთზე დამზადებულ 400 გრამამდე ბოსტნეულს, რომელიც სასარგებლო უჯრედი ცხიმების წყაროა.

3) გახსოვდეთ, რომ ყველაზე „სწორი" დიეტაც კი ვერ უზრუნველყოფს ორგანი-



ზმს საკმარისი და საჭირო ვიტამინებითა და მინერალებით. ამიტომ, აუცილებელია, მას „გარედან" დავეხმაროთ.

გარდა ამისა, უნდა იცოდეთ, რომ დიეტების დიდი ნაწილი არღვევს ნაწლავების მიკროფლორას, რადგან, ამ პერიოდში იცვლება ჩვეული კვების სტილი, რის შედეგადაც მცირდება საკვებიდან მინერალებისა და ვიტამინების ათვისების (ასევე, ვიტამინების კომპლექსის დანამატებით მიღებული ეფექტის) უნარი. ეს ხდება იმიტომ, რომ ამ პროცესს ხელს უწყობს ნაწლავებში არსებული სასარგებლო ბაქტერიები, ამისთვის კი ორგანიზმს სპეციალური პრეპარატები უნდა მიაშველოთ, რაც საჭიროა, აუცილებლად ექიმის დანიშნულებით მიიღოთ.

# სილამაზე და ასაკი

„ქალის სილამაზე მის ასაკთან ერთად იზრდება", – ამტკიცებდა ოდრი ჰეპბერნი, ქალურობისა და სილამაზის ექსპერტი და ეტალონი – მას ხომ 60 წლის შემდეგაც არ ეტყობოდა ასაკი!

რა არის საჭირო, რომ ქალი სოლიდურ ასაკშიც მომხიბლავად გამოიყურებოდეს? ყველას ჰგონია, რომ სახის მოვლა მთავარია ახალგაზრდული გარეგნობის შესანარჩუნებლად, მაგრამ, მხოლოდ ეს არ არის საკ-



მარისი, აუცილებელია, სათანადო ყურადღება მიაქციოთ სხეულს და, შესაბამისად, ჩაცმის სტილს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენი წონა სტაბილურია, შესაძლოა, ტანის ზოგიერთი მონაკვეთი შეგისუქდათ, ზოგიერთი კი – გაგიხდათ. ამიტომ, აუცილებელია დაადგინოთ თქვენი ტანის ტიპი. 40-45 წლის ასაკის შემდეგ ქალბატონების უმრავლესობას აქვს ეგრეთ წოდებული „მსხლის" ფორმა, როცა მხრები თეძოებთან შედარებით გაცილებით უფრო ვიწროა; ან, შესაძლოა მხრები, წელი და თეძოები ერთი სიგანისაა და ტანს მართკუთხედის ფორმა აქვს. ორივე შემთხვევაში უნდა მოერიდოთ ვიწრო და მოტმასნილ, ან, პირიქით, ძალიან თავისუფალ და განიერ ტანსაცმელს.

მსხლის ფორმის შემთხვევაში, უნდა შეძლოთ „მძიმე ქვედა ნაწილიდან" ყურადღების გადატანა და ამით მოახდინოთ ტანის „ბალანსირება": კვადრატული ფორმის, ან, ზემოდან ფართო და მკერდისკენ დავიწროებული დეკოლტე უფრო პროპორციულს გახდის თქვენს სხეულს.

თუ მართკუთხედის ფორმის ტანი გაქვთ, უნდა გამოკვეთოთ წელი, მაგალითად, მოახდინოთ ფერთა კონტრასტი ტოპსა და შარვალს (ან ქვედაბოლოს) შორის. სხეულის გეომეტრია სიმეტრიული გახდება, თუ ზედატანი იქნება უფრო განიერი, V ფორმის დეკოლტესა და ტალღებად დაშვებული ქსოვილის ხარჯზე, ქვედაბოლო კი – მუხლებისკენ ოდნავ დავიწროებული.

სპორტული სტილი მოუხდება ნებისმიერი ტანის მქონე ქალბატონს, მაგალითად, ოდნავ მოტკეცილი ჯინსი და ოდნავ განიერი ზედატანი, რომელსაც კვლავ V ფორმის დეკოლტე ექნება.

რაც შეეხება ფეხსაცმელს, თუ ძალიან მაღალი არ ხართ, გირჩევთ, საშუალო სიმაღლის ქუსლებს ან ეგრეთ წოდებულ „ტანკეტკებს" შეეჩვიოთ. უქუსლო და დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ნამდვილად არ მოგიხდებათ. თუ სპორტული სამოსის ტარება ხშირად გიწევთ, შეეცადეთ, ბოტასებიც კი მაღალძირიანი შეიძინოთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, რა აუცილებელი პირობები უნდა დაიცვას ქალმა კანის ნაადრევად დაბერების პროფილაქტიკის მიზნით?**

**პასუხი:** ზუსტად ეს კითხვა დაუსვეს კომპანია „ჰერბალაიფის" ვიცე-პრეზიდენტს, მედიცინის დოქტორ პაოლო ჯაკომონის, რომელმაც ძალიან კონკრეტული პასუხი გასცა. მოგვყავს ციტატა: „ამისთვის საჭიროა: 1) დაიცავით კანი ულტრაიისფერი სხივებისგან. ამისთვის, ყოველთვის, ზამთარშიც კი, გამოიყენეთ SPF-ის შემცველი დეკორატიული კოსმეტიკა; 2) თავი აარიდეთ სტრესებს – ის პროვოცირებას ახდენს ანთებით რეაქციაზე, რის გამოც ჩქარდება დაბერების პროცესი; 3) რაც შეიძლება ხშირად დაკავდით სექსით – ეს ყველაზე მოქმედი და ძლიერი წამალია ზოგადად მთელი ორგანიზმისა და კონკრეტულად კანის დაბერების წინააღმდეგ.

**კითხვა: თმას ხშირად ვიღებავ სხვადასხვა სალონში. შეღებვის შემდეგ ზოგიერთი სტილისტი თმაზე მასხურებს სპეციალურ სპრეის და მეუბნება, რომ ეს აუცილებელია, ზოგი კი ასეთ სპრეის კატეგორიულად არ იყენებს და ამბობს, რომ ის თმას აზიანებს. რომელს დავუჯერო?**

**პასუხი:** თმის შეღებვის შემდეგ სპეციალური სპრეის შესხურება შეგინარჩუნებთ საღებავის ფერს და გააძლიერებს ბალზამის ეფექტს.

**კითხვა: ძალიან მაინტერესებს, რა სასმელს სვამენ გასახდომად, ფიტნესის რომელ სახეობას აღიარებენ მსოფლიო ვარსკვლავები და, საერთოდ, რა არის მათი სილამაზის საიდუმლო?**

**პასუხი:** მეგავარსკვლავების თავის მოვლის შესახებ პერიოდულად გაწვდით ხოლმე ინფორმაციას. რაც შეეხება თქვენს კითხვას, მასზე რამდენიმე ვარსკვლავი „გიპასუხებთ":



მომღერალი ფერჯი გახდომის იდეალურ საშუალებად მიიჩნევს 1 ჩაის ჭიქა ოთახის ტემპერატურის წყალში გახსნილ 1 ჩაის კოვზ ვაშლის ძმარს. ამ ნაზავის პირველ ჭიქას ის სვამს უზმოზე, ყოველი ჭამის დასრულების შემდეგ კი – ნახევარ-ნახევარ ჭიქას. მაგრამ, თქვენი ექიმის ნებართვის გარეშე მაინც ნუ გარისკავთ – შესაძლოა, ძმარმა კუჭზე პრობლემები შეგიქმნათ.

გვინეტ პელტროუს საყვარელი სასმელია მწვანე ჩაი. სწორედ მწვანე ჩაის დახმარებით დაიკლო მეგავარსკვლავმა 20 კილოგრამი მას შემდეგ, რაც ძალიან გასუქდა.

შერონ სტოუნის მარადიული ახალგაზრდობის საიდუმლო შემდეგში მდგომარეობს: გონიერი დიეტა და საკმარისი რაოდენობის წყალი. კერძოდ, ის ყოველდღე სვამს მინიმუმ 2 ლიტრ წყალს, სასიამოვნო გემოს მისაცემად კი დალევის წინ ჭიქაში აგდებს ლიმონის, ფორთოხლის ან კიტრის ერთ ნაჭერს, ან 2-3 ცალ მარწყვს და, რაც მთავარია – არც ერთი ლუკმა საღამოს 7 საათის შემდეგ!

ყველამ იცის, რომ ევა მენდესს აბრეშუმივით სახის კანი აქვს (და არა მარტო სახის), რაც, თავად ვარსკვლავის თქმით, მარტივი „საიდუმლოს" დამსახურებაა: მისი პირსახოცი, ზეწარი და ბალიშისპირი აუცილებლად ნატურალური აბრეშუმის უნდა იყოს. მისივე მტკიცებით, ბუნებრივი აბრეშუმი თმასაც ძალიან აჯანსაღებს.

ფიტნესის მოყვარულმა ჯენიფერ ენისტონმა ახლახან აღმოაჩინა (ანუ, საკუთარი თავისთვის აღმოაჩინა) ფიტნესის ახალი მიმართულება – ბუდოკანი იოგის, სამხედრო ხელოვნებისა და მედიტაციის ელემენტებით. ვარჯიშების პირველი ნაწილი ხელს უწყობს დამშვიდებასა და მობილიზებას, მეორე ნაწილი კი ავარჯიშებს სულიერ და ფიზიკურ ძალას და ახდენს ყურადღების კონცენტრირებას.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# როგორ იძია შური ჯალათ მილიციელზე ცნობილმა ქართველმა მძარცველმა, მეტსახელად „ბელურამ“

### გაქცევა

1970 წლის 9 მაისს, მოსკოვში, საიუველირო მაღაზია „სამოცვეტი“ გაძარცვეს და 499 ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასეულობა გაიტაცეს. ოთხი დღის შემდეგ კი თბილისში პავლე სიმონის ძე გავაშელი დააკავეს და მილიციის სამმართველოში ისე სასტიკად აწამეს, რომ ხუთი დღე იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში და, რომ არა ექიმების პროფესიონალიზმი, ვერ გადარჩებოდა. 35 წლის გავაშელი კრიმინალურ სამყაროში „ბელურას“ მეტსახელით იყო ცნობილი და მას „სამოცვეტის“ გაძარცვაში სდებდნენ ბრალს. ბელურა რეციდივისტი იყო, სამჯერ იჯდა ციხეში მსგავსი დანაშაულისთვის და „სამოცვეტის“ გაძარცვამდე ერთი თვით ადრე, ანუ, 7 აპრილს გათავისუფლდა მესამე პატიმრობიდან. გავაშელს ცნობილი თბილისელი ჯალათი, მილიციის კაპიტანი უშანგი კოკორაშვილი აწამებდა, რომელსაც არაერთი პატიმარი შემოკვდომია, მათ შორის – ბელურას ძველი მეგობარი ანზორ ტულუში, რომელიც მან ხერხემალში გადატეხა და, დანაშაულის დაფარვის მიზნით, მეოთხე სართულიდან გადააგდო... გავაშელი სიკვდილს გადაურჩა ერთი მხრივ, რკინისებური ჯანმრთელობის წყალობით, მეორე მხრივ კი, იმიტომ, რომ მისი მოსკოვში ტრანსპორტირება „მურმა“ მოითხოვა. პატიმარი რომ არ მომკვდარიყო, ქართველმა მილიციელებმა ის „ლეჩკომბინატში“ დააწვინეს და საუკეთესო ექიმები მიუჩინეს. მიუხედავად იმისა, რომ ბელურას ორი შეიარაღებული მილიციელი სდარაჯობდა, მან რეანიმაციული პალატიდან მაინც მოახერხა გაქცევა და პატარა ბარათი დატოვა, რომელშიც ეწერა: „ჩემი წამებისა და პარტიზანას (ეს წამებით მოკლული ანზორ ტულუშის მეტსახელი იყო) მკვლელობის შემსრულებელი საკუთარი სიცოცხლით აგებს პასუხს“. ბელურას გაქცევამ ბევრი მილიციელი შეაშფოთა, კაპიტანი უშანგი კოკორაშვილი კი ისე შეშინდა, რომ ყოველ კუთხეკუნჭულში მკვლელი ელანდებოდა...

**„პლასკაგუბცას“ ლაღიძის წყლებთან ისტერიკა დაემართა და ჯერ უდანაშაულო მხატვარი დაჭრა ფეხში, შემდეგ კი ჰაერში სროლა-სროლით გაიქცა ოფიცერთა სახლისკენ**

### „სამოცვეტის“ საქმე

დაკავების მიუხედავად, ბელურა ბრალდებულიც კი არ ყოფილა „სამოცვეტის“ საქმეში, რადგან მილიციას მის წინააღმდეგ არანაირი სამხილი არ ჰქონდა. მოსკოვში ექსტრადიცია კი „მურმა“ მხოლოდ მისი დაკითხვის მიზნით მოითხოვა. ამიტომ, მისი ძებნის გამოსაცხადებლად ძალოვან სტუქტურებს არანაირი საფუძველი არ ჰქონდათ და მას არაოფიციალურად ეძებდნენ. „სამოცვეტის“ საქმეს „მურის“ გამომძიებელი კარენ აბრამიანი იძიებდა, რომელიც კარგად იცნობდა ბელურას და, სამხილების არარსებობის მიუხედავად, დარწმუნებული იყო, რომ საიუველირო მაღაზია, სწორედ გავაშელის გაძარცვული იყო. ერთ-ერთ საგანგებო თათბირზე კარენმა თქვა:

– პავლიკა ბავშვობიდანვე ჩუმჩუმელა და ხიტრი იყო. კარგად სწავლობდა, თითქმის არასოდეს ხმაურობდა და, როცა მეათე კლასში მაღაზიის ქურდობაზე დაიჭირეს, ყველას გაგვიკვირდა...

კარენ აბრამიანი და ბელურა პლეხანოველები იყვნენ, ერთ კლასში სწავლობდნენ და ბავშვობაში მეგობრობდნენ.

– კაპიტანო აბრამიან, – უხეშად გააწყვეტინა სიტყვა კარენს მისმა უფროსმა, – ვარაუდებით ფონს ვერ გავალთ. გავაშელის წინააღმდეგ ერთი სამხილიც არ გვაქვს და, საერთოდაც, სად არის ბელურა, არავინ იცის.

– გავაშელის გაქცევა „პლასკაგუბცას“ ბრალია, – უთხრა აბრამიანმა უფროსს და დაამატა, – ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ის რომ არა, ბელურა აქ გვეყოლებოდა და დავკითხავდით მაინც.

– პლასკაგუბცა ვინ არის?

– თბილისიის მილიციის სამმართველოს ჯალათია. ბელურა მას სიკვდილით დაემუქრა და შეუსრულებს კიდეც, მით უმეტეს, რომ მან პარტიზანა მოკლა.

– ანზორ ტულუში, ხომ?

– დიახ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო.

– უბადლო შემსრულებელი იყო. პირველად მე ავიყვანე. მაშინ ჯერ კიდევ ლეიტენანტი ვიყავი, – თქვა პოდპოლკოვნიკმა და დაამატა: – რას აპირებ, კარენ?

– პლასკაგუბცაზე თვალთვალი უნდა დავაწესოთ. ვფიქრობ, რომ ასე გავალთ ბელურაზე – ის აუცილებლად მივა მოსაკლავად...

### თვალთვალი

„მურის“ უფროსმა თავის თბილისელ კოლეგას დაურეკა და სთხოვა, რომ კაპიტან უშანგი კოკორაშვილზე ოცდაოთხსაათიანი ფარული თვალთვალი დაეწესებინათ. რუსმა გენერალმა ქართველ პოლკოვნიკს უთხრა:

– ოღონდ, ეს თვალთვალი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ თავად პლასკაგუბცა ვერაფერს მიხვდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, ბელურა დააფრთხოს.

– თქვენც იცით კოკორაშვილის მეტსახელი? – ეუხერხულა ქართველ პოლკოვნიკს, – დარდი ნუ გაქვთ, ყველაფერს მაღალ დონეზე შევასრულებთ.



– და, კიდევ ერთი...

– დიახ, გისმენთ, ამხანაგო გენერალო!

– თუკი გავაშელს შეიპყრობთ, მას თითიც არ დააკაროთ. ჩვენ ის საღსალამათი გვჭირდება, – უთხრა „მურის“ უფროსმა თავის თბილისელ კოლეგას, გამოემშვიდობა და ყურმილი დაკიდა.

შეშინებულ პლასკაგუბცას ოცდაოთხი საათის განმავლობაში უთვალთვალებდნენ. მართალია, თბილისის მილიციის სამმართველოში ბელურა არ მივიდოდა, მაგრამ, არც იქ აშორებდნენ მას თვალს.

30 ივნისს, ანუ, რეანიმაციიდან ბელურას გაქცევის ერთი თვის თავზე, პლასკაგუბცას შუა რუსთაველზე ისტერიკა დაემართა: როცა ის გამზირზე ფეხით მიდიოდა და ლაღიძის წყლებს მიუახლოვდა, გვერდითა სადარბაზოდან შუა ტანის მამაკაცი გამოვარდა. კოკორაშვილს ეგონა, რომ მამაკაცი მასზე თავდასხმას აპირებდა და ტაბელური „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიდან ესროლა... შუა ხნის მამაკაცი მშვიდობიანი მხატვარი აღმოჩნდა, რომელიც მხოლოდ ფეხში დაიჭრა და სიკვდილს გადაურჩა. შეშინებული პლასკაგუბცა კი ოფიცერთა სახლის მიმართულებით გაიქცა, თან ჰაერში ისროდა და, რომ არა ფარული მოთვალთვალეები, რომლებმაც ის დააკავეს და განაიარაღეს, ვინ იცის, კიდევ რას ჩაიდენდა...

ისტერიკაში მყოფი პლასკაგუბცა ვერაფრით დაამშვიდეს. ამიტომ, მისი კოლეგები იძულებულები გახდნენ, მილიციის კაპიტანი თბილისის ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაეყვანათ და ერთადგილიან პალატაში მოეთავსებინათ...

### ანონიმური წერილები

პირველი ძლიერი ისტერიკის შემდეგ კოკორაშვილს დამამშვიდებლები გაუკეთეს, მკურნალობის კურსი ჩაუტარეს და სამი კვირის მერე საერთო პალატაში გადაიყვანეს, სადაც შედარებით მსუბუქი ავადმყოფები იყვნენ. თუმცა, 4 აგვისტოს პლასკაგუბცას ისტერიკის მორიგი შეტევა დაემართა: მან ჯერ თანაპალატელებს დაუწყო ცემა და ორ მათგანს ხელები გადაუმტვრია, შემდეგ კი მესამე სართულის ფანჯრიდან სცადა გადახტომა, მაგრამ, ჩამონტაჟებულმა გისოსებმა ამის საშუალება არ მისცა. ამასობაში, კუნთმაგარმა სანიტრებმაც მოუსწრეს, ძლიერად გაკოჭეს და იზოლირებულ პალატაში გაამწესეს, სადაც ის ჯერ დააბეს, შემდეგ კი ძლიერი დამამშვიდებელი ნემსი გაუკეთეს და დააძინეს...

პლასკაგუბცას ისტერიკის მიზეზი გახდა სამი ანონიმური წერილი, რომლებიც მას ერთერთმა ავადმყოფმა მისცა. იმ ავადმყოფს კი ეს წერილები ვილაც ბიჭმა აუგდო ფსიქიატრიული კლინიკის ეზოდან და სთხოვა, უშანგი კოკორაშვილისთვის გადაეცა. სამივე წერილი თითქმის ერთი და იმავე შინაარსის იყო და ასე მთავრდებოდა: „წამებით მოკვდები, ჯოჯოხეთში მოხვდები და მოსვენება არ გექნება. იქ შენ მიერ მოკლული ადამიანების სულები მოგაკითხავენ და სულს გაგიმწარებენ...“

ანონიმური წერილების ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ, მოკვლევამ ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო. ვერც წერილების მომტან მოზარდს მიაგნეს და ვერც ხელწერით დაადგინეს მისი ავტორი. თუმცა, გამომძიებლები ასი პროცენტით იყვნენ დარწმუნებულები, რომ მათი ავტორი ბელურა იყო.

– ჯობდა, მოეკლა, ვიდრე ასეთ დღეში ჩაეგდო, – თქვა მილიციის სამმართველოს უფროსმა, – საგიჟესთან პოსტი დააწესეთ. ბელურა სადღაც ახლოსაა და ადრე თუ გვიან ჩვენს ბადეში გაებმება.

პოლკოვნიკის იმედების მიუხედავად, გავაშელი ვერსად მოიხელთეს და ის აღარც პლასკაგუბცას შეხმიანებია...

### ძარცვა

პლასკაგუბცას მორიგი ისტერიკიდან ცხრა დღის შემდეგ, ანუ, 13 აგვისტოს, თბილისის ერთერთი საიუველირო მაღაზია გაიძარცვა, საიდანაც 109 ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასეულობა გაიტანეს. იქაც, ისევე, როგორც „სამოცვეტებში“, ექსპერტ-კრიმინალისტებმა ვერანაირ კვალს ვერ მიაგნეს. ამ ძარცვის დროსაც სიგნალიზაცია სუფთად იყო გათიშული და სეიფიც, ასევე, სუფთად გაღებული. ბოროტმოქმედი კი შუშის ვიტრინიდან იყო მაღაზიაში შესული, რომელიც მრგვლად ამოეჭრა.

– უდავოა, ბელურა მოქმედებდა, ეს მისი ხელწერაა, – თქვა თბილისის მილიციის სამმართველოს თანამშრომელმა, მაიორმა გივი კაკაბაძ-

ემ, – თბილისისა და მოსკოვში „სამოცვეტების“ ძარცვაც ზუსტად ასე მოხდა. მართალია, იქ ხუთჯერ მეტი წაიღეს, მაგრამ, არც 109 ათასი მანეთია ცოტა.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებას უმცირესი სამხილიც კი არ ჰქონდა, რაც ძარცვაში ბელურას მონაწილეობას დაადასტურებდა, მაგრამ, მილიციამ გავაშელის ძებნა მაინც გააათკეცა და მთელი აგენტურული ქსელი ფეხზე დააყენა, თუმცა, კვლავ უშედეგოდ. თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსი ცოფებს ყრიდა და ხელქვეითებს აქტიურობისკენ მოუწოდებდა, მაგრამ, თავზემოთ ძალა არ იყო და „ფსკერზე დაწოლილი“ ბელურას აღმოჩენა არ ხერხდებოდა. ამასობაში, დრო გადიოდა და პლასკაგუბცას ჯანმრთელობა ნელ-ნელა უმჯობესდებოდა. მართალია, ის მილიციაში სამუშაოდ აღარ ვარგოდა, მაგრამ, რეაბილიტაციის რამდენიმე კურსი ჰქონდა გავლილი და ზუსტად ხუთთვიანი მკურნალობის შემდეგ, 30 ნოემბერს, ის თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან სახლში გაწერეს.

პლასკაგუბცა მარტოხელა იყო, მას არავინ დახვედრია საავადმყოფოს კართან. ამიტომ, სამოცდაათიოდე მეტრი ფეხით გაიარა, შემდეგ ერთ-ერთი შემხვედრი მანქანა გააჩერა და ჰკითხა:

– დიღმის მასივში წახვალ?

– დაბრძანდით, – მიუგო პლასკაგუბცას მძღოლმა და, როდესაც ის მის გვერდით მოთავსდა, მანქანა ადგილიდან დაძრა. ხუთასიოდე მეტრის გავლის შემდეგ მძღოლმა კოკორაშვილს ქლორეთილი მიასხა და მიაძინა.

**შურისძიება**

თვალი რომ გაახილა, პლასკაგუბცამ იგრძნო, რომ დედიშობილა იყო რკინის ძელზე მიბმული, მის წინ კი ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი იდგა. კოკორაშვილს სახე დაელრიჯა და უცნობს ჰკითხა:

– ბელურამ გამოგგზავნა?

– მე თვითონ ვარ ბელურა.

– რომ არ ჰგავხარ?

მამაკაცმა მკერდი გაიღელა და პლასკაგუბცას მარჯვნივ ამოსვირინგებული ბელურა დაანახვა, რაზეც კოკორაშვილს საშინელი ისტერიკა დაეწყო და წივილ-კივილი მორთო.

– რაც არ უნდა იღრიალო, მაინც ვერავინ გაიგებს, ღრმა მიწისქვეშეთში ვართ. ხომ გახსოვს, საგიჟეთში რა მოგწერე? მოემზადე საშინელი სიკვდილისთვის, – უთხრა ბელურამ პლასკაგუბცას, ორი ცალი სამართებელივით ალესილი ხანჯალი აიღო და ერთმანეთზე გაუსვ-გამოუსვა.

> **კოკორაშვილმა თვალი რომ გაახილა, იგრძნო, რომ რკინის ძელზე დედიშობილა იყო მიბმული და მის წინ უცნობი მამაკაცი იდგა**

ბუნკერი, სადაც გავაშელმა კოკორაშვილი ჩაათრია, სამოქალაქო თავდაცვის მიგდებული ობიექტი იყო და მტკვრის ქვეშ მდებარეობდა. ბელურამ ჯალათი მილიციელი უსასტიკესად აწამა: მას ჯერ მთელი სხეული დაუსერა, შემდეგ ხორცების ათლა დაუწყო, სასქესო ორგანო მოჰკვეთა და ზედ თითები და სხვა ორგანოებიც მიაყოლა. პლასკაგუბცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა ბელურამ ბუნკერი დატოვა, ქუჩის ტაქსოფონიდან მილიციის სამმართველოში დარეკა და მორიგეს უთხრა:

– თქვენი ჯალათი პლასკაგუბცა ნაწილ-ნაწილ აქნილი ყრია ბუნკერში და, სანამ ვირთხებს შეუჭამიათ, მიდით და ნახეთ...

ბუნკერში მისულ მილიციის ოპერჯგუფს კოკორაშვილის ცხედარი ვირთხების მიერ დაგლეჯილი დახვდათ. მათ მისი ნარჩენები პროზექტურაში გადაიტანეს ქსპერტიზაზე.

ნათელი იყო, რომ შურისძიება ბელურას მიერ იყო მოწყობილი, თუმცა, მის წინააღმდეგ არანაირი სამხილი არ არსებობდა და არც თავად ის ჩანდა სადმე.

1970 წლის 30 დეკემბერს კაპიტანი კარენ აბრამიანი სახლში დაბრუნდა. კარი რომ მიიხურა, სასტუმრო ოთახში მჯდარ მამაკაცს ქართულად უთხრა:

– ყველაფერი რიგზეა, პავლიკ, ორ კვირაში გაემგზავრები. მერე კი ისე ვქნათ, როგორც მოვილაპარაკეთ.

პავლიკა გარეგნობაშეცვლილი ბელურა იყო, რომელმაც ჯერ კიდევ რეანიმაციული პალატიდან გაქცევის ერთი თვის თავზე გაიკეთა პლასტიკური ოპერაცია და მილიციამ ამიტომ ვერ მოახერხა მისი პოვნა.

***P. S. ბელურა და კარენ აბრამიანი ბავშვობის ძმაკაცები იყვნენ. 1971 წელს ბელურა კანადაში დასახლდა, ათი წლის მერე კი მეგობარს აბრამიანიც შეუერთდა, რომელიც ცოლშვილთან ერთად გაემგზავრა კანადაში და უძრავი ქონების ბიზნესში ჩაება.***

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

**6 მაისი**

1527 – საღვთო რომის იმპერიის არმიამ აიღო და სასტიკად ააოხრა ქალაქი რომი.

1682 – ლუი მეთოთხმეტის ბრძანებით, საფრანგეთის მეფეთა რეზიდენცია პარიზიდან ვერსალში გადავიდა.

1860 – დაიწყო ჯუზეპე გარიბალდის ბრძოლა ავსტრიელთა ბატონობისგან იტალიის გასათავისუფლებლად.

1937 – მსოფლიოში უდიდესმა დირიჟაბლმა „ჰინდერბურგმა“ განიცადა კატასტროფა. ის მთლიანად დაიწვა, რის შედეგადაც დაიღუპა 36 ადამიანი.

1953 – ფილადელფიელმა ქირურგმა, ჯონ გიბონმა, პირველად წარმატებით გამოიყენა ხელოვნური გულისა და ფილტვის ასამუშავებელი დანადგარი.

1994 – საზეიმოდ გაიხსნა გვირაბი ლა მანშის სრუტის ქვეშ.

1998 – ყაზახეთის ახალი დედაქალაქი გახდა ქალაქი აკმოლინსკი (უფრო ადრე – ცელინოგრადი), რომელსაც ამიერიდან ასტანა ეწოდა.

**7 მაისი**

1298 – დაიწყო ბარსელონის საკათედრო ტაძრის მშენებლობა. მისი საბოლოო სახით დასრულება მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში მოხერხდა.

1673 – ლონდონში გაიხსნა სამეფო თეატრი – დღეს უძველესი მოქმედი თეატრი მსოფლიოში.

1824 – ვენაში გაიმართა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეცხრამეტე სიმფონიის პრემიერა.

1956 – დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა უარი თქვა თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანიის წამოწყებაზე იმ მოტივით, რომ „არ იყო დარწმუნებული თამბაქოს მავნებლობაში.“

1977 – პირველად აჟღერდა ჯგუფ „იგლზის“ ლეგენდარული სიმღერა „ჰოტელ კალიფორნია“.

**8 მაისი**

1429 – ფრანგებმა ჟანა დარკის წინამძღოლობით ინგლისელები ორლეანიდან გააძევეს.

1945 – ბერლინში, ადგილობრივი დროით 22 საათსა და 43 წუთზე, ხელი მოეწერა გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. გერმანიის მხარეს წარმოადგენდნენ: ვერმახტის ცენტრალური შტაბის უფროსი, გენერალ-ფელდმარშალი კეიტელი, საჰაერო-საზღვაო ძალების სარდალი ფონ ფრიდებურგი და ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი შტუმფი; ხოლო მოკავშირეების მხარეს – საბჭოთა კავშირის მარშალი ჟუკოვი, დიდი ბრიტანეთის ავიაციის მთავარი მარშალი ტედერი, ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული საჰაერო ძალების მეთაური სპაატსი და ფრანგული არმიის გენერალი დე ლატრ დე ტასინი.

**9 მაისი**

1868 – ნევადის შტატში დაარსდა ქალაქი რენო, რომელიც მთელ მსოფლიოშია განთქმული იმით, რომ აქ ყველაზე უფრო ადვილია განქორწინება.

1901 – მელბურნში მუშაობა დაიწყო ავსტრალიის პირველმა პარლამენტმა.

1936 – იტალიამ მოახდინა ეთიოპიის ოკუპაცია.

1960 – პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში გასაყიდად გამოვიდა ჩასახვის საწინააღმდეგო აბები.

1998 – ბირმინჰემში „ევროვიზიის“ ვოკალურ კონკურსზე გამარჯვება მოიპოვა ისრაელელმა დანა ინტერნეიშნმა. ეს ფაქტი იმით არის აღსანიშნავი, რომ დანა ადრე მამაკაცი იყო.

**10 მაისი**

1774 – საფრანგეთის ტახტზე ავიდა ლუი მეთექვსმეტე, რომელსაც გილიოტინა ელოდა.

1857 – სიფაების აჯანყება ინდოეთში ინგლისელთა ბატონობის წინააღმდეგ.

1869 – დასრულდა ტრანსამერიკული რკინიგზის მშენებლობა, რომელმაც ერთმანეთს დააკავშირა ატლანტისა და წყნარი ოკეანეები.

1872 – ვიქტორია ვუდჰალმა თავი წარადგინა ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატად. ეს იყო პირველი ქალი – კანდიდატი.

1933 – ბერლინში, ოპერის მოედანზე ფაშისტებმა მოაწყვეს დიდი აუტოდაფე – დაწვეს 20 000-ზე მეტი წიგნი.

1933 – ნელსონ როკფელერმა სამსახურიდან გაათავისუფლა მექსიკელი მხატვარი დიეგო რივერა, რომელიც მისთვის კომპანიის ახალი შენობის კედლებს ხატავდა. კონფლიქტის მიზეზი გახდა ლენინის პორტრეტი, რომელიც მხატვარმა ერთ-ერთ კომპოზიციაში „შეაპარა“.

1940 – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გახდა უინსტონ ჩერჩილი.

1994 – ნელსონ მანდელა გახდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტი.

**11 მაისი**

330 – ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქად გამოცხადდა ახლად აშენებული კონსტანტინოპოლი.

868 – ჩინელმა ბერმა ვან ცზემ დაამზადა მსოფლიოში პირველი ნაბეჭდი წიგნი.

1949 – სიამის სამეფოს ეწოდა ტაილანდი.

1997 – მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში გარი კასპაროვი დამარცხდა კომპიუტერ „დიფ ბლუსთან“ ორთაბრძოლაში.

**12 მაისი**

1830 – გამოცხადდა სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოს – ეკვადორის დამოუკიდებლობა.

1943 – დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების მიერ განხორციელებული „ალეუტის ოპერაცია“.

1949 – საბჭოთა კავშირმა დაიწყო დასავლეთ ბერლინის ბლოკადა.

1963 – დაიწყო ცურვა კენიჩი ხორიმ, რომელმაც 93 დღეში ნავით მარტომ გადაცურა წყნარი ოკეანე.

**ვისაც ერთხელ მაინც უნახავს საკალათბურთო შოუ – NBA Action, გიორგი ზურაბიშვილთან ერთად, დამეთანხმება, რომ გადაცემის წამყვანის კომენტარების დავიწყება, შეუძლებელია. ხალისი და იუმორი გადაცემას არ აკლია, რაც მას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. ამასთან ერთად, თავად გიორგიც საინტერესო რესპონდენტი აღმოჩნდა და გთავაზობთ მასთან ჩაწერილ ექსკლუზიურ ინტერვიუს.**

# როგორ იხსენებს ძველი თაობის კომენტატორებს გიორგი ზურაბიშვილი და მისი რომელი გადაცემა გახდა მეგაპოპულარული „ფეისბუქში"

**– გიორგი შენი გადაცემით დავიწყოთ, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა ინტერნეტში, განსაკუთრებით, Top-10-ის მიმოხილვა. როგორ ხდება ამ ათეულის ჩაწერა, სპონტანურად იგონებ ამ ფრაზებს?**

– Top-10 NBA Action-ის ნაწილია – ვრცელი გადაცემაა და შედგება: შესავლის ბლოკისა და ნიუსებისგან, ვიწვევთ სტუმრებს და მიმოვიხილავთ თამაშს. ჩვეულებრივად, სპონტანურად ხდება ტოპ-ათეულის ჩაწერა, არანაირი წინასწარი მომზადება. ვიგონებ ფრაზებს და რაც მომეწონება, ვიწერ, რომ არ განმეორდეს და არეული არ გამოვიდეს მიმოხილვა. ვფიქრობ, განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ, როგორც ჩანს, სიახლის პრობლემაა ჩვენთან *(იცინის).* საერთოდ, კომენტატორმა თავი უნდა წარმოაჩინო მაქსიმალურად, თუნდაც ინტელექტით. ამ თვალსაზრისით, ძველი, ლეგენდარული კომენტატორები რომ იყვნენ – კოტე მახარაძე, ეროსი მანჯგალაძე, რთულია მათ მიჰბაძო და შეეჯიბრო. არაა აუცილებელი ძველი გადმოიღო, ახალი უნდა შესძინო ამ პროფესიას, არა მარტო ამ პროფესიას, ზოგადად ყველგან აუცილებელი და მნიშვნელოვანი ახლის დანერგვაა.



**ძველი, ლეგენდარული კომენტატორები რომ იყვნენ – კოტე მახარაძე, ეროსი მანჯგალაძე, რთულია მათ მიბაძო და შეეჯიბრო. არაა აუცილებელი, ძველი გადმოიღო, ახალი უნდა შესძინო ამ პროფესიას**

**– ძველი თაობის კომენტატორები ახსენე, რას იტყოდი მათზე, თუ გყავს საყვარელი კომენტატორი?**

– სამწუხაროდ, არ მოვსწრებივარ ძველი თაობის კომენტატორებს, პატარა ვიყავი მაშინ. თუმცა, ვიცი, მათ როგორ მიჰყავდათ თამაშები. კომენტატორების უფრო შემდგომ თაობას ვიცნობ, ვისთან ერთადაც ვმუშაობ, ვისი გაზრდილი და აღმოჩენილიც ვარ *(იცინის).* ბიძინა ბარათაშვილი, ლევან სალუქვაძე, პაატა გურასპაული, თავისი საქმის პროფესიონალები არიან.

**– რამდენი ხანია, რაც თამაშები მიგყავს და საერთოდ, კომენტატორობის ინტერესი რატომ გაგიჩნდა?**

– მეორე წელია. ბავშვობიდან მიყვარს სპორტი, სპორტის სიყვარულიდან იწყება ყველაფერი. ფეხბურთი და კალათბურთი – სპორტის ამ ორი სახეობის მატჩების რეპორტაჟებზე ვმუშაობ. თუმცა, სპორტის სხვა სახეობებითაც ვინტერესდები. ვფიქრობ, რაც კარგად არ იცი და მისგან სიამოვნებას ვერ იღებ, ის არც უნდა გააკეთო.

**– პოპულარობა თუ აისახა შენზე? „ფეისბუქზე" ცალკე გვერდიც კი არის გახსნილი, სადაც შენი გადაცემის „დალაიქება" ხდება.**

– სიმართლე რომ გითხრა, პოპულარობა ჩემთვის ნაკლებმნიშვნელოვანია. კარიერის თვალსაზრისით არ ვაკეთებ ამას, უბრალოდ, მიყვარს ეს საქმე და რაც მიყვარს, იმას ვაკეთებ.

**– ქართველი კალათბურთელების კლუბები როცა თამაშობენ, ალბათ, განსაკუთრებულად ქომაგობ მათ.**

– „ატლანტა ჰოუქს" და „ბრუკლინ ნეთს" განსაკუთრებით ვგულშემატკივრობ, ზაზა ფაჩულიას და თორნიკე შენგელიას გამო. საერთოდ, შენგელია, მგონია, რომ ძალიან მაგარი კალათბურთელი გაიზრდება. ნელ-ნელა მეტი სათამაშო დრო მიეცემა და უდიდესი პოტენციალი აქვს, დარწმუნებული ვარ, ბევრს მიაღწევს NBA-ში.

**– ქართველთა კლუბების გარდა, რომელ კლუბს ქომაგობ NBA-ში?**

– ჩემი საყვარელი გუნდია „ნიუ-იორკ ნიქსი", ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ მას. საერთოდ, განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ნიუ-იორკთან, ბევრი მეგობარი მყავს იქ. ერთი წელი ვსწავლობდი ამერიკაში და ხშირად ჩავდიოდი ნიუ-იორკში, სადაც კარგი დრო მაქვს გატარებული. ლიგის თამაშებზეც ნამყოფი ვარ „მედისონ სკვერ გარდენში", „ნიუ ჯერსი ნეთსის" ძველ დარბაზში, ასევე, ვაშინგტონში. ჩემი საყვარელი კლუბი განსაკუთრებულად ძლიერი არასდროს ყოფილა – შეიძლება, პატრიკ იუინგის ეპოქა გამოვყო და წლევანდელი სეზონი, რომელსაც კლუბი კარგად ატარებს. კიდევ „დენვერ ნაგითს" ვგულშემატკივრობ, ვფიქრობ, ამ სეზონში ყველაზე სანახაობრივ თამაშს აჩვენებს.

**– ნაციონალური ლიგის კალათბურთელებიდან ვის ქომაგობ. თუ გყავს საყვარელი მოთამაშე?**

– ბავშვობიდან სტივ ნეში მომწონდა, თუმცა ახლა უკვე ასაკშია და ველარ აჩვენებს იმ თამაშს. ასევე, გამოვყოფდი პოლ პირსს, ვფიქრობ, საუკეთესო კაპიტანია და „ბოსტონ სელტიქსის", ტრადიციულად ძლიერი კლუბის ნამდვილი ლიდერია.

**– ამერიკაში ცხოვრობდი გარკვეული პერიოდი, როგორ გაიხსენებდი იმ დროს?**

– რიჩმონდში ვცხოვრობდი, ვირჯინიის შტატში. აღმოსავლეთ სანაპიროა, ძალიან ახლოს არის ვაშინგტონსა და ნიუ-იორკთან. როგორც კი თავისუფალი დრო მქონდა, იქ ჩავდიოდი. თვითონ „მედისონ სკვერ გარდენი", მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საკალათბურთო დარბაზია. იქ ჰოკეის მატჩებიც ტარდება და საოცარი შეგრძნებაა, როდესაც ეს ყინულის მოედანი ავტომატურად იცვლება პარკეტის მოედნით. შოუს ელემენტებია თამაშების დროს და პაუზებს თითქმის ვერ გრძნობ. საოცარი შეგრძნებაა ლიგის თამაშების ცოცხლად ყურება.

**– თვითონ თუ თამაშობ კალათბურთს?**

– კალათბურთს ნაკლებად, კარგად ვერ ვთამაშობ. სამაგიეროდ, ფეხბურთს ვთამაშობ ბავშვობიდან სამოყვარულო დონეზე, ბევრ ტურნირში მაქვს ნათამაშები.

**– კალათბურთის გარდა, ფეხბურთის რეპორტაჟებიც მიგყავს და რომელ გუნდებს ქომაგობ?**

– ძირითადად, ჰოლანდიისა და ინგლისის ჩემპიონატებზე ვმუშაობ. ყველა კომენტატორს საკუთარი ნიშა გვაქვს და მე ამ ორი ქვეყნის ჩემპიონატის მატჩების წაყვანა მიწევს. ისე, მგონია, რომ ყველაზე სანახაობრივი მაინც ინგლისის ჩემპიონატია. ლონდონის „არსენალს" ვქომაგობ ბავშვობიდან და ნაკრებებიდან – საფრანგეთის ნაკრებს.

**– კომენტატორობის გარდა, რით ხარ დაკავებული, რას იტყვი შენ შესახებ?**

– *(იცინის)* განსაკუთრებული არაფერია – ვსწავლობ, ასევე GDS TV-შიც ვმუშაობ, სპორტული მიმართულებით ვაკეთებ სიუჟეტებს. თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ვატარებ, ვცდილობ, გავერთო. მუსიკა მიყვარს ძალიან, არ შემიძლია, მუსიკის გარეშე. ახლახან დავიწყე ვინილის ფირფიტების შეგროვება. ღვინის დაწურვა და არყის გამოხდა მიყვარს ძალიან *(იცინის).* ბევრნაირი სასმელი მაქვს. ვხდი ვაშლის, ქლიავის არაყს და ამით ვამაყობ.

**– დალევა და ქეიფი გეყვარება მაშინ.**

– ძალიან მიყვარს, თამადობაც მიწევს ხოლმე *(იცინის).* საერთოდ, არ მესმის, როგორ შეიძლება, ადამიანს თამადობა გიყვარდეს, ან არ გიყვარდეს.

**– როგორი სიმთვრალე გაქვს?**

– მშვენიერი, ძალიან კომუნიკაბელური ვხდები და ერთადერთი, ბევრი ლაპარაკი მიყვარს *(იცინის).* „პახმელია" კი ძალიან ცუდი მაქვს, სიგარეტს დავანებე თავი და მას შემდეგ ოდნავ გამომისწორდა. მანამდე უფრო რთულად ვიტანდი *(იცინის).* საერთოდ ყველას მოვუწოდებ, ვისაც ცუდი „პახმელია" აქვს, დაანებოს სიგარეტს თავი და „პახმელიაც" კარგი ექნება.

**– მამაზე უნდა გკითხო, თუ უყურებს თამაშებს შენი კომენტარით და რჩევებს ხომ არ გაძლევს? (გიორგის მამა, დავით ზურაბიშვილი – განათლების მინისტრის მოადგილე – ავტორი)**

– სპორტი უყვარს ძალიან, კალათბურთი ნაკლებად, უფრო ფეხბურთი. ჩემს საქმიანობაში ჩართულია-მეთქი, რომ გითხრათ, მოგატყუებთ. თავისი საქმე იმდენი აქვს, ჩემი რეპორტაჟებისთვის ნაკლებად სცალია. თუმცა, რა თქმა უნდა, შენიშვნებიც აქვს, რჩევებიც, მაგრამ უფრო ცხოვრებისეულ და ზოგად თემებზე და არა კონკრეტულად, კომენტატორობაზე. ლამაზ ფეხბურთს ვინც თამაშობს, იმ გუნდებს ქომაგობს. ბოლო დროს „ბარსელონას" გულშემატკივარია. ისე, 80-იან წლებში ბრაზილიის ნაკრებს ქომაგობდა, სოკრატესი და ზიკო როცა თამაშობდნენ. ფეხბურთში ცვალებადი გემოვნება აქვს და სანახაობრიობას ანიჭებს უპირატესობას *(იცინის).*

**რაც კარგად არ იცი და სიამოვნებას ვერ იღებ, ის არ უნდა გააკეთო**

**– ვიცი, მოგზაურობა გიყვარს და ასევე, გურმანიც ხარ. რას იტყვი – რამდენ ქვეყანაში ხარ ნამყოფი და რომელი სამზარეულო გიყვარს?**

– არც ისე ბევრგან ვარ ნამყოფი, თუმცა არც ცოტაში – ამერიკა, ევროპა. როგორც კი ფული ჩამივარდება და თავისუფალი დრო მაქვს, ვცდილობ, გავიდე ქვეყნის საზღვრებს გარეთ. სულ სხვა მუხტი აქვს ეგრეთ წოდებულ „პაეზდკას". ყოველთვის კარგად ვერთობი უცხოეთში. შარშან უკრაინაში ვიყავი, ევროპის ჩემპიონატის მატჩებს დავესწარი, კარგად გავერთე და 2014-ში ბრაზილიშიც ვაპირებ წასვლას. ძალიან მინდა, რიო-დე-ჟანეიროში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს დავესწრო. ქართული და იტალიური სამზარეულო მიყვარს. არ ვიქნები ორიგინალური და ვიტყვი, რომ ხინკალი მიყვარს. საერთოდ, საჭმლის მიმართ დადებითად ვარ განწყობილი და რაც გემრიელია, ყველაფერი მიყვარს.

**უშანგი რუხაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი**
**მევლუდ მელაძე**

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ტოიოტა 4 რანერი", 1998 წლის. ავტომობილის დაქოქვის შემდეგ, გასაღებს ხელს უშვებ, მაგრამ სტარტერი ბრუნვას აგრძელებს, ძრავასთან ერთად სტარტერიც ბრუნავს და მისი ჟღრიალის ხმაც გრძელდება. მეზობლებმაც მითხრეს, სტარტერი მუშაობას აგრძელებსო. ავტომობილით ვერ გადავადგილდები, მეშინია, რამე არ დავაზიანო. იქნებ მირჩიოთ, რა ვუშველო და საერთოდ, შეიძლება თუ არა ასეთი ავტომობილით გადაადგილება, ხელოსნამდე მაინც რომ მივიდე?**

**პასუხი:** ასეთი შემთხვევა, კონკრეტულ მოდელს რომ თავი დავანებოთ, შეიძლება, ნებისმიერ ავტომობილს მოუვიდეს. მწყობრიდან გამოდის ავტომობილის დასაქოქი მექანიზმი. ამის მიზეზი რამდენიმე შეიძლება იყოს – ძალიან წვრილმანი, წარმოუდგენელი მიზეზიც კი. მაგრამ, უმეტესად, ეს მაშინ ხდება, როცა სტარტერის ღილაკი გამოდის მწყობრიდან. ეს არის ღილაკი, რომელიც უშუალოდ დასაქოქ ელექტრულ ძრავაზეა დამონტაჟებული და გასაღების გადატრიალების შემდეგ ახდენს კონტაქტს იმისთვის, რომ ძრავამ ბრუნვა დაიწყოს. გასაღების გამორთვის შემდეგ კი, ხდება კონტაქტის ერთმანეთთან დაშორება, დამქოქი მექანიზმის უკან გამოწევა და სტარტერი გაჩერდება. ამ შემთხვევაში ეს „მაკონტაქტებელი" მოწყობილობა შესაძლოა ღილაკს იკრავს და უკან დაშორებას ველარ ახერხებს. შეიძლება ოქსიდები გაიკეთა, ან რაღაც წინააღმდეგობრივი ფენა გაჩნდა, რის გამოც დაშორებას ველარ ახერხებს; შესაძლოა პლასტმასი გაიბზარა, ლითონმა ფორმა შეიცვალა ბევრი მუშაობისგან; კბილანა რომელიც ქოქავს და უკან გამოდის, ველარ ახერხებს უკან დაბრუნებას, ან რაღაც სხვა უშლის ხელს ამ დაშორებას, რის გამოც სტარტერი მუშაობას აგრძელებს. ხელოსანი ამ მოწყობილობას დაშლის და მიზეზს იოლად დაადგენს. მაგრამ, არაფრით არ შეიძლება ამ ავტომობილით სიარული, რადგან ძრავის ბრუნების გაზრდასთან ერთად, გაიზრდება სტარტერის ძრავის ბრუნიც და აუცილებლად გაფუჭდება. ეს სტარტერის სრულ დაზიანებას გამოიწვევს, რაც თქვენს პრობლემასთან შედარებით, გაცილებით სახლაფორთო და ძვირი გასაკეთებელია. ხელოსნამდე ავტომობილი ბუქსირით, ან ევაკუატორით წაიყვანეთ და პრობლემას იოლად მოაგვარებთ.

*ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
**მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მყავს „ფიატ პუნტო", 1.1 ძრავით. პეკინის ქუჩაზე საცობში ვიდექი, როცა ავტომობილი რაღაც უცნაურად, უცებ ჩაქრა. ვეცადე დამექოქა, მაგრამ ძრავამ რაღაც სხვა, არაჩვეულ ხმაზე დაიწყო ტრიალი და არაფრით არ დაიქოქა. ხელოსანთან ჯერ არ მყოლია, მაგრამ ვინც შედარებით ერკვევა ავტომობილში, ყველამ მითხრა, ეგრეთ წოდებული „ზუბჩატი რემენია" გაწყვეტილიო, კბილებიანი ღვედი და ძრავა შესაძლოა, გადასაგდებიც კი გქონდესო. როგორ ვუშველო?**

**პასუხი:** რიგ მოდელებში არის შანსი, რომ კბილებიანი ღვედის გაწყვეტის შემთხვევაში, ძრავა გადარჩეს, ზოგ მოდელში კი ის მთლიანად აზიანებს ძრავას. აღდგენის პერსპექტივის გარეშე ზიანდება ძრავა იმ დროს, თუ ავტომობილი მაღალ ბრუნებზე მუშაობდა. კბილებიანი ღვედის შეცვლა გარკვეულ დროში აუცილებლად საჭიროა. ოთხმოცი ათასზე, როგორც მინიმუმ, ღვედს შეცვლა მაინც უნდა (თანამედროვე ავტომობილებში ეს ციფრი 120-130 ათასამდე გაზარდეს), რადგან მისი გაწყვეტა ძრავას აზიანებს. მაგრამ, რაც შეეხება „ფიატ პუნტოს", გაგიმართლათ – ის იმ გამონაკლის ავტომობილთა სიაშია, რომელიც ღვედის გაწყვეტის შემთხვევაში, არ ღუნავს „კლაპნებს" და არ აფუჭებს ძრავას. სისტემა ისეა მოწყობილი, ეგრეთ წოდებულ „პორშინზე," ანუ დგუშზე სპეციალური ღრმულებია დატოვებული, რათა ასეთ შემთხვევებში „კლაპანი" და დგუში ერთმანეთს არ შეეხოს. ღვედის გამოცვლით თქვენ პრობლემას აღმოფხვრით, მაგრამ ამას პროფესიონალი სჭირდება. ბევრი ღვედს თავისი ხელით ცვლის, რაც არასწორია. მისი დამონტაჟება აბსოლუტური სიზუსტით არის აუცილებელი, სხვა შემთხვევაში, ის უბრალოდ, არ დაიქოქება. შეიცვლება ღვედი და ავტომობილი ჩვეულებრივ განაგრძობს მუშაობას.

**კითხვა: შარშან ჩემი კონდიციონერი ჩვეულებრივად მუშაობდა, სიცხეებთან ერთად, ჩართვა ვცადე, მაგრამ აღარ ჩაირთო. როგორც მეუბნებიან, კონდიციონერის კომპრესორია დაზიანებული, იქიდან გასდის ფრეონი და გამოსაცვლელია. ამიტომ, ფრეონის ჩასხმას აზრი არ აქვსო. არ არის იმის საშუალება, რომ კომპრესორი გარემონტდეს? აუცილებელია მისი გამოცვლა? მთელი ზამთარი არ ჩამირთავს და ჩაურთველი როგორ დაზიანდებოდა?**

**პასუხი:** ასეთი რამ შესაძლებელია და სწორედ იმიტომაც, რომ ზაფხულიდან ზაფხულამდე კონდიციონერს არავინ რთავს. გამოუყენებლობის დროს, ის დეტალები, რომლებიც სითხეს ატარებს, გამოშრება, გამოხმება და ჩართვის დროს სითხის შეკავებას ველარ ახერხებს – იწყებს ფრეონის გამოშვებას. კონდიციონერს დროგამოშვებით მაინც სჭირდება ჩართვა, რომ მუშა ფორმა შეინარჩუნოს. რაც შეეხება აღდგენას, არიან ხელოსნები, კომპრესორებს რომ აღადგენენ, მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, აღდგენილი ძალიან ცოტა ხანს აგრძელებს მუშაობას. დაბალია იმის ალბათობა, რომ აღდგენილმა დიდხანს იმუშაოს, თან იმასაც აქვს მნიშვნელობა რომელ ავტომობილზეა საუბარი – როგორი კონსტრუქციით არის ის აწყობილი და კონკრეტულად, რა დეტალია დაზიანებული. ხელოსანი მართალია, მისი გამოცვლაა საჭირო. დაშლილებში ამ დეტალის შეძენას შეძლებთ, ახალი საკმაოდ ძვირი ეღირება. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, გააჩნია რა მოდელზეა საუბარი – რომ დაგეკონკრეტებინათ, უფრო მეტ რჩევას მოგცემდით. თანამედროვე ავტომობილებს, იმის გამო, რომ ზაფხულიდან ზაფხულამდე კონდიციონერს ჩართვა მოუწიოს, ფანჯრების დაორთქვლისას, როგორც კი ღუმელს ჩართავთ, ავტომატურად ირთვება კონდიციონერიც. ჯერ ერთი, ცივი ჰაერი უცებ აშორებს მინას ორთქლს და მეორე – კონდიციონერიც პერიოდულად მუშა მდგომარეობაში მოდის.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

სუსტი ქარი

ჩვენი ყოფილი მეზობელი

შტრაუსის ცეკვა

სამიზნის ცენტრი

სადემონსტრაციო დაფა

(......) კვერენჩხილაძე

იხილე ფოტო

აფრიკის უდაბნო

ებრაელთა ქვეყანა

ბედი, იღბალი

მეცხვარის სამოსი

სადაური იყო მიხეილ ტალი?

ცხენის სვლა

ქალაქი იაპონიაში

იქ კენედი მოკლეს

გივი ბერიკაშვილის როლი

არის ასეთი კანფეტი

ერთად მუშაობა

მაღალი ხე



(......) ელიავა

ტიბეტელი (......)-ლამა

ფულის უაზროდ დახარჯვა

შეურგებელი

(......) ვეკუა

თემურ-(.........)

არქიტექტ. სტილი

ჩვენი ანსამბლი

ბულბულის სატრფო

ირაკლი

წონის ერთეული

ადგილის კითხვა

თურქეთის საზღვართან

პოლონელი ფანტასტი

სკოლის ნაწილი

შემოწმების დოკუმენტი

ინფექციური სენი

საწვავი

სახის ნაწილი

ცეკვის ილეთი

ხომალდების შენაერთი

დავით ულუ და დავით....

ბევრი

XVIII ს ფრანგი მოაზროვნე

თადარიგი (სპარს.)

კაცის გერმან. სახელი

ონი

ლატვიის დედაქალაქი

ქირურგის საქმე

ჭუჭყი სამოსზე

სხეულის ორგანოს კვდომა

ძველი თოფის ნაწილი

მწერალ ჭონქაძის ერქვა

ყველაზე ცხელი თვე

იტალიური მისალმება

არის ასეთი დიდი თევზი

გაძლება ანუ?

ძველი იტალიელი ფეხბურთელი

თურქული მაწონი

ლექსის ნაწილი

მოლოდინი

ცხენის ძველი სახელი ანუ ტანვარჯიშის იარაღი

ირანის ფულის ერთეული

იდეა, ჩანაფიქრი

ქალაქი ესპანეთში

სევდა, წუხილი

(......)-წინაღი

თბილისის ტბა

ყელის ტკივილი

ბავშვის საჭმელი

ელექტრული ნაწილაკი

მხოლოდ ადამიანის კითხვა

ანტილოპის სახეობა

უძველესი ქუთაისი

ქალაქი რუმინეთში

რჩეულიშვილიც, დოჩანაშვილიც

კროსვორდის დასასრული

Column clues:

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | 5 | | | | | | | | | 6 | | | 2 | | | | | | | |
| | | | | | | | | 3 | 4 | 1 | 3 | | 4 | | 4 | | 5 | | 4 | | | 1 | 2 | | | | | | |
| | | | | | 2 | 3 | 4 | 1 | 1 | 4 | 2 | 4 | 1 | 4 | 1 | 6 | 5 | 13 | 3 | 6 | 7 | 1 | 1 | | | | | | |
| | | 1 | 2 | 4 | 3 | 4 | 4 | 3 | 3 | 1 | 4 | 1 | 3 | 2 | 3 | 3 | 3 | 3 | 1 | 3 | 4 | 8 | 4 | 3 | 1 | 1 | | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 6 | 2 | 7 | 3 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |

Row clues:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 4 |
| | | | | 6 |
| | | | 5 | 1 |
| | | | 6 | 1 |
| | | | 5 | 1 |
| | | | | 10 |
| | | | 2 | 1 |
| | | | 1 | 1 |
| | | | 8 | 1 |
| | | | 11 | 2 |
| | | | 13 | 2 |
| | | | 14 | 2 |
| | | 6 | 3 | 3 |
| 6 | 1 | 3 | 1 | 2 |
| | | 2 | 4 | 3 |
| | | | 8 | 3 |
| | | | 4 | 4 |
| | | | 7 | 5 |
| | | | | 13 |
| | | | | 9 |
| | | | | 5 |
| | | | 1 | 1 |
| | | | | 10 |
| | | | | 8 |
| | | 11 | 3 | 11 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | 1 | | 3 | 4 | | 8 |
| 5 | | 8 | 2 | | 9 | | 1 | |
| 3 | 1 | 2 | | | 7 | 6 | 5 | 9 |
| 2 | | 3 | | 1 | | 9 | | 4 |
| | 9 | | 7 | | 5 | 8 | | 2 |
| 8 | 6 | 7 | 9 | 4 | 2 | | | 1 |
| 1 | | 9 | 6 | | 8 | | 4 | |
| 7 | | 5 | | 9 | | 1 | | 6 |
| | | 4 | 5 | 7 | 1 | 2 | 9 | 3 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | 2 | 5 | | | | | |
| | 7 | | | | 6 | 5 | | 9 |
| 9 | | | 1 | | | | 6 | |
| | | | 6 | | 1 | 3 | | |
| 6 | | 3 | | 8 | | | | 5 |
| | 1 | | 7 | | | 8 | | |
| 7 | | | | | | 6 | | 4 |
| | | 6 | 4 | | 8 | | 3 | |
| 1 | | | | 6 | | 2 | | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. დაიწყეთ „იხვი დონალდის" ხატვა, ჯერ დახატეთ პირი



2. დაასრულეთ პირის ხატვა



3. „იხვ დონალდს" მიახატეთ თავი და ქოჩორი



4. შემდეგ – ქუდი, თვალები და წარბები



5. მიახატეთ ხელები, გული და ბაფთა



6. იხვს მიახატეთ მუცელი



7. დაასრულეთ ტანის ხატვა და მიახატეთ ფეხებიც



8. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება



## რა გზით გამოფრინდება ჩიტი გალიიდან



## რომელი ჩრდილია ფრანის ასლი




# ჯადოქარი

## (იგავ-არაკი)

**იყო ერთი ჯადოქარი. ხალხს ასწავლიდა, ღმერთების რისხვა როგორ აერიდებინათ. ამით ქალმა სახელი გაითქვა და დიდი ქონებაც შეიძინა. ბოლოს ვიღაცამ ყალბისმქნელობაში დაასმინა. სამართალი ქნეს და ჯადოქარს სიკვდილი მიუსაჯეს. როცა ქალი გაბაწრული მიჰყავდათ, ერთმა კაცმა მიაძახა: თუკი ადამიანებს ღმერთების რისხვისგან იფარავდი, ახლა რა ღმერთი გიწყრება, რომ საკუთარ თავს ადამიანთა რისხვა ვერ აარიდინეო?!**

**ზოგიერთები ბევრს იქადიან, მაგრამ არაფრის მაქნისები არ არიანო.**

# რიცხვრებუსი

, , , 7,   8, ,   2, ,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| ერთგვარი მინა | | ლითონი<br>მანათობელი პლანეტა | | ცხოველთა მეფე |
| | | | | |
| | | ნუსხა ჩამონათვა-ლი | | |

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

**კითხვა: რატომ ხდება, რომ ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე ჯიშის ძაღლი სხვადასხვა ფასი ღირს? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ხშირად ფასში სხვაობა საკმაოდ დიდია. დავიბენი, როცა ძაღლის შესაძენად წასული ამ გაუგებრობას წავაწყდი.**

**პასუხი:** ფასიდან გამომდინარე, სუფთა სისხლის ძაღლებშიც არის განსხვავება. ისინი ხარისხით ერთმანეთისგან განსხვავდებიან, რაც მოყვარულისთვის ძნელი შესამჩნევია. ამიტომ არ უნდა დაინანოთ ლეკვში თანხის გადახდა. საბოლოოდ, დაბალფასიანი ძაღლი ვერ გაიზრდება ისეთი, როგორიც მათ წარმოსახვაში იყო. ფულს დაზოგავთ, მაგრამ, ჯიშის ხარისხი დაბალი იქნება. მერე კი გულს აიცრუებთ. გაითვალისწინეთ, რომ ძაღლზე ეკონომიის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

**კითხვა: ჩემი ძაღლი ოთახის პირობებში იზრდება. ის ჯერ მხოლოდ 9 თვისაა. მაინტერესებს, ამ შემთხვევაშიც თუ არის აუცილებელი ძაღლისთვის ვაქცინაციის ჩატარება? რამდენიმე ადამიანმა მითხრა, რომ სახლის პირობებში ცხოველი დაცულია. თქვენი აზრი მაინტერესებს, რას მირჩევთ?**

**პასუხი:** არსებობს ასეთი მცდარი მოსაზრება, რომ ცხოველი თუ ოთახის პირობებში იმყოფება, არ საჭიროებს ვაქცინაციას ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგოდ. სინამდვილეში კი დაინფიცირების რისკი საკმაოდ მაღალია, რადგან ინფექცია გადადის არა მარტო ავადმყოფ ცხოველთან კონტაქტით, არამედ საგნებითაც, რასაც ცხოველი ეხება. ასევე, დაავადება შეიძლება, გადავიდეს პატრონის ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, რაც ცხოველის დასნებოვნებისთვის ყველა პირობას ქმნის.

**კითხვა: მყავს 10 თვის ძუ პეკინესი. მაინტერესებს, მისი შეჯვარება აუცილებელია თუ არა? რაიმე საფრთხეს ხომ არ შევუქმნი მის ჯანმრთელობას, რომ არ შევაჯვაროთ?**

**პასუხი:** მოგახსენებთ. მცდარია ის მოსაზრება, რომ ცხოველი ერთხელ მაინც უნდა შევაჯვაროთ, რაც მისი ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. ეს მიდგომა, რა თქმა უნდა, არასწორია, თუ თქვენ არ აწარმოებთ სანაშენო საქმიანობას და არ იღებთ პასუხისმგებლობას ლეკვების მოვლასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში უმჯობესია, ცხოველს კასტრაცია ჩაუტაროთ, რაც საშუალებას მოგცემთ, თავიდან აიცილოთ მთელი რიგი გართულებები.

**კითხვა: 2 თვის გერმანული ნაგაზი მყავს. მალე ცოფის აცრა უნდა გაუკეთდეს. როგორც გავიგე, ცოფზე ვაქცინაცია ამ ასაკში ხელს უშლის ცხოველის ზრდას. მაინტერესებს, რამდენად შეესაბამება ეს აზრი სიმართლეს?**

**პასუხი:** არასწორია ის შეხედულება, ვითომ სამი თვის ასაკში ცოფზე ვაქცინაცია ხელს უშლის ცხოველს ზრდაში და ცუდადაც მოქმედებს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებზე. ცოფის ვაქცინაში არ შედის ცოცხალი ვირუსი, მას მხოლოდ შენარჩუნებული აქვს იმუნოგენები. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში წარმოებული ვაქცინა ყოვლად უსაფრთხოა.

**კითხვა: 8 წლის მეტისი გვყავს, რომელიც მთელი ეს წლები ეზოს პირობებში ცხოვრობს. ბოლო დროის პრობლემებმა მის ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნა და გვირჩიეს, ოპერაცია გაგვეკეთებინა. დასაშვებია ამ ასაკში ქირურგიული ჩარევა?**

**პასუხი:** უკეთესი იქნებოდა, დაგეფიქსირებინათ, თუ რა პრობლემები შეექმნა თქვენს ძაღლს და რა სახის ოპერაციაზეა საუბარი. ზოგადად, კი გეტყვით, რომ ასაკის თაობაზე რაც იკითხეთ, არ არის მართალი. ასაკოვან ცხოველებს ქირურგიულ ოპერაციას უკეთებენ, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. რეალურად, ყველაზე ხშირად ოპერაციულ ჩარევას ასაკოვანი ცხოველები საჭიროებენ. ამ დროს ოპერაციულ ჩარევას სასიცოცხლო ჩვენება აქვს. თუმცა, მაღალია ანესთეზიოლოგიური რისკი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული რისკის ხარისხის შეფასება ხდება კლინიკური და სხვა სახის გამოკვლევების მონაცემების ობიექტურად შეფასების საფუძველზე და მხოლოდ მას მერე ხდება გადაწყვეტილების მიღება, გაუკეთდეს თუ არა ცხოველს ოპერაცია.

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> **ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
>
> **გოეთე**

**კითხვა**: **როგორ მოვუარო ოთახის იას?**

**პასუხი**: ოთახის ია ტროპიკული მცენარეა, ამიტომ ძალიან პრეტენზიულია. ის ძალიან ფაქიზია და რეაგირებს როგორც სიცივეზე, ასევე სიცხეზე. ამიტომ, ეს მცენარე სულ სახლის პირობებში უნდა იყოს. ოთახის ია შესაძლოა, გაამრავლოთ გაყოფით. შეურჩიეთ ძალიან დაჩრდილული ადგილი და ეცადეთ, ბევრი წყალი არ დაასხათ. ოთახის ია იოლი გასამრავლებელია – მისივე კალმით ხდება გამრავლებაც. ზაფხულში მას სჭირდება +18, 20 გრადუსი, ხოლო ზამთარში რეგულარულად უნდა იყოს +22 – 25 გრადუსი. მცენარე ასევე ვერ იტანს ორპირ ქარს. ზაფხულის ცხელ დღეებში შესაძლოა დანამოთ.

**კითხვა**: **როგორ მოვუარო პასიფლორას?**

**პასუხი**: ეს მცენარე ტროპიკულია, ამიტომ ეცადეთ, მზიანი ადგილი შეურჩიოთ. ასევე, გაითვალისწინეთ, რომ უყვარს წყალიც. პასიფლორა კარგია ვერანდებისა და აივნების გასამწვანებლად. ის მრავალწლიანია და მისი ზოგიერთი სახეობა – მარადმწვანეც. პასიფლორა მრავლდება კალმითაც და მისივე თესლით. მცენარე ისხამს ნაყოფს, რომელიც ძალიან სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. მცენარის ნაყოფი შეიცავს ვიტამინების ნაკრებს და მისგან კეთდება მურაბები, ჯემები. მცენარე ძალიან მალევე ფარავს 8-დან 15 კვადრატულ ტერიტორიას, რომელზეც საჭიროა მავთულების გაბმა. ასევე, შესაძლოა, გააბათ თოკები, რათა მალევე აუყვეს. პასიფლორა ითესება აპრილის ბოლოს და მალევე ალმოცენდება. შეგიძლიათ, ამყოფოთ ის ქოთნის პირობებშიც.

**კითხვა**: **როგორ მოვამრავლო ვალერიანის მცენარე?**

**პასუხი**: ვალერიანი საერთოდ კოლხური მცენარეა, ამიტომ მისი მომრავლება არც ისე ძნელია. ის შეგიძლიათ შეიძინოთ მწვანე აფთიაქში და ფესვურებიდან გაამრავლოთ. წინასწარ დაალბეთ თბილ წყალში და ფესვურები გააჩერეთ ასე ერთი-ორი დღე. შემდეგ საჭიროა, მცენარე ნიადაგში დაირგოს და მორწყეთ. შემდეგში, ყოველ მორწყვაზე შესაძლოა მცენარეს დაასხათ შაქრიანი წყალი, რომ ტანი მალე აიყაროს. ვალერიანი სამკურნალოდ კარგია მესამე-მეოთხე თვეს. მას იყენებენ, როგორც ჩაიში, ასევე ნაყენად. სასარგებლოა და უხდება ნერვულ სისტემას, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს.

**კითხვა**: **ვერ ვახარებ პელარგონიუმს. როგორ მოვუარო, რომ კარგად გაიხაროს?**

**პასუხი:** აუცილებლად უნდა მოაშოროთ დამჭკნარი ყვავილები. მიწა რეგულარულად გააფხვიერეთ. თუ გსურთ, რომ მცენარემ კომპაქტური ფორმა მიიღოს, გაზაფხულზე კარგად გაკრიჭეთ. ის ადვილად მრავლდება ტოტების დაფესვიანებით.

**კითხვა**: **ბინაში მაქვს ძალიან პატარა ნემათანტუსი. რა ზომის შეიძლება გახდეს ის?**

**პასუხი:** ნემათანტუსი მომცრო ბუჩქოვანი მცენარეა. თუმცა, მისი ტოტები თანდათან იზრდება და ქოთნიდან თუ საკიდი კალათიდან 60 სანტიმეტრზე, ან უფრო გრძლადაც გადმოეშვება. სიმაღლეში მან შეიძლება 35 სანტიმეტრს მიაღწიოს.

**კითხვა**: **რომელი ადგილი უყვარს ყველაზე მეტად კალამონდინს და ვნებს თუ არა მას გარეთ ყოფნა?**

**პასუხი:** ზაფხულში თუ ქარიან ადგილს მოარიდებთ, კალამონდინს გარეთ ყოფნა არგებს. გაზაფხულსა და შემოდგომაზე კი სასურველია, ღამით გარეთ არ დატოვოთ. მისთვის კარგი ადგილი ზამთრის ბაღია.

**კითხვა**: **როგორ პირობებში ხარობს უკეთ აკალიფა?**

**პასუხი:** აკალიფა ტენიან პირობებში ხარობს, ამიტომ გირჩევთ, გვერდით ორი-სამი აკალიფა ან სხვა მცენარე გაახაროთ, რათა ლოკალური ტენიანობის მაღალი დონე შეუნარჩუნოთ. სიცხეში ხშირად დაუნამეთ ფოთლები, აქტიური ზრდის პერიოდში კი, ხშირად მორწყეთ. ზამთრის თვეებში მორწყვა შედარებით შეამცირეთ, ოღონდ მიწა ძალიან არ გამოუშროთ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# როგორ გახდა დედა შვილის მიერ მამის სასტიკი მკვლელობის თანამონაწილე და რა დაუმალა მან გამოძიებას



62 წლის ვაჟა ჭ-შვილი საავადმყოფოში თავის არეში მიყენებული ჭრილობებით მიიყვანეს. დაზიანებები ცულის დარტყმის შედეგად ჰქონდა მიყენებული. დასახიჩრებული მამაკაცი შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა – მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს და გონზე მოუსვლელად, საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. მკვლელობას არ ჰყავდა თვითმხილველი. მძიმე მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი შემთხვევის ადგილზე აღმოაჩინა ცოლმა, რომელმაც მომხდარის შესახებ მეზობლებს აცნობა. მოგვიანებით, მან განაცხადა, რომ ქმრის მკვლელობის შესახებ არაფერი იცოდა, რადგან შვილთან ერთად სოფლის საძოვარზე სამორიგეოდ იყო წასული და იქიდან დაბრუნებულს, სახლში ასეთი ვითარება დახვდა.

ოპერატიული სამსახურისა და სამედიცინო ექსპერტიზის თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილისა და ცხედრის დათვალიერების შემდეგ, გვამი პროზექტურაში მოათავსეს. შემთხვევის ადგილზე, საძინებელ ოთახში, საწოლთან ახლოს ეგდო ცული, რომელიც დანაშაულის იარაღი უნდა ყოფილიყო. დამნაშავეს შემთხვევის ადგილზე არანაირი კვალი არ დაეტოვებინა – მას ცულის ზედაპირი საგულდაგულოდ გაეწმინდა. ამონაწერი ვაჟა ჭ-შვილის მეუღლის, მადონა კ-იანის ჩვენებიდან: იმ დღეს, როდესაც ჩემი ქმარი მოკლეს, საძოვარზე ჩვენს ოჯახს უწევდა მორიგეობა. წინა დღეს მეზობლის დასაფლავება იყო, ვაჟამ ბევრი დალია, დილით თავს შეუძლოდ გრძნობდა და საძოვარზე მე და ჩემი ვაჟი წავედით. გვიანი საღამო იყო, როცა სახლში დავბრუნდით. უკვე ბნელოდა. მე ჯერ მარანში შევედი, საიდანაც საქონლისთვის საჭირო საკვები უნდა გამომეტანა. ჩემი შვილი ქუჩაში მეზობელთან შეყოვნდა სასაუბროდ. ალბათ, ათი წუთი იქნებოდა გასული, სახლში რომ შევედი. ვაჟას დავუძახე, მაგრამ არ გამომეხმაურა. ვიფიქრე, რომ სადმე იყო გასული. სანამ ოთახში შევიდოდი ტანსაცმლის გამოსაცვლელად, პატარა დერეფანი უნდა გამევლო. დერეფანში საწოლი გვიდგას, სადაც ვაჟას უყვარდა დაძინება. დერეფანში სიბნელე იყო, სანამ „ლამპა" ავანთე, საწოლთან უცნაური ხმა შემომესმა – ახლაც მგონია, რომ იმ დროს დამნაშავე ოთახში იყო და მაშინ გაიპარა სახლიდან, როცა „ლამპას" ვეძებდი. ოთახი რომ განათდა, საწოლში ვაჟას თითქმის უკვე ცხედარი დავინახე. საწოლი სისხლით იყო მოსვრილი – სისხლი იყო ყველგან, იატაკზე, ფანჯრებზე. ვაჟა თითქმის უკვე აღარ სუნთქავდა. მახსოვს, კივილი დავიწყე – მეზობლები შემოცვივდნენ, მათ შორის ერთ-ერთი ექიმია. მან თქვა, რომ ვაჟა ჯერ გარდაცვლილი არ იყო და რაიონული ცენტრიდან სასწრაფო გამოიძახა. ვაჟა საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ველარ შეძლეს.

სამართალდამცველებმა გარდაცვლილის ცოლისა და შვილის დაკითხვის შემდეგ, მეზობლები და ოჯახთან დაახლოებული პირები დაკითხეს. ყველა მათგანი გაოცებული იყო მომხდარი ფაქტით – ვაჟას ყველა პატივს სცემდა, მას სოფელში მშრომელი და პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა და ვერავინ მიმხვდარიყო, წარმოუდგენელი იყო, თუ რა უნდა გამხდარიყო სასტიკი მკვლელობის მიზეზი. ოჯახს არ ჰქონდა ფინანსური შესაძლებლობები. სახლიდან არ იყო წაღებული არც ერთი ნივთი, რომ სახლის პატრონი ქურდობის ან ძარცვის მსხვერპლი გამხდარიყო. ვაჟა ჭ-შვილს მხოლოდ ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა, რომელიც სულ პატარა იშვილა. მამა-შვილს ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა – 26 წლის გოგამ იცოდა, რომ ნაშვილები იყო, მაგრამ ამ თემას ოჯახში არავინ ეხებოდა.

ოპერატიულ-სამძებრო სამსახურმა დამნაშავის კვალს მკვლელობიდან ათი დღის შემდეგ მიაგნო. სამართალდამცველებისთვის კონფიდენციალური წყაროსგან ცნობილი გახდა, რომ მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, მამა-შვილს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ვაჟა ჭ-შვილი შოკში ჩააგდო სოფლის მცხოვრებთა შორის გავრცელებულმა ხმებმა, გოგას სექსუალური ორიენტაციის შესახებ. სოფელი ამ თემაზე ბევრს ჭორაობდა, მაგრამ ვაჟა ჭ-შვილის მიმართ ისეთი მორიდება ჰქონდათ, ამაზე ხმამაღლა საუბარს ყველა ერიდებოდა. მკვლელობამდე ერთი თვით ადრე, ეს თემა ვაჟას ერთ-ერთმა მეზობელმა ჩააწვეთა. თვითმხილველთა განცხადებით, ვაჟა ჭ-შვილი მეზობლის გასვენებაზე ძალიან უხასიათოდ იყო. გარდაცვლილის მეგობრის განცხადებით: ვაჟა საერთოდ არ სვამდა, იმ დღეს კი საკმაოდ ბევრი დალია. ვკითხე, შენ რალაც გაწუხებს-მეთქი. თავი აღარ მინდა ცოცხალიო, ეს სიტყვა მითხრა და გამერიდა... გამოძიებაში ახალი გარემოებების აღმოჩენის შემდეგ სამართალდამცველებმა კიდევ ერთხელ დაკითხეს გარდაცვლილის მეუღლე – მადონა კ-იანი, რომელმაც დაადასტურა, რომ ვაჟასთვის ეს თემა მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე გახდა ცნობილი. ამონაწერი მადონა კ-იანის ჩვენებიდან: „ქელეხიდან სახლში რომ დაბრუნდა, შევატყვე, ძალიან განერვიულებული იყო. მაშინვე გოგა მოიკითხა. მე ვუთხარი, რომ მეზობელ ბიჭებთან ერთად იყო წასული. ნასვამმა ტირილი დაიწყო: ჩემი ხელით როგორ მოვკლა ჩემი გაზრდილი შვილიო. დავამშვიდე და

## დედა თავისი ხელით წმენდდა ცულს, რომლითაც მამა მოვკალი

ვუთხარი: გოგა გოგოსავით ნაზი და ლამაზია და ასე იმიტომ ჭორაობენ. სინამდვილეში, ასე არ იქნება საქმე-მეთქი. ამის თქმა იყო და მე დამიწყო ჩხუბი, დედა ხარ და ეს როგორ გამოგეპარაო. ისეთი სასოწარკვეთილი იყო ვაჟა, ვიფიქრე, გოგას სახლში დაბრუნებისთანავე დავლაპარაკებოდი. ვაჟა ძალიან იმუქრებოდა, მოვკლავ ჩემი ხელითო, – ასეც კი თქვა. შემეშინდა, უცებ გოგა რომ დაბრუნებულიყო, მათი ჩხუბი გარდაუვალი იქნებოდა. მაშინვე ბიჭს დავურეკე: მამა ძალიან გაბრაზებულია და სანამ დაიძინებს, სახლში არ მოხვიდე-მეთქი.

გოგა ჭ-შვილს მეზობლები ახასიათებდნენ, როგორც მშვიდ, წყნარ, მაგრამ უცნაურ ახალგაზრდას. სოფლის მცხოვრებთა განცხადებით, 26 წლის გოგა არაერთხელ უნახავთ უცნაურ ვითარებაში. ის, ძირითადად, სოფლის სასაფლაოს და ძველ ნანგრევებს ეტანებოდა. გოგა მაგიური რიტუალებითაც იყო გატაცებული, თანატოლები მასთან მეგობრობას ერიდებოდნენ, ახალგაზრდა ბიჭი საკუთარ თავში იყო ჩაკეტილი. დიდხანს ცდილობდნენ მშობლები შვილის უცნაური ხასიათისთვის ახსნა მოეძებნათ, მაგრამ ბიჭს ვერაფერი მოუხერხეს, რაზეც ვაჟა ჭ-შვილი ხშირად დაიჩივლებდა ხოლმე ახლობლებთან და ნათესავებთან.

სამართალდამცველებისთვის, გოგა ჭ-შვილის დედის რამდენიმე დაკითხვის შემდეგ, საეჭვო აღარ იყო, რომ ქალი მნიშვნელოვან ინფორმაციას მალავდა. ერთ-ერთი დაკითხვის დროს მან აღიარა, რომ მაშინ, როცა ქმართან შვილის შესახებ ლაპარაკობდა, მიხვდა, მათ საუბარს მალულად გოგაც ისმენდა. ეტყობა, როცა დავურეკე და ვუთხარი, სახლში მალე არ მოსულიყო, ამან უფრო დააინტერესა და სახლში ჩუმად შემოიპარა. მივხვდი, რომ ჩვენს საუბარსაც ისმენდა და ვაჟას მუქარაც გაიგო: ეს რომ დამიმტკიცოს ვინმემ, ბიჭს ჩემი ხელით მოვკლავო. დილით, როდესაც ვაჟამ გაიღვიძა, გოგა მასთან შეხვედრას მოერიდა. მეორე სართულიდან საერთოდ არ ჩამოსულა – ამანაც მიმახვედრა, რომ ბიჭმა ყველაფერი საკუთარი ყურით გაიგონა. საძოვარზე რომ წავედით, მითხრა, ცუდად ვარ და სახლში წავალო. მე ვუთხარი, მარტო ვერ დავრჩები-მეთქი, მაგრამ აიჩემა და მაინც დამტოვა."

ის, რომ მამის მკვლელობაში შვილი იყო გარეული, ეჭვს აღარ იწვევდა. გოგა ჭ-შვილმა ამის შესახებ გამოძიებასთანაც აღიარა. როგორც მან განაცხადა, მკვლელობის უნებლიე თანამზრახველი აღმოჩნდა გარდაცვლილის მეუღლე, მადონა კ-იანიც, რომელმაც მკვლელობის ფაქტზე შეუსწრო შვილს, მაგრამ მის გადასარჩენად ცრუ ჩვენება მისცა. დამნაშავემ დეტალურად მოუთხრო გამოძიებას ჩადენილი მკვლელობის შესახებ: „ვიცოდი, რომ მამაჩემს ჩემი სექსუალური ორიენტაციის შესახებ უთხრეს, რაზეც სოფელში ბევრს ლაპარაკობდნენ. მამამ ამ თემაზე ჩემთან საუბარს თავი აარიდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამას დიდხანს ვერ დამალავდა. იმ საღამოს, როცა დედამ დამირეკა და მითხრა: სახლში მოსვლისგან თავი შეიკავეო, მე სპეციალურად, მალევე დავბრუნდი. საკუთარი ყურით მოვისმინე, რა სიტყვებს იძახდა მამა ჩემზე, როგორ მემუქრებოდა მოკვლით. ხმა არ ამომიღია, მალულად ავედი მეორე სართულზე. დილით დედას საძოვარზე გავყევი – ძალიან ვიყავი მამაზე გაბრაზებული, შურისძიებამ შემიპყრო. დედას ვუთხარი, სახლში წავალ-მეთქი. როცა სახლში დავბრუნდი, უკვე დაბნელებული იყო. მამაჩემი დერეფანში საწოლში იწვა, ეძინა. ცული ავიღე და თავზე დავადექი. თვალი გაახილა და მკითხა: რას აკეთებო? პასუხი არ გამიცია, ისე ჩავარტყი ცული თავში – არ მახსოვს, ორჯერ ან სამჯერ მოვიქნიე. სისხლი სახეში შემესხა. ძალიან ვიყავი აღგზნებული – სახე ფარდებით მოვიწმინდე. ამ დროს ფეხის ხმა შემომესმა – იქვე, კუთხეში მივიმალე. მივხვდი, რომ ოთახში დედა შემოვიდა. დედაჩემის მოკვლაც მინდოდა, მაგრამ ჩამეხუტა და მისი მოკვლის სურვილი მაშინვე გამიქრა. იქვე, ძირს დავჯექი, დედა თავისი ხელით წმენდდა ცულს, რომლითაც მამა მოვკალი. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ მე გადავერჩინე. ჩვენ შევთანხმდით, რომ დანაშაული არც ერთს არ უნდა გველიარებინა. ერთადერთი, რაც დედამ მითხრა, იყო სიტყვები: მამაშენს ველარაფერს ვუშველი და არ მინდა, შენც სამუდამოდ დაგღუპოო."

სასამართლომ მამის მკვლელობისთვის ბრალდებულ გოგა ჭ-შვილს, განზრახ ჩადენილი განსაკუთრებით სასტიკი მკვლელობისთვის, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დანაშაულის კვალის დაფარვისა და ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით გაასამართლეს მადონა კ-იანი. დედას, რომელმაც შვილის „გადარჩენა" სცადა, რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28(550)-18(644)

– ჩვენ ბავშვობიდან გვიყვარს ერთმანეთი და დაქორწინებას ვაპირებთ. ერთად ვსწავლობთ ინსტიტუტში და სულ მალე შევუღლდებით, – მითხრა ბიჭმა, – მოკლედ, ცხოვრებას ავაწყობთ.

– ალბათ, მშობლები გეხმარებიან, – განგებ ვუთხარი ბიჭს, თუმცა, მშვენივრად ვიცოდი, ვინც ეხმარებოდა. სიმონმა ხელი ჩაიქნია და მითხრა:

– სად აქვთ ჩვენს მშობლებს ჩვენი დასახმარებელი ფული. მათ თავი ძლივს გააქვთ და ჩვენ გარდა სხვა შვილებიც ჰყავთ. ჩვენ ჩვენი და-ძმები, მორწმუნე ღვთისშვილები გვეხმარებიან. გუშინწინ კრება ჩაატარეს და გადაწყდა, რომ ოროთახიან ბინას გვიყიდიან. უფრო სწორად, ჯერ ჩვენი არ იქნება ის ბინა, მხოლოდ ხუთი წლის მერე გაგვიფორმებენ. მანამდე კი იქ ვიცხოვრებთ.

– ჯერ ვერ ვიცხოვრებთ, ჯვრის ამბავია მოსაგვარებელი, – შეუსწორა სიმონს ეთერმა და სინანულით დაამატა, – ვაითუ ჯვრები ვერ ვიპოვეთ, მაშინ ხომ არც ნაჩუქარი ბინა გვექნება და არც ნათხოვარი.

– მერე რა, თუ ვერ ვიპოვეთ, – ხელი ჩაიქნია სიმონმა, – ორი ჯვარი ვიყიდოთ და მივიტანოთ.

– მოვატყუოთ? – კოპები შეიკრა ეთერმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ სექტაში ბევრად ღრმად იყო ჩათრეული, ვიდრე მისი საქმრო.

წყვილის ჯვრებზე საუბრიდან აზრი ვერ გამოვიტანე და ბიჭს ვკითხე:

– აბა, ერთი კარგად ამიხსენით, რას ამბობდით ჯვრებზე? როგორც, ვიცი თქვენი და-ძმები ჯვარს არ ცნობენ.

ბიჭმა პირი დაალო, ეთერმა კი მას დაასწრო და მითხრა:

– ჩვენ ორივე ჩვილობაში მოგვნათლეს და ნათლიებმა ჯვრებიც მოგვცეს. ის ჯვრები კი ჩვენს სოფელშია, ჩვენი მშობლების სახლში. ხოლო, ჩვენი ჭეშმარიტი რწმენის სახლში დასამკვიდრებლად, ჩვენი ნათლობის ჯვრები უნდა გავანადგუროთ. სიმონი კი მეუბნება, სხვა ჯვრები ვიყიდოთ და ისინი მივიტანოთ გასანადგურებლადო. ტყუილი არ შეიძლება.

– ეგ რა ტყუილია. თუკი ბინას მოგვცემენ, მერე, რა მოხდა. განა ჩვენი ბედნიერებისთვის არ ღირს, რომ პატარა ვიცრუოთ? – თქვა სიმონმა და არყით სავსე მორიგი ჭიქა გადაჰკრა.

სიმონი და ეთერი მშვენიერი გარეგნობის ახალგაზრდები იყვნენ. მათ ერთმანეთი უყვარდათ და ოჯახის შექმნა უნდოდათ. მაგრამ, არანაირი სახსრები არ გააჩნდათ და, მზად იყვნენ, ისეთი მიუტევებელი ცოდვაც კი ჩაედინათ, როგორიც უფლისა და რჯულის გმობა იყო. მათ შველა სჭირდებოდათ. ამიტომ, შევეცადე, რომ ეს მისია საკუთარ თავზე ამელო და წყვილს ვუთხარი:

– ახლა თქვენ მომისმინეთ ყურადღებით და გირჩევთ, დამიჯეროთ. მით უმეტეს, რომ ღმერთმა ჩემთან მოგიყვანათ და თუკი ამ შანსს ხელიდან გაუშვებთ, მერწმუნეთ, თქვენც დაიღუპებით და თქვენს შთამომავლობასაც დაღუპავთ.

– ბრძანეთ, გისმენთ, – ერთხმად მითხრა ქალ-ვაჟმა.

– თქვენ, ჩემო კარგებო, გაჭირვებამ მიგიყვანათ სექტანტებთან და ისე აგირიათ გონება, რომ ჭეშმარიტ ღმერთს გმობთ, სასიკვდილო ცოდვას იდებთ და უკან არ იხედებით. ასიათასობით ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა ქართველმა მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის გაწირა საკუთარი სიცოცხლე, რომ ქრისტეს რჯული, ქრისტეს ჯვარი არ უარყო. თქვენ კი რაღაც დამპალი ბინის გამო თქვენი ნათლობის ჯვრის განადგურებას აპირებთ. განა სიკეთეს მოგიტანთ ასე შექმნილი ოჯახი და ასე მიღებული ბინა?

– თქვენ, ჩემო ბატონო, სასახლეში ცხოვრობთ, ჩვენ კი ერთი ნესტიანი ოთახიც არ გვაქვს და აბა, რა ვქნათ?

– და, ამის გამო, ღმერთი უნდა დაგმოთ და სექტანტები გახდეთ? ნუთუ იმის გამო დათმო ერთ დღეში საკუთარი სიცოცხლე ასი ათასმა მართლმადიდებელმა წამებულმა, რომ ქართველების სულებს ჯერ ეშმაკი დაჰპატრონებოდა, შემდეგ კი ჩვენი ერი გადაგვარებულიყო?



– რას გვირჩევთ, ბატონო, ჩვენც გვინდა ნორმალური ცხოვრება და, იქნებ, უკეთესი რამ გვითხრათ? – მითხრა ეთერმა, რომელიც მანამდე უხმოდ მისმენდა.

მე ანთებული ბუხრისკენ გავიშვირე ხელი და ვუთხარი:

– ეგ თქვენი სატანური ლიტერატურა, თავისი ჩანთებითურთ, იქ შეყარეთ და მერე ვილაპარაკოთ.

სიმონმა ხელი დაავლო ჩანთებსა და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილ სექტანტურ ლიტერატურას, რომ ისინი ბუხარში შეეყარა, მაგრამ მე გავაჩერე:

– ასე არ მაწყობს. ახლა თქვენ ნასვამები ხართ და, სიმთვრალეს რომ არ დააბრალოთ ყველაფერი, მოდი, ჯერ კარგად გამოიძინეთ, მოწესრიგდით და, თუკი კვლავ ამ აზრზე იქნებით, ეს ნაგავი მერე დაწვით.

– სად გამოვიძინოთ? – მკითხა ეთერმა.

– აქ, ჩემს სასახლეში. აი, სტუმრების საძინებელი. ჩემი სამზარეულო პროდუქტებითაა სავსე და შეგიძლიათ ჭამოთ და სვათ, შემდეგ შხაპი მიიღოთ და კარგად გამოიძინოთ. მე კი საქმეზე უნდა წავიდე, – ვუთხარი ეთერს, რომელმაც მკითხა:

– როდის დაბრუნდებით?

– როცა გაიღვიძებთ.

– მერედა, გვენდობით?

– როგორც ხედავთ, – მივუგე ქალს. ცოტა ხნის მერე კი გამოვემშვიდობე მათ და ზუსტად შუადღეზე სახლიდან გამოვედი.

ბინაში რომ დავბრუნდი, საღამოს ექვსი საათი იყო. ჩემი სტუმრები სავარძლებში იყვნენ მოკალათებულები. რომ დამინახეს, შეიშმუშნენ და ეთერმა მითხრა:

– გელოდებოდით. ახლა კი წავალთ.

– ესე იგი, კვლავ ძველ აზრზე ხართ?

– არა, რატომ? ამ წიგნებს ახლავე დავწვავთ, – ერთხმად მომიგო ქალ-ვაჟმა. შემდეგ მთელი ლიტერატურა ჩანთებში ჩაყარეს და ჩემს უზარმაზარ ბუხარში შეაგდეს, რომელმაც მთელი ეს სექტანტური ნაგავი ნაცრად აქცია. მერე ეთერმა მითხრა:

– გვიანაა, უნდა წავიდეთ.

– სად წახვალთ, ისევ სექტაში ხომ არ დაბრუნდებით?

– არა, იქ ფეხს აღარ მივადგამთ.

– ღამის გასათევი გაქვთ?

– ადრე გლდანში ვქირაობდით ბინას, მაგრამ, ფული რომ აღარ გვქონდა, სექტას შევეკედლეთ და ბოლო ერთი თვე მათ სახლში ვცხოვრობდით.

– ესე იგი, წასასვლელი არსად გაქვთ.

– როგორ არა, – მითხრა ეთერმა, – ვარკეთილში ჩემი ჯგუფელი ცხოვრობს და იმასთან გავათენებ ღამეს.

– მე კი ჩემს ნათესავთან... – მითხრა სიმონმა. მაგრამ, ეთერმა მას სიტყვა შეაწყვეტინა და მითხრა:

– იტყუება, არავითარი ნათესავი არ ჰყავს. ან ქალაქში უნდა იხეტიალოს, ან სადგურზე დაიძინოს, მოსაცდელ დარბაზში.

– გასაგებია, ახალგაზრდებო. ახლა კი მე მომისმინეთ: რადგან ასე გიყვართ ერთმანეთი და დაოჯახება გსურთ, გთავაზობთ, ჯვარი დაიწეროთ და, როგორც ჩვენი რჯულისა და ადათის ხალხს სჩვევია, ისე შეუღ-

ლდეთ. მღვდელი რვა საათისთვის გველოდება სიონის ტაძარში, ბინაც მზადაა, სადაც დროებით იცხოვრებთ, შემდეგ კი თქვენზე და თქვენს მარიფათზეა ყველაფერი დამოკიდებული.

სიმონი და ეთერი გაოგნებულები მიყურებდნენ და საკუთარ თვალებსა და ყურებს არ უჯერებდნენ. თუმცა, სიონში მაინც წამომყვნენ, სადაც მე ჩემი „ჯიპით" მივიყვანე და ხელისმომკიდეც მე ვიყავი. ჯვრისწერის შემდეგ კი, საბურთალოზე, ერთ-ერთი კორპუსის ოროთახიან ბინაში მივედით, სადაც სუფრა უკვე გაშლილი იყო და მათი შეუღლება აღვნიშნეთ. წამოსვლის წინ სიმონი გარეთ გავიხმე და ვუთხარი:

– ეს ბინა თქვენია და, რაც აქაა – ავეჯი და ყველაფერი დანარჩენი – ესეც თქვენია. უბრალოდ, ხვალ, აი, ამ მისამართზე მიხვალ შენი პირადობის მოწმობით და წამოიღებ ამ ბინის შენზე გადაფორმების საბუთს. და, კიდევ ერთი: კომოდის უჯრაში პატარა ზარდახშაა, რომელშიც ათი ათასი დოლარი დევს. ეს ფულიც თქვენია. აბა, თქვენ იცით, არასოდეს დაგმოთ ჭეშმარიტი ღმერთი.

სიმონი ისეთი დაბნეული იყო, რომ მადლობის თქმაც კი ვერ მოახერხა. მე ამით ვისარგებლე და წამოვედი.

სიმონისა და ეთერის ისტორია იმისი თვალნათელი მაგალითია, რომ ქართველების მიზანმიმართული გადაშენების პროცესი სრული სვლით მიმდინარეობს და სექტანტობა ამ ვერაგობის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. ჩემი აზრით, მართლმადიდებლური საქმიანობა მეტი ძალით, რომ იტყვიან, მთელი ფრონტით უნდა გაიშალოს და ეს იქნება ჩვენი ერის გადარჩენის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი საშუალება.

ქრისტიანული მართლმადიდებლობა, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ის უმთავრესი იდეოლოგია იყო კომუნისტურ პერიოდში, მე ვიმეორებ, კომუნისტურ პერიოდში, რამაც ქართველი ერი დეგრადაციისგან იხსნა და შეგვინარჩუნებინა ჩვენი ეროვნულობა, კულტურა და ტრადიციები. სხვათა შორის, მართლმადიდებლური კულტურისა და, თუ გნებავთ, რწმენის დაცვა, არაერთხელ უტვირთია ჩვენს უწყებას და ასეთ ამბებში მეც მიმიღია მონაწილეობა. ერთხელ, შჩუკინმა მიხმო და მითხრა:

– კოკი, ერთი ძალიან დელიკატური დავალება უნდა მოგცე და, იმედია, მასაც ისეთივე წარმატებით შეასრულებ, როგორც ყველა დანარჩენს.

– დიახ, ბრძანეთ, ვიქტორ იაკოვლევიჩ, – ვუთხარი შჩუკინს და სმენად ვიქეცი.

შჩუკინმა ერთი რელიგიური ლიდერის ფოტო მაჩვენა და მითხრა:

– ეს საკმაოდ მაღალი რანგის სასულიერო პირი სინამდვილეში „ემვედეს" აგენტია და ქრისტეს მსახურისთვის შეუფერებელი საქციელით კომპრომეტაციას უწევს მართლმადიდებლობას. ამიტომ, ჩვენ ამ საქმეში უნდა ჩავერიოთ და ამ უწმინდურის ეგრეთ წოდებული „მოღვაწეობა" აღვკვეთოთ.

– მაინც, რას აშავებს?

– გარდა იმისა, რომ ბაცაცობს და ეკლესიის ქონებას ძარცვავს, რაც, თავის მხრივ, სისხლის სამართლის დანაშაულია, წმიდა სინოდში ინტრიგებს ხლართავს და, აშკარაა, ეკლესიის საჭეთმპყრობლის პოსტს უმიზნებს. ამის დაშვება კი არანაირად არ შეიძლება. ამიტომ, მისი გეგმები უნდა ჩავშალოთ.



ვიქტორ იაკოვლევიჩის სიტყვებიდან დავასკვენი, რომ მაინცდამაინც რთული დავალების შესრულება არ მომიწევდა, როგორც ეტყობა, ეს სახეზე აღმებეჭდა. თუმცა, პროტესტი არ გამომიხატავს და ვუთხარი:

– გასაგებია.

შჩუკინმა შემატყო, რომ ასეთმა „უმნიშვნელო" დავალებამ დიდად არ მომხიბლა და მითხრა:

– ტყუილად გგონია, რომ უმნიშვნელო საქმეა. ეს არც ისე იოლი დავალებაა, მაგრამ, რაც მთავარია, დელიკატურია და სწორედ ამიტომ გავალებ შენ.

– კონკრეტულად რა უნდა გავაკეთო?

– შენ სემინარიადამთავრებულ ახალგაზრდა მღვდელმსახურად გადაცმული ეახლები მას და მასზე კომპრომატებს შეაგროვებ, ბოლოს კი გადადგომას შევთავაზებთ და, თუკი უარს იტყვის, გავასამართლებთ, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეს.

ასეთი ოპერატიული კომბინაცია იმიტომ დასჭირდა „კაგებეს", რომ ის სუბიექტი „ემვედეს" აგენტი იყო და მათი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. იმ პერიოდში კი, „ემვედე" და „კაგებე" ერთმანეთთან ძაღლი და კატასავით იყვნენ და მათი შეფი იმიტომ იყო ასე გათავხედებული, რომ ბრეჟნევის პირადი მეგობარი გახლდათ და ანდროპოვის განადგურებას ცდილობდა. ამგვარად, ეს დავალება პირადად ანდროპოვისგან მომდინარეობდა და, მართალია, ამის შესახებ შჩუკინს არაფერი უთქვამს, მაგრამ, მე თავადვე მივხვდი.

– სად და როდის უნდა გავემგზავრო? – ვკითხე შჩუკინს.

– ეს სპეცოპერაცია საქართველოში, ერთ-ერთ ეპარქიაში უნდა ჩაატარო, – მომიგო მან.

სიმართლე გითხრათ, საქართველოში მუშაობა არ მესიამოვნა, მაგრამ, ბრძანება ბრძანებაა და დავემორჩილე.

სამკვირიანი მომზადების შემდეგ საქართველოში დავბრუნდი და ოპერაციის შესრულებას შევუდექი. „ემვედეს" აგენტი მღვდელმსახური იმდენად გათავხედებული იყო და ეგონა, არ დასჯიდნენ, რომ ეკლესიას ძარცვავდა, მრევლის გარყვნას ცდილობდა და ყველაფერ ამას რელიგიის მანტიით მოსავდა. მე ის ვამხილე, ყველა კომპრომატი წინ დავუდე და ამ სფეროდან წასვლა შევთავაზე, მანამდე კი ნაძარცვი ნივთების უკან დაბრუნება მოვთხოვე. მაგრამ, მან ჩემი მოკვლა მოინდომა – მოულოდნელად პისტოლეტი ამოაცურა, მესროლა და მიუხედავად იმისა, რომ წართმევა ვცადე, მარცხენა მკლავში მსუბუქად დამჭრა. რომ არ მეაქტიურა, ტყვია გულს გამიგლეჯდა. ასეთი საქციელის გამო ობიექტი გაასამართლეს, ჩემზე თავდასხმის გარდა, ყველა დანარჩენი ბრალდება წაუყენეს და თხუთმეტი წლით ციხეში გამოამწყვდიეს. სხვათა შორის, ის კაცი დღესაც ცოცხალია, თანმიმდევრულად ცდილობს საკუთარი თავის რეაბილიტაციას და, უნდა, რომ თავი წამებულად გამოაცხადოს.

ზემოხსენებული სუბიექტის მსგავსად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მომრავლდნენ ადამიანები, ვისაც მძიმე სისხლის სამართლის თუ მორალური დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, რისთვისაც ისინი სამართლი-




ერდო ჯგუფი
-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...
-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...
მაკლერი:
-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ... გადაგვიხადეთ 6%.
3 გამყიდველის და 3 მყიდველის მხრიდან.
მარიკა 599 24 28 31

ანად დაისაჯნენ, მაგრამ, ახალი ეპოქის პირობებში ცდილობენ საკუთარი თავის რეაბილიტაციას. ბევრმა ასეთი რამ მოახერხა და უკვე ლეგალურად აკეთებს იმ საზიზღრობას, რისთვისაც კომუნისტების პერიოდში სამართლიანად იყო დასჯილი. ერთხელ „ძიამ" დამიბარა და, რომ მივედი, მითხრა:

– შემკვეთი შენთან შეხვედრას ითხოვს. რას იზამ?

– სად და როდის უნდა შეხვედრა?

– მოსკოვში, ამ ერთი კვირის განმავლობაში, – მითხრა რომანმა, – მაგრამ, ის თანხაზე არაფერს ამბობს, თქვა, ჯერ შემსრულებელს დაველაპარაკებიო. რა ვიცი, რამე ხაფანგი არ იყოს, რაღაც საეჭვოდ მეჩვენება.

– ჩემნაირ ხალხს ხაფანგს ისე უგებენ, რომ საეჭვოდ არ მოეჩვენოთ, – ღიმილით ვუთხარი „ძიას," – არა მგონია, ასე იყოს. თუმცა, გამორიცხული არაფერია და, რა თქმა უნდა, ფრთხილად ვიქნები.

– აბა, შენ იცი, წარმატებას გისურვებ, – მითხრა რომანმა და წავიდა.

შემკვეთს მოსკოვში, „ჩისტიე პრუდისთან" მდებარე პატარა კაფეში შევხვდი და, რა თქმა უნდა, კარგად ვიყავი შენიღბული. შემკვეთმა მწველი მზერა მესროლა და ინგლისურად მკითხა:

– ლაპარაკობთ ინგლისურად?

მე გამეღიმა და ვუთხარი:

– მიუხედავად იმისა, რომ რუსი არ ვარ და ინგლისურადაც ვლაპარაკობ, მირჩევნია, რუსულ ენაზე ვისაუბროთ, – პაუზა გავაკეთე და უკვე რუსულად დავამატე: – ასე უკეთესი იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ ზედმეტად არ მივიპყროთ ყურადღება.

– ესე იგი, ყოფილი საბჭოელი არ ხართ, – თქვა შემკვეთმა, – მე კი მერჩივნა, რომ შემსრულებელი საბჭოელი ყოფილიყო.

– რატომ?

– იმიტომ, რომ, ცოტა არ იყოს, სპეციფიკური შეკვეთა მაქვს და, ჯობდა, საბჭოელს შეესრულებინა, რადგან, საბჭოელისთვის ის ბევრად ადვილი გასაგებია.

სხვა შემთხვევაში შეკვეთის შინაარსით არც დავინტერესდებოდი და უარს ვიტყოდი, მაგრამ, შეკვეთის „სპეციფიკურობამ" დამაინტერესა და შემკვეთს ვუთხარი:

– ნება თქვენია, მაგრამ, გარწმუნებთ, რომ ყოფილ საბჭოეთსა და საბჭოელებს კარგად ვიცნობ და არც შეკვეთის სპეციფიკურობაში ჩაწვდომა გამიჭირდება. თუმცა, საბოლოო სიტყვა თქვენზეა და, თუ ჩემი კანდიდატურა არ გაწყობთ, მაშინ, ახლავე დავშორდეთ ერთმანეთს.

– თქვენ მართლაც მშვენივრად ლაპარაკობთ რუსულად და, იმედია, მართლა კარგად ჩასწვდებით ჩემს პრობლემას, – მითხრა შემკვეთმა, – თანახმა ვარ, თუ, რა თქმა უნდა, თქვენც დამთანხმდებით.

– ბრძანეთ და ვნახოთ.

– ერთი სიტყვით, მე ყოფილი კანონიერი ქურდი ვარ. გსმენიათ, ალბათ, ასეთი კასტის არსებობის შესახებ.

– რა თქმა უნდა, მსმენია. რადგან ყოფილი კანონიერი ქურდი ხართ, გამოდის, რომ ან თქვენ თქვით უარი ამ ტიტულზე ან არაქურდად დაგტოვეს.

ჩემს სიტყვებზე შემკვეთს გაეცინა და მითხრა:

– ლაპარაკიდან გეტყობათ, რომ მართლაც კარგად ერკვევით საბჭოურ ამბებში. მე ქურდობაზე უარი არ მითქვამს და არაქურდად დამტოვეს – ბლოკი შემიკრეს, ჩირქი მომცხეს და, რომ იტყვიან, გამიჩალიჩეს. უფრო სწორად, ერთმა გამიჩალიჩა, იურა ვიზბორმა, მეტსახელად, „შირკამ", დანარჩენი თერთმეტი კი გამოიყენა, რომ ქურდული განაჩენი გაეფორმებინათ. სიმართლე გითხრათ, იმ თერთმეტზე არც ვარ ნაწყენი და, რომც ვიყო, ბევრს ვერაფერს დავაკლებ, რადგან, არც ერთი აღარაა ცოცხალი; აი, შირკა კი ოთხში უნდა ამოვიღო და ამისთვის კვალიფიციური შემსრულებელი მჭირდება.

„შირკას" ხსენებაზე შემკვეთი ძალიან ანერვიულდა და სახე აუცახცახდა. ამიტომ, მე მას ვუთხარი:

– პატივცემულო, ნუ ღელავთ. სულაც არ არის საჭირო, რომ თქვენი ამბავი მომიყვეთ, რომელიც ასე განერვიულებთ. მთავარია, შეკვეთის ტიპსა და თანხაზე მოვილაპარაკოთ.

შემკვეთს მწარედ გაეცინა და მითხრა:

– ჩემი შეკვეთის მთავარი სპეციფიკაც იმაშია, რომ, მინდა, „პოსლეზე" შეასრულოთ ჩემი შეკვეთა. ციხიდან ორი თვის წინ გამოვედი და, რომ იტყვიან, მათხოვარი ვარ – კაპიკი ფული არ მაქვს და წინასწარ ვერაფერს გადაგიხდით.

– გასაგებია, მაგრამ, შემდეგ რით გადამიხდით?

– მე თქვენ გთავაზობთ, იმ ნაძირალას ფული და ძვირფასეულობა წაართვათ და შუაზე გავიყოთ. მით უმეტეს, რომ მას ეს ქონება ადამიანების სიცოცხლის ფასად აქვს ნაშოვნი.



შემკვეთის წინადადება იმდენად უჩვეულო, არაორდინარული და მართლაც სპეციფიკური იყო, რომ გამეცინა. ასეთი შეკვეთა არც მანამდე და არც შემდეგ არ მქონია. ამიტომ, თავი გავაქნიე და ვთქვი:

– ეს უფრო ნაკოლს ჰგავს, ვიდრე შეკვეთას.

– ასეც ვიცოდი, რომ უარს იტყოდით. რა გაეწყობა, მართალს ბრძანებთ. ნახვამდის, – მითხრა შემკვეთმა და საფულიდან ქაღალდის კუპიურა ამოაცურა, რომ ყავის საფასური გადაეხადა. მე კი ვანიშნე, გაჩერებულიყო და ვუთხარი:

– უარი არ მითქვამს. მე თანახმა ვარ. უბრალოდ, ობიექტზე მეტი ინფორმაცია მჭირდება.

შემკვეთმა ერთხანს გაკვირვებული სახით მიყურა, ბოლოს კი მითხრა:

– ნამდვილად არ მეგონა, თუ დასთანხმდებოდით. ახლა კი მომისმინეთ. ერთი სიტყვით, მე და შირკა ერთმანეთს ნარკოტიკების გამო დავეტაკეთ. მას, როგორც ყველა ამორალურ ადამიანს, არ აინტერესებდა, როგორ იშოვიდა ფულს, მისთვის მთავარი იყო, რაც შეიძლება, მეტი თანხა ჩაეგდიბა. ამიტომ, ნარკოტიკების ბარიგებს შეეკრა და კრიშავდა. მე რომ ეს გავიგე, ვინახულე, ქურდულად შევახურე და შევპირდი, რომ თუკი ასეთ საქმეს არ შეეშვებოდა, არაქურდად დავტოვებდი. იურა ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო და იმიტომ დავინდე, თორემ, მაშინვე რომ წამომეწია ეს ამბავი და სხოდკა შემეკრიბა, შირკას გაფუჭება არ ასცდებოდა. ჩემს სიტყვებზე მან თავი ჩაღუნა და მითხრა:

– ბოდიში. არაქურდულად ვიქცევი. სიტყვას გაძლევ, რომ ამ საქმეს შევეშვები. შენ კი – დიდი მადლობა, რომ არ გამწირე.

ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ და დავშორდით. ორი თვის შემდეგ კი ქურდულ სხოდკაზე დამიძახეს და ობშჩიაკის გაფლანგვაში დამდეს ბრალი, რომელიც მე მებარა. 80 ათასი მანეთი, რომელიც ჩემი სახლიდან დავკარგე, ნაცნობი ცეხავიკებისგან ვისესხე და სამ დღეში მოვიტანე, მაგრამ, არაქურდობა მაინც არ ამცდა და პატივი იმით მცეს, რომ ცოცხალი დამტოვეს. სინამდვილეში კი ეს ფული „შირკამ" მოაპარინა ჩემი სახლიდან. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ გაიგო, სად ვინახავდი თანხას.

– თქვენ გარდა ვინ იცოდა ფულის ადგილსამყოფელი?

– აბსოლუტურად არავინ, ჩემმა ცოლმაც კი. მხოლოდ მე ვიცოდი ამის შესახებ. სახლში, ოთახის კუთხეში, ერთი ზაგაჟნიკი მქონდა გაკეთებული იატაკში და იქ ვინახავდი. ფულის წამლებს სახლში არაფრისთვის უხლია ხელი, მხოლოდ ობშჩიაკის თანხა ჰქონდა მთლიანად წაღებული.

– დარწმუნებული ხართ, რომ თქვენ გარდა არავინ იცოდა სამალავის ამბავი?

– კი, ასი პროცენტით.

– იქნებ, ცოლმაც იცოდა?

– არა, – თავი გააქნია შემკვეთმა, – არ იცოდა და, რომც სცოდნოდა, არ იტყოდა.

– ახლა სად არის თქვენი მეუღლე?

– გარდაიცვალა. ციხეში რომ ჩამსვეს, სამ თვეში ინფარქტით მოკვდა – ვერ გაუძლო ჩემს შერცხვენას. ის უკვე თორმეტი წელია, გარდაცვლილია.

– თორმეტი წელი რის გამო მოიხადეთ?

– ნარკოტიკები ჩამიდეს. ესეც შირკამ გამიჩალიჩა.

– კეთილი. კიდევ რამეს ხომ არ მეტყვით?

– შირკა გაძლიერებული დაცვით გადაადგილდება და მისი მოხელთება რთულია. არადა,

თქვენ ის უნდა მოიტაცოთ, რომ ფული და ძვირფასეულობა წაართვათ.

– როგორ წავართმევ, მას ხომ ეს ყველაფერი ბანკის საიმედო სეიფში ექნება ჩაკეტილი?

– არა, – გაეცინა შემკვეთს, – ზუსტად ვიცი, რომ თავისი შემოსავლის დიდ ნაწილს ის ძვირფასეულობაში დებს და ფულთან ერთად ზაგაჟნიკში ინახავს. ის არც ერთი ბანკის სეიფს არ ენდობა. ამიტომ, თუკი თქვენ მის მოტაცებას მოახერხებთ, თავადვე გეტყვით, სად რა აქვს. რა თქმა უნდა, ცოტა უნდა დააკაჩავოთ და ინფორმაცია დააფქვევინოთ.

– კეთილი, მოვილაპარაკეთ. როდესაც საქმე გაკეთდება, მე თვითონ დაგიკავშირდებით, – ვუთხარი შემკვეთს და წასვლა დავაპირე, მაგრამ, მან შემაჩერა და მითხრა:

– ბოლომდე მომისმინეთ. მე არ მინდა, რომ შირკა მოკლათ. როცა მას შეიპყრობთ, მეც უნდა დამასწროთ მის დაკითხვას. უფრო სწორად, მას მე დავკითხავ.

– კარგი, თანახმა ვარ, – ვუთხარი შემკვეთს და წავედი.

რადგან მოსკოვში უნდა მემოქმედა, თბილისში, რა თქმა უნდა, არ დავბრუნებულვარ. უბრალოდ, გრიმი შევიცვალე, სამოსი გამოვიცვალე და საქმეს შევუდექი.

შირკა, იგივე იური ვიზბორი, მოსკოვში ძალიან ცნობილი და გავლენიანი პიროვნება გახლდათ. მას მართლაც გაძლიერებული დაცვა დაჰყვებოდა და მისი მოტაცება ურთულესი საქმე იყო. თუმცა, მე მისი ელიტური საცხოვრებელი კორპუსის სახურავიდან მის ბინაში ჩავძვერი და, მას მერე, რაც პულვერიზატორით მივაძინე, ქვევით ჩავიყვანე, მანქანაში ჩავაწვინე და კონსპირაციული ბინის სარდაფში მივიყვანე. იქ მის გამოსატეხად ყველაფერი მზად მქონდა. როგორც შემკვეთს შევპირდი, ის წავიყვანე სარდაფში, სადაც შირკა დედიშობილა მყავდა კედელზე მიბმული.

– ხომ არ ჩაძაღლდა? – მკითხა შემკვეთმა, როდესაც თვალებდახუჭული და თავჩაქინდრული შირკა დაინახა.

– არა, სძინავს, – ვუთხარი შემკვეთს და საათს დავხედე, – შვიდ წუთში გაიღვიძებს.

შირკამ რომ გაიღვიძა და შემკვეთი დაინახა, საშინელი ისტერიკა დაემართა, აკივლდა და იმეორებდა:

– ლუსკას მოკვლა არ მინდოდა, მან მაიძულა. მაგრამ, რაში გჭირდებოდა ასეთი მოღალატე? ზაგაჟნიკის ამბავი ხომ მან გვითხრა...

– რაო, რა თქვი? – ფერი ეცვალა შემკვეთს და აკანკალდა.

შირკამ ენა მოიკვნიტა და მიუგო:

– მაპატიე, არ მინდოდა, რომ გამეწირე, მაგრამ, ასეთია ჩვენი ბიზნესი.

– რა ბიზნესი?! ლუსკაზე მითხარი, რას ბოდავდი!

– არაფერს.

– როგორ არაფერს, რას ნიშნავს მოკვლა არ მინდოდა და ზაგაჟნიკის ამბავი მან მითხრაო? – გაიმეორა შემკვეთმა.

– სისულელეა, წამომცდა, – თქვა შირკამ, რომელმაც შიშისგან ჩაისვარა...

ლუსკა, შემკვეთის ცოლი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, შირკას საყვარელი იყო. სწორედ მას გაუყიდია ქმარი, ვიზბორმა კი ის თავიდან მოიშორა, რომ არ გაშიფრულიყო. შემკვეთს შირკას მონაყოლის არ სჯეროდა, მაგრამ, რომ დარწმუნდა, არ ცრუობდა, ალესილ მაჩეტეს ხელი დაავლო, შირკას მოუქნია და მარცხენა ხელი მოჰკვეთა.



– მოიცა, რას აკეთებ, ჯერ ზაგაჟნიკის ადგილსამყოფელი ვათქმევინოთ! – ვუღრიალე შემკვეთს, რომელიც ადამიანს აღარ ჰგავდა და ახლა შირკას თავის მოკვეთას ცდილობდა.

მე შემკვეთს მაჩეტე ავართვი და გავთიშე. შემდეგ გულწასულ ვიზბორს ჭრილობა გახურებული რკინით მოვუწვი, რომ სისხლდენა შემეკავებინა და, როდესაც გონზე მოვიდა, საიდუმლო სამალავის ადგილსამყოფელი ვათქმევინე.

– ჩემს აგარაკზეა, პოდმოსკოვიეში. ბუხრის ქვეშ მაქვს დამალული, – თქვა შირკამ და კვლავ გული წაუვიდა. ამასობაში შემკვეთი გამოფხიზლდა და მითხრა:

– მარტო დამტოვე, შური უნდა ვიძიო.

– ხვალ თქვენთან მოვალ და, როგორც მოვილაპარაკეთ, ისე მოვიქცეთ, – ვუთხარი შემკვეთს და დავამატე, – აქ დიდხანს ნუ შეყოვნდებით, მალე მოათავეთ, რომ შემთხვევით არ ჩავარდეთ.

– ნახვამდის, – მითხრა შემკვეთმა და მე კონსპირაციული ბინის სარდაფი დავტოვე.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, შემკვეთმა შირკა ნაკუწ-ნაკუწ აქნა და ისე იძია მასზე შური. მე კი ვიზბორის საიდუმლო სამალავიდან საკმაოდ მოზრდილი ყუთი წამოვიღე, რომელშიც უამრავი ფული და ძვირფასეულობა იყო. მე მხოლოდ ორასი ათასი დოლარი ავიღე და, შემკვეთის პროტესტის მიუხედავად, ხელი არაფრისთვის მიხლია.

– დანარჩენი თქვენ განკარგეთ, ეს შეკვეთა კი მეტი არ ღირს, – ვუთხარი შემკვეთს, გამოვემშვიდობე და წამოვედი.

იმ შემკვეთს დღეს რუსეთში მსხვილი საქველმოქმედო ფონდი აქვს და ძირითადად უდედმამო ბავშვებს ეხმარება. თავად კი საეკლესიო საქმიანობაშია ჩაბმული და, როგორც შევიტყვე, ბერად აღსაკვეცად ემზადება.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | მ | | გ | | დ | ა | რ | გ | ი | |
| | | | | | ბ | ა | დ | რ | ი | | კ | | რ | | მ |
| | | | | | | რ | | ა | ტ | რ | ი | ბ | უ | ტ | ი |
| | | | | | ვ | ი | შ | ნ | უ | | მ | ი | შ | ე | ლ |
| | | | | | | ნ | | ტ | რ | ა | ი | ლ | ე | რ | ი |
| | | | | | კ | ა | მ | ი | უ | | | წ | | ფ | |
| ა | ნ | ტ | ე | ნ | ა | | | | პ | ე | ტ | ი | ც | ი | ა |
| | უ | | ს | | დ | ა | ე | | ი | ტ | ი | | ი | | ლ |
| მ | ა | ჩ | ა | ბ | ე | ლ | ი | | | ნ | ა | ფ | ა | ზ | ი |
| | რ | | ძ | | ტ | უ | ვ | ა | | ა | რ | ი | გ | ა | ბ |
| რ | ე | პ | ე | ტ | ი | ტ | ო | რ | ი | | ა | ლ | ი | ზ | ი |
| | | ა | | ო | | | ნ | ი | ნ | ო | | ტ | | უ | |
| ჩ | | ტ | | მ | ე | ლ | ი | ს | ა | | ა | რ | ე | ნ | ა |
| ი | ნ | ა | რ | ი | ტ | | | | უ | | მ | ი | ლ | ა | |
| ტ | | რ | | | ა | ნ | დ | ე | რ | ძ | ი | | ე | | ლ |
| ა | დ | ა | მ | | ტ | ი | ა | ლ | ი | | რ | ა | გ | ბ | ი |
| | უ | | გ | | ს | ა | ლ | ი | | | ა | ლ | ი | ე | ლ |
| | ბ | რ | ო | ს | ე | | ი | ა | რ | | ნ | ი | ა | ბ | ი |
| ი | ლ | ე | ნ | | | | | | ა | ჩ | ი | | | ი | |
| | ი | კ | ი | ბ | | | მ | ე | ხ | ი | | ე | ვ | ა | |
| ბ | | ლ | | ა | ლ | ი | ა | | ი | ნ | ო | ლ | ა | | ს |
| ა | ვ | ა | ნ | დ | ა | ს | ტ | ა | | ა | ტ | ე | რ | ა | კ |
| რ | | მ | | ე | მ | ა | ლ | ი | | რ | ო | მ | ი | | რ |
| ი | რ | ა | ო | | ა | თ | ი | ა | ნ | ი | | ი | ა | ვ | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 6 | 8 | 9 | 2 | 7 | 1 | 3 | 4 |
| 2 | 9 | 3 | 4 | 8 | 1 | 6 | 5 | 7 |
| 1 | 4 | 7 | 3 | 5 | 6 | 8 | 9 | 2 |
| 3 | 5 | 2 | 1 | 4 | 8 | 7 | 6 | 9 |
| 6 | 7 | 9 | 5 | 3 | 2 | 4 | 1 | 8 |
| 4 | 8 | 1 | 7 | 6 | 9 | 5 | 2 | 3 |
| 7 | 1 | 4 | 6 | 9 | 3 | 2 | 8 | 5 |
| 9 | 2 | 6 | 8 | 7 | 5 | 3 | 4 | 1 |
| 8 | 3 | 5 | 2 | 1 | 4 | 9 | 7 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | 7 | 1 | 2 | 9 | 3 | 8 | 5 |
| 2 | 1 | 8 | 5 | 4 | 3 | 9 | 6 | 7 |
| 9 | 3 | 5 | 8 | 6 | 7 | 2 | 4 | 1 |
| 4 | 7 | 9 | 6 | 1 | 8 | 5 | 2 | 3 |
| 3 | 5 | 6 | 2 | 7 | 4 | 1 | 9 | 8 |
| 1 | 8 | 2 | 3 | 9 | 5 | 6 | 7 | 4 |
| 5 | 6 | 3 | 4 | 8 | 2 | 7 | 1 | 9 |
| 8 | 9 | 1 | 7 | 3 | 6 | 4 | 5 | 2 |
| 7 | 2 | 4 | 9 | 5 | 1 | 8 | 3 | 6 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. სანკტ-პეტერბურგი. 2. გემოთი – კათოლიკურ ეკლესიაში წყალში კურთხევის წინ მარილს ყრიან. 3. ფეხბურთის ბურთისთვის. 4. აპლოდისმენტების შესახებ. 5. კივი. 6. ბუდას სახელით. 7. მზის საათი – ასე, საათი დროს ღამითაც აჩვენებდა. 8. დაეშალა კოშკი და გაეყიდა ჯართად. 9. იმიტომ, რომ ეს იყო ქალი (დედოფალი ხათშეპსუტი, ტუტმოსის დედა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1525-1503 წლებში). 10. ოპერას.**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-18(644)**

### მანამდე და შემდეგ...

ამბობენ, ყველა ადამიანს თავისი მწარე ფიალა აქვს გამოსაცლელი... ალბათ, მართალია. სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და დავინახოთ რეალობა, რომელიც ხშირად სულაც არ არის მოსაწონი. იტყვით, ვის არ მოსვლიაო , მაგრამ, მაზოხისტად არ უნდა იქცე და თავი არ უნდა გაიწამო. ერთხელაც, უნდა გაიღვიძო და თქვა: საკმარისია, მორჩა, აღარ ვიტირებ და აღარც საცოდავი ვიქნები! დღეიდან ყველაფერი ძალიან, ძალიან კარგად იქნება. დავივიწყებ, რაც იყო აქამდე და მარტო იმაზე ვიფიქრებ, რაც მერე იქნება. მომავალი ხომ გაცილებით მომხიბვლელია მაშინ, როცა მას იმედით შესცქერი...

***

ზუკა ფანჯარასთან იდგა და გულხელდაკრეფილი რაღაცას დაჟინებით მისჩერებოდა. გოგიმ რამდენჯერმე დაუძახა, მაგრამ, მისი ყურადღება ვერაფრით მიიპყრო. ბოლოს მასთან მივიდა, მხარზე მოჰკიდა ხელი და მაგრად შეანჯღრია.

– გამოშტერდი? ლამის ყელის ძარღვები დავიწყვიტე ყვირილით. რას გაშტერებულხარ?

– რაღაცაზე ვფიქრობდი.

– შენ ძალიან ბევრს ფიქრობ ამ ბოლო დროს. მავნებელი რომ არის, არ იცოდი?

ზუკამ ხელი ჩაიქნია:

– ღადაობის განწყობაზე არ ვარ და თავი დამანებე!

– ვინ გითხრა, რომ გეღადავები? მართლა მაინტერესებს, რაზე ფიქრობ.

– ღალატზე.

– რა?! – გოგი ჯერ გაჩუმდა, მერე კი სიცილი აუტყდა. სული რომ მოითქვა, ჰკითხა:

– ვის ღალატზე ფიქრობ, თუ ღმერთი გწამს, დამიკონკრეტე. ცოლი შენ არ გყავს და ვის უღალატე? ახლა, არ მითხრა, რომ თავად ღალატის ფენომენმა ჩაგაფიქრა. ამ საკაცობრიო პრობლემას შენ ვერ გადაჭრი და თავს ნუ აიტკივებ.

– რატომ? ვინმე ვართ ამისგან დაზღვეული? ახლა იმ ტიპს ვუყურებდი, მოპირდაპირე კორპუსში – აი, იმას, ცოლთან სულ ომი რომ აქვს და მაინც ერთად ცხოვრობენ... აივანზე იდგა და ნახევარი კოლოფი სიგარეტი მაინც მოწია... შემეცოდა...

– აუჰ, მეტი სადარდებელი არ მოგცეს ღმერთმა. გადაიტანს როგორმე, თუ უკვე გადატანილი არ აქვს. პირადად მე ეგეთ კაცებს ყოველთვის დავცინი.

– ასეც ნუ იტყვი. როცა ძალიან გიყვარს, მერე, ეტყობა, პატიობ...

– საკუთარ თავზე მეტად არავინ არ უნდა შეიყვარო – ეს არის ჭეშმარიტებაც და ღალატისგან თავის დაცვის საუკეთესო მექანიზმიც. ყველა კაცი, რომელსაც ცოლი ღალატობს, იმსახურებს ამას.

– ამას იმიტომ მეუბნები, რომ ქმრიან ქალთან გაქვს რომანი?

ზუკა შემობრუნდა და მეგობარს თვალებში შეხედა. გოგიმ უკმაყოფილოდ გადააქნია თავი.

– აუ, ნუ იგრუზები, რა. ხომ მოგწონს ის ქალი... ხომ არავის დაუძალებია მასთან ურთიერთობა? ჰოდა, შეირგე, რა!..

– ბიჭო, რატომ არ გესმის, რომ მე მაგ ქალს ნაშად ვეღარ აღვიქვამ.

– აბა, რად აღიქვამ, არ გამაგიჟო ახლა... – გაცხარდა გოგი.

– ნუ ყვირი, ყველას ნუ გააგებინებ, რაზეც ვლაპარაკობთ.

გოგიმ ოთახში მიმოიხედა:

– ვინ უნდა გაიგონოს? ლაშა ისეა თავისი შვილის სურათების თვალიერებით გართული, ღრიალზე რომ გადავიდე იმასაც ვერ გაიგონებს. ვახო კი საერთოდ არ არის აქ.

– მაინც ხმას დაუწიე, რა...

– კარგი, ვიჩურჩულებ. მომისმინე ერთი: შენ გირჩევნია, ცოტა აზრზე მოხვიდე და, თუ ატყობ შენს თავს, რომ ებმები, აჯობებს, საერთოდ აღარ შეხვდე.



ზუკამ ამოიოხრა.

– მაგაზეც ვიფიქრე, მაგრამ...

– მაგრამ, რა?

– არ შემიძლია, ნარკოტიკივით არის. როცა ვერ ვხვდებით, ცუდად ვარ.

გოგიმ წაუსტვინა:

– შენ, მგონი, მართლა ცუდად ხარ. გაგიჟდი? გეუბნები, გამოფხიზლდი-მეთქი, თორემ, სანანებლად გაგიხდება საქმე.

ზუკამ ხელი ჩაიქნია და ისევ იმ აივნისკენ გაიხედა, სადაც კაცი სიგარეტს ეწეოდა.

– ნეტავი, რას გრძნობს? საშინელებაა, როცა იცი, რომ შენი თავმოყვარეობა ფეხქვეშ გათელეს. ალბათ, როგორ უნდა, გულიდან ამოიგლიჯოს თავისი მოღალატე ცოლი და შვებით ამოისუნთქოს, მაგრამ, ვერ შვრება ამას და საკუთარი უსუსურობის განცდა კიდევ უფრო ამწარებს...

– აუ, შენ როგორ გაუბერე! გეფიცები, უკვე სერიოზულად ვნერვიულობ შენზე. ცოლი სხვისია და, შესაბამისად, სხვას ღალატობენ... მოდი, რა, აზრზე!

– მაგას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

– რას არა აქვს, ბიჭო, მნიშვნელობა? ქალებიც ღალატობენ ხანდახან. აბა, ასე რომ არ იყოს, კაცები ვისთან უღალატებდნენ ცოლებს? – გოგის თავის სიტყვებზე თვითონვე გაეცინა.

– ვერაფერი ხუმრობაა. საკმაოდ სერიოზულ პრობლემაზე გელაპარაკები.

– მეც სერიოზულად გეუბნები: შეეშვი მაგ ქალს, სანამ გვიან არ არის.

– ჰო, უნდა შევეცადო და თავი დავანებო. აღარ შევხვდები.

– შესანიშნავია. ყოველ შემთხვევაში, სანამ არ დარწმუნდები, რომ ჩვეულებრივი ნაშაა, – ჭკუა დაარიგა გოგიმ.

– არა, მაგიტომ არა, – თავი გააქნია ზუკამ, – მაინც ვერაფერს მიხვდი: მიტყდება მის ქმართან. თან, ამ ყველაფერში ფულსაც რომ ის იხდის...

– მდაა... – დაამთქნარა გოგიმ, – წავედი ახლა მე, ნინის დავპირდი, რომ ერთად ვისადილებდით. ხომ არ შემოგვიერთდები?

– არა, ხელს არ შეგიშლით. მირჩევნია, აქ ვიყო. თან, საერთოდ არ მშია.

– რა ვიცი, დაიტოვები მარტო? რამე სისულელე არ ჩაიდინო. ხომ არ დაურეკავს?

– არა, – უხალისოდ გაუქნია თავი ზუკამ.

– არც იმის ზარს უპასუხებ? – ჩაეძია გოგი.

– ვეცდები.

– ჰო, ეცადე. ისევ შენთვის აჯობებს.

გოგი რომ წავიდა, ზუკამ მობილური გამორთო და თავი ხელისგულებში ჩარგო. ლაშამ მხოლოდ მაშინ შენიშნა თანამშრომლის უჩვეულო, არაბუნებრივი მდგომარეობა, როცა ცოლთან ლაპარაკი დაასრულა, ანუ, დაწვრილებით გამოჰკითხა თავისი პირმშოს კვებისა და კუჭის მოქმედების განრიგი...

– ზუკა, ცუდად ხარ?

ზუკამ თავი ასწია და შეეცადა, გაეღიმა:

– არა, უბრალოდ, მეძინება. გუშინ გვიანობამდე კალათბურთს ვუყურებდი და...

– ჰო, კალათბურთი კარგია. მე კი ვცდილობ, ღამით მაინც შევუნაცვლო ჩემს ცოლს, რომ ცოტა დაისვენოს. ძალიან ცელქი და მოუსვენარი ბავშვია, – ლაშას გაეღიმა, – უკვე მცნობს, იცი? ხელში რომ ავიყვან და ველაპარაკები, მიცინის.

– მაგარია... – ზუკას აშკარად არ ჰქონდა ლაშას შვილზე ლაპარაკის განწყობა. ის იყო, იფიქრა, ავდგები და საერთოდ გავალ ოთახიდანო, რომ კარი გაიღო და ვახო შემოვიდა.

– გოგი არ არის? – იკითხა ნაჩქარევად.

– სასადილოდ გავიდა, – უთხრა ზუკამ.

ვახომ მექანიკურად დაიხედა საათზე:

– კარგი, შენ ხომ აქ ხარ? კლიენტი გვყავს. რაღაც ახალ ბიზნესს იწყებს და რეკლამის საკითხებში დახმარება სჭირდება.

– რა ბიზნესია?

– სიმართლე გითხრა, კარგად არ ვიცი. პრინციპში, რა მნიშვნელობა აქვს, დაელაპარაკები და გაგარკვევს. მოკლედ, მიხედე, რა!..

– თუ ჩემ მეტი ვერავინ დაეხმარება, რა გაეწყობა, მივხედავ, – ხელები გაშალა ზუკამ. ვახომ ეჭვით შეხედა:

– რა გჭირს შენ?

– არაფერი...

– აბა, ეგ რა პასუხია?! სერიოზული კლიენტია სერიოზული შეკვეთით. გასაგებად არ ვლაპარაკობ?

ზუკამ თავი დაუქნია.

– ჰოდა, ასე... კარგი იქნებოდა, გიგიც ყოფილიყო, მაგრამ, არა უშავს. შენ დაიწყე და ისიც მოვა. აგერ, შეგიძლია, ლაშაც გამოიყენო.

– მე – პას! – ხელები გაასავსავა ლაშამ, – ჯერ იმ კვერცხების ფაბრიკის შესაფუთი მასალის დიზაინი არ დამიმთავრებია. დღეს აუცილებლად უნდა მოვრჩე. თან, ერთი საათით უნდა გავვარდე – ბავშვი აცრაზეა წასაყვანი.

ვახომ ამოიოხრა:

– გასაგებია. კარგი, შენ მიხედე. თიკო ყავით უმასპინძლდება მისაღებში. გამოდი და დაელაპარაკე...

***

ქეთი სავარძელში მოხერხებულად მოეწყო და სტილისტს სარკეში გაუღიმა.

– ვალიდა, საყვარელო, რამე მომიფიქრე – ახალი და უცხო. ძალიან მინდა, რაღაც შევიცვალო, თანაც, თვალშისაცემად სხვანაირად უნდა გამოვიყურებოდე.

სტილისტმა ფენი სარკესთან დადო და გულხელდაკრეფილი, სიბრალულით მიაჩერდა კლიენტს:

– მოხდა რამე?

ქეთის გაეღიმა:

– რა უნდა მომხდარიყო?

– რა ვიცი, – მხრები აიჩეჩა ქალმა, – საერთოდ, ასეთი სურვილი ქალს პირად ცხოვრებაში კრიზისის დროს უჩნდება ხოლმე. თმის ფერის რადიკალური შეცვლა დეპრესიისა და დანგრეული ოჯახის პირდაპირი მაჩვენებელია – ეგრევე ვხვდები ხოლმე.

– არა! ჩემთან ყველაფერი წესრიგშია. ღმერთმა დამიფაროს ეგეთი პრობლემებისგან! – დაამშვიდა ქეთიმ.

– უჰ, გულზე მომეშვა. მაინც ჩემიანი ხარ და მეწყინებოდა. ახლა უფრო წყნარად ვიმუშავებ. ისე კი, კარგი ალარაფერი ისმის: ეს გაშორდა, იმას საყვარელმა უღალატა, ამის ქმარს ვიღაც ნაშამ შვილი გაუჩინა... საგიჟეთია, რა!

– მე ჯერჯერობით ასეთი პრობლემები არ მაქვს.

– მიხარია. მაგრამ, მაინც ფხიზლად იყავი, ეს ქალები სულ გადაირივნენ.

– ქალები თუ კაცები? – გაეცინა ქეთის.

– ქალები, საყვარელო, ქალები... გულუბრყვილო ნუ იქნები, ჩემო ლამაზო. კაცები არაფერს წყვეტენ. პრინციპში, არც არასდროს წყვეტდნენ. სამაგიეროდ, ქალები ისეთ რამეებს აკეთებენ... ჩემი ნაცნობების უმრავლესობა, რომ იტყვიან, ვნების ცეცხლში იწვის.



– რა?!

– ჰო, აბა?! არ ვიცი, რა დაემართა ამ ხალხს. ერთი დაქალი მყავს, სკოლიდან ვმეგობრობთ... ჩვიდმეტი წლისა გათხოვდა და სამი თვის მერე ბავშვი გააჩინა, ექვსი თვის შემდეგ კი გაშორდა – ესაო, ისაო, ის არ იყო, რაც მინდოდა, ახალგაზრდობით და გამოუცდელობით დამემართა, შეცდომა დავუშვიო... ნუ, კარგი... ვის არ მოსვლია, ხომ? ჩვენც მოვეფერეთ, შევიცოდეთ... მერე კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა. მეორე ქორწინება სამ წელიწადში დაასრულა, ანუ, სამ წელიწადში გაეყარა. მოწიფულ ასაკში შეცდომის დაშვება კიდევ უფრო ადვილიაო, – გვიმტკიცებდა. ნუ, ჩვენც, ხომ არ გავკიცხავდით? გავუგეთ ადამიანს, ქალები ვართ მაინც. ერთი თვის წინ კი სამი შვილის მამას დაუნგრია ოჯახი... სიმართლე გითხრა, თითქმის აღარაფერი მიკვირს, მაგრამ, მაინც არ არის სასიამოვნო, როცა შენი დაქალი ოჯახებს ანგრევს. თანაც, იმ კაცის ცოლმა ვენები გადაიჭრა...

ქეთის შეაჟრჟოლა.

– უიმე, რას ამბობ?! – წამოიძახა დამფრთხალი ხმით.

– აბა?! მადლობა ღმერთს, გადაარჩინეს საცოდავი.

– თავი როგორ უნდა მოიკლა კაცის გამო, როგორ ძალიანაც არ უნდა გიყვარდეს, – შეწუხებული ხმით ჩაილაპარაკა ქეთიმ.

– მეც მაგას ვამბობ. მაგრამ, ეტყობა, მარტო სათქმელად არის ადვილი... იცი, როგორ ტიროდა? ვერც კი დავამშვიდე...

– შენ იყავი მასთან? კი მაგრამ, რატომ?

– სახლში მიუვარდა ჩემს დაქალს და იმანაც ჩვენ გამოგვიძახა, გოგოები. ისეთი ამბავი იყო... ქმარი იქ იდგა და ერთი სიტყვა არ უთქვამს. იყო წივილი და კივილი. ამ ჩემმა დაქალმა უთხრა, გვიყვარს ერთმანეთიო და ფეხმძიმედაც ვარო; ჩვენი დიდი სიყვარულის ნაყოფი უნდა გავაჩინოო. გაგიჟდები, რა... ერთი თვის წინ იყო ეს ამბავი. გუშინ კიდევ, გავიგე, ვაჟბატონი ისევ ყოფილ ცოლს დაბრუნებია.

– გადასარევია! მერე, მიიღო იმ ქალმა ამხელა შეურაცხყოფის მერე?

– ეჰ, მიიღო რომელია. რა ექნა, სამი შვილი... თვრამეტი წელი ძაღლი რომ გყავდეს სახლში, იმას ვერ შეელევი ადვილად...

– შენი დაქალი აჩენს მისგან ბავშვს? – ქეთი ნელ-ნელა დაძაბა ამ ამბავმა.

– ბავშვს არა! მოიგონა ორსულობა. იფიქრა, ალბათ, ამ მეთოდით უკეთ „დავაბამო“. ან, შეიძლება, მისი ცოლის გასამწარებლად თქვა – რას გაიგებ... კაცი რომ სამ შვილს მიატოვებს, შენთან გაჩერდება?! ბავშვით დაბმული კაცი სად გინახავს?

– ჰო, ეგ რთული საკითხია.

– რთული? პირიქით, დაწყებითი კლასის არითმეტიკასავით მარტივია. შვილები კაცებს მანამდე უნდათ, სანამ მათი დედები უნდათ. მერე კი – პრაშჩაი – შარშანდელი თოვლივით ქრებიან და ალიმენტსაც აღარ იხდიან. გამონაკლისები, შეიძლება, არიან, მაგრამ, მე ასეთებს არ ვიცნობ, – ბოლომდე გადაუწურა წყალი ვალიდამ. ქეთის ისევ შეაჟრჟოლა და იფიქრა, რას ატყდა დღეს ეს ქალი, რატომ დაიწყო ამ თემაზე საუბარიო, მექანიკურად კი მაინც იკითხა:

– რას შვრება ახლა შენი დაქალი, ამბობს, ამჯერადაც შეცდომა დავუშვიო?

– ცოტა ვითომ იდარდა, თუმცა, ვენები არ გადაუჭრია, რა თქმა უნდა. ახლა ვიღაც ოცდასამი წლის ბიჭთან აქვს რომანი.

– მერე?

– რა მერე, კარგი ბიჭია: სახლში რემონტი გაუკეთა თავისი ხელით; ჩემი დაქალის ბავშვზე ზრუნავს, დაჰყავს სკოლაში. ეს ჩემი სულელი მეგობარი კი ყველას ინახავს. მოკლედ, რა... ქალი მაგარი სულელი არსებაა... შენ ხომ ხარ გათხოვილი?

ქეთის გული შეუქანდა.

– კი, ერთი შვილი მყავს. რატომ მეკითხები?

– ისე. ხომ კარგად ხართ?

– რა ვიცი, ნორმალურად.

– ჰოდა, გაუფრთხილდი მაგ შენს ქმარს, ვერ ხედავ, რა ხდება?!

– ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი... – ბავშვივით ჩაილაპარაკა ქეთიმ.

– სიყვარულის ვიღას სჯერა, გენაცვალე. სიყვარულისთვის ბრძოლაში ჯანმრთელობას დაიზიანებ და ბოლოს კაცის მაგივრად, ნევროზი შეგრჩება ხელში, – გადაიკისკისა სტილისტმა და ფენი ჩართო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ხარ მოღალატე?!

*კარგად იცნობთ საკუთარ თავს? გაქვთ სრული წარმოდგენა თქვენს ფარულ ზრახვებზე? თუ გაინტერესებთ, ხართ თუ არა ბუნებით მოღალატე, გულახდილად უპასუხეთ შეკითხვებს.*

**1. საყვარელ ადამიანს, პარტნიორს, ნებისმიერ თემაზე შეგიძლიათ ელაპარაკოთ?**

ა) არა. ინტიმურ წვრილმანებზე ვერ ველაპარაკები – 5 ქულა;

ბ) პრაქტიკულად, ყველაფერზე ვლაპარაკობთ, გარდა სექსუალური ფანტაზიებისა – 3 ქულა;

გ) შენი მეორე ნახევარი ხომ იგივე შენ ხარ – ყველაფერზე უნდა ელაპარაკო – 2 ქულა.

**2. რას აკეთებთ, როცა გინდათ ვინმე მოხიბლოთ?**

ა) ინტიმურ თემაზე ვიწყებ საუბარს – 3 ქულა;

ბ) ისე ვიქცევი, რომ ის ყველაფერს ხვდება – 2 ქულა;

გ) პირდაპირ ვეუბნები, მომწონხარ-მეთქი – 5 ქულა.

**3. რასთან ასოცირდება თქვენთვის სიტყვა – „სიყვარული"?**

ა) სექსთან – 5 ქულა;

ბ) დაცულობისა და სიმშვიდის განცდასთან – 3 ქულა;

გ) ერთგულებასთან – 2 ქულა.

**4. როცა საპირისპირო სქესის წარმომადგენელი დაჟინებით გიყურებთ, მაშინ...**

ა) ძალიან ვნერვიულობ და ვფორიაქობ – 5 ქულა;

ბ) მიყუროს, რა პრობლემაა – 2 ქულა;

გ) მსიამოვნებს და მიხარია – 3 ქულა.

**5. საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი რაზე ოცნებობთ?**



ა) პოპულარობაზე. მინდა, ყველას ვუყვარდე – 5 ქულა;

ბ) იმაზე, რომ ცხოვრებისგან სიამოვნება მივიღო – 3 ქულა;

გ) საყვარელ ადამიანთან სიახლოვეზე – 2 ქულა.

**6. გქონიათ როდისმე სურვილი, ერთი ნახვით შეგყვარებოდათ?**

ა) ძალიან ხშირად – 5 ქულა;

ბ) არა. ასეთი სპონტანურობისგან შორს ვარ – 2 ქულა;

გ) მქონია ასეთი შემთხვევა – 3 ქულა.

**ნახეთ შედეგები**

*12-17 ქულა: თქვენ ისეთი ერთგული ხართ, ღალატზე ლაპარაკიც კი სასაცილოდ მიგაჩნიათ. ერთადერთი სურვილი გაქვთ, იცხოვროთ საყვარელ ადამიანთან დიდხანს და ბედნიერად. საერთოდ კი, ღალატი ქვეყნიერებისა და ყველანაირი ურთიერთობის დასასრულად მიგაჩნიათ.*

*18-24 ქულა: ყურადღების ცენტრში ყოფნა გიყვართ. მაგრამ, დროულად „დამუხრუჭება" არ გიჭირთ. საკმაოდ კარგად მართავთ საკუთარ სურვილებს. შინაგანი ბერკეტი ღალატისგან გიცავთ. სერიოზული ურთიერთობა თქვენთვის გატაცებებზე მნიშვნელოვანია.*

*25-30 ქულა: ღალატზე ადვილად წახვალთ. მთავარია, საცდური იყოს და არ გაგიჭირდებათ „გონების თვალი" დაიხუჭოთ. თუ საპირისპირო სქესისგან გადაჭარბებულ ყურადღებას არ გრძნობთ, ცუდად ხდებით. მთელი სამყარო ვერ შეგიყვარებთ და ღალატისთვისაც დაისჯებით.*

## მილიონები გრაფიტიდან

ალმასი და მაღალი ხარისხის ბრილიანტი ძალიან ძვირი ღირს. ტყუილად კი არ ხიბლავს ის ქალებს – სუსტი სქესის წარმომადგენლები ხომ ბუნებრივად მიილტვიან ფუფუნებისა და სილამაზისკენ!

0,2 გრამი, ანუ, 1 კარატი ბრილიანტი 8-10 ათასი დოლარი ღირს.



ალმასი ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ქვაა – არავითარი რადიაქტიურობა, არავითარი ტოქსინები! თანაც, ახარებს თვალს და მაგნიტივით იზიდავს ქალებს. გარდა ამისა, ფულის დაგროვებისა და შენახვის შესანიშნავი საშუალებაა. მართალია, მისი შეძენის შემდეგ ჯიბე საკმაოდ მსუბუქდება, მაგრამ, სამაგიეროდ, ფასს არასდროს კარგავს და ცეცხლშიც არ იწვის.

ამერიკაში, კერძოდ, კალიფორნიაში, ბრილიანტები კაპიტალდაბანდების საუკეთესო საშუალებად იქცა. ადგილს თითქმის არ იკავებს. რამდენიმე ათეული ან ასეული ათასი დოლარი ისე შეიძლება, დააბანდოთ, რომ არანაირი პრობლემა და დისკომფორტი არ შეიქმნათ.

მაგალითად, ალმასი სახელწოდებით „მთვარის გრუნტი", 1993 წელს 442 500 დოლარად გაიყიდა. მან მყიდველებს ხუთმაგი მოგება მოუტანა, რადგან, ალმასი ბრილიანტებად დაანაწევრეს და სამკაულის სახით გაიტანეს აუქციონზე. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი გრაფიტი, რომლისგანაც უბრალო ფანქრებიც კი მზადდება, ბუნების სასწაულით ადვილად გარდაიქმნება მილიონებად, თანაც – მომხიბვლელ მილიონებად.

## შლაპა... თითებისთვის

ნიურნბერგელი ოსტატები მისი შექმნის საიდუმლოს მკაცრად ინახავდნენ. ამ საიდუმლოს ხელში ჩასაგდებად ძალას არ ზოგავდნენ შვედები... „თითის შლაპა" – ასე ერქვა სათითეს, რომლის დანახვა დღეს აღარავის უკვირს, მაგრამ, მის წარმოშობას ლეგენდები უკავშირდება.

სათითეს სამშობლო ძველი ჩინეთია. ხანის დინასტიის ეპოქის სამარხებში აღმოჩენილია სამკერვალო აქსესუარები და უძველესი სათითეები. სათითეს კარგად იცნობდნენ კორინთოშიც – ის ნაპოვნია ესპანეთის ტერიტორიაზე და მეთერთმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებით თარიღდება.

არსებობს სათითის წარმოშობის პოეტური ლეგენდა: უხსოვარ დროში ცხოვრობდა ერთი მკერავი, რომელიც დილიდან დაღამებამდე თავდახრილი უჯდა თავის საკერავს და ამიტომ თითები ყოველთვის დაკაწრული და დაჩხვლეტილი ჰქონდა. ერთხელ, მისი საყვარელი ყვავილებიდან – წითელი ზანზალაკებიდან პატარა გნომები გამოძვრნენ. ისინი წყვეტდნენ ამ ზანზალაკებს და აქეთ-იქით დაარბენინებდნენ, თუმცა, დილით ყველა ყვავილი ადგილზე დახვდა. მეორე ღამეს მკერავი მალულად გაჰყვა გნომებს და ელფების სამყაროში აღმოჩნდა. ისინი ისხდნენ და გნომებისთვის ტანსაცმელს კერავდნენ. თითოეულ ელფს შუა თითზე წითელი ყვავილ-ზანზალაკი ჰქონდა ჩამოცმული. დილით, როცა მკერავი საკერავს მიუჯდა, ფანჯრის რაფაზე ვერცხლის სათითე დაინახა. მან ის ელფებივით შუა თითზე წამოიცვა. სათითით კერვა გაცილებით იოლი და კომფორტული აღმოჩნდა. მკერავის თითებიდან ნაიარევებიც გაქრა...



ევროპაში ბრინჯაოს სათითეები ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან გავრცელდა. მათ ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებით რთავდნენ. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ დიდებულები მონასტრებს, ძვირფასეულობასთან ერთად, ქვებით შემკულ ვერცხლის სათითეებსაც სწირავდნენ.

გერმანიაში სათითეების დამზადების მონოპოლია ჰქონდა ქალაქ ნიურნბერგს. აქ სათითეებს კი არ ასხამდნენ, გამოჭედავდნენ. 1537 წელს სპეციალური კანონიც კი გამოიცა სათითეების პროფესიულად დამზადების სტანდარტების დაცვის შესახებ. სათითეების გამომჭედ პროფესიონალებს ეკრძალებოდათ ნიურნბერგის ტერიტორიის დატოვება. პროფესიული საიდუმლოს გათქმა სასტიკად ისჯებოდა. 1568 წელს გერმანიაში დაიწერა ტრაქტატი სათითის სარგებლობის შესახებ.

1763 წელს ავსტრიის იმპერატრიცა მარია-ტერეზას ბრძანებით, ავსტრიაში ჩამოიყვანეს ნიურნბერგელი სათითეების წარმოების დიდოსტატი. ამ დროიდან დაიწყო სათითეების მასობრივი წარმოება.

**გვერდი მოამზადა ელენე წულუკიძემ**

# მკვლელი ტომარაში

## ჰალდ ელსონი

შერიფი ვიქტორ ფიალა მშიშარა არ იყო, მაგრამ ინფორმაციამ ხესუს მირანდას ციხიდან გამოსვლის შესახებ, უსიამოვნო შეგრძნება გაუჩინა. ბარმენმა, რომელიც ფიალასთან მეგობრობდა, შერიფი მაინც გააფრთხილა... მირანდა ხუთი წლის წინ, სწორედ, მის ბარში დააკავა შერიფმა ყველას თვალწინ. ამაყი მექსიკელისთვის ეს დამამცირებელი იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ, ციხეში გატარებულ ხუთ წელიწადზე. „ნუთუ შემეშინდება და დავიმალები, როგორც უკანასკნელი ლაჩარი“, – ფიალა ორმოცდათექვსმეტის ხდებოდა. მის ასაკში მამაკაცები ოჯახში მყუდრო ყოფას ნატრობენ და არა თავზეხელაღებული ბანდიტების უკან დევნას. ხუთი წელი, რომელიც ხესუსმა ციხეში გაატარა, მის ფიზიკურ მონაცემებს ბევრს ვერაფერს დააკლებდა. ფიალა შინაგანად მოემზადა იმისთვის, რომ მირანდას შურისძიებას დაპირისპირებოდა. ორმა დღემ სრულ სიმშვიდეში გაიარა, მაგრამ ეს უფრო ქარიშხლის მოახლოებას ჰგავდა. მესამე დღეს, საღამოს ფიალა სახლში დაბრუნდა. თავი უკვე სამშვიდობოს იგრძნო, რომ ინფორმატორმა დარეკა. ეს სანაბრია ძირითადად ნარკოგამსაღებლებზე აწვდიდა ინფორმაციას... ამჯერად უთხრა, ბაზარზე ახალი მოთამაშე გამოჩნდა, ვინმე მონტი. ახალგაზრდა და მსხვილი ნარკოგამსაღებლები ჩაძირა. შემიძლია, მისი ზუსტი კოორდინატები მოგცე და ფაქტზე აგაყვანინოო. ფიალა დაფიქრდა. სანაბრიას დიდად არ ენდობოდა. ფულისთვის საკუთარ დედასაც გაყიდდა. არ გაუჭირდებოდა, შერიფი მირანდასთვის ჩაებარებინა. თუმცა, მეორე მხრივ, საქმეზეც აუცილებლად უნდა წასულიყო და პროფესიული ვალი შეესრულებინა.

სანაბრია ბართან ელოდა. დამფრთხალი ჩანდა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

– მოკლედ, მონტი ახლა სან-ლუისშია. დაზუსტებული ინფორმაცია მაქვს.

ფიალამ თავი დაუქნია. სანაბრია შებრუნდა და იქაურობას ჩქარი ნაბიჯით გაეცალა. შერიფი ყოყმანობდა... ეს შეიძლება, მირანდასგან დაგებული მახეც ყოფილიყო. სან-ლუისი პატარა ქალაქივითაა მთებში... მალე ქალაქ მონტერის ღამის ნათურები უკან დარჩა და გზა საკმაოდ სახიფათო გახდა. ფიალა ფრთხილად მართავდა ავტომობილს. ყოველ წუთს შეიძლებოდა, ბუნებრივად ან ვიღაცის ნებით, კლდიდან ლოდი დაგორებულიყო და მანქანა ჭიანჭველასავით გაესრისა. ოთხი საათი დაუსრულებლად გაგრძელდა. სან-ლუისში რომ ჩავიდა, შუბლი ოფლისგან სველი ჰქონდა. პატარა ქალაქი ცნობილი იყო, როგორც ნარკობიზნესის ცენტრი. აქაურ ერთადერთ ბარში, თითქმის დაუფარავად მიდიოდა მარიხუანით ვაჭრობა. ფიალამ ბარის კარი შეაღო და პირდაპირ ბარის დახლს მიაშურა.

– დამისხით ერთი ტეკილა!

ბარმენმა ყურადღებით შეათვალიერა. აქ ყველა ყველას იცნობდა. იმასაც ყველა ხვდებოდა, ვინ რისთვის იყო სან-ლუისში ჩასული. ამიტომაც, ფიალას ბარმენის ეჭვიანი მზერა არ გაჰკვირვებია.

– მოგესალმებით სან-ლუისში, სენიორ, კიდევ ხომ არ გნებავთ რამე?

– გმადლობ. ტეკილას გავიმეორებ. ხომ არ იცნობთ კაცს, სახელად მონტი?

ბარმენმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და თავი დაუქნია.

– მისი ნახვა მინდა. აქ არის?

– არა სენიორ, თუმცა... – ბარმენმა განაპირა მაგიდასთან მჯდარ, უხეშნაკვთებიან ტიპს რაღაც ანიშნა, ფიალა დაიძაბა და ყოველი შემთხვევისთვის, რევოლვერის ბუდე მოისინჯა. რამდენიმე წუთის შემდეგ ბარმენმა კარისკენ მიანიშნა და იდუმალი ხმით რაღაც ჩაილაპარაკა.

– გარეთ უკვე გელიან.

ფიალა გარეთ გავიდა. მოედანზე, დაახლოებით ორმოცდაათიოდე მეტრის მოშორებით, ზუსტად მის პირდაპირ, მათხოვრის გარეგნობის შუახანს გადაცელებული მამაკაცი იდგა. მან გაბმით დაუსტვინა. ფიალას საკუთარი გულისცემა ესმოდა. სიბნელეს ახმახი გამოეყო. შერიფს მიუახლოვდა და ანიშნა, უკან გაჰყოლოდა. ფიალამ შეძლო, თავი ხელში აეყვანა და ნაჩვენები მიმართულებით დაიძრა. თითქმის მთელი ქალაქი გაიარეს, ნახევრად, ჩაბნელებული პირქუში სახლებით. სულ ბოლოს, ვიწრო ქუჩის განაპირას მდებარე სახლთან რომ მივიდნენ, გამცილებელი შეჩერდა და უსიტყვოდ მიანიშნა კარზე.

ფიალა შეყოყმანდა. ფანჯარაში შუქი არ ჩანდა და ერთი შეხედვით, სახლი უკაცრიელი გეგონებოდა. ვინ ელოდა შიგნით? შეიძლება, კარს მიღმა მირანდაც იყო ჩასაფრებული და დატენილი რევოლვერის ლულა შემოსასვლელი კარისკენ ჰქონდა დამიზნებული... გარისკა და კარი შეაღო. ცარიელ, პატარა ოთახში ერთადერთი, ხისგან უხეშად გამოჩორკნილი მაგიდა და ოთხი სკამი იდგა. მაგიდაზე წითელქაღალდგადაფარებული ლამპა ბჟუტავდა. მაგიდასთან უცნობი იჯდა და ხელები მაგიდაზე ეწყო. მარჯვენა მხარეს, ოდნავ მოშორებით ტომარა იდო. უცნობი სიგარეტს ეწეოდა. ფიალას თავი დაუქნია და ანიშნა, დამჯდარიყო. შერიფმა ფეხზე დგომა ამჯობინა.

– შენ ხარ მონტი?

– საქონელი ტომარაშია. ხომ ამისთვის მოხვედით?

ფიალამ თავი დაუქნია.

– სულ აიღებთ?

– სულ.

– მაშინ, ნახეთ საქონელი. უმაღლესი ხარისხის მარიხუანაა, მაგრამ შეგიძლიათ, სიტყვაზე არ დამიჯეროთ და გასინჯეთ. მონტი რაღაცნაირად, დაძაბულად უყურებდა ტომარას. ფიალამ ის იყო ხელი გაიწოდა მისკენ, რომ უცებ რაღაცამ დააჭვა.



– იყოს. სიტყვაზე გენდობი. გაუსინჯავად მიმაქვს.

მონტი გაწითლდა და აწრიალდა.

– ცოტაოდენი ბალახი მაინც ამოიღეთ და დასუნეთ, – ეს რომ თქვა, ტომარას ოდნავ წაჰკრა ხელი და ფიალასკენ მიაჩოჩა. შერიფი უკვე დარწმუნდა, რომ საფრთხე ტომრიდან ელოდა... ელვის უსწრაფესად უკან გადახტა, რევოლვერი იძრო და ნარკომოვაჭრეს დაუმიზნა.

– აბა, ახლა გახსენი ტომარა და შენ თვითონ ამოიღე იქიდან „ბალახი“...

– არა, არა, მისტერ, – მონტის შიშისგან თვალები გაუფართოვდა და ერთიანად აცახცახდა.

– სად არის მირანდა? – ხმა გაიმკაცრა ფიალამ.

– არ ვიცნობ არანაირ მირანდას.

– მაშინ, გახსენი ტომარა და დასუნე მაგ ბალახს, თორემ შუბლს გაგიხვრეტ...

მონტიმ არაადამიანურად იყვირა და მისკენ ისკუპა... ხელში გახსნილი დანა ეჭირა... ფიალამ ისროლა. ყოველთვის ზუსტად ახვედრებდა მიზანს. ოთახის სიღრმეში, მანამდე უჩინარი კარიდან მირანდა გამოვარდა, რევოლვერმომარჯვებული, ველური ღმუილით... მეორე გასროლა კიდევ უფრო გამაყრუებელი იყო. ფიალას არც ამჯერად აკანკალებია ხელი... წამში იატაკზე ორი გვამი ეგდო... ფიალამ მათ გადააბიჯა და მაგიდას მიუახლოვდა... ტომარას დააშტერდა. თითქოს ოდნავ შეინძრაო... რევოლვერის ლულით თასმა მოხსნა და ძირს უბიძგა. ტომარა გაიხსნა და იატაკზე ჩამოვარდა. რამდენიმე წამი სრულმა სიჩუმემ დაისადგურა და უცებ ტომარა შეინძრა. შერიფმა ინსტინქტურად, უკან დაიხია და მზერაგაყინული, საშინელების მოლოდინში გაირინდა... ტომრიდან გველი გამოცურდა... შხამიანი გველი, იდუმალი სისინით. ფიალამ წარმოიდგინა, რა ელოდა, ტომარაში ხელი რომ ჩაეყო და ზიზღისა და შიშისგან კანი დაუბუსუსდა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

# მკვდარი ვერსია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №7-18(644)**

ზურაბმა ყურადღებით შეათვალიერა დიმა. საპატიმროში გატარებული ხუთი წლის მიუხედავად, ის კარგად გამოიყურებოდა: სახეზე, მკერდსა და დაკუნთულ მკლავებზე მზე მოჰკიდებოდა; კბილები თეთრად უელავდა, კისერს კი ოქროს მსხვილი ჯაჭვი უმშვენებდა.

– კარგ ფორმაში ხარ. როგორც მახსოვს, შენ კიდევ ოთხი წელი უნდა გაგეტარებინა სროკზე. როგორ აღმოჩნდი გარეთ? – თქვა მცირე პაუზის შემდეგ და ხელი ჩამოართვა.

– აქტიროვკით[1] გავთავისუფლდი, – უპასუხა დიმამ.

– აქტიროვკით?! – ზურაბმა დამცინავად შეავლო თვალი მის გარუჯულ სახეს, – მაინც, რა გაწუხებდა?

– ტუბიკი[2] ავიკიდე. მარცხენა ფილტვი გახსნილი მქონდა, როცა გამათავისუფლეს.

– რამდენი ხნის წინ?

– მეშვიდე თვეა... ბატონო ზურაბ, ამის გასარკვევად ხართ მოსული? – დიმა ჯერაც ვერ მიმხვდარიყო, რას უკავშირდებოდა კრიმინალური პოლიციის უფროსის მოულოდნელი ვიზიტი.

– არა. შენი ავადმყოფობისა და სასწაულებრივი გამოჯანმრთელების ისტორიას სასჯელაღსრულებით დეპარტამენტში გავარკვევ, – უპასუხა ზურაბმა.

– ეგ თქვენი საქმეა. მაგრამ, ვერ გამიგია, რაში გჭირდებათ წარსულის ქექვა. რაც იყო – იყო. ვაღიარებ, რომ მივქარე. ახალგაზრდა ვიყავი, შევცდი და ამისთვის დავისაჯე კიდეც. ხუთწლიანი სროკი და ჯანმრთელობის შერყევა არასაკმარის სასჯელად გეჩვენებათ?



– ეგ იმ ოჯახს ჰკითხე, რომელსაც ღამით, შენს პადძელნიკებთან ერთად იარაღით ხელში შეუვარდი სახლში! – ირონიულად შენიშნა ზურაბმა.

– ისევ ძველს უბრუნდებით, – ამოიოხრა დიმამ, – ის ყველაფერი წარსულში დარჩა. ხომ ხედავთ, ვმუშაობ. არც ძველ ძმაკაცებს ვხვდები და კანონსაც აღარ ვარღვევ.

– აქ როგორ მოხვდი?

– ჩვეულებრივად. ახალგაზრდობაში ცხენოსნობით ვიყავი გატაცებული. გათავისუფლების შემდეგ დიდხანს ვფიქრობდი, როგორ გამეტანა თავი. წარსულისკენ მიბრუნება ნაღდად არ მინდოდა – ვიცოდი, რომ ისევ სროკზე წავიდოდი, მეორედ აღარ გამიმართლებდა და კოლონიაში დავასრულებდი სიცოცხლეს. ერთ საღამოს ტელევიზორში ახალ იპოდრომზე ვნახე გადაცემა. ბევრი აღარ მიფიქრია, მეორე დღესვე მოვედი აქ. აღმოჩნდა, რომ პროფესიონალი მეჯინიბეები ბევრი არ ჰყავთ. გაარკვიეს, ვინც ვიყავი და მაშინვე ამიყვანეს სამუშაოზე. უკვე ხუთი თვეა, რაც აქ ვარ. მილიონებს ვერ ვშოულობ, მაგრამ, ცხოვრებისთვის მაინც მყოფნის.

– კონკრეტულად რას აკეთებ? – ჰკითხა ზურაბმა.

– რამდენიმე ცხენს ვუვლი და ვწვრთნი. იპოდრომი ხელფასს მიხდის, ცოტ-ცოტას ცხენების პატრონებიც მჩუქნიან... მოკლედ, ბედს არ ვუჩივი.

ზურაბი გამოკითხვის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ, სწორედ ამ დროს საჩეხის საპირისპირო მხარეს, თაროზე ორი ცალი სწორედ ისეთი ბალონი შენიშნა, როგორიც ღობის სიახლოვეს, ბუჩქნარში იპოვა.

– კარგი, ნუ იძაბები, – მიუბრუნდა დიმას, – უბრალოდ, არ ველოდი, აქ თუ შეგხვდებოდი.. ერთი თხოვნა მაქვს შენთან.

– რა გნებავთ? – ჰკითხა დიმამ.

– სამახსოვრო ფოტო გადავიღოთ.

– რაა?! – დიმამ გაოცებისგან პირი დააღო.

– რა გაგიკვირდა? – გაიღიმა ზურაბმა, – ბოლოს და ბოლოს, ძველი ნაცნობები ვართ. სურათს კომპიუტერში შევაგდებ და დროდადრო გაგიხსენებ ხოლმე, – ამ სიტყვებთან ერთად, ზურაბი მეორე მეჯინიბეს მიუბრუნდა, რომელიც საჩეხის საპირისპირო მხარეს საქმიანობდა და თავისთან მიიხმო, – ჩემი ძმა, ერთი წუთით აქეთ მოიწიე!

მამაკაცმა ფოცხი კედელზე მიაყუდა და მათკენ წამოვიდა. როდესაც მიუახლოვდა, ზურაბმა მობილური ტელეფონი გაუწოდა და სთხოვა, ფოტოსურათი გადაგვიღეო.

დიმა ისევ დაბნეული იდგა. ის ვერაფრით მიმხვდარიყო, რას უკავშირდებოდა ზურაბის მოულოდნელი ცვლილება, რომელმაც გონზე მოსვლა არ აცალა, მხარზე გადახვია ხელი და იმ თაროსკენ წაიყვანა, რომელზეც აეროზოლის მსგავსი ბალონები მოჩანდა. დიმა მექანიკურად გაჰყვა და, როდესაც ზურაბი თაროსთან შედგა, თვითონაც გვერდით ამოუდგა.

მამაკაცმა რამდენიმე ფოტოსურათი გადაიღო, მობილური ტელეფონი ზურაბს დაუბრუნა და შეწყვეტილი საქმე განაგრძო.

– უცნაური ადამიანი ხართ, – განაგრძო გაკვირვებულმა დიმამ, – ბოლოს და ბოლოს, მეტყვით თუ არა, რა გინდათ ჩემგან?

– სტადიონზე დადიხარ? – ჰკითხა ზურაბმა.

– რა შუაშია სტადიონი? – დაიბნა დიმა.

ზურაბმა თაროდან ბალონი აიღო და ღილაკს დააწვა. საჩეხში გამაყრუებელი ხმა გაისმა. მისი გაგონებისას ღობურის მიღმა მყოფმა ცხენებმა ყურები დაცქვიტეს, მერე კი მიწაზე ფლოქვის ცემა და ფრთხვინვა დაიწყეს.

– ფრთხილად, ფრთხილად, ბატონო ზურაბ, – აჩქარდა დიმა, – ცხენებს აშინებთ!

ზურაბმა ბალონი თაროზე დააბრუნა და ჰკითხა:

– მაინც რისთვის გჭირდებათ ეს ბალონები?

– ცხენების გასაწვრთნელად.

– გასაწვრთნელად?! – გაუკვირდა ზურაბს, – როგორ?

– ძალიან უბრალოდ: ახალგაზრდა ცხენების უმეტესობას აშინებს უცხო ხმები. შეშინებული ცხენი კი, შეიძლება, აღარ დაემორჩილოს მხედარს, გაიტაცოს ან უნაგირიდან გადმოაგდოს. გამოცდილი მხედრისთვის ეს საშიში არ არის, გამოუცდელი კი ნამდვილად დაშავდება და, შეიძლება, დაიღუპოს კიდეც. ეს რომ არ მოხდეს, ცხენებს წინასწარ ვაჩვევთ მკვეთრ ხმას. როცა ბალონიდან ვიძლევი სიგნალს, როგორც წესი, ცხენი ფრთხება. შემდეგ ვეფერები და ვაძლევ ერთ ნატეხ შაქარს. დროთა განმავლობაში ცხენი ხვდება, რომ უცხო ხმა საშიშროების კი არა, გემრიელი ლუკმის მომასწავებელია და აღარ ფრთხება.

– ესე იგი, პავლოვის რეფლექსს უვითარებ?

– დაახლოებით.

– საინტერესო პროფესია გქონია. რაში გჭირდებოდა იარაღით ხელში ვინმეს ოჯახში შევარდნა? დროზე მოგეკიდა ხელი ამ საქმისთვის, შენც მშვიდად იქნებოდი და მეც! – ზურაბმა მზერა გაუსწორა დიმას და შემდეგ ჰკითხა: – რა იცი გუშინდელი შემთხვევის შესახებ?

– რას გულისხმობთ?

– ბიჭი რომ ჩამოვარდა ცხენიდან. შენ ხომ შეესწარი იმ ამბავს? – შეახსენა ზურაბმა.

– ჰო... გამოუცდელი მხედარი იყო, მგონი, პირველად იჯდა ცხენზე. საგანგებოდ შევურჩიეთ მშვიდი ცხენი, მაგრამ, მაინც ვერ შეძლო თავის შეკავება, – უპასუხა დიმამ, – რატომ გაინტერესებთ ეს ამბავი?

– დაიჯერებ, რომ გითხრა, იმ შემთხვევასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული-მეთქი?

– სისხლის სამართლის საქმე?! – გაიკვირვა დიმამ, – ვინ იყო ის ბიჭი – მთავარი პროკურორის ცოლიძმა თუ ქვისლი?

– არც ერთი. უბრალოდ, იპოდრომზე უსაფრთხოების წესები დაირღვა. თქვენ ცხენი ანდეთ სრულიად გამოუცდელ ადამიანს, ამას კი, შესაძლოა, მისი დასახიჩრება ან დაღუპვა გამოეწვია! – ოფიციალური ტონით უპასუხა ზურაბმა.

– და ასეთი საქმის გამოძიებაზე თქვენ მოგაცდინეს?! ჩანს, მართლაც მაგრად მუშაობს პოლიცია. სხვა აღარავინ დაგრჩათ დასაჭერი?! – შენიშნა დიმამ.

– რა მოგდის, ბიჭო? – გაიცინა ზურაბმა, – ვხუმრობ. ზონაში საერთოდ დაკარგე იუმორის გრძნობა? ის ბიჭი ჩემი ახლობელია და, უბრალოდ, მაინტერესებს, რა შეემთხვა, – უპასუხა ზურაბმა.

– მურტალოს მოსწონდა, როდესაც მილიციელი ხუმრობდა, მე კი – არა! – მოიღრუბლა დიმა.

– მაშინ, სერიოზულად ვილაპარაკოთ... რა მოხდა აქ გუშინ?

– ის ბიჭი ჩვენს მუდმივ კლიენტთან, დოდო

---

[1] „აქტიროვკა“ (ჟარგონი) – ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საპატიმრო ვადის ამოწურვამდე გათავისუფლება.

[2] „ტუბიკი“ (ჟარგონი) – ტუბერკულოზი.

კასრაძესთან ერთად მოვიდა. მათ ორი ცხენი შეგვაკაზმვინეს და სასეირნოდ გავიდნენ ბილიკზე. დაახლოებით ათი წუთის შემდეგ ის ბიჭი ცხენმა ჩამოაგდო – სულ ეს არის, – სწრაფად თქვა დიმამ.

– შენ თქვი, რომ იმ ბიჭისთვის საგანგებოდ შეარჩიეთ მშვიდი ცხენი.

– ჰო, – დაუდასტურა დიმამ, – ოსკარი მშვიდი, კარგად გაწვრთნილი ცხენია. ის ზედგამოჭრილია დამწყები მხედრისთვის.

– მაშინ, რატომ ჩამოაგდო მხედარი? – ჩაეძია ზურაბი.

– მაგაზე ვერაფერს გეტყვით.

– ცხენი რაღაცამ დააფრთხო და ყალყზე შედგა. რას შეიძლება ეს გამოეწვია?

– ცხენის დაფრთხობა ან გაღიზიანება ბევრ რამეს შეუძლია: შეიძლება, კრაზანამ უკბინოს, ან, რომელიმე მწერი შეუძვრეს ყურში; შეიძლება, უბრალოდ, მკვეთრი მოძრაობა გააკეთოს და მხედარმა არასწორად მოინდომოს მისი მოთოკვა. ცხენებს უდიერი მოპყრობაც აღიზიანებთ... მოკლედ რომ ვთქვა, მიზეზი მრავალია. გამოცდილი მხედარი ყოველთვის გრძნობს ცხენის მოუსვენრობას და ამშვიდებს, თქვენი მეგობარი კი პირველად იჯდა ცხენზე. ასე რომ... – აღარ დაასრულა დიმამ.

– მან მითხრა, რომ ცხენი სიგნალის შემდეგ შედგა ყალყზე.

– სიგნალის?! – სწრაფად თქვა დიმამ, – გამორიცხულია, იმ მონაკვეთის სიახლოვეს სამანქანე გზა არ გადის. შორიდან მოსული ხმა კი, ცხენს ვერ დააფრთხობდა. არა... თქვენს მეგობარს რაღაც ეშლება.

– ესე იგი, მოეჩვენა?

– შეიძლება, თავის გასამართლებლად თქვა. ცხენს ვერ გაუგო, რაღაც შეეშალა და შემდეგ ოსკარს მიაწერა თავისი შეცდომა, – ივარაუდა დიმამ.

– შეიძლება ასეც იყო, – მშვიდად თქვა ზურაბმა, – ის ცხენი სად არის?

– სხვა საჩეხში გვყავს – წაქცევისას ისიც დაიჟეჟა და ჯერჯერობით ვასვენებთ.

– მაჩვენე.

– წამობრძანდით, – უპასუხა დიმამ და გასასვლელისკენ დაიძრა. როგორც კი მან ზურგი შეაქცია, ზურაბმა თაროდან ბალონი აიღო და უკან მიჰყვა.

ოსკარი მშვიდად იდგა ღობურის მიღმა. დიმას დანახვისთანავე, მისკენ დაიძრა და ღობის ზემოდან გადმოჰყო თავი.

– ხედავთ, როგორი მშვიდი ცხენია? მართლაც მაგარი ტლანქი უნდა იყოს მხედარი, რომ ასეთი ცხენიდან ჩამოვარდნა მოახერხოს... რას აპირებთ?! რად გინდათ ეგ?! – გაოცებით წამოიძახა დიმამ, როდესაც ზურაბის ხელში ბალონი შენიშნა.

– ჩათვალე, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტია, – უპასუხა ზურაბმა და ბალონის ღილაკს დააწვა. საჩეხში გამყინავი ხმა გაისმა. ოსკარი უმალ გამოცოცხლდა, ელვის სისწრაფით გახტა გვერდზე და ღობურას ხტუნვითა და ფლოქვების ცემით გაუყვა.

– ამას უწოდებ მშვიდ ცხენს? – დიმას მიუბრუნდა ზურაბი.

– ასე არ შეიძლება, ბატონო ზურაბ. იცით, რა თანხას გადამახდევინებენ, რამე რომ დაუშავდეს? – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა დიმამ.

– შენს ნათქვამს ვენდე, შენ კი არაფერი გცოდნია ამ საქმისა. ესაა გაწვრთნილი ცხენი, რომელსაც ხმაურის არ ეშინია?!

– წაქცევის შემდეგ დაშინდა. ვატყობდი, რომ შფოთავდა და ამიტომაც არის მარტო, – უხალისოდ უპასუხა დიმამ.

– ესე იგი, ყველაფრის ახსნა შეგიძლია? – დამცინავად ჰკითხა ზურაბმა.

– აქ არაფერია ასახსნელი. თავად ვერ ხედავთ, რომ ცხენი შეშინებულია?

– კარგი, იყოს ასე. ერთი შეხვედრისთვის საკმარისია. უახლოეს მომავალში ისევ შევხვდებით და იმ დროისთვის სხვა განმარტებების მოფიქრება მოგიწევს, – თქვა ზურაბმა და ბალონი ხელის სწრაფი მოძრაობით გადაუგდო.



* * *

კოტე რუხაძე ახალი მისული იყო პროკურატურაში, საშვთა ბიუროდან რომ აცნობეს, ორი პიროვნება თქვენთან შეხვედრას ითხოვსო.

– კონკრეტულად ვინ? – დაინტერესდა ის.

– ზურაბ კვაჭაძე და ნიკოლოზ მესხი, – უპასუხა საშვთა ბიუროს თანამშრომელმა.

ბრაზით ატანილმა კოტემ უმალ გადაწყვიტა, უარი ეთქვა მათ მიღებაზე, მაგრამ, მალევე მიხვდა, რომ ეს შეცდომა იქნებოდა. იოლი გასაანგარიშებელი იყო, რომ ამ გზით ჯიუტ წყვილს მხოლოდ მცირე ხნით თუ მოიშორებდა თავიდან. ზურაბი ნებისმიერ შემთხვევაში მოახერხებდა მასთან შეხვედრას.

– რა გადაწყვიტეთ, ბატონო კოტე? – მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა საშვთა ბიუროს თანამშრომელმა, – გავცე საშვი?

– შემოუშვი, – უპასუხა კოტემ და ტელეფონი გათიშა.

ოთიოდ წუთში მის სამუშაო კაბინეტში ზურაბი და ნიკა შემოვიდნენ. კოტე მეგობრული ღიმილით შეეგება, ორივე შინაურულად გადაკოცნა, დაჯდომა შესთავაზა.

– აბა, რით მესტუმრეთ? – განაგრძო კოტემ, როცა ისინი მაგიდას ექეთ-იქიდან შემოუსხდნენ და ნიკას წინ დადებულ საქაღალდეს მიაპყრო მზერა.

– ზედმეტი ლაპარაკით დროს არ დაგაკარგვინებ, – უპასუხა ზურაბმა, – ვითარება შეიცვალა და შენი გადაწყვეტილების გადახედვა მოგიწევს.

– სირაძისა და ნინუას საქმეებთან დაკავშირებით? – დააზუსტა კოტემ.

– ჰო... ნიკამ ახალი გარემოებები აღმოაჩინა.

– მერედა, რატომ მოხვედით? ოფიციალური წერილით მოგემართათ, როგორ წესი და რიგია. წერილს განვიხილავდი და გადაწყვეტილებას გაცნობებდით.

– პირდაპირ გეტყვი სათქმელს: შენთვის ცუდი არ მინდა. რაც აქამდე მოხდა, შეცდომად ჩაგითვლი და იმ შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობასაც მოგცემ, – განაგრძო ზურაბმა, – არ დავიწყებ მიწერ-მოწერას. არ გვინდა ამ საქმეში გარეშე ხალხის ჩარევა, აქვე შინაურულად გადავწყვეტთ ყველაფერს. ჩვენ მასალებს გაგაცნობთ. შენ კი ძიების განახლებაზე იზრუნებ.

– ესე იგი, ძიების შეწყვეტას შეცდომად მითვლი?! – გაღიზიანდა კოტე.

– მხოლოდ ძიების შეწყვეტას არა, შენ სხვა შეცდომაც დაუშვი – ამ საქმიდან ჩემი ჩამოშორება რომ სცადე!

– რას გულისხმობ? – მოჩვენებით გაიკვირვა კოტემ.

– იმ გაფრთხილებას, რომელიც სამმართველოს ხელმძღვანელისგან მივიღე, – უპასუხა ზურაბმა, – ახლა არ მითხრა, რომ არაფერი იცი ამის შესახებ.

– მართალი ხარ, მართლაც არ მესმის, რაზეა საუბარი.

– ცუდად ვიწყებთ, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ზურაბმა, – კარგი... დავანებოთ ამას თავი და საქმეზე გადავიდეთ. მოკლედ რომ ვთქვა, ძიების განახლება მოგიწევს!

– რა მიზეზით?

– აქ ახალი მონაცემებია. გადახედეთ, – თქვა ნიკამ და საქაღალდე გაუწოდა.

კოტემ საქაღალდე გახსნა, სესხთან დაკავშირებულ დოკუმენტებს სწრაფად გადაავლო თვალი და უკმაყოფილო სახით მიუბრუნდა ზურაბს.

– ეს მიგაჩნიათ ახალ გარემოებებად?

– შენ ეს ყველაფერი უმნიშვნელოდ გეჩვენება?

– ამ მასალებში ახალი არაფერია. ჩვენ ძიების დახურვამდეც ვიცოდით, რომ ანდრო სირაძეს სესხი ჰქონდა ბანკიდან აღებული, – უპასუხა კოტემ, – მოატყუა თუ არა მან ნანა სირაძე, ამ შემთხვევაში სრულიად უმნიშვნელოა. ჩვენ მკვლელობების გარემოებებს ვიძიებდით და არა სესხთან დაკავშირებულ ისტორიას. მაინც, რას ელით ძიების განახლებისგან – დაამტკიცებთ, რომ სირაძემ მეუღლე მოატყუა?! შეიძლება, მეც დაგეთანხმოთ ამაში, მაგრამ, რას შეცვლის ეს? ის კაცი მკვდარია, მკვდარს კი ვინ მოსთხოვს პასუხს ამ ავანტიურისთვის – თქვენ, ნანა სირაძე თუ სასამართლო?!

– უშვებთ თუ არა შესაძლებლობას, რომ სირაძის მკვლელობა უშუალოდ უკავშირდება იმ სესხს? – ჰკითხა ნიკამ.

– მაშინ, შენ მიპასუხე: ვინ მოკლა ანდრო სირაძე?

ნიკამ დუმილით უპასუხა.

– საქმეც ესაა, არაფერი გაქვს სათქმელი. სირაძე ვერულიძემ მოკლა, რომელმაც შემდგომ ტყვია იკრა შუბლში. როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? იქნებ ვერულიძეს საფლავიდან ამოთხრა და უფრო ღრმად დამარხვა მივუსაჯოთ?! – ჩაიცინა კოტემ.

ზურაბი წინ გადაიხარა და ხმადაბლა თქვა:

– იქნებ, მთლად მკვდარიც არ არის ვერულიძე?

– მკვდარი არ არის?! – მოიღრუბლა რუხაძე, – ხუმრობის ხასიათზე ხარ?!

– მე მგონია, რომ მთლად მკვდარი არ უნდა იყოს. როგორ უნდა ჩათვალო მკვდრად ადამიანი, რომელიც საიქიოდან უკავშირდება ნანა სირაძეს და მოკვლით ემუქრება? ამას შენც მიხვდებოდი, ოდნავ ყურადღებით რომ გასცნ-

ობოდი ნიკას მასალას. ბოლო გვერდი ნახე.

კოტემ დოკუმენტების დასტიდან ბოლო გვერდი გამოარჩია, რომელშიც აღწერილი იყო ნანა სირაძისა და უცნობის სატელეფონო საუბრები.

– რას იტყვი? – ჰკითხა ზურაბმა, როგორც კი რუხაძემ კითხვა შეწყვიტა.

– განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას არ ახდენს. ვფიქრობ, რომ ნანა სირაძე ასეთი გზით ცდილობს, თავი აარიდოს სესხის დაფარვას.

პასუხად ნიკამ საქაღალდიდან კომპიუტერის დისკი ამოიღო და წინ დაუდო.

– რაა ეს? – გახედა რუხაძემ.

– ნანა სირაძისა და უცნობის საუბრის აუდიოჩანაწერი. იქვეა ბანკის ფილიალის ხელმძღვანელთან და კრედიტოფიცერთან ჩემი საუბრის ფარული ჩანაწერები, – უპასუხა ნიკამ.

– გინდათ, რომ ძიება ფარული ჩანაწერების საფუძველზე განვაახლო?! – გაიკვირვა რუხაძემ.

– ისე გიკვირს, თითქოს პირველად აკეთებდე ამას! – შენიშნა ზურაბმა.

– ამაზე არც კი იოცნებოთ! – მკაცრად თქვა რუხაძემ, – სასამართლო არ გაითვალისწინებს არასანქცირებულ ჩანაწერებს!

– ჩვენ შეგვიძლია, ოფიციალურად მოვითხოვოთ ბანკის სათვალთვალო კამერების ჩანაწერები.

– რას მოგვცემს ეს? – ჰკითხა კოტემ.

– ამით დავამტკიცებთ, რომ ხელშეკრულების დადებისას ნანა სირაძე ბანკში არ ყოფილა, ანუ, იმას, რომ ხელშეკრულების გაყალბებაში უშუალოდ ბანკის თანამშრომლები მონაწილეობდნენ, – უპასუხა ნიკამ.

– ისევ ნანა სირაძე და მისი სესხი... – ამოიოხრა კოტემ, – უკვე გითხარით, რომ ჩვენ არ ვაპირებთ სესხის საკითხის განხილვას, ეს ნანა სირაძისა და ბანკის კერძო დავის საგანია!

– რით იმართლებ თავს, ხვალ ნანა სირაძეს რამე რომ შეემთხვეს?! – ცივად ჰკითხა ზურაბმა.

– მოდი, დღეის მდგომარეობით ვიმსჯელოთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მე ვერ ვხედავ ძიების განახლების საფუძველს და აგიხსნით, რატომაც: პირველი – სესხთან დაკავშირებით არსებობს ოფიციალური ხელშეკრულება. თუ ნანა სირაძე მიიჩნევს, რომ მეუღლემ მოტყუებით მოაწერინა ხელი ხელშეკრულებაზე, დავა სასამართლოში განაგრძოს. თქვენს მასალებში არაფერი მიანიშნებს მკვლელობასა და სესხს შორის რაიმე კავშირზე; მეორე – ნანა სირაძის საუბრის ჩანაწერი. მივიჩნევ, რომ ეს ქალბატონ ნანას მიერ წამოწყებული ავანტიურაა და მეტი არაფერი; მესამე...

– შენი აზრით, ნანა სირაძე ორ ხმაში ესაუბრებოდა საკუთარ თავს?! – შეაწყვეტინა ზურაბმა.



– ასეთი ფანტაზიის მქონე ქალბატონი სხვანაირადაც მოახერხებდა ამას!

– დავუშვათ, რომ მართალი ხარ. ჩანაწერის წარმოშობის ისტორია მაინც გასარკვევია!

– ამას ძიების განახლება არ სჭირდება!.. – რუხაძემ პაუზა გააკეთა და შემდეგ განაგრძო, – და, მესამე – რაც შეეხება ბანკში გაკეთებულ ფარულ ჩანაწერებს, სასამართლო მათ მტკიცებულებად არ მიიღებს და მეც არ მოგცემთ საშუალებას, იდიოტის მდგომარეობაში ჩამაყენოთ.

– და, მეოთხე?!.. – შეაგება ზურაბმა, – მე მაქვს საფუძველი ვივარაუდო, რომ მავანი ნიკას მოკვლას ცდილობდა და ეს ამ საქმის ძიებას უკავშირდება!

– რაა?! – გაოცებულმა გახედა რუხაძემ, – თავს დაესხნენ?!

– გააჩნია, რას ვიგულისხმებთ თავდასხმაში.

– მაგით რისი თქმა გსურს? – ჰკითხა რუხაძემ.

– ახლავე აგიხსნი: სამი დღის წინ ნიკა თავის მეგობართან ერთად იპოდრომზე ცხენით სეირნობდა. ღობის სიახლოვეს ჩავლისას გაისმა საყვირის ხმა. ცხენი დაფრთხა, ყალყზე შედგა, მერე წაიქცა და ნიკა ქვეშ მოიყოლა...

– და ეს, შენი აზრით, თავდასხმაა?! – ირონიით შენიშნა კოტემ.

– იპოდრომის ექიმის შეფასებით, ნიკა შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. მე დავათვალიერე ის ადგილი და ღობის სიახლოვეს, აი, ამას მივაგენი, – ამ სიტყვებთან ერთად ზურაბმა ჯიბიდან პატარა ბალონი ამოიღო და წინ დაუდო.

– ეს რა არის ? – ჰკითხა რუხაძემ.

პასუხად ზურაბმა ბალონი აიღო და ღილაკს დააწვა. კაბინეტში სიგნალის გამაყრუებელი ხმა გაისმა.

– რას აკეთებ?! – კოტემ ყურებზე აიფარა ხელები.

– ეფექტურია, არა? – კმაყოფილებით თქვა ზურაბმა, – ამ ბალონებს ცხენების გასაწვრთნელად იყენებენ. მარტივად რომ ვთქვა, მკვეთრ ხმას აჩვევენ, რათა მომავალში აღარ დაფრთხნენ.

– და, რა, ამით?

– მავანმა კარგად იცოდა, რომ ასეთი ხმა ცხენს დააფრთხობდა და შესაბამისი გამოცდილების არმქონე ნიკა უნაგირზე თავს ვერ შეიმაგრებდა!

– ეე... – ხელი აუქნია კოტემ, – ახლა მართლაც ღრმად შეტოპე. ერთ რჩევას მოგცემ. სტივენ კინგის კითხვას მოუკელი და...

– მე არ დამიმთავრებია! – ცივად შეაწყვეტინა ზურაბმა, მერე თავის მობილურ ტელეფონში დიმასთან ერთად გადაღებული სურათი მოძებნა, რომელზეც აეროზოლის ბალონებიც მოჩანდა და ლაპარაკი განაგრძო, – ფოტოსურათი იპოდრომზეა გადაღებული. ეს პიროვნება დიმიტრი გაბისონიაა. ხუთი წლის წინ ის ყაჩაღობის საქმეზე ავიყვანე და სასამართლომ ცხრა წელი მიუსაჯა, მაგრამ, ამჟამად თავისუფლებაზეა და იპოდრომზე მეჯინიბედ მუშაობს. სურათზე აღბეჭდილი და ჩემს მიერ ღობესთან ნაპოვნი ბალონები იდენტურია... და, ეს კიდევ არ არის ყველაფერი: მე ბალონი დაქტილოსკოპიურ ექსპერტიზას გადავეცი. მის ზედაპირზე ორი პიროვნების თითის ანაბეჭდები აღმოაჩინეს. ერთი პიროვნების იდენტიფიკაცია ვერ მოვახერხე, მეორე ანაბეჭდი კი გაბისონიას ეკუთვნის. მგონი, ეს გარემოება საკმაო საფუძველს იძლევა მის დასაკითხად!

– მე სხვა აზრი მაქვს ყოველივე ამაზე, – კოტე ნიკას მიუბრუნდა, – ხშირად დადიხარ იპოდრომზე?

– არა, ცხოვრებაში პირველად შევჯექი ცხენზე, – უპასუხა მან.

– და, მაშინვე ჩამოვვარდი!... ამაში ვერაფერს ვხედავ უცნაურს, პირიქით, შენი ჩამოვარდნა ლოგიკური შედეგია. რაც შეეხება ბალონს. შენი თქმით, ასეთ ბალონებს მეჯინიბეები ცხენების გასაწვრთნელად იყენებენ. რაა დაუჯერებელი იმაში, რომ ერთ-ერთი მათგანი ღობის მიღმა აღმოჩნდა? შეიძლება, ვინმეს დაეკარგა, ან, უბრალოდ მოისროლა. მოკლედ რომ ვთქვა, ამ მიმართულებით მრავალი ვერსიის შედგენა შეიძლება და მათგან ყველას ექნება არსებობის უფლება.

– მაგრამ, ვიდრე ყველაფერი არ გაირკვევა, ვერსია მხოლოდ ვერსიად დარჩება და არასოდეს იქცევა ფაქტად! – უპასუხა ზურაბმა.

– მერედა ჩემგან რატომ მოითხოვ ამ საკითხის გადაწყვეტას? თუ ნიკას მიაჩნია, რომ მართლაც თავს დაესხნენ, მოგმართოს საჩივრით. აღძარი საქმე, მოიძიე სამხილები და დაამტკიცე, რომ ეს უბედური შემთხვევა კი არა, მკვლელობის ან სხეულის განზრახ დაზიანების მცდელობა იყო, – დამრიგებლური ტონით უპასუხა კოტემ.

– ესე იგი, ყველა მიმართულებით უარს გვეუბნები ძიების განახლებაზე? – ჰკითხა ზურაბმა.

– ამ ეტაპზე ვერ ვხედავ ამის საჭიროებას.

– მართალი იყავი – არ ღირდა შენთან მოსვლა, პირდაპირ ქალაქის პროკურორისთვის უნდა მიმემართა... ხომ არ იცი, ახლა აქ არის?

– ეგ მისაღებში გაარკვიე. შეიძლება, ეს მაკულატურაც თან წაიღო, – კოტემ არაორაზროვნად მიანიშნა, რომ საუბარი დასრულებული იყო.

– კეთილი... დროებით, – მშვიდად უპასუხა ზურაბმა და ნიკას ანიშნა, წავედითო.

* * *

დიმამ საღამოს ექვსი საათისთვის დაამთავრა სამუშაო, ტანსაცმელი გამოიცვალა და იპოდრომიდან გავიდა. ავტოსადგომთან მიახლოებისას უკნიდან მანქანა წამოეწია და მის გვერდით შედგა. დიმამ სწრაფად შეხედა მძღოლს – საჭესთან მისი ძველი ნაცნობი და თანამზრახველი ჯიბო ზარქუა იჯდა.

ჯიბო იმავე ყაჩაღობის თანამონაწილე იყო, რომლის გამოც დიმას ცხრა წელი მიუსაჯეს, მაგრამ, მაშინ დაზარალებულები იმდენად დაბნეულები იყვნენ, რომ პოლიციას ზუსტად ვერ დაუსახელეს თავდამსხმელთა რაოდენობა. ამის შედეგად, საბრალდებო სკამზე ოთხი თავდამსხმელი აღმოჩნდა, მეხუთე კი ძიებამ ვერ გამოავლინა. დაკავებული თავდამსხმელებისთვის ძიებას ჯიბოს შესახებ კითხვაც კი არ დაუსვამს, დიმას და ყაჩაღობის დანარჩენ მონაწილეებს კი საერთოდ არ გასჩენიათ გულწრფელობის სურვილი.

– დაჯექი! – მისკენ გამოუხედავად გამოსძახა ჯიბომ.

დიმამ აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, მანქანაში ჩაჯდა და უკმაყოფილოდ უთხრა მძღოლს:

– რამდენჯერ გაგაფრთხილე, აქ აღარ მომაკითხო-მეთქი?! დაგერეკა და სხვაგან შეგვხვედრებოდი!

– ენა დაიმოკლე! – ჩაიხიხინა ჯიბომ, – მე



თვითონ გადავწყვეტ, როდის, სად და როგორ შეგხვდები!

დიმა მართლაც გაღიზიანებული იყო, მაგრამ, ჩუმად ყოფნა არჩია. მრავალწლიანი ნაცნობობის მიუხედავად, მას ყოველთვის აშინებდა ჯიბო, მის გვერდით დაძაბულობა იპყრობდა. აშინებდა მისი გამჭოლი, მუდამ ბრაზით ალსავსე გამოხედვა; ჩახლეჩილი ხმა, დაკენკილი და ნაიარევი სახე; ყველაზე მეტად კი მისი წარსული აფრთხობდა. მან კარგად იცოდა, რომ მის გვერდით ჩამოყალიბებული მკვლელი იჯდა, რომლისთვისაც ადამიანის სისხლის დაღვრა ლამის ცხოვრების წესი იყო.

– სად მივდივართ? – იკითხა დიმამ, როდესაც ჯიბომ ქალაქის მაგივრად მანქანა ლისის ტბის მიმართულებით წაიყვანა.

– ტბაზე გადავიდეთ. შენთან სალაპარაკო აქვთ, – უპასუხა მან.

– ვის?

– იქ ნახავ, – როყიოდ მიუგდო ჯიბომ.

ოციოდ წუთში მანქანა ტბის სიახლოვეს, დაბურულ კორომში შეჩერდა. ჯიბო მანქანიდან გადავიდა, საბარგულიდან ორი ქილა ლუდი ამოიღო და დიმას ანიშნა – აქ მოდიო.

– ლუდის დალევა სხვაგანაც შეიძლებოდა! – უკმაყოფილოდ შენიშნა მან და სახელური გამოწია, – ბოლოს და ბოლოს, მეტყვი თუ არა, ვის უნდა ჩემი ნახვა?

– რა ისტერიკას მიმართავ! – შეუღრინა ჯიბომ, – ჯობდა, პოლიციასთან გელაპარაკა ასე!

– რაა?! – დაიბნა დიმა, – რომელ პოლიციაზე ლაპარაკობ?

– ვინ მოგაკითხა გუშინწინ იპოდრომზე? – ჯიბომ ლუდის ქილა გაუწოდა.

– კვაჭაძე იყო, რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსი, – დიმამ ქილა გახსნა და ლუდი მოსვა.

და, შენც, გულითადი საუბარი გაუბი და ოსკართანაც მიიყვანე!

– თვითონ მოინდომა ცხენის ნახვა, უარს ხომ ვერ ვეტყოდი?!

– რა აინტერესებდა? – განაგრძო ჯიბომ.

– ის ბიჭი მისი ახლობელი გამოდგა. აინტერესებდა, როგორ ჩამოვარდა ცხენიდან.

– შენ შიგ ხომ არა გაქვს! – იფეთქა ჯიბომ, – ვინ ჭამს მაგას?! როდის იყო, რომ კვაჭაძე ასეთ სირობებზე კარგავდა დროს? ასეთ საქმეზე თავის ოპერსაც კი არ მოაცდენდა!.. სხვა რა აინტერესებდა?

– რა გითხრა... მეც ვერ მივხვდი, რა უნდოდა კონკრეტულად. თავიდან ჩემს გათავისუფლებაზე ჩამომიგდო სიტყვა – როგორ გამოგიშვესო. ისიც თქვა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გადავამოწმებ, ვინ და რა მიზეზით გამოგიშვა ზონიდანო. მერე სურათის გადაღება მოინდომა. სასიგნალო ბალონზეც გამომიკითხა და ბოლოს ოსკარის ჩვენება მთხოვა.

– ბალონზე ჩამოგიგდო სიტყვა? – დაიძაბა ჯიბო.

– ჰო, – თავი დაუქნია დიმამ.

– მაშინვე რატომ არ დამიკავშირდი?

– რისთვის უნდა დაგკავშირებოდი? – მხრები აიჩეჩა დიმამ, – ისეთი არაფერი მომხდარა.

– შენ ხომ არ უბერავ? რას ნიშნავს – არაფერი მომხდარა?! ვინ შემომთავაზა საქმეში ოსკარისა და იმ იდიოტური ბალონის გამოყენება? ვინ მიმტკიცებდა: თუ არ დაიბრიდა, სერიოზულად დაიმტვრევაო?!.. ახლა კი კვაჭაძე მაგ საქმეზე იწყებს შენთან სიარულს და შენ მიმტკიცებ, არაფერი მომხდარაო?!

– რას მიიღებს სიარულით? რით დაამტკიცებს, რომ ის ბიჭი შეგნებულად შევსვი ოსკარზე?! – ხმა გაიმტკიცა დიმამ, – შენ კარგად მიცნობ და იცი, რომ პოლიციასთან ზედმეტს არასდროს ვიბაზრებ!..

– მართალი ხარ, არ იბაზრებ და ამას მე მოვაგვარებ! – ავად გამოცრა ჯიბომ, ელვის სისწრაფით მოიმარჯვა პისტოლეტი და დიმას შუბლში დაუმიზნა.

– რას აკეთებ?! – შიშით წამოიძახა მან და ინსტინქტურად გახტა უკან. მაგრამ, უკვე გვიან იყო – ჯიბომ უმალ დაუშვა სასხლეტი და ტყვია შუბლში მოხვდა დიმას. ის დენდარტყმულივით შეხტა, გვერდზე გადაქანდა და მოწყვეტილი დაემხო მიწას...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# კალეიდოსკოპი

## იდუმალი ანტინივთიერების ახალი კვალი

მეცნიერებმა შეძლეს, დიდ ადრონულ კოლაიდერზე დაეფიქსირებინათ ნივთიერებისა და ანტინივთიერების განსხვავების ახალი გამოვლინება. შესაძლოა, ამან დაგვაახლოოს სამყაროს ერთ-ერთ მთავარი საიდუმლოს ამოცნობასთან – რატომ აღემატება მატერია ანტიმატერიას და შესაბამისად, რატომ არსებობს ეს სამყარო თავისი მცხოვრებლებით... მატერიისა და ანტიმატერიის რაოდენობა ტოლი რომ ყოფილიყო, ისინი ერთმანეთს მოსპობდნენ.

მატერიასა და ანტიმატერიას შორის სიმეტრიის დარღვევა დაფიქსირდა ნეიტრალური B3 მეზონის დაშლის დროს. დღეისთვის ცნობილ ნაწილაკთა სიმრავლიდან ეს მხოლოდ მეოთხეა, რომელიც ამგვარად იქცევა. წინა სამი ასეთი აღმოჩენიდან ორმა, მათ აღმომჩენებს ნობელის პრემია მოუტანა, ხოლო ერთი, შესაძლოა, მცდარი იყო.

ახლანდელი ექსპერიმენტების შედეგები აისახა ანგარიშში, რომელიც გამოქვეყნებულია ქსელში; ის, აგრეთვე, გაიგზავნა სამეცნიერო ჟურნალში. ფიზიკოსები საშუალებას გვაძლევენ, გავიგოთ, რომ ეს შედეგები არ გადის ეგრეთ წოდებული სტანდარტული მოდელის ჩარჩოებიდან, რომელიც დღეისთვის მიღებულია ელემენტარული ნაწილაკების თეორიაში. ასე რომ, სამყაროს საიდუმლო, რომელსაც ეს თეორია ვერ ხსნის, გადაუჭრელი რჩება.

მათ მიეკუთვნება ანტინივთიერების საიდუმლო. მიაჩნიათ, რომ თავდაპირველად ნივთიერებისა და ანტინივთიერების რაოდენობა სამყაროში ერთნაირი იყო, მაგრამ, ამჟამად ანტიმატერია მასში პრაქტიკულად არ არსებობს. სწავლობენ რა ძლივს შესამჩნევ განსხვავებას ნაწილაკებისა და ანტინაწილაკების თვისებებს შორის, ექსპერიმენტებით, რომლებიც ტარდება დიდ ადრონულ კოლაიდერზე, მეცნიერები ცდილობენ, ნათელი მოჰფინონ ასეთი განსხვავების მიზეზებს. არის აგრეთვე სხვა კითხვა – არსებობს თუ არა სამყაროში სხვა ადგილები, რომლებიც, პირიქით, პრაქტიკულად მთლიანად შევსებულია ანტინივთიერებებით.

მატერიასა და ანტიმატერიას შორის ასიმეტრიის პირველი ახსნა შემოგვთავაზა საბჭოთა აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმა. მან გამოარკვია, რომ, იმ ნაწილაკების თვისებები, რომელთაც აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო კვანტურ-მექანიკური ფუნქციები, მთლიანად ურთიერთსაპირისპირო არ არის. ესე იგი, ერთსა და იმავე პირობებში მატერიისა და ანტიმატერიის ნაწილაკები იქცევიან არა დიამეტრულად ურთიერთსაწინააღმდეგოდ, ანუ „სარკულად", არამედ, სიმეტრიიდან მცირედი გადახრით.

უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის დარგში სხვადასხვა ჯგუფის მიერ ჩატარებულ სამუშაოებს მივყავდით მატერიისა და ანტიმატერიის ასიმეტრიის მსგავსი მაგალითების აღმოჩენამდე, მაგრამ, ეს რეაქციები განეკუთვნებოდა „ეგზოტიკურთა" რიგს და არ შეეძლო, აეხსნა მატერიის უპირატესობა ანტიმატერიაზე.

## და კვლავ არნახული IQ

ამერიკის შტატ ილინოისის ნორჩი მცხოვრები პატარაობიდანვე არ კარგავდა უქმად დროს: იჯდა რა ღამის ქოთანზე, ერთდროულად სწავლობდა სამყაროს – კითხულობდა სამეცნიერო წიგნებს და... 5 წლის ასაკისთვის მისმა IQ-ს დონემ ბევრი ზრდასრული ნიჭიერი ადამიანის მაჩვენებელს გადააჭარბა.

5 წლის გუს დორმანმა გამოამჟღავნა თავისი არაჩვეულებრივი შესაძლებლობები. წლინახევრის ასაკიდან, ღამის ქოთანზე ჯდომისას, იგი ილებდა ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა – გაზეთებს, მამის ჟურნალებს და... კითხულობდა. ეს მამამ – რობერტმა შეამჩნია და ბავშვის „საკითხავ დასტაში" ქიმიური ელემენტების პერიოდული ცხრილისა და გეოგრაფიული რუკების ჩადება დაიწყო. შედეგმა არ დააყოვნა: გარკვეული დროის შემდეგ ბავშვმა ზეპირად იცოდა ყველა ქიმიური ელემენტის მაჩვენებელი, ქვეყნების განლაგება მსოფლიოს რუკაზე და მათი დედაქალაქები. „ხანდახან ჩვენ ვეკამათებოდით მას, მაგალითად, რომელია შტატ ალასკას დედაქალაქი", – ამბობს მამა, რომელიც, ჩვეულებრივ, ყოველთვის აგებდა ასეთ ნაძლევს.

ახლახან დორმანებმა გადაწყვიტეს, შეემოწმებინათ თავიანთი შვილის ინტელექტის დონე. გუსმა, შეასრულა რა ტესტი სტენფორდ-ბინში, მან სწორად უპასუხა შეკითხვების 99 პროცენტს და 147 ქულა დააგროვა.

ეს მაშინ, როდესაც, იმისათვის, რომ მოხვდე „გენიოსთა საერთაშორისო საზოგადოების – „მენსას" სიაში, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს ყველაზე ჭკვიან ადამიანებს, აუცილებელია, აჩვენო 132-ქულიანი შედეგი. მთლიანად „მენსა" აერთიანებს დაახლოებით 100 ქვეყნის 110 ათას ადამიანს, მათ შორის ყველაზე ახალგაზრდის ასაკი 2 წელი და 4 თვეა. შედარებისთვის, ზრდასრული ადამიანისთვის საშუალო მაჩვენებელი 100 ქულას შეადგენს, ხოლო განსაკუთრებით ნიჭიერი ადამიანებისა – 130 ქულას.

თუმცა, „მენსას" სრულუფლებიანი წევრისთვის სკოლაში სწავლა ადვილი არ არის. „მას იქ ძალზე მარტივ რამეებს უხსნიან. იგი მოწყენილია, როდესაც მის ამხანაგებს ანბანს ასწავლიან", – ყვება მამა და ეს სულაც არ არის საკვირველი, ვინაიდან, მშობლების სიტყვებით, ამჟამად გუსი ძალზე სერიოზული საგნებით – ასტროფიზიკითა და შავი ხვრელებითაა დაკავებული.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

**„იმედის“ არხზე რამდენიმე გადაცემის პროდიუსერ ალინა არველაძეს, კიდევ უამრავი პროექტის იდეა ჰქონდა, რომელთა განხორციელებასაც გეგმავდა. თუმცა, ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, არხზე მდგომარეობაც რადიკალურად შეიცვალა. არხის იმჟამინდელმა გენერალურმა დირექტორმა და ალინას მეუღლემ, გიორგი არველაძემ, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს კარი ფართოდ გაუღო და ტელეკომპანია დატოვა. ალინა თბილისის „მოდის კვირეულის“ ერთ-ერთ ჩვენებაზე შემხვდა და თუ ადრე ინტერვიუებს ყოველთვის გაურბოდა და უარს ამბობდა, ამ შემთხვევაში, ხალისიანად დამთანხმდა.**

# როგორ უმკლავდება ალინა არველაძე ცხოვრებაში არცთუ ისე მხიარულ პერიოდს და ვინ მოელოდა მისგან სარგებელს

**– თიკოსთანაც (სადუნიშვილთან) იგივე შეკითხვით დავიწყე საუბარი, რადგან ორივე მოდის კვირეულზე შემხვდით. როგორი განწყობაა, როდესაც ათეულობით მოსაწვევის ნაცვლად, სულ რამდენიმე ჩვენებაზე ხართ დაპატიჟებული?**

– ეს ძალიან ლოგიკური – არც გასაკვირია და სხვას არც არაფერს მოველოდი. ხშირად ხალხს ამნეზია ემართება და რაც ადრე დასაფასებელი იყო, ახლა თითქოს მნიშვნელობა აღარ აქვს, ან უფრო მეტიც, სირცხვილია. მაგრამ, ეს ოდნავაც არ მწყინს. დიდი ამბიციებით არასდროს გამოვირჩეოდი და სულ არ მქონია იმის ილუზია, რომ რაღაცეები ხალხს ათი წლის განმავლობაში უნდა ახსოვდეს და თუ ვინმესთვის რამე გამიკეთებია, ამისთვის მთელი ცხოვრება მადლობლები უნდა იყვნენ. ყველამ ისე უნდა იცხოვროს, როგორც საჭიროდ მიიჩნევს, ჩემთვის ყველაფერი მისაღებია. ვინც მიყვარდა, დღემდე მიყვარს და ვისგანაც შესაძლოა, რამე მწყენოდა, მათთან ზუსტად ისეთივე ურთიერთობა მაქვს – არაფერი შეცვლილა.



საკმაოდ მარტივი ადამიანი ვარ ამ მხრივ და დროებითი მდგომარეობა ნაკლებად მაწუხებს. მის გვერდში ვარ

**– როცა ცხოვრებაში რაღაცეები იცვლება, მეგობრები თუ რჩებიან? მით უმეტეს, რომ შენ საქართველოში ბავშვობის მეგობრები არ გყოლია და მეტ-ნაკლებად, ახალშეძენილებად შეიძლება ჩაითვალონ.**

– შემიძლია თამამად ვთქვა, რომ გამიმართლა. ვინც ახლოს მყავდა და ვინც ჩემთვის ძვირფასი იყო, ისევ ჩემ გვერდით არიან. ახლა უფრო ახლოს ვარ მათთან, რადგან მეტი თავისუფალი დრო მაქვს. ხშირად ვართ ერთად და ამ პირობებში უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს. თუმცა, ვიცი, ბევრი შემთხვევა, როცა ყოფილა იმედგაცრუების ფაქტი. მაგალითად, ჩემს ქმარს ეს იმედგაცრუება უფრო მეტი ჰქონდა. მე, როგორც ქალმა, ინტუიციის წყალობით, იმდენად ბევრი ხალხი არ შემომიკრებია. გვერდით არ მყოლია ისეთები, ჩემგან მხოლოდ სარგებელს რომ მოელოდნენ. ვინც მეგობრად მიმაჩნდა და ვისაც ამ სახელს ვარქმევდი, ყველა ახლოს მყავს ახლაც.

## ტელევიზიებზე ნაკლებად ვფიქრობ, ალბათ უფრო კერძო ბიზნესს დავიწყებ

**– ანუ, გაგიმართლა.**

– მართლა გამიმართლა მეგობრებში.

**– ახლა რას აკეთებ?**

– ოჯახში დავბრუნდი *(იცინის)*. ვდიასახლისობ. მაგრამ, ალბათ, ესეც დროებითია. ტელევიზიებზე ნაკლებად ვფიქრობ, ალბათ, უფრო კერძო ბიზნესს დავიწყებ. მაგრამ, ჯერ ზუსტად არ მომიფიქრებია, კონკრეტულად, რა მიმართულებით წავალთ.

**– როგორ ხედავ ახლანდელ პროექტებს, რა მოლოდინები გაქვს იმ პროექტებთან დაკავშირებით, შენ რომ აკეთებდი?**

– მიხარია ის ფაქტი, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავები“ გაგრძელდება ახალ სატელევიზიო სეზონზეც. მგონია, რომ თუ სწორად გაკეთდება, კიდევ არაერთი სეზონის განმავლობაში ექნება რეიტინგი. მაყურებლისთვის ნაკლებად საინტერესოა ალინა გააკეთებს, პეტო თუ ლაშა... მისთვის მთავარია, კარგი საყურებელი იყოს. რაც შეეხება ახალ პროექტებს, რასაც თვალი მოვკარი, სიმართლე გითხრა, დიდად არ მომწონს. ცოტა უფრო დაბალი დონე მეჩვენება ამ არხზე, ვიდრე რაღაც პერიოდის განმავლობაში იყო. არ ვიცი, მაგრამ დეტალურად ახალი პროექტების ანალიზს ვერ გავაკეთებ, რადგან არ ჩავღრმავებივარ ამ თემას. რაც ვნახე, არაფრით გავგიჟებულვარ.

**– ტელევიზიაზე რატომ აღარ ფიქრობ?**

– საქართველოში ახლა ისეთი სიტუაციაა, ადამიანის პროფესიონალიზმი იმაზე ნაკლებად აინტერესებთ, ვიდრე მისი პოლიტიკური შეხედულება. ახლა ამის გამო არც აზროვნებაში, არც დამოკიდებულებებში არაფერს შევცვლი, ეს გამორიცხულია. არც „ფეისბუქზე“ ვაპირებ მოჩვენებითი რაღაცეების კეთებას, როგორც ამას ბევრი აკეთებს. არც გავაკეთებ და არც გამომივა. ამიტომ, მომიწევს, ამ სფეროსგან თავი შორს დავიჭირო.

**– ახლა, ალბათ, მეუღლისთვის შენი გვერდში დგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია...**

– არ დაგიმალავთ, რომ ახლა ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე მხიარული პერიოდი ნამდვილად არ არის. რა თქმა უნდა, მისი ერთგული დავრჩი და ვიქნები ყოველთვის, სხვანაირად არც წარმომიდგენია. ჩემთვის არასდროს ყოფილა პრიორიტეტი არც ფინანსური მდგომარეობა, არც სოციალური სტატუსი და ძალაუფლება. ვინც მიცნობს, ამას აუცილებლად დაგიდასტურებთ. საკმაოდ უბრალო ვარ ამ მხრივ და დროებითი მდგომარეობა ნაკლებად მაწუხებს. მის გვერდში ვარ.



ყველამ ისე უნდა იცხოვროს, როგორც საჭიროდ მიიჩნევს, ჩემთვის ყველაფერი მისაღებია

**– ბევრი ჭორი გავრცელდა, რომ საქართველო დატოვე, სამშობლოში დაბრუნდი...**

– პირიქით, სულ საქართველოში ვარ და უფრო ნაკლები სიხშირით გავდივარ თბილისიდან, ვიდრე ადრე. არ ვიცი, ეს ჭორები საიდან წამოვიდა. სულ ვფიქრობ იმაზე, რა გავაკეთო, რა საქმიანობას მოვკიდო ხელი. მილიონი იდეაა, რომლთაგან ერთს აუცილებლად განვახორციელებ.

**– შენს მეუღლეს კომპანია ჰქონდა, რომელიც ფილმის გადაღებას გეგმავდა, იყო კავშირები ოსკაროსან რეჟისორ ჰაზანავიჩუსთან. ამ მიმართულებითაც შეწყდა საქმიანობა?**

– დიდი ხანია, ამ თემებზე არ გვილაპარაკია. რამე რომ ხდებოდეს, აუცილებლად მეცოდინებოდა. შემოქმედებითი პროცესები გაჩერებულია.

**სალომე გველესიანი**

# როგორ მოხვდა ნიგერიელი ბრაიანი არაერთ ქართულ სერიალებსა თუ სარეკლამო რგოლში და რა ქართული სახელი და გვარი შეარქვეს მას მეგობრებმა

***ნიგერიელი ბრაიანი უკვე დიდი ხანია, საქართველოში ცხოვრობს. მან უკვე მოასწრო არაერთ ქართულ სერიალსა თუ ფილმში თამაში. ხშირად მონაწილეობს „კომედი შოუში", ქართველ ბავშვებს ფეხბურთის ასწავლის და, მოკლედ, საკმაოდ დატვირთული ცხოვრების სტილი აქვს.***

**ბრაიანი:** ამ ბოლო დროს ძალიან იშვიათად ვარ სახლში. სულ სამსახურში მიწევს ყოფნა და დრო თითქმის არაფრისთვის მრჩება. საღამოობით ვმუშაობ ჩილიმ ბარში. აქ ვისწავლე ჩილიმის გაკეთება და, მგონი, უკვე პროფესიონალი ვარ ***(იცინის).*** როდესაც შემომთავაზეს ეს სამსახური, თავიდან უარი ვთქვი. სიგარეტსაც კი არ ვეწევი და ჩილიმი საერთოდ არ ვიცოდი, რა იყო. კეთების პროცესში მეც ხომ უნდა გავსინჯო, როგორი გამომდის. თავიდან მახველებდა ხოლმე. ეს არის ჩემი მეორე სამსახური. ძირითადად, სკოლაში ვმუშაობ – ფეხბურთის მასწავლებელი ვარ უკვე ოთხი წელია. მოსწავლეები ჩემი მეგობრები არიან, ყველასთან ძალიან ახლოს ვარ. ძალიან მინდა, ფეხბურთს დავუბრუნდე, ხშირად ვფიქრობ ამაზე, მაგრამ, ახლა თუ ამ ყველაფერს, რასაც ვაკეთებ, თავი დავანებე, წყალში ჩამეყრება ჩემი შრომა. ძალიან დიდ რისკზე უნდა წავიდე, ყველაფერზე უარი რომ ვთქვა. ორ სამსახურში ვმუშაობ, ჩემი შემოსავალი მაქვს და ამიტომ ვერ ვრისკავ, თორემ, ფეხბურთელობა ჩემი ოცნება იყო და არის.

**– ბავშვებს თუ მოსწონთ ბრაიან მასწავლებელი, რას გეუბნებიან ხოლმე?**

– როდესაც სკოლაში შევდივარ, უკვე ვგრძნობ მათ სიყვარულს – ფანჯრებიდან მეძახიან, მოდიან ჩემთან, მეხუტებიან. ერთმანეთთან მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს და არა ისეთი, როგორც მასწავლებელსა და მოსწავლეებს. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და სიამოვნებით ვასწავლი ბავშვებს. ერთად ვთამაშობთ ფეხბურთს. ძალიან მსიამოვნებს და მიხარია მათთან ურთიერთობა. ქართველი ბავშვები ძალიან საყვარლები და კარგები არიან. მართლაც რომ ძალიან შემაყვარეს თავი.



**ჩემი შვილი მალე სამი წლის გახდება. ძალიან საყვარელი და ჭკვიანია. მე და ჩემი მეუღლე ხუთი თვეა, ერთად აღარ ვართ. რაღაც პრობლემები გვქონდა და, სამწუხაროდ, ცალ-ცალკე ვცხოვრობთ**

**– შენი ოჯახის შესახებ მომიყევი. როგორც ვიცი, გყავს ქართველი მეუღლე და შვილი.**

– ჩემი შვილი მალე სამი წლის გახდება, ძალიან საყვარელი და ჭკვიანია. მე და ჩემი მეუღლე ხუთი თვეა, ერთად აღარ ვართ. რაღაც პრობლემები გვქონდა და, სამწუხაროდ, ცალ-ცალკე ვცხოვრობთ. ბავშვი მასთან ცხოვრობს, თუმცა, მეც ხშირად ვნახულობ ხოლმე. თავიდან ძალიან სერიოზული დეპრესიები მქონდა, ვერაფერს ვაკეთებდი, ვერც ვმუშაობდი. ყველა მეკითხებოდა, რა გჭირსო. ალბათ, სახეზე მეწერა, რომ ცუდად ვიყავი. სიმართლე რომ გითხრა, არც მჯეროდა, მეგონა, სიზმარში ვიყავი, მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ გავაცნობიერე. ახლა მარტო ჩემს შვილზე ვფიქრობ, ბავშვის გამო ვაკეთებ ყველაფერს. ძალიან მინდა, ჩემი მშობლიური ენა ისწავლოს, მაგრამ, ჯერჯერობით მხოლოდ ქართულად ლაპარაკობს. როცა ერთად ვართ ხოლმე, ვასწავლი სიტყვებს ნიგერიულად.

**– ქართულად ძალიან კარგად საუბრობ. ვინმე გეხმარებოდა თუ დამოუკიდებლად ისწავლე?**

– მეც მიკვირს ხოლმე, როგორ ვისწავლე ასე მარტივად. უკვე ექვსი წელია, რაც საქართველოში ვცხოვრობ, თუმცა, ქართული ენა ჩამოსვლიდან დაახლოებით სამ თვეში უკვე ვიცოდი. საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით იყო რაღაც ისტორიები, რაც უკვე წარსულს ჩაბარდა. ახლა თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მახსოვს, ერთი ქართული სიტყვაც კი არ ვიცოდი, ვილაცამ მითხრა – გამარჯობაო და, მეგონა, ცუდი რაღაც მითხრა ***(იცინის).*** აქ ძალიან ბევრი კარგი მეგობარი მყავს და ამიტომ არის, დღეს კარგად რომ ვგრძნობ თავს. ყველაფერში დამეხმარნენ და გვერდში დამიდგნენ. ქართული ასოებიც ვიცი და ქუჩაში თავისუფლად ვკითხულობ წარწერებს. ეტყობა, ძალიან მოვინდომე, რომ მესწავლა და გამომივიდა კიდეც. ძნელია, როდესაც ცხოვრობ ქვეყანაში და არ იცი იქაური ენა. ხშირად უკვირთ ხოლმე, ქართულად საუბარს რომ ვიწყებ. ჩემი გარეგნობიდან გამომდინარე, ალბათ, მოულოდნელია მათთვის ქართული სიტყვების გაგონება.

**– როგორც ვხედავ, თავს მართლაც კარგად გრძნობ საქართველოში.**

– კი, ნამდვილად კარგად ვგრძნობ თავს. ისევ ისე მიყვარს საქართველო, როგორც მიყვარდა. მეგობრები ბაჩოს მეძახიან. ქართული გვარიც მაქვს – გელეიშვილი ***(იცინის).*** ეს ჩემი მეგობრის გვარია და მეც ასე შემარქვეს – ბაჩო გელეიშვილი. ნიგერიაში ოჯახი მყავს – მამა, და, ძმა და მათთან ჩავდივარ ხოლმე; ახლაც ვაპირებ ცოტა ხნით წასვლას. ბავშვის წაყვანაც მინდა, მაგრამ, ჯერ პატარაა. ისეთ ასაკში მინდა წავიყვანო, როცა ყველაფერს გაიგებს, დაიმახსოვრებს.

**– გარკვეული პაუზის შემდეგ ისევ გამოჩნდი „კომედი შოუში".**

– „კომედი შოუში" ყოფნა ძალიან მომწონს. მახსოვს, სრულიად შემთხვევით გავიცანი „კომედი შოუს" ბიჭები: ერთ-ერთ რესტორანში ვიყავი ჩემს მეგობრებთან ერთად, სადაც მნახეს, ჩაიწერეს ჩემი ნომერი, შემდეგ დამირეკეს და შემომთავაზეს „კომედი შოუში" მონაწილეობის მიღება. რასაკვირველია, დავთანხმდი. მას შემდეგ დავიწყეთ ერთად მუშაობა. ამის გარდა, ნათამაშები მაქვს რამდენიმე სერიალში: „ჩვენი ოფისი," „ჟამი ყვავილობისა". იყო კიდევ ერთი ფილმი, სახელი არ მახსოვს. სარეკლამო რგოლებშიც გადამიღეს.

**– ესე იგი, მსახიობობის ნიჭი გქონია. არ გიფიქრია ამ კუთხით კარიერის გაგრძელებაზე?**

– არ ვიცი, წინასწარ არაფერს ვგეგმავ. ზოგადად, ისეთი ბედი მაქვს, რომ ყოველთვის ყველგან მამჩნევენ. ნიგერიაშიც ასე იყო – სადაც არ უნდა წავსულიყავი, მუდამ ყურადღების ცენტრში ვიყავი. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგაც ასე მოხდა და ადვილად მოვიპოვე პოპულარობა. არ ვიცი, ეს რისი დამსახურებაა, შეიძლება, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე ხდება ასე. ადვილად შევდივარ ადამიანებთან კონტაქტში, ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. სადაც მე ვარ, იქ ხალხი არასდროს იწყენს. საერთოდ, ძალიან მხიარული ვარ და, ვცდილობ, ჩემ გვერდით მყოფი ადამიანებიც გავამხიარულო. ერთი შემთხვევა გამახსენდა: აეროპორტში ვიყავი მეგობრებთან ერთად, ჩვენთვის ვლაპარაკობდით, ვხუმრობდით. ჩვენთან მოვიდა დათო გომართელი და გამოგველაპარაკა. რომ გაიგო, ქართულად ვლაპარაკობდი, გაუკვირდა. ასეთი შემთხვევები ხშირად ხდება. ყოველთვის ვილაც მამჩნევს.

**– ანუ, მიგაჩნია, რომ იღბლიანი ხარ?**

– კი, ნამდვილად იღბლიანი ვარ, ხშირად მიმართლებს. როდესაც რაღაცის გაკეთებას ვიწყებ, ის საქმე ყოველთვის გამომდის. ერთადერთი ოცნება ვერ ავისრულე – ეს არის ფეხბურთელობა. ჩემი მეგობრები, რომლებთან ერთადაც დავიწყე ფეხბურთის თამაში, ზოგი უკრაინაში თამაშობს, ზოგი – ესპანეთში და უკვე შემდგარი ფეხბურთელები არიან. ჩემთვის ვფიქრობ ხოლმე: მე რატომ არ ვარ ფეხბურთელი, რატომ არ ვთამაშობ არც ერთ გუნდში? ალბათ, იმიტომ, რომ საკმარისად არ მოვინდომე. დარწმუნებული ვარ, ახლაც კი, თუ ამ ყველაფერს თავს დავანებებ, რასაც აქ ვაკეთებ და წავალ სადმე, შევძლებ, დავუბრუნდე ამ სპორტს. ძნელია, იმ ყველაფერზე უარის თქმა, რისთვისაც ამდენი ვიშრომე. ფეხბურთელობა თუ არ გამომივა, შეიძლება, მწვრთნელობა შევძლო. არ მინდა, ფეხბურთს საბოლოოდ ჩამოვცილდე. ეს არის საქმე, რომელიც მე ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

მოამზადა სალომე გველესიანმა

# მეჩვიდმეტედან მეცხრამეტე საუკუნემდე ოსმალეთს 18 ქართველი დიდი ვეზირი, ანუ პრემიერ-მინისტრი ჰყავდა

**მეჩვიდმეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში, ოსმალეთის იმპერიაში ბევრი ქართველი აღზევდა, ზოგიერთმა მათგანმა კი დიდი ვაზირის (პრემიერ-მინისტრის) თანამდებობასაც მიაღწია. ყველა ეს ადამიანი, თავის დროზე, საქართველოდან იყო გატაცებული და მათი ცხოვრება უცხოეთში მონათა ბაზრიდან დაიწყო. ამ თემაზე გვესაუბრება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი ვახტანგ გურული.**

**– ბატონო ვახტანგ, როგორ მოხდა, რომ მონათა ბაზარზე გაყიდული ქართველი ყმაწვილები ოსმალეთის დიდი ვაზირები ხდებოდნენ?**

– გავრცელებულია მცდარი შეხედულება, თითქოს ოსმალეთი იყო ჩამორჩენილი ქვეყანა. სინამდვილეში ოსმალეთის სულთნებმა გაატარეს ბევრი პროგრესული რეფორმა, რამაც სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლა გამოიწვია. მოვიყვან ერთ მაგალითს: ოსმალეთის სულთნის კარზე სპეციალურად უყრიდნენ თავს ქრისტიანული ქვეყნებიდან მოტაცებულ და მონათა ბაზარზე გაყიდულ ყმაწვილებს. ცხადია, მათ ამაჰმადიანებდნენ და აძლევდნენ საკმაოდ საფუძვლიან განათლებას, ხოლო რჩეულებს აწინაურებდნენ უმაღლეს პოლიტიკურ და სამხედრო თანამდებობებზე.

**– კი მაგრამ, ეროვნება არ ზღუდავდა სულთნის კარზე დაწინაურებას?**

– თუ ქრისტიანი – ქართველი ან სხვა რომელიმე ეროვნების წარმომადგენელი – ისლამის აღმსარებელი გახდებოდა, ის უკვე ოსმალოდ ითვლებოდა და არანაირი შეფერხება მის კარიერას არ ემუქრებოდა. ოსმალეთში არ არსებობდა ძირძველი არისტოკრატია. იმ პერიოდის ბევრ ქვეყანაში უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე ჯერ კიდევ მხოლოდ და მხოლოდ არისტოკრატიის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ და, ცხადია, ეს განაპირობებდა იმას, რომ ხშირად მეტად მნიშვნელოვან თანამდებობაზე შეუფერებელი, ზოგჯერ უღირსი პიროვნება აღმოჩნდებოდა ხოლმე. ოსმალეთში დაკანონებულმა ზემოხსენებულმა წესმა გამოიწვია ის, რომ სახელმწიფო თანამდებობების, მათ შორის დიდი ვაზირის თანამდებობის დასაკავებლად, გზა გაეხსნა ბევრ ნიჭიერ და ღირსეულ ადამიანს.



**პეტრე პირველმა არ იცოდა, რომ ოსმალეთის ჯარების სარდალი ალა-იუსუფ ფაშა ქართველი იყო, ისევე, როგორც ალა-იუსუფ ფაშას არ ეცოდინებოდა, რომ რუსეთის მეფის ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფდა**

**– რას წარმოადგენდა დიდი ვაზირის თანამდებობა თავისი არსით?**

– დიდი ვაზირი იყო ოსმალეთის პრემიერ-მინისტრი, ანუ, მთავრობის თავმჯდომარე. დიდი ვაზირი სულთნის შემდეგ პირველი კაცი იყო სახელმწიფოში, რომელიც ქვეყანას სულთნის სახელით განაგებდა. ყველა მინისტრი და გუბერნატორი (ვალი) მას ემორჩილებოდა. ომის დროს დიდი ვაზირი ჯარის მთავარსარდლის ფუნქციასაც ითავსებდა.

**– თუ არის ცნობილი, რამდენმა ქართველმა მიაღწია ოსმალეთში დიდი ვაზირის თანამდებობას?**

– მეჩვიდმეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში ოსმალეთის სულთნების მიერ, სხვადასხვა დროს, 18 ქართველი იყო დანიშნული დიდი ვაზირის თანამდებობაზე, თუმცა, გამოთქმულია საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამავე პერიოდში კიდევ რამდენიმე ქართველმა მიაღწია ამ თანამდებობას.

**– ვინ იყო პირველი ქართველი დიდი ვაზირი ოსმალეთის სულთნის კარზე?**

– როგორც თავის დროზე ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, პროფესორმა ოთარ გიგინეიშვილმა დაადგინა, პირველი ქართველი დიდი ვაზირი იყო ჰადიმ-მეჰმედ ფაშა. იგი სულთანმა დიდ ვაზირად დანიშნა 1622-1623 წლებში. საინტერესოა, რომ ბოლო ქართველი დიდი ვაზირი იყო მაჰმუდ-ნედიმ ფაშა. ის დიდი ვაზირი იყო 1871-1872 წლებში. აღსანიშნავია, რომ მაჰმუდ-ნედიმ ფაშა 1875-1876 წლებში მეორედაც იყო დიდ ვაზირი.

**– თუ არის ცნობილი დანარჩენი 16 ქართველი დიდი ვაზირის ვინაობა?**

– ოსმალეთის სულთნის კარზე ქართველი დიდი ვაზირები იყვნენ: მელექ-აჰმედ ფაშა, სიაუშ ფაშა, გურჯი-მეჰმედ ფაშა, იფშირ-მუსტაფა ფაშა, ქეპრიულიუ-დამადი სიაუშ ფაშა, ალა-იუსუფ ფაშა, სილახდარ-სულეიმან ფაშა, ისმაილ ფაშა, მეჰმედ-საიდ ფაშა, ხაზინედარ შაჰინ ალი ფაშა, ხოჯა იუსუფ ფაშა, კოჩ-იუსუფ-ზიაუდდინ ფაშა, ლაზ-აჰმედ ჰაშა, ჰურშიდ-აჰმედ ფაშა, რეშიდ მეჰმედ ფაშა, ხოჯა-ჰუსეინ მეჰმედ ფაშა.

**– უფრო დაწვრილებით გვიამბეთ რამდენიმე მათგანზე მაინც.**

– მელექ-აჰმედ ფაშა, გატაცებული ქართველი ყმაწვილი თურქეთში 1617 წელს ჩაიყვანეს. ის მაშინ 15 წლის იყო. იზრდებოდა ოსმალეთის სულთნის – აჰმედ პირველის კარზე. მელექ-აჰმედ ფაშა იყო რამდენიმე ვილაიეთის (გუბერნიის) ვალი (გუბერნატორი). ის დაქორწინებული გახლდათ სულთნის ქალიშვილზე, რის გამოც მიიღო „დამადის" (სულთნის სიძის) ტიტული. მელექ-აჰმედ ფაშა ოსმალეთის სულთანს, მურად მეოთხეს, თან ახლდა ირანის წინააღმდეგ ომებში. 1650 წელს სულთანმა ის დიდ ვაზირად დანიშნა. მელექ-აჰმედ ფაშამ რადიკალური ღონისძიებები გაატარა ხაზინიდან ფულის ქურდობის აღსაკვეთად, რის გამოც მის წინააღმდეგ საკმაოდ ძლიერი ოპოზიცია შეიქმნა. დიდი ვაზირი იძულებული გახდა, თანამდებობიდან გადამდგარიყო, თუმცა, მელექ-აჰმედ ფაშა ამის შემდეგაც აქტიურ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეობას ეწევა. იგი მონაწილეობდა ირანისა და ავსტრიის წინააღმდეგ ომებში.

ალა-იუსუფ ფაშა საქართველოდან გატაცების შემდეგ თურქეთის მონათა ბაზარზე გაყიდეს. მალე ის იანიჩართა ჯარში მოხვდა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი, იანიჩართა ჯარის სარდალიც გახდა. 1711 წელს სულთანმა იგი დიდ ვაზირად დანიშნა. 1711-1713 წლებში ალა-იუსუფ ფაშა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალი იყო. ამ დროს პეტრე პირველი ბალკანეთში შეჭრას ცდილობდა. რუსები დამარცხდნენ და პეტრე პირველი თავისი შტაბით ალყაში აღმოჩნდა. რუსების დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანა მთავარსარდალმა ალა-იუსუფ ფაშამ. მოულოდნელად ოსმალებმა პეტრე პირველს გზა გაუხსნეს რუსეთის საზღვრებისკენ. მაშინ გავრცელდა ხმები, რომ პეტრე პირველმა ალყას დიდი რაოდენობით ქრთამის გაღების ფასად დააღწია თავი. ალბათ, პეტრე პირველმა არ იცოდა, რომ ოსმალეთის ჯარების სარდალი ალა-იუსუფ ფაშა ქართველი იყო, ისევე, როგორც ალა-იუსუფ ფაშას არ ეცოდინებოდა, რომ რუსეთის მეფის ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფდა.

**ინგლისის დაზვერვამ სტამბულში გაავრცელა ხმები, რომ დიდი ვეზირი რუსეთის აგენტი იყო და კავშირი ჰქონდა რუსეთის ელჩთან – იგნატიევთან. საბოლოოდ, ინგლისმა მიაღწია იმას, რომ სულთანმა მაჰმუდ-ნედიმ ფაშა თანამდებობიდან გადააყენა**

საინტერესოა, კოჩ-იუსუფ-ზიაუდდინ ფაშას ბიოგრაფიაც. ის დიდი ვაზირი იყო 1798-1805 და 1809-1811 წლებში. კოჩ-იუსუფ-ზიაუდდინ ფაშა საქართველოდან გატაცების შემდეგ თურქეთის მონათა ბაზარზე გაყიდეს. სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობის შემდეგ, 1798 წელს, ის ერზრუმის ვალად დაინიშნა. ეს იმ დროს მოხდა, როცა ნაპოლეონ ბონაპარტემ ეგვიპტის დაპყრობა დაიწყო, რომელიც იმხანად ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა. ნაპოლეონმა თურქეთის არმია სასტიკად დაამარცხა. სწორედ ამ კრიტიკულ ვითარებაში დანიშნა სულთანმა დიდ ვაზირად კოჩ-იუსუფ-ზიაუდდინ ფაშა, რომელიც ეგვიპტეში გაემგზავრა და ოსმალეთის არმიას ჩაუდგა სათავეში. მან რამდენიმე მარცხი აგემა ფრანგებს, თუმცა, საბოლოოდ მაინც დამარცხდა. ომის დასრულების შემდეგ დიდი ვაზირი სტამბულში დაბრუნდა და მალე თანამდებობიდანაც გადადგა. ამის შემდეგ ტახტზე ადის ახალი სულთანი – მაჰმუდ მეორე, რომელმაც კოჩ-იუსუფ-ზიაუდდინ ფაშა ისევ დიდი ვაზირის თანამდებობაზე დანიშნა. შემდგომ წლებში კოჩ-იუსუფ-ზიაუდდინ ფაშას რამდენიმე მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა, თუმცა, საბოლოოდ, სულთნისგან შერისხულმა, სიცოცხლე გადასახლებაში დაასრულა. კოჩ-იუსუფ-ზიაუდდინ ფაშა ოსმალეთში ცნობილი იყო როგორც თავისი დროის უგანათლებულესი ადამიანი, წერდა ლექსებს.

დიდი ვაზირი მაჰმუდ ნედიმ ფაშა 1867 წელს საზღვაო მინისტრი გახდა. იგი ამ დროისთვის უკვე ცნობილი პოეტი იყო. 1871 წელს სულთანმა ის დიდ ვაზირად დანიშნა. ეს ის პერიოდია, როდესაც ოსმალეთში გავლენის მოსაპოვებლად ერთმანეთს ებრძვიან ინგლისი და რუსეთი. მაჰმუდ ნედიმ ფაშა პრორუსული ორიენტაციისა იყო და სულთნის კარზე ინგლისის გავლენის შეზღუდვისთვის იბრძოდა. ინგლისის დაზვერვამ სტამბულში გაავრცელა ხმები, რომ დიდი ვაზირი რუსეთის აგენტი იყო და კავშირი ჰქონდა რუსეთის ელჩთან – იგნატიევთან. საბოლოოდ, ინგლისმა მიაღწია იმას, რომ სულთანმა მაჰმუდ ნედიმ ფაშა თანამდებობიდან გადააყენა. მიუხედავად ამისა, მალე მაჰმუდ ნედიმ ფაშა ოსმალეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გახდა, 1875 წელს კი მეორედ დაინიშნა დიდ ვაზირად. ინგლისის დაზვერვის ძალისხმევით, ეს თანამდებობა მან მალევე დატოვა, თუმცა, სულთანმა აბდულ-ჰამიდ მეორემ იგი კვლავ გამოარჩია და შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა.

სამწუხაროდ, ოსმალურმა წყაროებმა ქართველი დიდი ვაზირების ბიოგრაფიიდან საქართველოსთან დაკავშირებული ცნობები არ შემოგვინახა, ისევე, როგორც მათი ქართული სახელები.

**ეკა სალაღაია**

# როგორ აღნიშნავდნენ მეფე და დიდებულები აღდგომის დღესასწაულს

*ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ტრადიციები იცვლება, შესაბამისად, ზოგი იკარგება, ზოგიც – ტრანსფორმირდება, ასევე, ჩნდება ახალ-ახალი ტრადიციები. ჩვენს რუბრიკაში სააღდგომო ტრადიციებზე გვესაუბრება პროფესორი, ისტორიის დოქტორი* ***როზეტა გუჯეჯიანი.***

**როზეტა გუჯეჯიანი**: სააღდგომო დღესასწაულთან დაკავშირებული რიტუალები და რწმენა-წარმოდგენები მხოლოდ აღდგომის დღით არ შემოიფარგლება. დიდმარხვის დაწყებიდან მოყოლებული, საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში გულმოდგინედ ემზადებოდნენ აღდგომის დღესასწაულისთვის. შემონახულია საისტორიო წყარო – ვახუშტი ბატონიშვილის მასალა, რომელშიც აღწერილია სამეფო კარის მიერ აღდგომის საზეიმოდ აღნიშვნის ტრადიცია, რომლის თანახმადაც, საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ, მეფე და დიდებულნი გაიხსნილებდნენ და შემდგომ იმართებოდა ყაბახი.

**– რა ხდებოდა ყაბახზე?**

– ყაბახი, როგორც წესი, იმართებოდა თბილისში. როგორც ამბობენ, დღევანდელი ქაშუეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაიდგმებოდა ოქროს ან ვერცხლის თასი და თავადიშვილები მართავდნენ შეჯიბრებას ისრით სროლაში. გამარჯვებულს აჯილდოებდნენ მის მიერვე ჩამოგდებული თასით. შემდგომ იმართებოდა ბურთაობა, ბოლოს კი ყველაფერი მთავრდებოდა ნადიმით, რომელსაც ახლდა გალობანი და სახიობანი.

**– ასე ზეიმობდნენ სამეფო კარზე, მაგრამ, რიგითი მოსახლეობა როგორ აღნიშნავდა აღდგომის დღესასწაულს?**

– სვანეთში შუაღამისას მთელი მოსახლეობა დაიძრებოდა მთავრი ეკლესიისკენ და იქ ესწრებოდნენ საზეიმო წირვას, დილით კი გადიოდნენ სასაფლაოზე. სადაც წინასწარ, ყოველ საფლავზე, დანთებული იყო თითო სანთელი და იქვე, ტაბლაზე, გაშლილი იყო საკურთხი. დილით, წირვის შემდეგ, მღვდელი აკურთხებდა ტაბლებს და ხალხი ამის შემდეგ გაიხსნილებდა. ამის შემდგომ იმართებოდა საერთო ტრაპეზი სოფლის შუაგულში, სასოფლო მოედანზე, ეკლესიის მიმდებარედ. აქვე სრულდებოდა ძალიან საინტერესო ხალხური საგალობლები: – სვანური „ქრისტე აღსგა”, „ქრისდეშ” და „ცხავ ქრისდეშ”. დღეობის შემდეგ იმართებოდა სპორტული ასპარეზობანი, რომლებიც როგორც წესი, სამხედრო-საწესო ელემენტებს შეიცავდა: იმართებოდა დოღი, ისრის სროლა, ჭიდაობა და ასე შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ გურიაში არსებობდა აღდგომის დღეს ლელო-ბურთის თამაშის წესი და ეს ტრადიცია დღესაც ცოცხალია, მაგალითად, სოფელ შუხუთში. აღდგომისთვის გურიაში სპეციალურად იკერავდნენ ახალ ტანსაცმელს. ყველაფერს მოიკლებდნენ, მაგრამ, ამ დღეს აუცილებლად ახალი სამოსით უნდა გასულიყვნენ ეკლესიაში.

რაც შეეხება სამეგრელოს, აქ არსებობდა ტრადიცია სააღდგომოდ სპეციალური ქვევრის (ლაგვანის) გამოყოფისა, რომელთანაც სპეციალურ ლოცვას აღავლენდა ოჯახის უფროსი მამაკაცი და იქვე შესწირავდა ბატკანს ან გოჭს.

ხევში სააღდგომოდ, წირვის შემდეგ, იმართებოდა ნიშანში სროლა და გამარჯვებული ჯილდოს შესწირავდა ეკლესიას ან შესაბამის თანხას მოახმარდა სოფლის საჭიროებას.

ხევსურეთში აღდგომას – „ახვსებას“ უწოდებდნენ; თუ რატომ, ამაზე აზრთა სხვადასხვაობაა: ალბათ, იმიტომ, რომ ქრისტეს აღდგომის მადლით, სინათლით ივსება მთელი დედამიწა სწორედ ამ დღეს. ხევსურები ადიოდნენ თავთავიანთ ხატში და იქ აღნიშნავდნენ „ახვსებას“.

**– გარდა ხევსურეთისა, სხვა მხარეებში თუ არსებობდა აღდგომის აღმნიშვნელი სინონიმური ფორმები?**

– დიახ, არსებობდა. მაგალითად, სვანეთში აღგომას „თანაფს” უწოდებენ, სამეგრელოში – „თანაფას”. აუცილებელი ელემენტი სააღდგომო ტრადიციებისა იყო ჭონა.



**ხევში სააღდგომოდ, წირვის შემდეგ, იმართებოდა ნიშანში სროლა და გამარჯვებული ჯილდოს შესწირავდა ეკლესიას, ან, შესაბამის თანხას მოახმარდა სოფლის საჭიროებას**

**– ჭონაზე რა ხდებოდა?**

– აღდგომას, თანასოფლელთა ერთი ჯგუფი – მეჭონეები, კარდაკარ ჩამოივლიდნენ მთელ სოფელს, ასრულებდნენ სააღდგომო სიმღერებს და ყოველ ოჯახს აღდგომას ულოცავდნენ. დიასახლისები მათ სურსათ-სანოვაგითა და ტკბილეულით ასაჩუქრებდნენ. შეგროვილი ხორაგით კი საღამოს საერთო ლხინი იმართებოდა.

**– როგორი იყო სააღდგომო სუფრა?**

– სააღდგომო სადღესასწაულო სუფრა მრავალფეროვანი იყო და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში თავისებურებებით გამოირჩეოდა, მაგრამ, ყველგან აუცილებელი იყო წითლად შეღებილი კვერცხები და სააღდგომო ქადები, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან სააღდგომო პასქის უნივერსალურმა ფორმამ შეცვალა. ამის გამო ბევრი ტადიციული ქადის ნაირსახეობა დაიკარგა, მაგრამ, დღემდე ცოცხალია გურული საშობაო და სააღდგომო ღვეზელის ცხობის ტრადიცია; რაჭაში ამ დღისთვის მზადდებოდა ხორბლის ფაფა, აცხობდნენ კეცეულებსა და განატეხებს; თუშეთში – კოტორებს. სუფრაზე აუცილებელი იყო ბატკნის ან გოჭის, ზოგან კი მშრალად მოხარშული ღორის ბარკალი, ასევე, ხილი და წითელი ღვინო აუცილებლად.

**– კვერცხი, ტრადიციულად, ენდროთი იღებებოდა?**

– კვერცხი ბუნებრივი საღებავებით იღებებოდა: ენდროთი, ხახვის ფურცლებით. მეცხრამეტე საუკუნის პრესის მიხედვით, საღებავს „ჭიაფერა“ ეწოდებოდა.

აღსანიშნავია, რომ სააღდგომო ზარ-ზეიმი გრძელდებოდა მთელი კვირის განმავლობაში და დიდი მასშტაბურობით სრულდებოდა კვირაცხოვლობის დღესასწაულით. ამ დღეს სამეგრელოში „დიდ თანაფას“, ანუ, გათენებას, ღამისთევას უწოდებდნენ, სვანეთში – უფლიშს, უფლის დღეს. ამასთან დაკავშირებით სვანეთში მეტად საინტერესო ტრადიცია არსებობდა: კვირაცხოვლობის დღესასწაულისთვის მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ. ყოველი სოფელი გამოარჩევდა ერთ საუკეთესო ბუღას, რომელსაც საგულდაგულოდ უვლიდნენ, თაფლიან წყალს ასმევდნენ, მოხარშულ ქერს აჭმევდნენ და ამზადებდნენ სპორტული ასპარეზობისთვის. კვირაცხოვლობის საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ, სასოფლო მოედანზე იმართებოდა ამ ბუღების ჭიდილი. ეს ტრადიცია არსებობდა აჭარაშიც, სადაც მას „ბუღიების ჭედობა“ ეწოდებოდა. საგულისხმოა, რომ ბუღების ჭიდაობის ტრადიცია დღესაც ცოცხალია ისტორიულ ტაოკლარჯეთში, თანამედროვე ართვინის ვილაიეთში.

**– ქართველებით დასახლებულ, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ სხვა მხარეებში თუ შემორჩა სააღდგომო ტრადიციები?**

– ცნობილია, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოქცეულ ქართველთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეთნიკური იდენტობის აქტუალიზაციის პრობლემას. მოსე ჯანაშვილის თანახმად, აღდგომის დღეს, მამლის ყივილისას, მოსახლეობა პირს იხსნილებდა ღორის ხორცით – გაღეჭავდნენ ერთ ნამცეც ღორის ხორცს, გადმოაფურთხებდნენ და იტყოდნენ: „ლეკო, დაგკეჩე” (ანუ – ლეკო, დაგღეჭე, მოგერიე, დაგამარცხეო), შემდეგ იმოსებოდნენ ახალი ტანსაცმლით და სახლის აღმოსავლეთ კუთხეში ლოცვას აღავლენდნენ შემდეგი სიტყვებით: „ღმერთო და ქურმუხის საყდარო, გახსნილებას (აღდგომას) მუდამ დაგვასწარი”. შემდეგ კლავდნენ საღვთო ყოჩს, ბატკანს, დაალაგებდნენ სანოვაგეს ხონჩაზე და მიდიოდნენ თავიანთ უმოქმედო, ნახევრად დანგრეულ საყდრებში სალოცავად. ბოლოს, წითელი კვერცხებითა და სასმელ-საჭმლით გადიოდნენ სასაფლაოზე.

რაც შეეხება ფერეიდნელ ქართველებს, მათ შორისაც ბოლო დრომდე არსებობდა კვერცხების წითლად შეღებვის ტრადიცია.

**ეკა სალაღაია**

# სოსო პავლიაშვილის ბავშვობის მეგობრის მკვლელობაში მისი დის ქმარს ედება ბრალი

**(მე-15 გვერდიდან)**

– სოსო რომ ამბობს, ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინეს ჩემს სიძეზეო, ისეთი რა ზეწოლა უნდა მოახდინო რომ მეგობრის მკვლელობა დაიბრალო, ან ვის რაში სჭირდებოდა სოსოსთვის ამის დაბრალება? რა გითხრათ, სოსოც და მისი ადვოკატიც ამბობენ, სპორტის სასახლესთან შეხვდა ჩხაპელიას, რომელმაც გამოთქვა უკმაყოფილება „საქმის“ გაჭიანურების გამო. იანვარში, ერთ-ერთმა ბრალდებულმა – უბილავამ მოითხოვა პროკურორთან შეხვედრა და მის მიერ მიცემულ ჩვენებებს დაუმატა ახალი გარემოება – კერძოდ, მან თქვა, რომ, შემკვეთი თხოულობს: ამხელა ფულს რომ ვიხდი დროზე დაამთავრეთ. 24-ში (ნოემბერი) ეგ კაცი ერევანში არ უნდა ჩამოვიდესო. ამას ამბობს კაცი, რომელმაც რუსეთში მოიხადა სასჯელი იმაზე, რომ 2 კაცი ცემით მოკლა. თუ ახლა იმის ადვოკატიც იტყვის, რომ ზეწოლის ქვეშ აღიარა, გამოდის გუანტანამოში დაუკითხავთ.

**– ბოლოს როდის ელაპარაკეთ ადუაშვილს? რა გითხრათ, შეშფოთებული თუ ჩანდა რამეზე, ხომ არ ატყობდით, რომ რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ამბობდა, რაღაცას გიმალავდათ?**

– 23 ნოემბერს, გიორგობა მომილოცა. შუადღე იყო, მითხრა: – საღამოს დაგირეკავ და გიორგობა აღვნიშნოთ სადმე, ან ხვალ დილით ერევანში მივფრინავ და იქიდან რომ დავბრუნდები, მერე შევხვდეთო. მაგარ ხასიათზე იყო.

**– სოსო, თავის ინტერვიუებში, რომელიც გავრცელდა სოციალურ ქსელებში, აღნიშნავს, რომ ყოველთვის ეხმარებოდა ავთოს და ახლაც გვერდში უდგას მის ოჯახს.**

– სასაცილოა, მთელი ცხოვრება იქით იყო დასახმარებელი. ის, რასაც დახმარებას ეძახის, ავთოს კუთვნილი ბიზნესთანხებია, რომელსაც ახლა უგზავნის ოჯახს.

**– როგორ ფიქრობთ, ექნება კითხვები გამოძიებას პავლიაშვილთან?**

– მე არ ვიცი, კიდევ ვის კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა სოსო პავლიაშვილს, მაგრამ ჩვენს კითხვებზე კი ნამდვილად მოუწევს. ძმაკაცის მკვლელობას რომ დააბრალებენ, კამჩატკიდან ფეხით ჩამოვა მართალი კაცი. ამას წინათ „იუთუბ-ზე“ ***(Сосо Павлиашвили – ПРОСТО)*** ვნახე სოსოს ინტერვიუ, სადაც ხალხს თავის მაგალითზე ცხოვრებას „ასწავლის:. ჟურნალისტის ერთ-ერთ შეკითხვაზე პასუხობს: ...საქმე ის კი არ არის, ვიღაცას ყბა მოსტეხო – ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენ ჩემზე ძლიერი ხარ. ძალა სიმართლეშია – დღეს შენ ძლიერი მუშტი გაქვს? ხვალ მე გადავუხდი ორას დოლარს ვიღაცას, კიდევ უფრო ძლიერს და ის გაგიტეხავს თავს ისე, რომ, მე ხელსაც არ გავისვრი...“

**ეკა პატარაია**

**მომღერალმა დათო ხუჯაძემ რუსულ შოუ-ბიზნესში უკვე წლებია, თავი დაიმკვიდრა და უამრავი გულშემატკივარიც გაიჩინა. დათო ცოტა ხნის წინ თბილისში ჩამოვიდა და აქ 8 მაისამდე დარჩება. მისი ინტერვიუდან მკითხველი ბევრ საინტერესოსა და ახალს შეიტყობს, რადგან ჩვენი რესპონდენტის ცხოვრება ბოლო დროს მხოლოდ მუსიკით აღარ შემოიფარგლება.**

# რატომ არ ხიბლავს დათო ხუჯაძეს ღამის ცხოვრება და ვინ გადაკეტა მის გამო შვედეთის უდიდესი ხიდი

**– დათო, ბოლო დროს თბილისში მოუხშირე ჩამოსვლას. რა არის ამის მიზეზი?**

– საქართველოში ხშირად ჩამოვდივარ, უბრალოდ, შეიძლება ხალხისთვის არ იყოს ეს ცნობილი. ვჩერდები ერთ კვირამდე და მერე ისევ მოსკოვში ვბრუნდები. ამჯერად საყოფაცხოვრებო საქმის გამო ვარ ჩამოსული, ასე ვთქვათ, რემონტი გვაქვს სახლში. ორ კვირაში რომ უნდა დასრულებულიყო, თითქმის ერთი თვე გავიდა უკვე, როგორც ხდება ამ დროს, ხომ იცი. ამას გარდა, ჩემი ჩამოსვლის მთავარი მიზეზი საქველმოქმედო ფონდის, „თამარიონის" დაფუძნებაა. „თამარიონი" უნარშეზღუდულთა ფონდია. აქცენტი ძირითადად გვინდა გავაკეთოთ ჰემოფილიითა და C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების დახმარებაზე. ჩემი აზრით, სერიოზული არაფერი კეთდება მათ დასახმარებლად. მინდა, საყოფაცხოვრებო პირობები გააუმჯობესოს მათ ჩემმა ფონდმა, ისინიც ხომ ისეთივე სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან ამ ქვეყნის, როგორც ყველა. ამჯერად ვმუშაობთ, რომ 14 ივნისი, რომელიც ინვალიდთა საერთაშორისო დღეა, დავაფუძნოთ საქართველოშიც და აქაც აღინიშნოს ყოველწლიურად.



**ბოლო დროს ყოველთვის ვცდილობ, გავაკეთო ის, რა ხასიათზეც იმ მომენტშიც ვარ**

**– შენ მიერ დაარსებული ფონდი როგორ ახერხებს ამ ყველაფრისთვის თანხების მოძიებას?**

– ჯერ ახალი ჩამოყალიბებულია და იმედი მაქვს, არაერთი ადამიანი შემომიერთდება, ხომ გაგიგონიათ, მარტო კაცი ჭამაშიც კი ცოდოაო. თან, არც ისეთი დიდი ფინანსების პატრონი ვარ, მარტო შევეჭიდო ამ საქმეს. იმედია, არაერთი მეცენატი შემომიერთდება და ადამიანურად გვერდში დამიდგება, რადგან ამ საქმეს ერთი ადამიანი კი არა, გუნდური მუშაობა სჭირდება.

**– რაც შეეხება მუსიკალურ კარიერას. გასულ წელს ჟანრი შეიცვალე...**

– ალბათ, იმას გულისხმობ, დენსი რომ ჩავწერე. მაგის მერე ნელი სიმღერაც ვიმღერე. ასე რომ, სხვადასხვა ჟანრის სიმღერების შესრულებასთან პრობლემა არასდროს მქონია, პირიქით, ძალიან არ მინდა, რომ ერთ სტილში ვიმღერო. ამიტომაც არის მრავალფეროვანი ჩემი მუსიკალური შემოქმედება – ხან რას ვმღერი და ხან რას. არ მომწონს ის ფაქტი, როცა მომღერალი რამე კარგ ჰიტს ჩაწერს, სხვა სიმღერები კი მასზე უარესია, მაგრამ სტილისტურად იგივე. მე მიყვარს მუსიკა და არა სტილი. კარგი მელოდია ყოველთვის კარგია, არ აქვს მნიშვნელობა აზიური იქნება ის თუ ევროპული, რადგან კარგს ნაციონალური საზღვრები არ აქვს. აქედან გამომდინარე, ბოლო დროს ყოველთვის ვცდილობ, გავაკეთო ის, რა ხასიათზეც იმ მომენტში ვარ.

**– შენი კლიპების უმეტესობა შვედეთშია გადაღებული. ერთ-ერთი კლიპის გადაღებისას, მახსოვს, ყველაზე გრძელი ხიდიც კი გადაკეტეთ გადაღების გამო.**

– მიმაჩნია, რომ კარგი თონის პური თონეში უნდა გამოცხვეს და არა ღუმელში. ასეა კლიპის შემთხვევაშიც. რაც შეეხება ხიდის გადაკეტვას, იქაურმა მერიამ ძალიან დიდი პატივი გვცა.

**– მოკლედ, შვედეთში დიდი პოპულარობით სარგებლობ, როგორც ჩანს.**

– კი, ასეა. ხიდის გადაკეტვასთან დაკავშირებით, ნიუსიც კი გაკეთდა შვედურ ტელევიზიაში. გადაიკეტა ხიდი, მე კი ამ დროს შუა ხიდზე საწოლში ვიწექი.

**– ბევრი მომღერლისგან განსხვავებით, გაქვს ყველა პირობა, რაც მუსიკოსს სჭირდება – საკუთარი ხმის ჩამწერი სტუდია, სიმღერის ტექსტსა და მუსიკასაც თავადვე წერ.**

– საკმაოდ სერიოზული ხმის ჩამწერი სტუდია მაქვს უკვე მე-7 წელია. რაც მუსიკოსს სჭირდება, იქ იმაზე გაცილებით მეტი აპარატურა დგას. ჩემს სიმღერებზე რომ არაფერი ვთქვა, სხვა მუსიკოსებისთვის 5 ალბომი გვაქვს იქ ჩაწერილი. მუსიკოსს სტუდია აუცილებლად უნდა ჰქონდეს, თუნდაც იმის მეოთხედი, რაც ჩვენ გვაქვს.

**– რუსულ შოუ-ბიზნესში რომ დიდი პოპულარობით სარგებლობ, შენს კონცერტებზე მოსული ხალხის რაოდენობაც მეტყველებს. იმდენად დიდია ბაზარი, რომ იქ თავის დამკვიდრება ძალიან ძნელია.**

– თავის დამკვიდრება რუსულ შოუ-ბიზნესში მართლა ძალიან ძნელია. თუ ეს შეძელი, ხომ კარგი. მე პირადად, სწორედ რუსეთიდან გავედი, პრინციპში, უკრაინაში, ყაზახეთში, შუა აზიაში, ერევანში, აზერბაიჯანში, ისევე როგორც ევროპასა და ამერიკაში. რუსეთში დიდი ბაზარია და ინფორმაციაც მეტი გადის ქვეყნიდან. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ ასეთი რამ არ არის.

**– რადიო და ტელეეთერში დათო ხუჯაძის სიმღერების დეფიციტი ნამდვილად არ არის რუსეთში. ჰიტათეულის ლიდერ პოზიციას იკავებ ხშირ შემთხვევაში, რაც ძალიან კარგია.**

– კი ასეა. იმასაც გეტყვი, რომ „რადიო ჯაზის" ეთერში ქართული სიმღერა მივიტანე, ჯანსუღ კახიძის მუხამბაზი – „შენ დაგეძებ დილაა თუ ბინდია," რომელიც 3 კვირის განმავლობაში პირველ ადგილზე იყო.

**– ბევრი მომღერლისგან განსხვავებით, არ ხარ ღამის ცხოვრების მოყვარული.**

– მქონდა პერიოდი, როცა „ტუსოვკებზე" სიარული მსიამოვნებდა, მაგრამ ახლა ამას ვეღარ ვიტყვი. ბოლოს ყველაფერი გბეზრდება და ყელში ამოგდის. მირჩევნია, სადმე ცივილურ ადგილას დავჯდე რამდენიმე ადამიანთან ერთად. კარგი დროის გასატარებლად ხმაური საერთოდ არ არის საჭირო. მშვიდ და წყნარ ცხოვრებას არაფერი ჯობია.

**– ჯგუფებს „სახესა" და „ფლეშს" შენს ცხოვრებაში, ალბათ, მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.**

– სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე ვერავინ შეძლო, „სახე" და „ფლეში" დაეჩრდილა.

**– სპორტის სასახლეს ისე ავსებდით, ხალხი გარეთ რჩებოდა.**

– სპორტის სასახლე, სხვათა შორის, მეც მაქვს ორჯერ გავსებული, ამას ნუ დამიკარგავთ. ძალიან მაგარი დრო იყო.

**– ტელევიზიასთან საკმაოდ ახლო შეხება გაქვს სხვა მხრივაც, რაც ჩვენმა მკითხველმა არ იცის.**

– მოსკოვში მე და ჩემი პროდიუსერი – გელა გოგოხია, მუსიკალური არხის პროდიუსერებიც ვართ. გელა მთავარი პროდიუსერია, მე კი – მუსიკალური. ეს არის „bridge TV" და „Rusong TV." ამ 2 არხს კიდევ დაემატა „Deng TV", ანუ საცეკვაო მუსიკა, ერთი თვის წინ გავუშვით ტესტის რეჟიმში. ყველაზე ძლიერი არხი, რომელიც ჰოლდინგში გვაქვს, ეს არის

**ხიდის გადაკეტვასთან დაკავშირებით ნიუსიც კი გაკეთდა შვედურ ტელევიზიაში. გადაიკეტა ხიდი, მე კი ამ დროს შუა ხიდზე საწოლში ვიწექი**

„RTG," რომელიც დისქავერის ანალოგია. ამ შემთხვევაში მისი ჩვენება მხოლოდ რუსეთისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ნაწილშია.

**– იმდენი რამ ჩამოთვალე, დათო, რომ ბოლოს, ალბათ, სიმღერისთვისაც აღარ დაგრჩება დრო. თემას გადავუხვევ და პირადზე გკითხავ. გასულ წელს მეუღლეს დაშორდი. ეს ნამდვილად საწყენია. თუმცა, ალბათ, დათო ხუჯაძის თაყვანისმცემლებს გაუხარდათ კიდეც, რადგან წარმოსახვაში გზა შენკენ ხსნილია. კვლავ სასურველი სასიძო ხარ.**

– რამდენად სასურველი, არ ვიცი, მაგრამ საცოლე ბიჭი ნამდვილად ვარ.

**– რამე ხომ არ ხდება შენს ცხოვრებაში?**

– ჯერჯერობით ნამდვილად არაფერი.

**– ანუ, დათოს გული თავისუფალია, რაც კიდევ ერთი იმედია, შენი თაყვანისმცემლებისთვის.**

– იმედი არ დაგვიკარგოს ღმერთმა, მეც და ჩემზე შეყვარებულ მანდილოსნებსაც.

**მარიკა ხიდურელი**

**24 წლის პროფესიონალი მუსიკოსი, მომღერალი, საკმაოდ ხალისიანი და ენაწყლიანი რესპონდენტი, მიხეილ კილაძე, 18 წლამდე ბათუმში იზრდებოდა, მერე კი ოჯახთან ერთად, ოდესაში გადავიდა საცხოვრებლად. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინული „ვოისის" ქასთინგებში ათეულ ათასობით მომღერალი მონაწილეობდა, ის და ოთო ნემსაძე, „ბრმა ქასთინგის" შემდეგ, სვიატოსლავ ვაკარჩუკის ჯგუფში მოხვდნენ. თუმცა, რინგზე არ მოუწიათ ერთად დგომა და ახლა უკვე მაყურებელი გააკეთებს არჩევანს.**

# რაში იღებენ უკრაინულ „ვოისში" „ზაკაზებს" მიხეილ კილაძე და ოთო ნემსაძე და ვის უნდოდა რინგზე მათი ერთად დაყენება



**ოდესაში ჩემი განხრით, ანუ, როგორც დირიჟორს, მუსიკოსს მიცნობდნენ, განსაკუთრებით – მუსიკალურ წრეებში, მაგრამ, დღეს ამ პროექტმა უფრო მეტი პოპულარობა მომიტანა**

**მიხეილ კილაძე**: ბათუმში დავიბადე და 18 წელი იქ ვცხოვრობდი. დედა უკრაინელი მყავს. ბათუმში ცნობილი თეატრალურ-მუსიკალური სტუდიაა „ტიპ-ტოპი", რომელიც დღესაც განაგრძობს საქმიანობას და მე იქ სოლისტი ვიყავი. ბევრ სპექტაკლში მაქვს ნათამაშები სხვადასხვა როლი. ასევე, მონაწილეობას ვიღებდი საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსებში, ვმღეროდი ვაჟთა გუნდში, რომელიც რამინ მიქაბერიძემ დააარსა. გარდა ამისა, ჩემი ოჯახის წევრები პროფესიონალი მუსიკოსები არიან: ბაბუა – მიშა კილაძე, ცნობილი ლოტბარი, დირიჟორი იყო; ბებია – აჭარის ეროვნული ანსამბლის სოლისტი, მამა და მამიდა – მუსიკოსები; დიდი ბაბუა – ფოლკლორისტი. ბებია 87 წლის არის და დღესაც ბევრ რამეს მიყვება. თურმე, დაახლოებით 1945-1947 წლებში, უკრაინაში, რუსეთში, ეგვიპტეში გასტროლებით დადიოდნენ. ერთხელ, მახსოვს, მომიყვა: უკრაინაში ჩავდიოდით ყველა სოფელში, ხალხი ყანაში მუშაობდა. შუა ყანაში იმპროვიზებული სცენა კეთდებოდა. საღამოს, ყველა რომ მორჩებოდა თავის საქმეს, მოდიოდნენ... ჩვენ ქართულად ვმღეროდით, ბაბუას კი უკრაინულ ენაზე მიჰყავდა კონცერტები და უკრაინელები გიჟდებოდნენო.

როგორც მეუბნებიან, 2 წლის ასაკში უკვე ვმღეროდი, თან, ისე, რომ სხვა ხმებზე არ გადავდიოდი. მამას თავისი ჯგუფი ჰყავდა „ლაბირინთი", ძალიან წარმატებულად გამოდიოდნენ. ერთ-ერთ კონკურსში „მაშინა ვრემენისთან" ერთად აიღეს პირველი ადგილი. მოკლედ, კარგი სტარტი ჰქონდათ, მაგრამ, 90-იან წლებში, როცა ქვეყანაში ყველაფერი აირია, ის თავის ბენდთან ერთად წავიდა და ლაინერზე უკრავდა. მამა დღემდე მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაცურავს გემით და მღერის ბენდთან ერთად. დედაც ლაინერზე გაიცნო. როგორც მიყვებიან, როდესაც მამამ გადაწყვიტა, ლაინერით წასულიყო, დედაც ახალი მისული იყო – რესტორნის მეთვალყურეობა ევალებოდა. დედაჩემი შეუდრეკელი ქალია, მამამ ბევრი სდია და ბოლოს საქართველოში ცხოვრებაზეც კი დაითანხმა, მიუხედავად იმისა, რომ დედასთვის ეს არ იყო ადვილი. მაგრამ, გაგვზარდა მე და ჩემი უმცროსი ძმა და, მოგვიანებით უკვე ჩვენთან ერთად დაბრუნდა, სამშობლოში.

**– რა იყო შენი პირველი წარმატება?**

– ჯერ 5 წლისაც არ ვიყავი, მუსიკალურ სტუდიაში რომ შემიყვანეს. მალე ბათუმის დრამატულ თეატრში დაიდგა დიდი მუსიკალური სპექტაკლი – „რწყილი და ჭიანჭველა". გამოვედით სცენაზე. ასლანმაც შეამჩნია ჩვენი წარმატება და, მოკლედ, ეს დიდ მოვლენად იქცა ბათუმში. როგორც ამბობენ, კარგად ვიმღერე. 5 წლის ვიყავი მაშინ. ამის მერე საფეხურებრივად ვვითარდებოდი და ასევე მოდიოდა წარმატებებიც.

**– და, შემდეგ წახვედი უკრაინაში...**

– ეს იყო ჯოჯოხეთი. თავიდან კატეგორიულ უარზე ვიყავი და დიდი მადლობა დედას იმისთვის, რომ გამიძლო. კონსერვატორიაში 7 გამოცდა რომ ჩავაბარე, თან, ყველა უმაღლეს ქულაზე, ვიფიქრე, მერვე-მეცხრეში სპეციალურად ორიანებს მივიღებ, რომ გამომაგდონ და საქართველოში დავბრუნდე-მეთქი, რადგან ყველა და ყველაფერი მენატრებოდა. პირველი სამი თვე განსაკუთრებით მიჭირდა, მაგრამ, მერე მივეჩვიე და დღეს უკვე ძალიან კარგ გარემოში ვტრიალებ, კარგი მეგობრები მყავს. ბათუმელ მეგობრებთანაც ისევ მაქვს ურთიერთობა, მელოდებიან და, მეც ძალიან მენატრებიან. ძალიან მინდა, საქართველოში კონცერტით დავბრუნდე, მათაც მივაწვდინო ჩემი ხმა. რადგან, როდესაც შენს ქვეყანაში გეუბნებიან, კარგი ხარო, ეს უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე სხვა ქვეყანაში მიღებული შეფასება.

**– როგორც კი ჩახვედი უკრაინაში, მაშინვე ჩააბარე კონსერვატორიაში?**

– 26 ივნისს ჩამოვედი და 4 ივლისს კონსერვატორიაში დაიწყო მისაღები გამოცდები. საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე ჩავირიცხე, თან, „ბიუჯეტზე" – სტიპენდიაც მომცეს. ბაკალავრიატი და მაგისტრატურა წითელ დიპლომებზე დავამთავრე. რადგან საქართველოდან ჩამოვედი, მუსიკალური ქვეყნიდან, ოჯახი მქონდა, გარკვეული პასუხისმგებლობა და მოვალეობის გრძნობა ყველას მიმართ, ეს უფრო მეტ სტიმულს მაძლევდა. მეორე კურსიდან პედაგოგიური მოღვაწეობა დავიწყე. 18 წლის ასაკში ოდესის და, საერთოდ, უკრაინის ერთ-ერთი საუკეთესო სამუსიკო სკოლის ვოკალისა და თეორიის პედაგოგი ვიყავი, ბავშვებს ვასწავლიდი. მესამე კურსზე ჩემი სკოლა გავხსენი. არ მიყვარს თავის ქება, მაგრამ, ალბათ, დღეს ერთ-ერთ საუკეთესო პედაგოგად ვითვლები, რადგან, ღმერთის წყალობით, ყოველთვის იდგა ჩემთან რიგები. გარდა ამისა, ჩამოვაყალიბე ჩემი საესტრადო ჯგუფი, ნინო ქათამაძესთანაც ვიმღერეთ. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოში ჩამოვალთ ერთად. მოკლედ, აქტიურად ვამეცადინებ ბავშვებს და, პარალელურად, ვწერ მუსიკას. თუმცა, ჯერჯერობით ვერ დავაძალე საკუთარ თავს, რომ ჩემი დაწერილი მუსიკა კომერციაში გადავიტანო. თან, არ ვიცი, როგორ უნდა ვთქვა – ჩემი სიმღერა ამდენი ღირს-მეთქი... ახლა, „ვოისზე" რომ წავედი, ვფიქრობ, ჩემი მუსიკაც გავიტანო. ბოლოს სკოლის, გუნდის კონცერტებზე ჩემი დაწერილი სიმღერები ვიმღერეთ და ძალიან კარგი რეზონანსი მოჰყვა.

**როგორც მეუბნებიან, 2 წლის ასაკში უკვე ვმღეროდი, თან, ისე, რომ სხვა ხმებზე არ გადავდიოდი**

**– „ვოისის" მერე კიდევ უფრო პოპულარული გახდებოდი.**

– მაინცდამაინც არ მიყვარს პოპულარობა, მაგრამ, რაც „ვოისში" გამოვედი, უფრო პოპულარული გავხდი. თუმცა, ოდესაში ჩემი განხრით, ანუ, როგორც დირიჟორს, მუსიკოსს მიცნობდნენ, განსაკუთრებით – მუსიკალურ წრეებში, მაგრამ, დღეს ამ პროექტმა უფრო მეტი პოპულარობა მომიტანა. რამდენიმე დღეა, ვილაცეები მირეკავენ და მეკითხებიან: „შეიძლება თქვენი გაცნობა?" ოდესის ერთ-ერთმა სარეკლამო სააგენტომ ფოტოების ბილბორდზე გაკვრა შემომთავაზა.

**– რატომ გადაწყვიტე ამ პროექტში მონაწილეობა?**

– ცხოვრებაში არასდროს მიფიქრია ასეთ კონკურსში მონაწილეობაზე, მაგრამ, ჩემი დამხმარე გადამეკიდა, გინდა თუ არა, გაგზავნე შენი მონაცემებიო. რომ დავრეკეთ, ერთ საათში მთავრდებოდა მიღება. ანკეტაში ეწერა, რომ უნდა გაგვეგზავნა იმ სიმღერის აუდიოჩანაწერი, რაც ბოლოს ვიმღერეთ. ბოლოს ჯაზ-ორკესტრთან ერთად ვიმღერე, ვიდეოჩანაწერი იყო და აუდიოფაილი უნდა ამომეღო. 4 საათში დავამთავრეთ და გადავგზავნეთ, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. 3-4 დღეში რომ არ დარეკეს, ვიფიქრე, კარგად იყავით თქვენც და მეც-მეთქი. თურმე, კონკურსგარეშე მოუსმენიათ და ბოლო დღეს დამირეკეს მონაწილეობის მისაღებად. სლავასთან მინდოდა ძალიან და, მადლობა ღმერთს, რომ მოტრიალდა. თუმცა, მიმაჩნია, რომ „ბრმა ქასთინგზე" მოტრიალებები დადგმულია – ეს ჩემი სუბიექტური აზრია. მერე მოვიდნენ ჩემთან ზოგ-ზოგიერთები, მითხრეს: გვინდოდა შემობრუნება, მაგრამ, რაღაცამ შეგვიშალა ხელიო. სხვათა შორის, მე ვიყავი პირველი ქართველი, რომელიც იქ მოხვდა და მერე უკვე ოთო გავიდა, უბრალოდ, პირიქით დაამონტაჟეს. 5 დღე გრძელდებოდა ქასთინგები, მე მეორე დღეს ვიმღერე. არც ვიყავი დარწმუნებული, რომ ვინმე შემობრუნდებოდა, რადგან, როცა წინ სამი საკონკურსო დღე გაქვს, მაინც ფიქრობ: „იქნებ, უკეთესი მოვიდეს!" ყველა ამბობდა, რომ რინგზე მე და ოთო უნდა ვყოფილიყავით. მე არ მინდოდა. იმის გამო კი არა, რომ ვინმე სუსტია – ესეც დამოკიდებულია იმაზე, რა სიმღერას მოგვცემდნენ, – უბრალოდ, ორ ქართველს შორის ბრძოლა არ გამოვიდოდა. ვაკარჩუკის დამსახურებაა, რომ ერთად არ დაგვაყენეს, თორემ, ტელევიზია ამას იზამდა. თან, რეკლამები გადიოდა: „ორი ქართველი – ვინ გაიმარჯვებს, ვინ იქნება უფრო ძლიერი!" ახლა ოთხეულში ვართ და უკვე მაყურებელი ამოირჩევს. მე და ოთო დუეტს ვამზადებთ – „საქართველოო, ლამაზო" უნდა ვიმღეროთ. საერთოდ, ორი-სამი წუთი თუ გვაქვს თავისუფალი, სულ ქართულ სიმღერებს ვმღერით. ისე მოსწონთ, მერე „ზაკაზებს" ვიღებთ.

**– ახლა მითხარი, რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– ჯერჯერობით მაქსიმალურად კარიერაზე ვარ გადართული. შეყვარებული არ მყავს, ვარ მარტო და თავს კარგად ვგრძნობ. 24 საათი საქმეებში ვარ და სათანადო ყურადღებას ვერავის დავუთმობ, თუმცა, პრეტენდენტები მყავს. ბებია და მამიდა მეუბნებიან, ცოლად ქართველი მოიყვანეო. ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება, მთავარია, ერთმანეთს გავუგოთ. დედაჩემი ძალიან კარგად უგებს მამაჩემს და გემრიელ საცივსაც ამზადებს, ბევრ ქართველზე უკეთესად.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**სოკრატე**: სათნოება – ცოდნაა; ცოდნა კი არავის აქვს.

**სოფოკლე**: განა ბევრის თქმა და ბევრი ლაპარაკი ერთია?!

**ნოვალისი**: პოეტი უკეთ სწვდება ბუნებას, ვიდრე მეცნიერის გონება.

**ჰერაკლიტე**: სულის ბუნება ისე ღრმაა, რომ განსაზღვრებას არ ემორჩილება, რა გზითაც არ უნდა სცადო მისი ახსნა.

**იოსიაკი**: რა გამიჭირდა? არაფერი. რისთვის ვმუშაობ? მოგახსენებთ: ვმუშაობ იმისთვის, რომ არ გავმაიმუნდე და ისევ ხეზე ასვლა არ მომიხდეს.

**პლოტინი**: ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ თამაშის სახით. ყველა ამქვეყნიური საშინელება, სისხლისღვრა, ყველა ომი და ბრძოლა, ადამიანის მთელი ეს დაუცხრომელი სწრაფვა სიმდიდრის შეძენისა და ყოველდღიური კეთილდღეობისთვის, თავისთავად უაღრესად სასაცილოა.

**ნეველი**: ღმერთია არა ძალაში, არამედ სიმართლეში.

**სუვოროვი**: არასოდეს არ უნდა შეიძულო მოწინააღმდეგე, რანაირიც არ უნდა იყოს. კარგად შეისწავლე, რა იარაღი აქვს, როგორ იყენებს, რით არის მტერი ძლიერი და რაშია მისი სისუსტე.

**ლეონარდო და ვინჩი**: ფერწერა – ესაა პოეზია, რასაც ხედავენ, ხოლო პოეზიაა – ფერწერა, რომელსაც ისმენენ.

**რემარკი**: ქალი ან უნდა გააღმერთო, ან უნდა მიატოვო. სხვა ყველაფერი სიყალბეა.

**ავრელიუსი**: უსამართლობა არ არის ყოველთვის მოქმედებასთან დაკავშირებული. ხშირად ის სწორედ უმოქმედობაში გამოიხატება.

**დემოკრიტე**: ვინც ცხოვრობს უშინაარსოდ, უგუნურად, თავაშვებულად, კი არ ცხოვრობს, ნელა კვდება.

**ლაიბნიცი**: ჩვენი ბედნიერება სულაც არაა ყოველი სურვილის დაკმაყოფილება. როცა აღარაფერი დარჩება სანატრელი, ეს მხოლოდ სიჩლუნგეს იწვევს. მარადიული მისწრაფება ახალ-ახალი სიამოვნებისკენ, ახალი სრულყოფილებისკენ – აი, რა არის ბედნიერება.

**ჯორდანო ბრუნო**: საღი გონების ნიშანი ისაა, რომ საკმარისია, ცოტა ნახოს, ცოტა მოისმინოს, რათა შემდეგ დიდხანს იფიქროს, ბევრი გაიგოს და შექმნას.

**ბეკონი**: დროის შერჩევა – დროის მოფრთხილებაა. უდროოდ გაკეთებული საქმე ფუჭია.

**არჩილ მეფე**: მეგობარი ბევრი უნდა, თანამზრახი – ერთი ოდენ.

**კონსტანტინე**: ყოველი დროის ცილისმწამებლებს კარგად სცოდნიათ, რომ ადამიანის უსასტიკესად დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას სწორედ იმაში დასდებენ ბრალს, რის წინააღმდეგაც თავად იბრძვის.

**დიმიტრი ყიფიანი**: აჩქარება მხოლოდ მაშინ არის საქები და გამოსადეგი, როცა მოყვასს შემწეობა სჭირდება, რომ განსაცდელს გადარჩეს.

**დემოკრიტე**: სიმამაცე ამსუბუქებს ბედის უკუღმართობას.

**შილერი**: ეძებ უმაღლესს, უდიდესს? ამას მცენარე გასწავლის: ის შეუგნებლად რასაც ქმნის, შენ გააკეთე შეგნებით.

**თებრიზი**: მტერი ფეხებში გიყურებს, მეგობარი – თვალებში.

**რენარი**: მუდამ უკმაყოფილება – შემოქმედების ნიშანია.

**როულენდი**: ზრდასრული მამაკაცები თავიანთი ზრდასრული პარტნიორი ქალებისგან ითხოვენ იმას, რაც მათთვის დედას უნდა მიეცა: მზრუნველობას, თავგანწირვას, მიტევებას, მომსახურებას და მხარში დგომას.

**მელიხანი**: ამბობენ, რაც უნდა ქალს, ის უნდა ღმერთსაცო. მაგრამ არავინ ასრულებს მის სურვილს, რადგან მარტო უფალმა უწყის, რა უნდა ქალს.

# თუ გამოიცნობთ

1. პეტრე პირველმა ბალტიის ზღვის სანაპიროზე ციხესიმაგრის მშენებლობა 1703 წელს დაიწყო და მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში ის ევროპაში გაჭრილ ფანჯარად შეაფასეს, თავდაპირველად, მისი დანიშნულება შვედებისთვის რუსეთის მიმართულებით გზის გადაკეტვა იყო. სისწრაფისთვის ის ხის მასალითა და მიწით აიგო. იმავე წლის ივნისში ციხესიმაგრის შიგნით პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიას ჩაეყარა საფუძველი და ციხესიმაგრესაც მისი სახელი ეწოდა. **რა ერქვა თავდაპირველად ამ ციხესიმაგრეს, თუ ეს სახელი დაერქვა შემდგომში აქ აღმოცენებულ ქალაქს.**

2. **როგორ განვასხვავოთ** კათოლიკური წესით ნაკურთხი წყალი მართლმადიდებლურად ნაკურთხისგან?

3. წონა – 396-დან 453 გრამამდე. უდიდესი კვეთის პარამეტრი 6-დან 71 სანტიმეტრამდე. აქვს კიდევ ბევრი სხვა მაჩვენებელი, რომელიც მხოლოდ ჟიურისთვისაა ცნობილი. **რისთვის დადგინდა ეს მაჩვენებლები 1958 წელს?**

4. ერთხელ კომპოზიტორმა ვერდიმ, განაცხადა, რომ ეს არის მუსიკის ზოგიერთი სახეობის განუყოფელი ნაწილი და მისი პარტიტურაში ჩაწერაც კი მოითხოვა. **რის შესახებ ამბობდა ამას ვერდი?**

5. ჩინეთში მას „მიხუტაოს“ – „მაიმუნის ატამს“ უწოდებენ. ახალ ზელანდიაში მას „ჩინური ხურტკმელი“ შეარქვეს. მას შემდეგ, რაც მსოფლიოში მოიპოვა პოპულარობა, ახალი ზელანდიის ეროვნული სიმბოლოს სახელი მიიღო. **რა ჰქვია მას?**

6. მეთორმეტე საუკუნეში კათოლიკურმა ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა, წმიდა იოსაფატ ინდოელის სახელით. საეკლესიო კალენდარში მისი მოხსენიების დღეა 27 ნოემბერი. **დაასახელეთ, რა სახელით ვიცნობთ მას ჩვენ?**

7. სულთანმა მუჰამედ ალ-ახმარმა თავის მსახურს უბრძანა, რომ დღედაღამ თვალყური ედევნებინათ მისთვის და ისე ემოქმედათ, რომ მას მუდმივად „ემუშავა“. მაგალითად, ღამით ჩირაღდნით ხელში გარკვეული სიჩქარით წრეზე ევლოთ. **რა იყო წრის ცენტრში?**

8. თავისი ცნობილი კოშკის აგების წინ, ინჟინერმა ალექსანდრ გუსტავ ეიფელმა ქალაქის მმართველობასთან ხელშეკრულება დადო, რომ 1909 წელს მას შეესრულებინა პირობა, რაც მის ქმნილებას ეხებოდა. პირობა არ შესრულებულა. **რა უნდა გაეკეთებინა ეიფელს 1909 წელს?**

9. როცა ფარაონი – ტუტმოს მესამე ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1490 წელს ავიდა ტახტზე, ბრძანა, ეგვიპტის ყველა ძეგლიდან წაეშალათ ერთ-ერთი თავისი წინამორბედის სახელი, რომელიც ქვეყანას 20 წლის განმავლობაში მართავდა. ეს იმიტომ გააკეთა, რომ მისი აზრით, ამ ადამიანს არ ჰქონდა ფარაონად ყოფნის უფლება. ეს მართლაც ასე იყო. **რატომ?**

10. მიაჩნიათ, რომ ის წარმოიშვა იტალიაში, უფრო ზუსტად, რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში ერთად. მაგალითად, გერმანიაში მას ერქვა „ზინგშპილე“, ესპანეთში – „ტონოდილია“ და „სარსუელა“. **რას ვუწოდებთ ჩვენ მას?**

***პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* 1997 წლის 9 იანვრის „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა კარიკატურა: გრძელთმიანი, გიტარიანი მამაკაცი ანკეტას ავსებს და გრაფაში „სქესი“ – ჩაწერა: „მაკარტნი“.

* 2000 წლის აპრილში ქუვეითის საკონსტიტუციო სასამართლომ ქალებს უარი უთხრა საკანონმდებლო ორგანოების არჩევნებში მონაწილეობაზე. ეს სხდომა სულ... 1 წუთს გრძელდებოდა.

* გერმანელი მათემატიკოსი, პეტერ გუსტავ დირილე, ძალიან სიტყვაძუნწი იყო. იმ დღეს, როცა მას ვაჟი შეეძინა, სიმამრს დეპეშა გაუგზავნა, რომელიც უმოკლესია ტელეგრაფის ისტორიაში – „+1“.

* მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში რამდენიმე ქვეყნის ჯარი მრავალლულიან საარტილერიო იარაღს იყენებდა: ჩარჩოებზე დამაგრებული იყო 50 ლულა. ამ იარაღს ერქვა მუსიკალური ინსტრუმენტის სახელი – ორღანი.

* სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ არსებობს ასი ათასი ფოტოსურათი, რომლებზეც ჩვეულებრივი ელვა განსაკუთრებით კარგად ჩანს, ხოლო მისი „იდუმალი“ ნათესავი – სფეროსებური ელვის ფოტო სულ სამოცია, თუმცა, ის პირველზე ათასჯერ მეტხანს „ცოცხლობს.“

* პლინიუსის თანახმად, ესქილეს თავში მოხვდა კუ, რომელიც აფრენილმა არწივმა ჯავშნის გატეხის მიზნით ჩამოაგდო.

* „სლალომი“ ნორვეგიული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „კვალი კლდეზე“.

* 1934 წლის 23 მაისს ოკლაჰომაში პოლიციელებმა დახოცეს მძარცველები, სახელად ბონი და ბეროუ (ცნობილი ფილმის – „ბონი და კლაიდის“ მთავარი გმირების რეალური პროტოტიპები).

* „სეკის დისკი“ ეწოდება ლითონის თეთრ დისკს, რომლის დიამეტრი 30 სანტიმეტრია. მას ხომალდიდან წყალში აგდებენ ისე, რომ ის მუდამ ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია. მისი საშუალებით იზომება წყლის გამჭვირვალობა.

* ინდური სპილოს თავის ტვინი იწონის 5 000 გრამს, ცხენის – 500, გიბონის – 89, პატარა ზღარბის კი – მხოლოდ 3,4; ადამიანის ტვინი საშუალოდ – 1 400 გრამია, შესაბამისად, მამაკაცს – მეტი აქვს, ქალს – ნაკლები.

* რომის იმპერიის ფარგლებს გარეთ დაარსებული უძველესი ქალაქების (პოლისების) მცხოვრებლებს ჰქონდათ რომის მოქალაქეობაც და კოლონიებისაც. ანუ, მათ რომის მოქალაქის მოვალეობებიც უნდა შეესრულებინათ. ამ მოვალეობებს „მუნიციპალიტეტი“ ერქვა – ეს სიტყვა ჩვენში გერმანული ენიდან შემოვიდა.

* ამსტერდამში არის ხუთსართულიანი მცურავი ოტელი – „კასა მარინა“, რომელსაც არ აქვს მუდმივი მისამართი.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლc8-c7!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



მიხო ბალახს თიბავს, ცელზე კი პატარა ზარი აქვს მიმაგრებული, რომელიც ცელის ყოველი მოქნევის დროს წკარუნობს. ჩამოიარა მღვდელმა და გაუკვირდა.

– შვილო ჩემო, რად გინდა ეგ ზარი?

– მამაო, ათასი ჯურის წვრილი ცხოველი




და ფრინველია ჩამალული ბალახში და, შემთხვევით რომ არ გავკრა ცელი და ცოდვა არ ჩავიდინო...

– შენ რა კეთილი ყოფილხარ, შვილო, მოდი, მე მაგ ცოდვას მოგიტევებ...

– მადლობა, მამაო, მაგრამ, მე სხვა ცოდვაც მაქვს – როცა ჩემი მეზობელი მიტუა ქალაქში მიდის, მის ცოლთან, მაყვალასთანა ვწევარ...

– მაგიც მომიტევებია, შვილო...

– როცა მაყვალაც მიჰყვება სტუმრადა, მის ქალიშვილთანაც ვწევარ...

– მომიტევებია...

– როცა დედა-შვილი მიდის, მიტუასთანაცა....

– შვილო, შვილო, ეგ ზარი ცელზე კი არ უნდა მოგება...

***

ორი ტიპი პოლიტიკაზე დავობს:

– მე, რა თქმა უნდა, შემიძლია, რომ დაგეთანხმო, მაგრამ, მაშინ, ორივე მტყუანი ვიქნებით...

***

რუს ტურისტ გოგონას ერთ სოფელში შემოაღამდა. ერთ-ერთ სახლს მიადგა და დააკაკუნა – ღამე გამათევინეთო. გამოვიდა სიმაღლის მიხედვით დაწყობილი ათი ახალგაზრდა. ერთი ეუბნება:

– გამოცანას გეტყვით, თუ გამოიცნობ – გაგათევინებთ, თუ არა და, ათივე რიგრიგობით დავწვებით შენთანო:

– წითელია, გრძელყუნწიანი და ხეზე კონწიალობს...

გათენდა. ცხრა ბიჭი ძირს ყრია... მეათე მუხლებზე ძლივს დგას:

– გეხვეწები, თქვი – ალუბალი...

– აბა, აბა, ნუ ზარმაცობ... მიდი, საქმეს მიხედე! გეუბნები კიტრია-მეთქი, კიტრი!

***

ბიზნესმენმა ახალი ოფისმენეჯერი გოგონა მიიღო.

– აი, ეს იქნება შენი მაგიდა, კომპიუტერი, სადაც იმუშავებ...

– გასაგებია...

– ეს ოფისის ტელეფონია, ეს კი – მობილური, რომელსაც სამსახურისთვის გამოიყენებ...

– გასაგებია...

– ეს ყავის მოსამზადებელი ოთახია....

– გასაგებია...

ბიზნესმენმა მოკლე ექსკურსი დაამთავრა, უნდა, რამე გაიგოს გოგონას შესახებ და ეკითხება:

– თქვენ რამე სხვა სიტყვა იცით „გასაგებიას“ გარდა?

– როგორ არა – „სექსი“...

– გასაგებია...

***

ორი ნაცნობი ხვდება ერთმანეთს:

– სად დაიკარგე? რამდენი ხანი, არ შემხვედრიხარ.

– საავადმყოფოში ვიწექი, ნერვებს ვმკურნალობდი...

– რას?

– ნერვებს, ამის დედა ვატირე! რა, არ გესმის, დაყრუვდი? შენი!..

***

– თუ შეიძლება, მომეცით ის წითელი პლუშის უკანალი...

– როგორ გეკადრებათ, ბატონო, ეს გულია და არა უკანალი...

– ქალბატონო, მე ოცი წელია, კარდიოქირურგად ვმუშაობ... მომეცით, რაც გითხარით...

***

– მამა, ჩვენ ებრაელები ვართ თუ რუსები?

– რატომ მეკითხები?




– აი, მეზობელ ქუჩაზე ბიჭი მაგარ ველოსიპედს ყიდის... ვერ გადამიწყვეტია, შევევაჭრო და ვიყიდო თუ მივიდე და დავუმტვრიო...

***

გამოცდა სამედიცინო სასწავლებელში:

– ვინ მეტყვის, სად არის მოთავსებული გული?

– გული მკერდშია, მასწ...

– არ არის სწორი, გული მოთავსებულია გულის პერანგში.

– მასწ... მასე, თქვენ კოსტიუმში ყოფილხართ და არა აუდიტორიაში...

***

თანამედროვე გაგებით, ბოზობად ითვლება, როდესაც ადამიანი ქორწინებაშია და მეუღლის გარდა სხვა პარტნიორებიც ჰყავს... სხვა შემთხვევაში კი ეს მხოლოდ ქასთინგია!

***

მშობლები ტახტზე სხედან ჩახუტებულები. შემოვიდა 6 წლის ნიკა:

– გეყოფათ, ჩვენ უკვე ბევრნი ვართ...

***

ქალი ყოველთვის გაუშვებს ქმარს სასეირნოდ, ჭკვიანი კი – ძაღლთან ერთად.

***

ქალი სარკის წინ დგას: გაიხადა მაისური, შარვალი, ლიფი, ტრუსები... საკუთარ თავს მოწონებით შესცქეროდა.... ჯერ მარცხენა თეძოს შეხედა, მერე – მარჯვენას, მკერდი ზემოთ




ასწია... მერე სარკისკენ ზურგით შებრუნდა, ფეხისწვერებზე აიწია და სარკეში უკანალი შეათვალიერა. და, უცებ, შეამჩნია, რომ ღია ფანჯარაში მღებავია ჩამოკიდებული და უყურებს. ქალი გაშტერდა...

– რას მომშტერებიხარ, მღებავი პირველად ნახე?!

***

გოგოები ტბაში ბანაობენ, შიშვლები... ნაპირთან მოხუცი კაცი მივიდა, ჩამოჯდა და უყურებს.

– ბაბუ, ტყუილა გველოდები, შიშვლებს მაინც ვერ გვნახავ – სანამ შენ არ წახვალ, ჩვენ წყლიდან არ ამოვალთ...

– შვილო, თქვენს სანახავად კი არ მოვსულვარ, ჩემს შეფს აქ ნიანგები ჰყავს მოშენებული და უნდა დავაპურო...

***

– თუ შეიძლება, რამე დამამშვიდებელი მომეცით.

– წვეთები თუ აბები?

– ნუ მაბრაზებ, შე ბოზო!

***

ტიპი ტურისტად უცხოეთში მიდის და ჩაფიქრდა: „წავიყვანო ცოლი თუ არა? თუ წავიყვანო – ვისი? თუ ჩემი – რისთვის?“

***

შეკივლებას ცრემლი მოჰყვა, ლინზებს გამოსცდა, მიწებებულ წამწამებში გამოიარა, ბოტოქსის ტუჩებს ჩამოჰყვა, ჰელიუმის კბილებს რომ ფარავდა და წვეთ-წვეთად დაეცა სილიკონის მკერდს... ეს ყველაფერი კი სალონში დაგრძელებულ თმაში გახლართულ, დაწებებული ფრჩხილის მოტეხამ გამოიწვია...

# რით გააკვირვა ოტია იოსელიანი რუსმა ქალბატონმა

1972 წელია.

ქართველი მწერლები სიმპოზიუმზე მიემგზავრებიან საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში.

ოტია იოსელიანის კუპეში, თანმხლებ ორ ცნობილ მწერალთან ერთად, ერთი უცხო ქალი აღმოჩნდა.

ქალი შუა ხანს არ იყო მიღწეული, მაგრამ, საკმაოდ სანდომიანი გახლდათ. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში თბილისიდან მოსკოვამდე მგზავრობას კარგა სამი „სუტკა" სჭირდებოდა.

ჩვენმა მწერლებმა (რა თქმა უნდა) ქალბატონს ქვემო „კოიკა" დაუთმეს და, სანამ დაწვებოდა, ტამბურში გავიდნენ.

რომ შემობრუნდნენ, ქალი გემრიელად გახლდათ მოწყობილი ლოგინში. ეს სამეული კი ერთმანეთის გვერდით მოკალათდა „მსხდომიარე" მდგომარეობაში.

როგორც აღმოჩნდა, ქალი მოსკოველი გახლდათ, ანუ, ჩვენი რძალი – ჩვენი, ერთ-ერთი თანამემამულის გულის მურაზი. გარდა ამისა, ის საკმაოდ ენაწყლიანი და თამამი გამოდგა. ჩვენი სასიქადულო მწერლებიდან ვერც ერთი ვერ იცნო, თუმცა, ეჭვი არ მეპარება, მათი სახელები, პირდაპირ თუ ირიბად, აუცილებლად ექნებოდა განაგონი, ყველასი თუ არა, რომელიმესი მაინც.

– ჩვენმა სამეულმა ჯენტლმენობის ურყევი კანონი დაიცვა და სათითაოდ გაეცნენ ქალს – მწერლები ვართ და თქვენს დედაქალაქში მიწვევით მივემგზავრებითო.

ქალს ლაპარაკის საღერღელი აეშალა:

– აი, თქვენ მწერლები ბრძანებულხართ. მართალია, ჩვენს (რუს) მწერლებთან რას მოხვალთ, მაგრამ, თქვენც არა გიშავთო. მე თავის დროზე პედაგოგი გახლდით, სანამ თქვენი რძალი გავხდებოდი, კი არ გეწყინოთ, მაგრამ, ჩემი მოსაზრებები მაქვს ცხოვრებისეულ საკითხებზე და ახლა, თქვენი აზრიც მაინტერესებს, აბა, ჩვენი მოსაზრებები თუ დაემთხვევა ერთმანეთსო.

მუდამ ტრადიციების მიმდევარ ოტიას „მანდამაინც" არ ესიამოვნა ქალის ასეთი გულახდილ-




ობა, მაგრამ, ოტია ოტია იყო, ტრადიცია – ტრადიცია და რუსი ქალი – რუსი ქალი, მაგრამ, ჩვენი რძალი და, – გისმენთ, ქალბატონოო, – გაუღიმა.

ქალმა ავბედითი კითხვა დასვა:

– რამდენი სიყვარული არსებობს ცხოვრებაში?

მწერლებმა უხერხულად გადახედეს ერთმანეთს – რომელი უპასუხებსო.

– სიყვარული ერთია და სამუდამო, – თქვა ერთმა, მაგრამ, ქალი ამ პასუხმა ოდნავაც ვერ დააკმაყოფილა.

– „ა პაჩემუ ნე დვა"?

– „მოჟნო ი დვა"... – „დანებდა" მეორე მწერალი. ოტიამ ფანჯარაში გაიხედა და ხმა არ ამოუღია.

– „ა მოჟეტ ი ტრი"? – არ ისვენებს ქალი, გულღიად იღიმება და პასუხს ელის.

– „რაზ ტრი, ზნაჩიტ ი ჩეტირე ვაზმოჟნა", – თქვა ქალმა.

მწერლებს რაღაც ენიშნათ, მაგრამ, არ იმჩნევენ და აქაც დაეთანხმნენ.

– აი, ჩემი ქმარი, – მოულოდნელად, სუფთად არა, მაგრამ, ბორძიკ-ბორძიკა ქართულით ამეტყველდა ქალი, – ჩემი მეხუთე სიყვარულია. მანამდე ოთხი სიყვარული გამოვცადე...

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მუდამ ტრადიციების დამცველი და მიმდევარი ოტია ოდნავ შეტოკდა, თუმცა, კომენტარი არ გაუკეთებია.

ქალს ეწყინა – ეს სვანურქუდიანი კაცი რატომ არ მეთანხმებაო და საყვედურით შეხედა ქართული მწერლობის კორიფეს.

– თქვენ რატომ მიემგზავრებით, ქალბატონო, მოსკოვში, თუ არ გეწყინებათ, გვითხარით, – შეეკითხა ქალს თვალმოწკურვით... ბოლოს მაინც.

– „ვოტ, ვეტომ ი იესტ პრაბლემა"... – თქვა რუსულად ქალმა, – სწორედ მეექვსე სიყვარულმა დამიძახა მოსკოვში, – დააყოლა ქართულად.

წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ოტიას ჯერი რომ იყო, აშკარად იგრძნო ორმა მწერალმა. ოტიამ ღრმად ამოსუნთქა და:

– არა!

– რა – არა? – შეჩქვიფდა ქალი.

– ხუთი სიყვარული შეიძლება, ქალბატონო, მაგრამ მეექვსე... მეექვსე ნაღდად ბოზობაში გადადის!!!

შეურაცხყოფილი ქალი წამსვე გადაბრუნდა კედლისკენ და მხოლოდ მოსკოვის მისადგომებთან იკადრა გადმობრუნება.

– „მოჟნო, ვსიო მოჟნო"!! – რომ ჩადიოდა, მაშინ ისროლა...

მოსკოვში ირიბად ცრიდა.

საქართველოშიც ცრის ხანდახან...

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# რატომ შეაშინა ქართველმა სასიმამრომ ჩინელი სასიძო

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს. გუშინ ლამზირამ თავისი მშობლები გამაცნო და ამ ამბავს მოგიყვები ამ წერილში.

თურმე, საქართველოში შეყვარებულის სახლში მისვლა პირდაპირ არ შეიძლება, აუცილებლად შეყვარებულთან ერთად უნდა მიხვიდე. მე და ლამზირა სამსახურის შემდეგ პირდაპირ მის სახლში წავედით, როგორც უკვე გითხარი, მისი მშობლების გასაცნობად. მე მეგონა, სახლში მარტო დედა და მამა დაგვხვდებოდნენ, მაგრამ შევცდი – პატარა სახლი ბოლომდე ხალხით იყო სავსე. მივედით თუ არა, ყველა მე მომაშტერდა. პატარა ბავშვები უფროსებს ამოეფარნენ ფეხებს უკან და შეშინებულები მიყურებდნენ. ლამზირამ იდაყვი წამკრა – ხელი ჩამოართვი კაცებსო. მეც ჩამოვუარე და თან ყველას ვუთხარი ჩემი სახელი. ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიე ოთახის კუთხეში მდგარ მაგიდამდე, სადაც სუფრა გაეშალათ და მარტო ერთი კაცი იჯდა. კაცი ძალიან მსუქანი და მელოტი იყო, მხეცის სახით მიყურებდა და ღრმად ქშინავდა. მე შემეშინდა და უკან დავიხიე, მაგრამ, ლამზირამ ისევ წამკრა იდაყვი და ხმამაღლა თქვა:

ტობი, გაიცანი, ეს მამაჩემია – ბეჟანი.

მე ხელი გავუწოდე. კაცმა ორი წუთი მიყურა ამღვრეული თვალებით და ხელზე მთელი ძალით მომიჭირა ხელი. მე დავიკვნესე და ხელის მოშორება ვცადე, მაგრამ, არ მიშვებდა. უკვე გული მიმდიოდა, როცა ასევე მსუქანი ქალი მოვიდა და კაცს უთხრა: კაი ახლა, ბეჟანი, უშვი ბოვშს ხელი და დასხედით სუფრასთანო. კიდევ კარგი ამ კაცმა დაუჯერა. ეს ქალი ლამზირას დედა გამოდგა – ქალბატონი ციცო. სუფრასთან დავსხედით: მე, ლამზირა, ლამზირას მამა და ორი დიდი კაცი. რატომღაც, დედა არ დაჯდა, ის სამ წუთში ერთხელ შემოდიოდა ფქვილიანი ხელებით და სუფრაზე რაღაცეებს ალაგებდა. რა უბედურებაა, ხელე-




ბი მაინც დაებანა, გასაცნობად მივედი, ბოლოს და ბოლოს!

სანამ მივიდოდით ლამზირამ გამაფრთხილა: იქ რომ მივალთ, ყბების ქნევა არ დაიწყო, მარტო ხილი შეჭამეო. შიმშილისაგან გული მიმდიოდა, დედა, მაგრამ, რა მექნა?

– ღვინოს სვამ, ბიჭო? – დამიბღვირა ბატონმა ბეჟანმა.

– ცოტას... – დავიმორცხვე მე.

– ცოტას რას ეძახი შენ, ოჯახი დამილოცე! – მოჭუტა თვალები სასიმამრომ და სავსე ყანწი მომაწოდა, დანარჩენი ორი კაცი კი ინტერესით დამაკვირდა, როგორ დავლევდი. მე უარის თქმას ვაპირებდი, მაგრამ, ლამზირამ მიჩურჩულა, ახლავე რომ მოკვდე, მაინც ბოლომდე დალიეო. მოვიყუდე და სიმწრით ჩავცალე ლიტრიანი ყანწი. ვაა, მალადეცო, – თქვა იმ ორი კაციდან ერთ-ერთმა.

სუფრის გარშემო ქალები იდგნენ და ისევ მე მაკვირდებოდნენ. მე ღვინომ გამაბრუა და უფრო ძალიან მომშივდა, ლამზირას გავხედე, მაგრამ, გამეხებული სახით იჯდა ისევ. ბატონმა ბეჟანმა თავისკენ მიმაბრუნა და მითხრა:

– შენ მიგყავს ჩემი ქალი, შე მამაძაღლო? – დედა, ზოგჯერ ამ სიტყვას საქართველოში მოსაფერებლადაც ხმარობენ ხოლმე. მე დავიმორცხვე. ის ორი კაციც დათვრა. ერთ-ერთმა პისტოლეტი ამოიღო და ფერი დავკარგე. კაცმა პისტოლეტი მაგიდაზე დადო და თქვა, ლამზირას ვინც დაჩაგრავს და პატივს არ სცემს, შუბლს გავუხვრეტო. მე ძალიან შემეშინდა, მაგრამ, ხმა არ ამოვიღე.

ძალიან დიდხანს ვსვით, მე საერთოდ დამებინდა გონება, ტუალეტში გასასვლელად რომ ავდექი, დავბარბაცდი და პისტოლეტიანს პირდაპირ სახეში დავარტყი თავი. კაცი გაბრუვდა და, აზრზე რომ მოვიდა, ჩემკენ გამოიწია გაცოფებული სახით. ბატონმა ბეჟანმა სიცილი დაიწყო და ის კაცი გააჩერა, თან ამბობდა: რავარი ვაჟკაცი სასიძო მყოლია, თუ ხედავთ თქვენ, რას აშინებდი, რომ აშინებდიო. მეტი აღარაფერი მახსოვს, დედა. თურმე, ლამზირამ ტაქსიში ჩამსვა, ტაქსის მძღოლმა კი ჩემს საწოლზე დამაგდო. ასე იყო ეს ამბავი დედა, მერე კიდევ მოგწერ. ძალიან მენატრებით ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**



რატომ არ ხიბლავს დათო ხუჯაძეს ღამის ცხოვრება და ვინ გადაკეტა მის გამო შვედეთის უდიდესი ხიდი

გვ. 74



გვ. 71



როგორ მოხვდა ნიგერიელი ბრაიანი ქართულ სერიალებსა თუ სარეკლამო რგოლებში და რა ქართული სახელი და გვარი შეარქვეს მას მეგობრებმა

რის გამო ჩაშალა გადაღება შორენა ბეგაშვილმა და რა პრობლემებმა იჩინა თავი ქეთისა და კოტეს ოჯახში

გვ. 18

ISSN 1987-569X
9 771987 569002

საქართველო ბეჭედია ბაჟაღლ ა თბილ ვ ჩასმული ახში

# თბილისელები®

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №19 (645) * 6–12 მაისი * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge